

114
1932/2

მნათობი



7

1 9 3 2

კ.

პრინციპული კვლევა ქვეყნისა, შერთვილი

მნათობი




სრულიად საქართველოს საზოგადოება მწი-
ლეულის კავშირის ყოველთვიური სალიტე-
რატურით სასულიერო და საზოგადოებრივ
სამართლებრივ ჟურნალი

7

წელიწადი მესამე

12921



საბჭოთავი

1932

პ/მგ. რედაქტორი: ზიორგონი უსრულაშვილი

რედაქციის წევრები: ივ. ვაზაშვილი

ს. მული

შ. რადიანი

გაბ. ტაბიძე

თიც. ტაბიძე

მ. სულიაშვილი

სიმ. ჩიქოვანი

პ. ჩხიკვაძე

რედაქციის მდივანი: ლევ. ასათიანი

პოლიგრაფტრესტის 1-ლი
სტამბა

შტ. № 2086. ტირ. 358.

შთავლიტ. № 4000.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, შანაბლის ქ. № 13
გვ. ნინოშვილის სახელ. შწერალთა სასახლე. ტელ. № 1-65

კანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამ. № 22, პერიოდსექტორი.

პაოლო იაშვილი



წიგნიდან:

„ლირიკული ზაფხული საქართველოში“

თავი პირველი: ლექსების კრებული

1. ვიქტორ გოგლიძეს
2. მხედრეა—ჩემი პარანაი
3. გელის ამბავი
4. როგორც ავრის ტკაცუნა

ვიკტორ გოგლიძეს



ჩვენი ჰადრაკის პირველ მაცსტროს

შეგვხვდებით ერთმანეთს,
ვხედავ რომ ჩალაგდა
ყოველი პაიკი
შემტველ რაზმებად,
და „მეფე“ ბრძოლების
განწირულ ალაგთან
თან და თან შებოკეს
რკინების თასმებმა.

●
ვსაუბრობთ... მე ვფიქრობ:
— ნეტა რას ჩაწერდა
და ვხედავ თვალეში
შუქია ნეტარი,—
ვხედავ რომ ჰადრაკის
ეშმაკურ ფაცერთან,
ულონოდ დანდალობს
შაგების მხედარი.

●
გადავალთ ლექსებზე—
ჩემს შრომის მაგიდას,
დღეს დარჩა ნამტვრევად
დაყრილი ბჭკარები.
შენ მაგარ ოსტატის
სახელი გაგატანს
მე ჩემი ფიქრების
გაშლილი კარები.

●
არ ვიცი რად არი
ასეთი მარტივი
შეხვედრა, ღიმილი—
შენთან რომ მოვედი
ასეა-პირველი
ქართული პარტიის
და ჩემთვის ნამდვილი
ბრძოლების პოეტი.



შენ უკვე გაიგე
რა არის ძილის წინ
უეცრად შეხტომა
კაცს რომ არ აძინებს,
შენ უკვე გაიგე
შეატრია ტფილისი
და თავის არჩეულს
თვალს არ მოაცილებს.

ეს შეატრი ბრძანება
ხწირად დაქლეულა,
კი მაგრამ რჩეულებს
მშვიდობა მოგვტაცეს,
არავის არ სძინავს
ისე აბნეულად,—
როგორც რომ ლექსის და
ქადრაკის ოსტატებს.



მაგიდა—ჩემი პარნასი

თითქოს უბრალოდ
მე ვწერდე წერილს,
გამიადვილდა უეცრად შრომა,
და როგორც შექმნე მოფერენა მწერის
სიტყვას სცელის სიტყვა
და ზომას ზომა.
მარცვლების ძებნას დაიწყებს ცერი
ავესებს წერილს
წუხანდელ
ცის დარდი,
და მღერის, მღერის კალამის წვერი
კალამის წვერი,
ბულბულის ნისკარტი.
მაგიდას პარნასს,
ყვითელი მტვერი,
მზის ოქროს წვერი
ხერელიდან ესობა;
და პოეტს ზარმაცს,
წასვლია ფერი.

ოქროს მტვერი რომ
 გაუჩნდა მეზობლად;
 შრიალა ნარმას
 წერით დასერილს,
 დაეცა მართლა
 ყვითელი
 მზის ვარდი,
 და ელის კარნახს
 კალამის წვერი
 კალმის წვერი
 ბულბულის ნისკარტი.

სტეში ყარანა, ყანებში წვერი
 ხეები ბევრი, სერი და ამიდი,
 მძიმე გაფრენა შეადღეზე ძერის,
 მთები ნაპედი მოოქრულ კრამიტით,
 დიკა და ქერის ყოველი ღერი,
 მეძახის, მივალ,
 მივრბივარ, ვისწრაფი!
 და აღარ მღერის
 კალამის წვერი,
 კალამის წვერი
 ბულბულის ნისკარტი.



ბაღის აგბავი

დავითენტები, მომინდება ამინდის სინჯვა.
 ბევრი ნდომია მუშაობა ლექსების ბერტყვას,
 დავხედავ ბაღში, წვიმა სცვივა კრიალა ბრინჯად
 წვიმა, რომელიც უფრო აგავს მოვარდნილ სეტყვას.

შემდეგ ამ წვიმას სალამომდე სიჩუმე მოდევს,
 ბავშვების ფეხთა განბეჭდებს სილაში სძინავს,
 უცბად რალაცა შეაშფოთებს კობიტის ტოტებს—
 ეს ბულურაა, რომ იბერტყავს ფრთებიდან წვიმას.

მოვა სალამოც... ისევ შევალ ნაწვიმარ ბაღში,
 უეცრად ვიგრძნობ ჩასვლის უმაღ მზე აქ ყოფილა:
 დავაკვირდები ლობეს, ფოთლებს, დაგდებულ ნახშირს
 და ყველაფერმა მზის აქ ყოფნა შემატყობინა.

მერე ამ სითბოს, და ამ ბაღის პატარა ამბავს
შევიტან სახლში, ღია მრჩება თანჯარა, კარი,
ლოგინზე მთვარე გადააფენს ცივ, ტილოს საბანს,
და ვფიქრობ რა სჯობს: სიცივე თუ მზიანი დარიბ



როგორც აფრის ტკაცუნი

როგორც აფრის ტკაცუნი
მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაგაკურო
ვაქროლება მინდა!

როგორც ფართო კადართან
ჩეროების ჯერი,
ისე ჩუმაღ ჩატარდა
ჩემი ლექსი ბევრი,

და ქცეული სურათად
სიტყვა, ყველა ბგერა,
მიწაზე მისცურავედა
დამწიფებულ ქერად,

ბოსტნების დასანაგვად
მოუთიბავ, მოლად
ბაღიანის ამხანაგად
და ომბალოს ტოლად.
ახლა როცა ტკაცუნი
აფრის მესმის ზღვიდან
ასეთი ვაგაკურო
ვაქროლება მინდა.

მინდა სიტყვის თარეში
ჩემი ყველამ ნახოს,
ხვესტურების ფარეხში,
ჩანჩქერების ახლოს.

მინდა მიწას მარჩენალს
ჰქონდეს მშვიდი ძილი,
ჰგაედეს ვაჟის გაჩენას
მზის ამოსვლას დილით.

როგორც აფრის ტკაცუნი მოვარდნილი ზღვიდან
ისეთი ვაგაკურო ვაქროლება მინდა.



პლემის უნიუზენები

თავები პლემიდან

11

მზვენებიან ძველი მგოსნები,
ვინც საქართველოს ხმით შეაბერდა.
ზოგი მღეროდა ვარდების ბაღში,
სხვა უნაგირის ტახტაზე სწერდა.

მღეროდენ, როგორც დიდი წვიმები
და ფრინველები ათას ხმიანი,
მათ მოჭიმული ჰქონდათ სიმები
და არ იცოდნენ ლექსის ხრიალი.

ხმაღმა, ხანძარმა, კალიამ, კირმა
მათი სიმღერა ვერ გაანელა:
შოთა,
ბესიკი,
გურამიშვილი,
ჯიხტყაიანი ვაჟა-ფშაველა!

მორწყეს სამშობლო ლექსის მდინარით
და ენაზედაც ოფლი სდენიათ,
იყურებიან სახე მბრწყინავე,
შუბლზე ნათელი შეუფენიათ!

მაინც ღლივიან დედამიწიდან,
არ გათავდებდა მათი ნუგეში.
და სამუდამოთ ჩაბუდრებულან
სიმებისაგან დაწულს ბუდეში.

12

... ვხედავ დასტებათ ნაცრიან მწერლებს
მათი საგზალი ცრემლის ჭაფია.



ჰყავთ ცოცხლებშიაც თანამდებარე
 დღეს ლირიკული ქარიყლაპია;
 ზოგია სხვისი ჩანგის ყაჩაღი
 და ზოგი კიდევ უშიზრაფოა!

და პიიტები ბატისფრთიანი,
 მუხამბაზების მთვრალი დარაჯა;
 წვეანან სიჩუმის ნავთსადგურებში
 და კალმის შუქი მათი არა ჩანს.

რაც მიაკეცეს სიტყვა სიტყვაზე,
 გაუნიავდათ იმავ წამითვე,
 ერთი გაძლომა ჰქონდათ ოცნება,
 ვერ წაიხემსეს, ისე წავიდნენ.

წარეცხილი აქვთ საძირის კვალი
 და ენის ტარი მათი დამპალა;
 ჩვენთვის კი არა, სადმე ბატისთვის
 იქნებ ივარგონ ზეთის ლამპარათ.

ჩემს მაგიდაზე მისთვის მსმენია
 ქახანი მათი ზურგის ძვალისა,
 ერეკებოდა ახალი რიტმი
 როგორც ნაკრავი ანორძალისა.

მე დაეინახე, ბევრი მათგანი
 ქუჩამ გასრისა, როგორც პეპელა.
 განა რომელი, გამოგვადგება
 ჩვენი დღეების მასწავლებელათ —

დასძრას ლექსები ცხენოსანივით,
 ავარდეს ბუჭი უკან ამტყდარი,
 ხელდროშიანი გაგვიძვეს წინა
 გამაპობელი ბაირახტარი!

მაგრამ განა მათ მოეთხოვებათ,
 გაუძლონ ჩვენი დროის მარწუხებს;
 აძალახებულ იმათ საფლავეებს,
 სირცხვილი არი, ნულარ ვაწუხებთ...



უსახელო

სრავსახი მძახვებით

1

დღეს გადავწყვიტე დამეწერა მე ლექსი მცირე,
როგორც შეპფერის ჩვენს დროებას:—მოტორის ხმაზე.
მოტორის ხმაში იკარგება რითმის სიმწირე,
უდროოცაა ეხლა ფიჭვი მარტო რითმაზე.
რითმის ხელობავე, ოსტატობავე, ბევრი გიმზირე,—
გადამაყარე თბილი ვერცხლი დარჩენილ თმაზე!
მაგრამ რა ვუყო: რითმა ძველი რეციდივია,
მე პოეტი ვარ, ბიძაჩემი კი მეტივეა.

2

შეთვისდებიან ოქტავებიც და ოთაყვირი—
მოტორისათვის ოქტავების ტემპი ნელია.
ტორკვატოს მუზას შეაკრთობდა ქარხნის საყვირი,—
მარტო ფოლადის კალმით წერაც შეტად ძნელია.
და თუ ფოლადის დასჭირდება სიტყვას აღვირი—
სიტყვაც ფოლადის ღირსებაში ასახსნელია.
როს გაიფურჩქნოს ვარდის შტოზე სამართებელი—
ბალის გაჩეხვაც არ იქნება უმართებულო.

3

მაგრამ ვარდებით შირაზია მხოლოდ ნაჭებში,
ჩვენს ქვეყანაში კი არ ვიცი მე რაღა ვაქო.
სჯობიან შირაზს ნავთი—შირაქს ამონალეები.
ესაა თემა, რომ ლექსებში გადმოვალაგო.
თუ გინდა იქნე შთაგონებით განალალეები—
მანქანის ზეთში შენ კალამი უნდა გალაქო.
კაბურღილიდან მოდის იგი, როგორც მირონი,
მასში პირს იბანა პოეზიის სანაპირონი.



4

მაგრამ... ეს „მაგრამ“ რა ხშირია ჩემს ლექსიკონში
 მაგრამ რა ვუყო — ასეთია კაცის ბუნება.
 იქვე მღუპავდა მე ყოველთვის, ყოველ სტრიქონში,
 მან მოინდომა ჩემი სულით დაძაბუნება...
 იმას ვამბობდი — ეგ ნავთი მაქვს გამჯდარი ქონში
 და თუმცა სისხლშიც ნავთმა იწყო აგუგუნება, —
 მაინც ვერ შევსძელ, ვერ ვუძღვენი მე ნავთსა ოდა.
 შევრცხები — დიდია პოეტებში ამაზე მოდა.

5

სურვილიც მქონდა, დამერწმუნეთ და დამიჯერეთ,
 მაგრამ კალამი შემაბრუნდა უეცრად ისე,
 რომ თუ აღვირით სადმე დროზე არ დამიპირეთ —
 დავიღუპები: ოქტავებით სულ გავიფისე.
 რთულია. დასტკბით. თქვენ სიცილით გული იჯერეთ,
 შენ კი, პოეტო, იწვალე და რითმები სრისე!
 არა და ეხლა სულ სხვა თემა წამომეძალა
 და თითქოს განგებ — სიტყვის ღონე გამომეცალა.

6

მაგრამ გავყვები. თანამგზავრის სახელი, ჩინი
 მე, სულერთია, არ მეღირსა, ვერ შევიძინე.
 მომაკვდინებელ გადახრების დამჩემდა ეინი —
 მე გადახრილად ვსქამე, თურმე, ვსვი, დავიძინე.
 მინდა გავსწორდე. გავაშეშო ბრძოლა, ყიყინი...
 მაგრამ ერთხელაც გადუხრელად ვერ გავიცინე.
 ეშიშობ, რომ ეხლაც უსაშველოდ გადავიხარე,
 შოდით, მიშველეთ. თავს ნაცარი გადავიყარე!

7

რის გადახრაო? გადახრილად, გაჩანაგებით
 არ მინდა ყოფნა. გადაქაჩეთ ამ ჩანგის სიმი!
 ბევრი გულია დღეს ეპოქით გადანაკები —
 დასვეს წერტილი. მე კი დავსვი მარტოდენ მძიმე,
 და თუ ამისთვის არ შევიქნე არსად ნაქები,
 ეპოქის ხოტბა სტანდარტულად ვერ ვაციმციმე —
 ვინ სთქვა, რომ წლები ტკბილ ხმისათვის მარტო გამიცდა,
 რომ კაცობა და აღმაფრენა ჩემი დამიწდა?!

8

მეგრამ სუსტი ვარ—ჩამოვსწყვიტო ვარსკვლავი
 არა მაქვს ძალა—მზისუშვირედ გავხადო ია.
 არ შემოძლია ავსებულნი ღვინის თასიდან
 მე დავაღვარო ქალის ბაგეს დამდნარი ტყვია.
 თუ საქართველომ იალბუზის სიმაღლე ზიდა,
 მას იალბუზის აშენება არ შეუტყვია.
 წაბლის ტყეებათ ვინ აქციოს მწვანე ჯეჯილი,
 ვინ ჩააბრუნოს ხმა გულიდან ამოგლეჯილი?!



9

ისე კი, ალით საუკუნის მეც გადავიწვი.
 მისი ვარ შვილი. მამაც მისი და მისი მთელად.
 და ჩემი ქვეყნის ამალღება გულს თუ დავისვი—
 რა იცის ვარდმა, რად იტყვევ იგი სანთელად?
 წითელი ფერი თეთრ კბილებზე ბევრმა წაისვა.
 ყოველი მამა არ ივარგებს შვილის გამზრდელად.
 ამ საუკუნეს არაფერში არ ვედავები,
 თუმც ვეჭილები შეიშვება მე უკვდავება.

10

„სად ვეჭილები! სად შირაქი! სად ოქტავები!—
 თქვენ მეჭითხებით, აგვიხსენი ეგ უსახელო.
 ამდენი ხანი ოქტავებით ქარს ედავები,
 და მწარე ოფლით იწურება შენი საყელო.
 მოგვეცი ფაქტი. კონკრეტობა. ან სულ დაები.
 კმარა, პოეტო, თუ არ გინდა რომ გავგახელო“!
 მე გავათავე. ჩამოთავედა აქ სოფლის ბოლო
 და სიჩქარისთვის მოვათრიე მე რითმა „ლოლო“.



საბჭოთა სოფელი

იქ, სადაც უწინ
გულის შემზარად
ღმუოდა მგელი,
ჰკიოდა ტურა,—
დღეს მანქანების
რაზში დამდგარა
და მას დარაჯათ
ჰყავს დიქტატურა.

კოლექტიურად
მუშაობს ყველა,
ალარ არსებობს
დავა და შური;
ძველი ურმული
და ჰოროველა,
ალარც სახნისი
მამაპაპური.

დღეს იქ საერთო
შრომის ფერხულში
ჩაბმულან ლაღად,
ჩაბმულან მშურად
და თვალ უწვდენელ
გულგაშლილ ხნულში
მათი სიმღერა
სქექს მედიდურად.

ბერავი იყო
გლეხი წარსულში,
გადაქცეული
ყურმოკრილ მონად,

როცა ოფელს ღვრიდა
სხვისა მამულში
და ვილაც მხეცი
ჰყავდა ბატონად.



მან დიდბანს ზიდა
მძიმე უღელი,
დიდბანს ხენგზოდა
ხარივით ხენაში;
მისი ტკივილი,
მისი ნალღელი
მოთქმით ისმოდა
მის ყოველ ხმაში.

დღეს კი,
ლალი და თავეისუფალი
შრომის ფერხულში
ჩაბმულა მშურად;
ყოფა-ცხოვრება
შექმნა ახალი
და ახალ ჰანგებს
სკექს მედიდურად.

მთათა დაპყრობა

„სადაც დიდებულს
მთასა მყინვარსა
ორბნი, არწიენი
ვერ შეჰხებიან“,—
ვახა წიკლაურს
ეხედავ შემდგარსა,
ვახას მუხლმალგარს
და კლდეშრებიანს!

ჰოი, ილიავ!
შენსა მყინვარსა,
სად „განდევილი“
გივედრებია,—
დღეს უღმერთონი
უვლიან გარსა



და ძირს დამხოვით
ემუქრებიან!

ეს რა გრიალი
გააქვს შთა-ბარსა,
ნუ თუ ღრილა
შმაგი თერგია?
არა, ნალმებით
უტევენ არშას,
ნალმები ლეწენ
კლდეს ენერგიას!

იერიშის მიტანით
შთას შეება ხეობა
და ქიდს უხრის ტიტანი
მოხვევთა მხნეობას!

აქ არც ხევის ბერია,
ალარც ხატის ღრეობა;
ბრიგადები მღერიან
შრომის მძლეობა-მძლეობას!

მთაო, მუხლმოკეცილო,
დაყუდულო ლოდებათ;
ნალმებით დახლეჩილო,
ქიშია გელოდება!

ახდებიტმა შესცვალა
მთელი მოსახლეობა,
გზიდან ჩამოეცალა
ახალს—ძველი ხეობა!

აქ არც ხევის ბერია,
ალარც ხატის ღრეობა;
დამკვრელები მღერიან
შრომის მძლეობა-მძლეობას!

მოდის ხალხი ახალი,
იპყრობს სადარიალოს;
ირმის ჯოგი, დამფრთხადი,
უგზოუკელოდ ყიალობს!

ნაღმებით მიაღწევენ
 ამაყ კლდეთა ფრიალოს
 მყინვარზე მიაღწევენ
 დროშას ინდუსტრიალურს!

ნგრევის გრგვინვა-გრილით
 ხრეშით ცა იღრუბლება
 და ზავთიან ღრილით
 თერგი ბანს ეუბნება!





ხარობს ეწრები.

იგივ ანწლი და სიმინდებია
და ჩაბაწრული კეახის ლერწები.
და ოფლსა სწურავს გლეხი ყოველა
სახე დამწვარი მზეში ყაფისფრად
ტანზე ძველ-ძველი

ხონის ქსოვილი

ფეხზე ჩაფულა

ლორის ტყავისა.

იგი მთესველი და უწყინარი
ხნავს და შეჰყურებს ჩალის წყალობას
ველს კი
მოსწყინდა მკადის მცენარე
და მარცვლეულის შთამომავლობა.
მიწას აღარ სურს

ჰგავდეს სატანჯველს
ჰგმობდენ, სწამებდენ ძუნწს და სილაჩრეს
დასაბამიდან ჰკვებს და ათასჯერ
შერცხვა მთესველი კაცის წინაშე.
გლეხსაც აღარ სურს ყოველ გაზაფხულს
მარცვალს რგვიდეს და გახდეს საიღბლოდ
ზაფხულს

მუდარა ზეცას ასძახოს
და შემოდგომას

სევდა აილოს.

დასცეს სიმშვიდე, აღსდგენ, განრიხდენ
მუღმიე ხსნისა და მუღმიე ლოდინში.
აღსდგა სოფლები

ხურს და ჯანყისთვის

ახალ წინამძღოლს ელის ოდიში.
და ჰა,
მკაცრი და დაუსვენარი
ველში ამბოხის კერა გაცხარდეს.
გაჩნდა უეცრად ჩაის მცენარე
დადგა რიგად და ბრძოლას აცხადებს.
მოულოდნელი ძვრა და თავდასხმა.
დაგმო კუსტარი და სიმარტოვე
კოლმეურნეთა მასსა დარაზმა
შემოასია მინდვრის ფართობებს.
დაიპატრონა ხნული ყოველი
მინდვრებს გათბრის და ჩაისახების
გლეხს მისცა ტანზე—



ჩაის ქსოვილი

და მისცა ფებზე

ჩაის წილები.

და რომ ჩაღრჩობა წლებმაკ ვერ შესძლოს

გადგა ძირკვი და ფესვი მაგარი

გაპრა ტრანში

და მთის ფერდებზე

ჩამოაყოლა სანგარს-სანგარი.

გაზაფხულდება.

დასცებებს ორსამ-თვეს

ადგენს, ასურლებს გეგმებს ურთულესს

ჰექტარს მოსწვევებს და ფართობს მოსტაცებს

მარცვლეულების მოხუც კვარცხანტებს.

ზაფხულს ნაყოფში გეგმას გა

ბუჩქებს გამოშლის

ზრდის და იქალ

ნაკვეთს ზომავს და მისცემს სანარდ ად

კოლმეურნეთა დამკვერელ ბრიგადებს.

შრომის ორგულებს გმობს და იშორებს

ვინც ზანტია და უკან მირჩება

მეტე ბარაქა

ვინც მეტს იშრომებს

იჯრას ნუ ელის

ვინც არ ირუება.

და დასაეღეთში სად გარკვეულად

შავი ზღვაა და ახლოს სვანეთიც

გაჩნდა ოდიშის მინდვრად ქცეული

მხარე შორეულ აღმოსავლეთის.

განუწყვეტელო სოფლის გზა-კვალო

ხან ტყედ მავალო

ხან მთის ძირებით

აჰა ოდიში—ჩაის საწყარო

კოლმეურნე და მინდვრის გმირები.

გმირი ის არის

ვინაც არ უწყის

მარცხზე შიში და სცემს და იჩქარის

ვინც ქმნის ტემპებს და

წინაც წარუძღვის

შრომის ველისთვის გმირი ის არის.

გმირი ის არის

ვინაც გამხნეებს

4279
13671





ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ნიმუშად და გახდე სახელად
პირველ შეიტყობს მარცხს და გარღვევებს
პირველ დაესხმის აღმოსაფხვრელად.

გმირი ის არის

ვინაც ვადაზე

ფინიშს წუთითაც არ დაიყოვნებს

პათოსს თაობებს ზეპირ გადასცემს

და სწერს მინდვრებზე ჩაის სტიქონებს.

გმირი ის არის.

მიეყე გზა-კვალებს,

ხან ტყედ მავალებს ხან შთის ძირებით

ენახე ოდიში. სამურზაყანო

ზედ შესეული მინდვრის გმირებით.

და მრისხანე და დაუსვენარი

ხან დიდებით და ხან დამცირებით.

აღმოსავლეთის უცხო მცენარე

ჩაის ცხოველი პლანტაციები.



ბ რ ი ბ ა ლ ი

1

სოფლის დასაწყისს, გორაკზე, იქ, სადაც შზე ამოდის, ორნი სხედან, ჯარნა წარგახია და დათო რეხვიაშეილი, თამბაქოს აბოლებენ და დაჰყურებენ სოფელს. თამბაქოს ბოლი ჯერ ვიწრო რგოლად ამოდის პირებიდან, შემდეგ ფართოვდება, ზევით-ზევით იწევს, აიხვევ-დაიხვევა, გაიშლება, კვლავ შეიკუმშება და ბოლოს ნელ-ნელა გათხელდება, სიფრიფინასავეით ქანაობს და იშლება.

გორაკის ძირას, ხევის გასწვრივ, სოფელი გაწოლილა. უჯვარო ეკლესია ლენჩაქ-ახდილი ქალივით გამოიყურება; ახალი სკოლის შენობა პატარძალივით კობტაობს, აღმასკომის შენობაზე დროშა ფრიალებს, თითქოს ეკლესიის უჯვარო ვუმბათს აჯავრებდეს.

— რას იგვიანებენ ნეტავი?— ბუზღუნებს დათო და სოფლიდან მომავალ გზას დაჰყურებს.

— ჩვენ ადრე ამოვედით, რა შთი ბრალია?

— როგორ ფიქრობ, ჯარნა, გავიტანთ?

— უიქველად.

— ჰო, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ნათქვამი არ აგვესრულებინოს.

— უნდა გავიტანოთ ჩვენი. შთავარია მიდგომა.

— შთავარია სიმტკიცე, თუმცა, მეექვება.

— რისა, ამხანაგო!

— გლეხებს სხვა გულის ნადები აქვთ.

— მე ხომ გლეხი ვარ, დათო!

— ჰო, გლეხი ხარ, და სწორედ ამიტომაა საჭირო შენი და შენისთანა ამხანაგების წინასწარი შეკავშირება და დამუშავება.

ჯარნას სახეზე ღრუბელმა გადაირბინა.

— მე არავითარი დამუშავება არ მჭირდება, ამხანაგო დათო! მე ცხოვრებამ საკმაოდ დამამუშავა.

— საწყენად ხომ არ შითქვამს, ჯარნა!— დაუყვავა დათომ. განა არ ვიცი, რომ შენ ყველაზე მომზადებული ამხანაგი ხარ სოფელში?

— თქვენ, ქალაქელები, ისე გვიყურებთ გლეხებს, თითქოს ჩვენ არა გვესმოდეს რა.

— კაცო, რას ამბობ?

მაგრამ ჯარნამ აიწყვიტა.

— შენ იცი თუ არა, ამხანაგო დათო, რომ მე ექვ-მიუტანლად შევედგები ამ საქმეს, შენ კი გვიჰყვება.

— საქმისა როდი შეეჰყვება, თქვენი შეეჰყვება.

— არა, უნდა ვითხრა რაც დღემდე დაგუბდა გულში. ყური მიგდე! ჯარნა წამოდგა ცალ მუხლზე, თავკომბალა ჯოხს ორივე ხელით დააწვა. ჯოხი მიწაში ჩაიჭრა, თითქოს სურდა ჯარნას სიტყვები მეტის სიმტკიცით აეტანა.

— ყური მიგდე, დათო! დრაცა რევოლუცია მოხდა, მე თორმეტის წლისა ვიყავი. მახსოვს ეკლესიის გალავანში მთელი სოფელი შეიყარა. მასწავლებელმა ხალხს მიმართა: მომილოცაეს, მეფე ჩამოაგდეს, დღეიდან ყველანი თავისუფალნი ვართო. „ახლა კი გვეშველა—უთხრა იმ დღეს მამაჩემმა დედას.—მამასახლისსა და ჩაფრებს სოფლის წურბლებივ გაჰყვებიანო“.

მე ეს სიტყვები კარგად დამამახსოვრდა. საწყალი მამა, როგორ უხაროდა! ჩვენი ოჯახი უღარიბესი იყო სოფელში. მამას ცალი ფეხი არა ჰქონდა, ოსმალეთის ფრონტზე მოგლიჯა ყუმბარამ. სამაგიეროდ მკერდზე ჯვარი დაჰკიდეს. თითქოს იგი ჯვარი გასწევდა ფეხობას. მე მოჯამაგირეობა იმ დროიდან დავიწყე. აბა რა გვექნა? უფებო მამა მარტო რას ვახდებოდა ოჯახში?

არ გაუშვართლდა იმედები მამა-ჩემს. იგი ისევ ცალფეხა დარჩა, ხოლო გაქირვება ორივე ფეხით დასვირობდა ჩვენს ოჯახში.

— შენ რა გეგონა, რევოლუცია მამა-შენს ფეხს დაუბრუნებდა?

— არა ნამდვილ ფეხს როდი დაუბრუნებდა, მაგრამ მამა დარწმუნებული იყო, რომ რევოლუციის შემდეგ ომბოხს მისცემდნენ.

— მდიდრები ისეთს ომბოხს გაიკეთებენ, რომ ნამდვილი ფეხი გეგონება, მაშ!—იტყოდა მამაჩემი.—ასეთი ომბოხით მუშაობაც კი შეიძლებაო.

მაგრამ მამას ომბოხი არავინ მისცა. რამოდენიმეჯერ გაგზავნა თხოვნა, ერთხელ დიდის ვაი-ვაგლახით ქალაქსაც წავიდა, ომბოხი მაინც ვერ მიიღო.

— ესეც შენი თავისუფლება! ესეც შენი ძმობა-ერთობა! სად არის სამართალი, სადა?—ჯავრობდა მამა.

გულს მიწვავდა მისი სიტყვები.

დრო გადიოდა მდიდრები ისევ მდიდრებად დარჩნენ და ღარიბები ღარიბებად. მამამ ახალი დროის გინებაში დაღლია სული. კუპოს ფულს დედა-ჩემი ალექსი შავდიას დაესესხა. იცი რა პირობით ასესხა? თუმანზე თუმანი. როცა ვერ გადაუხადეთ, მოხვერი წაგვართვია. პო... მდიდართა სიძულელი მაშინ ჩამენერგა ღრმად, იაე ღრმად, რომ თუ ეს სიძულელი გულიდან ამოვიღე, გულ-ღვიძლი სისხლიანად ამოჰყვება თან. დავრწმუნდი მაშინ, რომ ზღაპარია თანასწორობაზე ლაპარაკი, სანამ ერთს ბევრი აქვს და მეორეს არაფერი. ეს რწმენა და სიძულელი შემრჩა დღემდე.

— როგორ, შენ ხომ ჩვენი ხარ?—გაუკვირდა დათოს.

— მერე რა, რომ ვარ? პირველ დღეებში, გასაბჭოება რომ მოხდა, მე დავინახე, რომ მდიდრებს ღირსება აეხადათ. იცი, მაშინ იგრძნო სოფელმა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მთა და ბარის გასწორება. მეც სიხარულით დავბრდი და

გავკვირდი: „გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.“ ეს პირველი სიტყე-
ბი იყო, ახალმა მთაწერობამ რომ შეგვეასწავლა.

მაგრამ განილო ცოტა ხანმა და მდიდრებმა ისევ დაიწყეს მდიდრობა.
ალექსი შევიდა ისევ დაიწყა ჩარჩობა, მაშ! რატომღაც ისევ უცხაურად მოეწყო
ჩემი ამბავი, რომ მე მაგ წყევლს დაუდექი მოჯამაგირედ. ერთხელ ქალაქს წა-
მიყვანა რალაც საქმეზე. ქუჩაში ვილაც ნაცნობს შეხედა.

— ა... ა... ა... ლევან! — შესძახა ალექსიმ.

— ჰო... ო... ო... ალექსის გაუმარჯოს.

ისე მზიარულად შეხედნენ ერთმანეთს, თითქოს ბევრი ხნის უნახავი ძმები
ყოფილიყვნენ.

მოკითხეს ერთმანეთი. ალექსიმ სასადილოში დაბატოდა. მე უკან გავეყვი.
შესასვლელთან ფეხსაცმელის მწმენდავი იჯდა და ვილაც მსუქანს ჩექმებს უწ-
მენდა.

— შეხედე, ალექსი, შეხედე! — ხელი მოჰკიდა ლევანმა ალექსის.

— რა იყო? — მობრუნდა ალექსი.

— ეს პროლეტარია. ის ბურჟუა. ეს დიქტატორია, ის დამარცხებელი,
ფეხსაცმელს კი უწმენდს, ხა-ხა-ხა?

ალექსიმ ისე გადაიხარხარა, რომ მეგონა ხახა გაუსკდებოდა.

— დიქტატორი და — ხა-ხა-ხა! — ფეხსაცმლის მწმენდავი, ოხო-ხო-ხო! რა
მოწამლული ენა გაქვს, ლევან! ენაცვალე შენს ჰკუასა.

სადილზეც ვერ ისვენებდა. წამდაუწუმ იმეორებდა ლევანის სიტყვებსა და
ხიზთხიზობდა. რამდენი გესლი იყო იმ ხიზთხიზში! მე ლუქმა ყელზე მადგებოდა,
ბრაზი მახრჩობდა, მაგრამ ვითმენდი, ისინი კი მადიანად შეეპყროდნენ და
სადღეგრძელოები ერთმანეთს მისდევდა.

უცხად სასადილოს წინ აეტომობილი გაჩერდა. რამოდენიმე პორტფელიანი
კაცი ჩამოვიდა. სასადილოში ცალკე კაბინეტი დაიჭირეს.

ლევანმა ჰიქა გააფსო, შემომხედა და მითხრა:

— იცოცხლე ბიძია! იმ დროს მოესწარ, პროლეტარი და მოჯამაგირე
რომა ხარ, შენ თვითონ იმ ავტოში იჯდე იმათ ნაცვლად, ვინც შენის სახელით
დაჯირითობს დღეს.

— ჰო... ო... ჩემს დიქტატორს გაუმარჯოს! — ახითხითდა ალექსი. — შენი
ხელისუფლებაა დღეს! შე ვირის თავო! ხა-ხა-ხა!

სისხლი თავში ამივარდა. აღარ მახსოვს რა მოხდა შემდეგ. გონს სამილი-
ციო უბანში მოველ. დამკითხეს. ყველაფერი ვთქვი. გამომიშვეს. მას შემდეგ
სამი წელი ქალაქში ვმუშაობდი, ქარხანაში. დედა რომ მომიკვდა, სოფელს
დაუბრუნდი, არ მინდოდა მამი-ჩემის კერის გაცივება. აი, ჩემო დათო, რა მინ-
დოდა მეთქვა. დღემდე ერთს რამეს ვერ შევრიგებია: რომ მდიდრები ისევ
მდიდრები არიან და ღარიბებზე მალაყს გადადიან. ახლა კი, როცა გადაწყდა ამ
ქოფაყების განიაფება, მე მიხაროდა და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ასეც უნდა
იქნეს.

— მაშ შენ, ჯანა, ეს უსწორობა გაწუხებდა დღემდე?

— მაწუხებდა რომელია! რამდენი უძილო ღამე გამითენებია. ვერცხრობდი და ვერ ვერკვევოდი ახლა, კი ყველაფერი ნათელია ჩემთვის. უკრძნუნული
გინჯლირუსება
თავა ასწია. ცას შეხედა. წითელი იყო დასავლეთი.
— ჭარი იქნება, ძლიერი ჭარი—შენიშნა ჯარნამ.

2

სოფლის ბოლოს ტაფობში, სადაც მზე ჩადის, ორნი სხედან, ალექსი და გიგო შევდიები, თამბაქოს ბოლში გახვეულან და მისჩერებიან კედელსა.

ორთავეს შუბლი ისეა დაღარული, თითქოს ბასრი სახნისით ღრმა კვალი გააუღეს ყამირსო. წარბები შეკრულან, როგორც სანგრებზე მავთულიანი ხლართები. ორივე მთაკერასავით ფშვინავს.

ჭიქა ჭიქასა სკლის, ბოთლი ბოთლსა, მაგრამ ღვინო არ ეკარება არც ერთს, არც მეორეს. თითქოს უძირო ქვევრში ასხამდენ იმ ღვინოსო.

— ცანუშა, ღვინო!—ისმის ხანდახან ალექსის ხმა.

სალამოა. სოფელს ბინდი შეჰპარვია. ჭრის ცივი ჭარი დასისინებს ხეებში. კუთხეში, აღსავლის მხარეს, წმინდა გიორგის ხატი კიდია. ხატის მარჯვნივ ლენინია, მარცხნივ კი მახარაძე. წინათ აქ მარჯვნივ რუსთაველი ეკიდა, მარცხნივ ჯორდანია. უფრო წინათ მეფე ნიკოლოზი და დედოფალი ალექსანდრა.

— ცანუშა, სინათლე!

ცანუშა შემოდის, ლამბას ანთებს და გადის, კიდევ გადის ბევრი დრო, ვინ იცის რამდენი. ბოლოს, ორნივე გრძნობენ, რომ მეტი დღეილი აღარ შეიძლება.

— კაცო, სთქვი რამე, ხომ არ დამუნჯდი!—გაბზარული ზარივით ისმის ალექსის ხმა.

— შენ სთქვი რამე.—გიგოს ხმა ისეა ჩაწყვეტილი, თითქოს მთელი სოფლის სიმიძიმე აკვიდეს ზურგზე და უთხრეს. აბა, ასწიო.

— გულმა შეკუმშვა რომ არ იცოდეს, ბრაზისგან გასივდებოდა და გასკდებოდა.—ხრიალებს ალექსი.

— ო-ოჰ, მაგათ გულზე ლოდად იქცა მიწა!—თითქოს ჯურღმულიდან იძახის გიგო.

— რა ხდება, კაცო, ჰა? ვაგონილბ ასეთი ამბავი? სამოცის წლისა ვარ, საქართველო და რუსეთი, სპარსეთი და ოსმალეთი მომივლია, მაგრამ ასეთი რამ არსად მინახავს, არსად გამიგონია.

— ჯერ სადა ხარ!—ხმა ჩაუწყდა გიგოს.

ალექსიმ ისე შეხედა, თითქოს საცაა მთელი სიმიძიმით უნდა დააწვეს და გატყულებოდა.

— ამბობენ, რაცა გვაქვს ყველაფერი კალექტებს უნდა გადაეცესო.

— გაჩუმი მეტქი.

— სათესი, სახნავი, ვენახი, სახლი, კარი, უძრავ-მოდრავი ქონება,

— ხვალე გავყიდი ყველაფერს და აფხაზეთ. გადავალ, აკირთებთან.

— ეგ აკრძალულიაო, ამბობენ, ქონების ვაყიდვა არ შეიძლებაო.



- ცეცხლს მივსცემ ყველაფერს.
- ჰო, ეს კი საქმეა... თუმცა, ესეც აკრძალულია.
- საქმეა. აკრძალულია.—გააჯავრა ალექსიმი.—იმის ნაცნობი რომ რამე ვილონოთ ეგ იძახის: საქმეა, აკრძალულია!
- კაცო, რა გააჯავრებს! ჩემი ბრალია თუ?
- მე შენ იმისთვის როდი მოგიწვიე, სოფლის ქორები მომიტხოო. მე შენ საქმისთვის დაგიძახე.
- ქორებს კი არ გეუბნები, ნამდვილსა. ამბობენ, აღმასკომი ჩვენს ქონებას კოლექტივს გადასცემსო.
- ჰმ... სხვის ქონებაზე თვალი ყველასა რჩება. სხვისი კირიო—ლობეს ჩიბრიო.
- გაერთიანება თუ უნდათ, თვით გაერთიანდნენ. მე ჩემს სახლ-კარს არავის დავეანებებ. რამე უნდა მოვიხაზროთ.
- ჰო, შეც იმისთვის დაგიძახე. რამე უნდა მოვიხაზროთ.
- ძველად შენ იყავი სოფლის თავი, ალექსი, ახლაც შენ უნდა ითავო
- სსსუ, ის წყველი იმათია, არ გაიგონოს,
- ვინა, ცანუშა?
- კარებში ცანუშა გამოჩნდა. თავი დაუბურავს.
- მე კლუბში მივდივარ.
- ჯანაბას შენი კლუბი და შენი თავიცა!—ეუბნება ალექსი,—სძინავს?
- სძინავს.
- წაეთრიე!
- ცანუშამ ბრაზით გაიხურა კარი.
- სხვა დრო იყოს, მე მას ვუჭვენებდი სეირს, მაგრამ ახლა მხოლოდ ხელს შეგვიშლიდა.
- არ ენდობი?
- მოწამლულია. მას შემდეგ, რაც ბურღლუს ქობში კლუბი გახსნეს, სულ გაირყვნა ახალგაზრდობა.
- ალექსიმ თავი ჩაჰკიდა. გიგომ ჩატყვიებული თავი ხელებით დაიმაგრა. უცნაური რამ ხდებოდა სოფლის თავსა. მას შემდეგ, რაც ალექსის და გიგოს თავიანთი თავი ახსოვთ, მუდამ ასე ყოფილა: რიგი მდიდარი იყო, რიგი დარიბი; რიგი ძლიერი და ლალი, რიგი სუსტი და მოდრეკილი. ზოგი ბატონობდა, ზოგი მორჩილობდა. წესიც ასეთი გამტკიცდა ძველს სოფელში: ვისაც ჯიბე სქელი ჰქონდა, პატივს მას სცემდნენ, პირველს ადგილს მას უთმობდნენ, გელესიაში თუ ხატობაში, ქორწილსა თუ ტირილში, ნაცნობნი თუ უცნობნი. ერთხელ, აღდგომის ალექსიმ წირვაზე დაიგვიანა. ხუცესი წირვად არ დადგა. ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. მაშინ მამასახლისი დადგა აივანზე და უთხრა ხალხს:
- ერთი საათით ადრე, თუ ერთი საათით გვიან, აღდგომა მაინც იქნება, რა გაღრიალებთ! მოვა პატიოსანი ადამიანი და დაეიწყებთ წირვას.
- ფული ვისია, ძალაც მისია.—იტყოდენ სოფელში.
- ფული კი ბევრი ჰქონდა ალექსის, საიდან იშოვნა, როგორ იშოვნა, ვინ რას იტყოდა და ვინ რასა. ყველაფერს, რასაც ხელს მოჰკიდებდა, მოგების წვეს გამოადენდა.

— კაცი როდია, ხვითოა ნამდვილი ხვითო¹⁾ — ამბობდა სოფელი ერთ დროს ძალიან ღარიბი იყო ალექსი. მურზა აკირთამ განსაზღვრულად შეილი რომ მიაბარა, დიდი ბედნიერება იყო ალექსისათვის. ერთი ხანს მამასახლისად იყო. მამასახლისობის შემდეგ ვაჭრობას მიჰყო ხელი. შემწვნიერი ოდა წამოიჭიმა. განსაკუთრებით იმატა ალექსიმ ომის დროს. ოსმალეთის ფრონტზე რუსის ჯარის ზორცის მოიჯარადრეს ნოქრად დაუდგა. შემდეგ სპარსეთის ფრონტს ესტუმრა. აი სად გამდიდრდა ალექსი. ფრონტიდან ბევრი ოქრო და ძვირფასეული რამ ჩამოიტანა.

— ხვითოა, სულ-კუხიანი. ომში რამდენი ვაჟაკი დაიღუპა, ეს კი ოქროთი დატვირთული დაბრუნდა. ნეტავი რატომ სწყალობს ბედი ასეთ ხალხს? — უკვირდა სოფელს.

ოსმალეთის ფრონტიდანვე ჩამოიყვანა მან უპატრონო ბავში, სომხის ქალი ხუთი წლის ცანუშა.

ერთხელ ღამით ახლად დაპყრობილ სოფელში ალექსი მკვდრებს ჯიბეებს უსინჯავდა. ალექსი დააცქერდა ერთ ოსმალო აფიცერს. გადააბრუნა. თავი წაღლით ჰქონდა გააბობილი. ხელი ჩაუყო ჯიბეში საფულე ამოიღო. ხელი აუწია, თითიდან ბეჭედი წააძრო. სარტყელი შეუხსნა, რევოლვერი აართვა. ამ დროს ვილაციის პატარა ხელმა ალექსის ხელები დაუჭირა.

ალექსი წაბარბაცდა. მთვარიანი ღამე იყო. ჰაერში იდგა სისხლისა და თოფ-წამლის სუნი. დახოცილნი ერთმანეთზე ეყარნენ. ხანდახან გმინვა ისმოდა, მაგრამ ვინ გმინავდა, სად გმინავდა, ალექსიმ არ იცოდა. მან იცოდა მხოლოდ, რომ დახოცილთ ისეთი რამე აქვთ, რაც არ ესაჭიროება, და ალექსის კი გამოადგება. ალექსიც ეძებდა.

მაგრამ ამ პატარა ხელმა გააქვავა რამოდენიმე ხნის განმავლობაში, თითქოს პირველად გაიღვიძა ალექსის მკერდში რალაკამ და შერცხვა. მიმოიხედა. მარცხენა ხელით ამოიღო ჯიბიდან და გადაავლო ის, რაც აართვა აფიცერს. მაგრამ მარჯვენას არ ეშვებოდა პატარა ხელი. აკანკალდა. თრთოდა პატარაც. ბოლოს, ატირდა პატარა. ალექსი დარწმუნდა, რომ ბავში მოჩვენება არ იყო. აი ეს ბავში ჩამოიყვანა ალექსიმ სოფელში. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. ბავში დაქალდა და უწინდელი მხოლოდ სახელი შერჩა, ისიც მგვრულად გადასხვაფერებული: ცანუშა.

ომის შემდეგ ორჯერ შეირყა ალექსის ცხოვრება. პირველად გასაბჭოების პირველ დღეებში, როცა ხმა დაირბა: ყველას გაათანასწორებენ, მდიდრებს ჩამოართმევენ, ღარიბთ დაურჩევებენო. ბევრი ილესავდა კბილებს ალექსის ქონებაზე, მაგრამ არ გამართლდა ხმები. ალექსიმ დაილიღინა: ვისაც მოუკლავს ის მოკლავს ნადირსა შავის ტყისასა. სოფელმა კი სთქვა:

— ეჰ, მთა და ბარი ვის გაუსწორებია.

და ალექსიმ ლენინი და მახარაძე ჩამოჰკიდა იქ, სადაც წინათ სხვები ეკიდნა.

¹⁾ თილისმა, რომელიც ოქროს სდებს. ზეგრული თქმულებით, მთვარიან ღამეს, გველები თამაშობენ ბედნიერი კაცის საფლავზე. თამაშის დროს მათ შეიძლება ამოუარდეს პირიდან ქვა—ძვირფასი თვალი. ვინც გველებს დაუდარაჯება და ამ თვალს იშოვნის (ხვითოს), გამდიდრდება.

გავიდა დრო და ალექსის ისევ შეუდგა წყალი. ეს ცანუშამ განაოწვია. ცანუშას შეუჩნდა კომკავშირის მდივანი. ნიადაგ, სადაც კი შეხედებოდა, ერთ-სა და იმავეს ეჩიჩინებოდა. განა მარტო ცანუშას? ყველა ახალგაზრდებს უასსნეს კლუბა ერთს პატარა ქოხში ახალგაზრდებისათვის. კლუბი განუქმდებოდა, ეურნალებით, წიგნებით, სურათებით, იმ კლუბში მთელი მსოფლიო ორად გაპყუს: მძარცველნი და გამარცხულნი, მავგერელნი, ღჩაგრულნი, მგელნი და ცხოვარნი. კლუბი გადაიქცა უცნაურ სამკედლოდ. აქ წიგნები გრდემლად იქცა, სადაც კლუბის ხელმძღვანელნი ახალგაზრდა ტენის სააგიტაციო უროს ურტყამდნენ. ტენები იზნიჭებოდა, სახეს იცვლიდა, ახალი ფიქრებით ფიქრობდა, ახალი აზრებით აზროვნობდა ბოლოს მოხდა ის, რასაც ალექსიმ უწოდა: „მოწამლეს ცანუშა“!

ერთ დღეს ალექსი აღმასკომში დაიბარეს:

— შეხზე საჩივარია შემოსული.

— ვინ მიჩივის?

პირდაპირ დაუსვეს საკითხი:

— ცანუშა ვინაა შენი?

„აჰა! იმ რაშია საქმე!“— გაუელვი ალექსის,— ეს კლუბის ხაქმეა,

მავრამ რა უპასუხოს? რომ უთხრას შეილობილიაო, ვაი თუ მოსთხოვონ ქონების ნაწილი. რომ უთხრას მოახლეო, ვაი თუ მოსთხოვონ ჯამევირი. რომ უთხრას არც ერთია და არც მეორეო, ვაი თუ... ჰო, ცოტა „ვაი თუ“ მოვლის შევსიელს აღმასკომში? და ალექსიმ არჩია:

— ერთი ვინმე უპატრონოა. პურს ვაქმევ, ვზრდი.

— აჰა, უპატრონოა?— და გაიცინეს.— არა, მშობილო, ცანუშა უპატრონო არ არის. ცანუშა კომკავშირელია.

მიუსაჯეს: ხელუასი, ტანისამოსი, საცვლები, კვირაში ერთი დღე განთავისუფლება საზოგადო სამუშაოსათვის.

— გარდა ამისა ხელი არ ახლო, თორემ დედას გრტირებთ!

ეს იყო დასაწყისი. ბოლო კი ახლა დგება, როდესაც ყველაფერი კოლექტივმა უნდა წაილოს...

— მაშ რა გზას დავადგეთ, ალექსი?— დაარღვია ხანგრძლივი და შავი სიჩუმე გიგომ.

იი რა გზას: მოველაპარაკოთ როსტომს. მას დიდი ნდობა აქვს სოფელში. მთავრობაც კარგად უყურებს. ხომ მიხვდი რა ფასი აქვს მისს სიტყვას სოფლის კრებაზე?

— სოლომონ ბრძენი ხარ!— შეპყვირა გიგომ.

— სუ, ქალს სძინავს. ავადაა.

— შენი ჰკუისა, შენი!

— ჰო, წადი და უთხარ, ძიძაშვილობამ, გვინახულეთქო.

— სწორი გეზი აგილია.— აღტაცებით შეპლალადა გიგომ.— დავანგრევეთ კოლექტივს.

— და ორნი შეთქმულნი დაშორდნენ ერთმანეთს.

3



მძიმედ დასწოლია დედამიწას როსტომ ქედლუს განიერი და მკალოლი ოდა. სამი ქცევა ეზო საპატარძლოდაა მოვლილი. ერთი ქცევა: ქრწი: სხლის წინაა სუფრასავეთ გაშლილი. ვახაფხულს, როცა ბალახი ამწვანდება, როცა სიო ეზოზე გადაირბენს, როცა ანურჩულდება ეზოს გარშემო შემოვლებულ თხილზე ვაკაკებივით ჩამწკრივებული ქადრები, როცა აღისფერი ყაყაო მწვანე ბალახს შერევა, როცა ვარდ-კაქაქა ლურჯი თვალებით გაიცინებს მწვანეზე, როცა ჩიტ-ფეხა ნახად დაირბევა, თითქოს არ უნდა ტოტებზე ასხმული შავი მარცვლები დააბნეოსო, როცა წამოიზრდება ჩვეილი, უფერული მიხაკის ფერი შვიტა და გაიშლება ვარდები წითელი, თეთრი, მუქი და ყვითელი, ვიშ, რა სჯობიან მაშინ როსტომ ქედლუს ეზოს!

დანარჩენი ორი ქცევა როსტომს ასე აქვს განაწილებული: ერთს ქცევაზე ბალია გაშენებული, ნახევარზე ვენახი, ხოლო ნახევარი ქცევა ბოსტანსა და სხვადასხვა შენობა-ნაგებებსა აქვთ დაკავებული. როსტომს ბალ-ვენახის სიყვარული მაშინაგან გადმოეცა. ბალშიაც ის ხეხილები აქვს, მაშამ რომ დაუტოვა: თხილი და კაკალი, ბალი და აღუბალი, მსხალი და ვაშლი, ატამი და ქლიაფი, კომში და ბროწეული, ლეღვი და ხურმა, და მთელს ბალში ერთად-ერთი ძირი წაბლის ხე. ყოველ ჯიშს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ყველაზე მეტი ვენახი მსხალზეა გაყვანილი: ფოთლები ადრე სცედება, ყურძენს მეტი სხივები ადგება, უკეთ შწიფდება.

ეზოს წინაპირს, სახლის წინ, წინათ ვეებერთელა ფართო ტოტებიანი, ჩაფიჭრებული მუხა იდგა. ოდის ლაფარაში ორად გაყოფილი კაკლის ხეა. იქ, სადაც ტანი ორად იყოფა, დიდი შავი ქვა ჩადებული. ტყრულულ ლობზე, ერთ ადგილას ქუჩის პირად, სარია ჩარქობილი, სარზე ცხენის თავის ქალა ჰკიდია.

მთელი ეს ეზო და სახლკარი მკლავ-მაგარსა და კუნთებ-დაძაბულ ადა-მიანსა ჰგავს. როსტომი მუდამ ამაყობდა:

— არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემს სახლში სხვისი ოფლის ერთი წვეთიც დაღვრილიყოს. რაცა მაქვს, ჩემი ოჯახის ხელებითაა მოწვეული და ნაშრომი.

როსტომის დედაც იტყობდა.

— შვიდი ცხენოსანიც რომ მესტუმროს, სათხოვრად არსად წავალ, ყველას დავაპურებ და დავაწვენ. ვენაცვალე ჩემს სამს შეილსა.

— ბედნიერი ხარ, მაკო გუგუნავას ჭალო!—ეტყოდნენ მას მეზობელი ჭალები.

— მართალი ბათმანივით პატროსანია სამივე ძმა!—ამბობდნენ გლეხები.

მართლაც, სამნი ძმანი სამი დევივით ებრძოდნენ დედამიწას. ჯერ კიდევ ხარი-პარია არ იყო ამოსული, რომ როსტომ, ეფრემ და ზურაბი ყანისაკენ მიეშურებოდნენ.

სოფელს აღვიძებდა მათი “ოდოია”.

— ქედლები მღერიან. ყანაში გასულან. ადექით ბიჭებო!—ეტყოდნენ ერთმანეთს ბეჯითნი.

— უძილობა აწუხებთ მაგ რჯულ-ძალღებს.— იტყოდნენ ხარზაცი და მეორე გვერდზე გადაბრუნდებოდნენ.

ჭკადუების ოჯახში უშრეტო სიცოცხლე სდუნდა, ^{ქაღალდები} ~~ქაღალდები~~ ზრომა ჰფეთქდა. სამი ხარი, ოთხი ძროხა, ორი მოზვერი, ოთხი ბოძოლა, ორი ცხენი, ერთი კვიცი, რომლის გაზრდას მოუთმენლად მოელოდა ზურაბი, ათიოდე ღორი მათი გოჭებითა და ათამდე ცხვარი რომ დაიწყებდნენ დილას ბლავილს, კიხვინს ღრუტუნს, კიკინს; ან რამოდენიმე ათეული ქათამი, ინდაური, იხვი, ბატი, წიწილი, რომ გამართავდნენ კაკანს, ყაყანს, წიავ-წიავს, მაკო ეტყოდა თავის თავს:

— ვიში უკეთესს რას ნახავს კაცის თვალი?

რა ხარები ჰყავდათ ჭკადუებს! ირემა, ლომა და ღვინე. ირემა და ლომა ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც შუაზე გაჭრილი ვაშლი. ორივე ნაცრის ფერისა იყო, გაშლილი და დიდი რქები ჰქონდათ და სქელი ფართო კისერი. ღვინე იყო უფრო მომცრო, ყველას კი ისეთი ჭკვიანი თვალები ჰქონდათ, რომ როსტომს ხშირად უთქვამს ძმებისთვის:

— ბიჭებო, რაღაცა მსურთ ამ ხარებს გვითხრან.

ლომა როსტომის „ჯიშია“ იყო, ირემა ეფრემისა და ღვინე ზურაბისა. ერთმანეთს ისე იყენენ შეჩვეულნი, რომ შორს მანძილზე ხმით იცნობდნენ ერთმანეთსა.

— ჯიშია¹⁾, ლომა!— დაუძახებდა როსტომი ლომას.

— ჯიშია, ირემა!— დაუძახებდა ეფრემი ირემას.

— ჯიშია, ღვინე!— დაუძახებდა ზურაბი ღვინეს.

და ხარებიც გაეშურებოდნენ ძმებისკენ.

— დედა, ჩვენ სამნი ძმანი როდი ვართ, ექვსნი ვართ, ექვსნი.— ღიმილით ეტყოდა როსტომი ღედას.

— ჰო, შვილო, გენაცვალეთ ექვსივესა.— უპასუხებდა მაკო და გამოუტანდა ხარებს თითო ტარო სიმიდს.

რა ცხენები ჰყავდათ ჭკადუებს!— კანჯარი და რაშა. მესამე კვიცი იყო. კანჯარი რძის ფერისა იყო და ტანზე წინწყლები ჰქონდა. რაშა იყო თეთრი; მათი თოხარიკი მთელს სამეგრელოში იყო განთქმული.

დღესასწაულებზე, როცა მთელი სოფელი სამხიარულოდ გამოეფინებოდა და გასათხოვარი ქალები ვაეებს ათვალეირებდნენ, ბედს ეძებდნენ, როსტომი და ეფრემი წამოაქროლებდნენ ცხენებს, გამართავდნენ ცხენების თამაშს, ლაყაფს. რამდენი ქალის გული აზვირთებულა ასეთ ლაყაფის დროს. მაგრამ არც როსტომი, არც ეფრემი დაცოლიანებას არა ჩქარობდნენ.

საესე იყო და დოვლათიანი ჭკადუების ოჯახი. მაღალ ბოკონზე ამართული მუხის ექვს-თვალისანი ოდა, ორ-თვალისანი სამზარეულო, ხულა, ორი ნალია... ჰო, მეტი რა იყო საჭირო სამი ძმისათვის!

მაგრამ ოჯახის დამამშვენებელი და სიამაყე ძიბუ იყო. რამდენი ლექსი შეუთხზავთ ძიბუზე! თვითონაც გამართულსა და გულიდან ამოხეთქილ ლექსსა

¹⁾ ჯიშია— ძამიკო.

ჰგავდა. მაღალი. წარბები—ნახშირივით. „წურბელასავეთ ასხია“. რაზე? — ენგურივით გრძელი, ჭურთხის ტყესავეთ ხშირი და ღამის ფერი. „აბრეშქმით რბილი“. წელი—ისეთი წვრილი და მღუღე, რომ „ბეჭედში გაქვრებულ ყვებილები—ფართო და თეთრი. „ჯანსაღი შეილები ეყოლება“—ასე ამბობდნენ სსრკ-ში.

იციხე ჩონგური. ტბილი, ღამაზი, ნაზი ჩონგური. რაც ლექსები თქმულა სამეგრელოში სულ გაზეპირებული აქვს. ძეგმა გიტარა უყიდეს, მაგრამ უფრო ჩონგურს ეტანება, ძიძას ხათრიო. ლექსებიც და სიმღერაც ძიძამ ასწავლა, — ალექსი შავდიას ცოლმა, კესამ.

აივანზე რომ დაჯდებოდა გრძელს თითებს სიმებზე ჩამოჰკრავდა და დაიწყებდა:

„ვაგიუორქო მა?
ვაგუორქო მა?
ვა მო რწონქო, მახარია, სქანი ჭირიმა?
მიჭუორთექო მა?
გორჯოგუქო მა?
ვარა ტერო მიგოჩქუქო, სქანი ჭირიმა?
სქანი ეორექ მა...
ვაგალორენქ მა,
სით ღალატის ნუ გმაგონა, სქანი ჭირიმა!
უსქანეთი მა,
კოტიანეთი მა—
მაფუ შური, ჯოჯოხეთი, სქანი ჭირიმა!!!. 1)

— უკეთეს ვერ იმღერებს ქალისაგან შობილი—იტყოდნ სოფელში.

რა ცხენოსნობა იციხე ძიბუმში. ძიბუს ცხენოსნობის (ახელმა აფხაზეთსაც მიიღწია. აი, როგორ; ერთხელ ალექსი შავდიას მისი ცოლის ნაქუძარი, ტატაშ აკირთა, ეწვია აფხაზეთიდან. კვირა დღეს ცხენის თარში გაიძარდა. ყველაზე ღამაზად, ყველაზე იშვიათად ტატაშ აკირთას ცხენი დაჰქროდა. ძიბუმ შენიშნა, რომ ტატაშის ცხენს წითელი ფერისა ეშინიან, როცა წითელ ფერს დაინახავს განზე ხტება, წრეს არღვევს. ამიტომ ტატაშს თეთრი ფერის თარში უჭირავს. ყველა დასჩაგრა ტატაშმა.

— გვაგობა ამ აფხაზმა—სთქვეს მეგრელებმა.

1) არ გიყვარვარ მე?
არ გინდოვარ მე?
არ მოგწონვარ, გენაცვალე, შენი ჭირი მე?
რათ მიწერები მე?
რათ შეგძულდი მე?
იქნება მტრად მიგაჩინოვარ, შენი ჭირი მე?
მა, შენი ვარ მე...
არ გატყუებ მე.
შენც ღალატს ნუ გამაგონებ, შენი ჭირი მე!
მა, უშენოთ მე.
კოტიანეთი მე—
ჯოჯოხეთად გადამეტყვა შენი ჭირი მე!

როსტომი უკეიფოდ იყო და ვერ მიიღო მონაწილეობა დოღში. კანჯარს კი ვერ მოგერია ზურაბი.

— სამეგრელოში სად მოიძებნება ჩემი „აფხაზა“-ს საბადლო? — კანჯარი უკმაყოფილოდ ტატაშმა.

— შე შენ გაჩვენებ როგორ უნდა ტრაბაზი. — სთქვა ძიბუმ და მოაყვანიდა კანჯარი.

შეჯდა. შეათავაშა ცხენი.

— ბედნიერი შენი მშობელი! — მიატანეს ქალებმა.

— ბედნიერი შენი არჩეული! — გაუელვა ვაყებს.

გუგუნავების აღზრდილია. ცხენით უკეთ დადიან გუგუნავები, ვინემ ფეხით. სისხლიც გუგუნავასი აქვს. შეხედეთ, როგორ ზის! შეხედეთ! — ბკობდნენ.

— აბა, ტატაშ აკირთა, გამომყე თარშში! — გამოიწვია ძიბუმ.

ხალხი შეჯგუფდა. ქალ ვაჟთ ცეკვა-თამაში მიატოვეს, ხშირი ჯგუფები მოედნის ერთ მხარეზე ჩამწყრივდნენ. ფართო მინდორზე ცხენი ააგდო ძიბუმ ააფრიალა ბალდადის ფართო წითელი ცხვირსახოცი. ტატაში და სხვანი, აედევნენ.

ფართოდ გაშლილ მინდორზე მიჰქრიან ოთხფეხა პერცხლები: თითქოს ქარი ჩაუდგათ მუხლებში, თითქოს ფრთები გამოესხათ, თითქოს ფეხებს არც კი აკარებენ მიწას. მხედრებმა ჩოხისა და ახალუხის კალთები სარტყელში ჩაიკეცეს, ქუდები კეფაზე გადაიწიეს, ცხენის კისერს მიეყვრენ და მიჰქრიან, მიჰქრიან.

აი, გასწორდნენ ყველანი. ერთმანეთს მხარ და მხარ მიჰყვებიან, შეჯგუფდნენ ძიბუს კანჯართან. ძიბუს ესმის მათი გულის ძგერა. იცის, რომ ერთი სახითათო ნაბიჯიც და თარშს წაართმევენ. აბა, მხედართაგან დაწინაურდა ერთი. უცნაურად სუნთქავს ეს ერთი. ქალის გულით იგრძნო, რომ დაწინაურებული ტატაშ აკირთაა. და ტატაშ აკირთამ ხელი გასწია თარშისკენ.

— განი, კანჯარ! — დასძაბა ძიბუმ.

კანჯარი განაპირდა, მოაბრუნა წრე. ტატაშის ცხენი გაქანებამ წაიღო. დაიწყო ახალი გეზი.

— უ—უჰ!.. — ამოისუნთქა მინდორმა.

ტატაში აცეცხლდა. როგორ, აქ ორი ცხენი როდი ეჯიბრება ერთმანეთს. აქ ეჯიბრებიან ერთმანეთს სამეგრელო და აფხაზეთი, ქალი და ვაჟი. მაშასადამე საკიროა გამარჯვება. და მეორე წრის ბოლოს, განი რომ ვერ გააკეთოს ძიბუმ, ტატაშმა ძიბუ წრეში მოაქცია. ხედავს ძიბუ, გაძნელდა საქმე. ის-ის იყო უნდა დასწეოდა ტატაში, უნდა ჩამოერთმია თარში, როცა ძიბუმ წითელი ცხვირსახოცი ტატაშის ცხენს თვალ წინ აუფრიალა. შეერთა ცხენი. უკან დაიხია. ძიბუმ მოატრიალბ წრე. შეინარჩუნა თარში.

უკანასკნელი წრე დაიწყო.

სულგანაბული უმზერს ხალხი ძიბუსა და ტატაშის შეჯიბრებას. საცაი, დამთავრდება მესამე გასვლა და ვის შერჩება პირველობა? მხედრები ჩამოდგნენ. მათ უკვე აღარ აინტერესებდათ საკუთარი მონაწილეობა, მათ ახლა იტაცებდა ძიბუსა და ტატაშის შეჯიბრება.

მიფრინავს კანჯარი. ფეხებს მიწას არ აკარებს. თავშალი შეხსნია/ ძიბუს, თმები გაშლილა ქარზე და დროშასავით ფრიალებს. მიფრინავს უკანაშია, ფრთები გამოსხმია ფეხებზე. ქუდი დაჰკარგვია ტატაშს და ქმრამ: ჩხილს კქორორა თმებს ურხევს.

— შეილო... შეილო... — ბუტბუტებს მაკას ტუჩები.

— კანჯარ... კანჯარ... — ეხვეწება ცხენს ზურა ი.

— ორივე ჩემი ნაძუძარია. ვენაცვალე ორივესა. ღმერთო, ორივე ერთად მომიყვანე, ორივე!... — ემუდარება ღმერთს ორივეს ძიდა კესა.

გაახსენდა კესას: ძიბუს უყვარს ტატაშის გახელება. ხშირად: ეტყოდა:

— ტატაშ, ძიძით ნათესავენი რომ არ ვიყოთ, ხომ მომიტაცებდი? ხომ გაბედავდი იარაღის აღებას?

— უეჭველად. — უპასუხებდა ტატაში. — კესა ძიძას რა ვუთხრა, შენ რომ მიგიწვინა მკერდზე!...

— ვაშინერს, შეილებო! ვაშინერს! — დატუქსავდა მათ კესა, მაგრამ გრძნობდა, რომ იღუპალი ცეცხლი სწვავდა ტატაშს, მხოლოდ ადათი, მტკიცე და ურყევი, არ აძლევდა ნებას აპყოლოდა გრძნობას. და ღრმად სწამდა კესას, რომ ტატაში მას არ შეარცხვენდა.

ძიბუ? ჰო, ძიბუს ცბიერება არ აკლია. აღიზიანებს ტატაშს. იი ეს თარშიც... იციან კესამ, რომ ცხენის გამარჯვება როდი იტაცებს ქალს. მას ჰსურს, თუ შესძლო, ტატაშის დაიაგვრა. და იქ, გულის სიღრმეში, ქალი ლოცავს ქალს. ქალს ჰსურს ძიბუს გამარჯვება, მაგრამ ძიძას ლოცვა და სიყვარული ორივეს იფარავს:

— ღმერთო! ორივე... ორივე...

ზურაბმა ხალხს გადახედა და ეუცხოვა: აქამდე ყველას საკუთარი განუმეორებელი სახე ჰქონდა, ახლა კი, ახლა ყველას ერთი ფერი აქვს, ერთნაირი თვალები. ეფრემიც კი, შვეთმიანი ეფრემი, თავის თეთრ „რაშა“-ს კისერზე რომ მიყრდნობია და ძიბუს უცქერის, ქალარა აღექისის ჰგავს. ყველას, ყველას თვალები ძიბუზე და ტატაშზეა მიჭდობილი. თითქოს ცხენები კი არ მოჰქრინან, არამედ ზღაპრული ქალი და ვაჟი, ცხენებისაგან განუყრელი, აჰა, ტატაში დაეწია ძიბუს. აჰა, ცოტა ლა, ცოტაც, და წაართმევს თარშს. ტატაშმა ხელი გაუწოდა თარშს. ძიბუ ჩამწყრივებულზე ხეებისკენაა მოქცეული, არ შეუძლია ვანზე გააგდოს ცხენი.

მინდორზე იმ დროს მხოლოდ ცხენები სუნთქავდნენ. და მაშინ, როდესაც ტატაშმა ხელი გაუწოდა თარშს, ძიბუმ თარში კბილებიდან ხელში აიღო და ტატაშის ცხენს თვალწინ აუფრიალა.

წითელმა ფერმა ცხენი დააფრთხო. „აბზაზა“ განზე გადგა. ძიბუს გაუმარჯვდა.

ტატაშ აკირთამ ცხენი გააჩერა. თავი აუწია. შუბლში სამი ტყვია დაახალა, წაბარბაცდა, და თბილის სისხო ორმა ცრემლმა დაუსერა ლოყები.

4.

კომკავშირი ღელავს. კომკავშირი ბორგავს.

ათასნაირმა ხმებმა ტყვიაკირცხივით დასეტყვა სოფელი. ქალაქიდახ ახალი ტალღა მოდის. დაჰქროლა ახალმა ქარმა. იგი ტალღა წალგეკას უქადის

ძველს სოფელს, იგი ქარი ზათქათ გადაივლის ძველი ქვეყნის თავზე. გარდაცემს ძველი სოფელი? რანაირი იქნება ახალი?

მრავალი იქვიანი აზრი ტრიალებს კომკავშირის თავში. ^{ქვეყნის} ^{სახლის} არ გავარდნილა, მაგრამ მის მოლოდინში ელექტროთი დატენილი კუნთები სასტიკად დაძაბულა.

რა იქნება? როგორ იქნება?

კომკავშირი ხომ მოწინავე დროშია... უნდა დაიწყოს...

და დაიწყეს... აი კრებაც. ყველას გულის ყური მომხსენებლისკენაა მიმართული. სუნთქავენ—თითქოს ჰაერი არ ჰყოფნით. ოდნავ თუ დაირღვა სიჩქმე, მაშინვე გაისმის:

— სსს... სსსუ!

ელავენ ტრიბუნაზე მგზნებარე სიტყვები:

— კოლექტივიზაცია. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. სოციალისტური რეკონსტრუქცია. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ძველი ქვეყნის ალაგმვა. კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. ხუთწლიანი გეგმა. დაეწიოსთ და გავასწროთ. კაპიტალიზმის დღეები დათვლილია. ჩვენ მუდამ ვიმარჯვებდით, ახლაც უნდა გავიმარჯვოთ... მთლიანი კოლექტივიზაცია... სულ ახალი ყოფა ცხოვრება. ძველი უნდა დაინგრეს... კომკავშირი პირველ რიგებში უნდა იყოს, კომკავშირი არასოდეს ჩამორჩება ძველ გვარდიას. მისცემენ ლოზუნგს: ასრულებს კომკავშირი. უჩვენებენ გზას: მოდის კომკავშირი. ძველი გვარდიის რეზერვია. მან უნდა დაიმსახუროს მემკვიდრეობა. მაშ! ძველი ძველმა გვარდიამ დაამხო, ახალი რეჟიმი ახალმა გვარდიამ უნდა დაამყაროს... მაშ!..

— ვაშაა...ა...! გრიანებს კომკავშირი.

— ამხანაგო ზურაბ, რას გაჩუმებულხარ?— მიმართა ზურაბ ქკადუას ცანუშამ და სიხარულის ცრემლები თავშალით მოიხოცა.

ზურაბი სდუმს. ღრუბლები დასწოლია შუბლზე.

— ჰა, ზურაბ!—არ ეშვება ცანუშა.

— უნდა დაეფიქრდე. რა მაჩქარებს...

— ზურაბ ხუმრობ თუ?—გაუკვირდა ცანუშას.

— რა მებუმრება! დღე და ღამე მიშრომი და ახლა უცბად... ეს ამბავი ჯერ გულში უნდა გადაიხარშოს.

— როგორ თუ უცბად? როგორ თუ გადაიხარშოს? განა შენ კომკავშირელი არა ხარ?

— რა ვუყოთ, რომ კომკავშირელი ვარ! მე რაც მიშოვნია, ის სხვას რატომ უნდა მიეცე?—გაბრაზდა ზურაბი.

ცანუშა აფრინდა ტრიბუნაზე. ცეცხლი დაანთო. ტალღასავით შხუოდა. ფრთა-გაშლილ მერცხალსა ჰგავდა, გაზაფხულის მახარობელს. გაახსენდა ცანუშას ის კრემლის გზა, რომელიც განვლო, სანამ კომკავშირში მოვიდოდა. სილა, მუჯღლუგუნი, პანდური... ოპ, ყველაფერი, ყველაფერი სჯობიან პანდურიან სიციცხლეს.

ცანუშა მოუწოდებდა ძველის დანგრევას, ახლის აშენებას, მდიდართა ალაგმვას, ღარიბთა აქტივობას, კერძო საკუთრების სიკვდილს.

— აი, ამხანაგებო, ჩვენ კომკავშირის კლუბი არა გვაქვს. ჩვენი ბიონერები ბნელ ქოხში იკრიბებიან. რატომ უნდა იყოს ასე? შენობა რომ გექონდეს, კომკავშირიც მეტს ვააკეთებდა, მეტს ვისწავლიდით, წარმოდგენებს — გეგმავდით, კითხვა-საუბრის საღამოებს მოვაწყობდით.

— მართალია! — მოისმა ხმები.

— ამიტომ მე შემომამატეს წინადადება, როგორც კი გამოცხადდება სოფლის კოლექტივიზაცია, კულაკებს ოდები ჩამოვართვათ და ყველაზე დიდი ოდა, ალექსი შავდიასი, კომკავშირისა და ბიონერთა კლუბად გამოვაცხადოთ.

— ვაშაა...ა!... — მოეწონა კრებას.

— სწორია! — დაადასტურეს.

— შენ რას იტყვი, ამხანაგო ზურაბ? — შეეკითხა ტრიბუნიდან ცანუშა.

ზურაბი შეერთა. არ მოელოდა თავდასხმას.

— შემოგატქეს თუ არა შენი ჭინება კოლექტივში?

სდუმს ზურაბი. კრების თვალეები ზურაბს ლურსმავენ, ზომავენ. ხედავს ზურაბი, უნდა სთქვას რამე.

— ჯერ სხვამ შემოიტანოს.

— როგორ თუ სხვამ? — წამოდგა თავმჯდომარე.

— მე შემომამატეს... მეც... მეც... — ისმის ხმები.

— შენ რა გაქვს, რომ შემოიტანო? — გაუბრაზდა ზურაბი მეზობელს. შენი წაქეული ქობი და კოკლი ძროხა? ჩემი ერთი კვიცი ღირს მთელ შენ ჭინებად. ან შენ რა გაქვს, ცანუშა!

— ყველაფერი, რაც მებაღია, კოლექტივში შემომამატეს. კაბაკ კო. შენ?

და ცანუშა მთელი სიმძიმით გადმოწვა ტრიბუნაზე. ტრიბუნა დაქანდა, მოეჩვენა ზურაბს, რომ დაქანდა ძველი შენობის ჭერი და უნდა ჩამოინგერს.

— თუ ნამდვილი კომკავშირელი ხარ, სხვას უნდა აჩვენო მაგალითი. შენი ხელით უნდა ჩააბარო კოლექტივს შენი კვიცი. — ესმის ზურაბს.

კვიციო? არა, კვიცს ვერ შეეღევა ზურაბი. წამოდგა და ყრუდ უთხრა კრებას:

— ჩემი ჩემთვის შინდა.

ცანუშა გააფრთხილებული მივიარდა.

— ბილეთი, შენი ბილეთი!

ზურაბმა გაუწოდა ბილეთი.

— შენი საქმე არაა კომკავშირობა! წადი, შენს კვიცს მოუარე!..

— უგვარო! — მიახალა ზურაბმა ცანუშას.

— დიად, უგვარო ვიყავი, ახლა ჩემს გვარს მე თვითონ ვიწყებ. — უპასუხა ცანუშამ მიმავალს.

ხმაურობა და ლელვა ძლივს დააწყნარა თავმჯდომარის ხარმა.

— ამხანაგებო, კოლექტივიზაციის შტაბში წარმომადგენელი უნდა ავირჩიოთ!

— ცანუშა! ცანუშა! — გაისმა ხმები.

და ქალი, რომელიც გვარს იწყებდა, ახალ ცხოვრების დამწყებად გაგზავნეს.

5.

დღე მიიყარა. ვარდკაქაქის-ფრად მორთული ცა სოფელზე დასრულდა და
ლაღად დასჩერებია.

სოფელი შთის კალთიდან ძირს ვაკეზე ჩასულა და მხიარული მასპინძლის
გულივით გაშლილა რამოდენიმე კილომეტრზე ფართო ეზოებით, განიერი ქუ-
ჩებით, მაძლარი სახლებით.

სრული წელიწადია რაც შალვა შეეძია შინ არ ყოფილა. შალვას ძალზე
ყუყუარს თავის სოფელი, სდგას შთის თხემზე და დაჰყურებს მას. რა მდიდარია,
რა ლამაზია ეს მხარე! ენგურსა და ცხენისწყალს შუა ორი კიდევე თუ იქნება
ასეთი სოფელი. ერთს მარცვალს ჩაადგებ მიწაში—სამი ტაროიანი სიმინდი
აიშართება. ფეხი როდი უნდა დააბიჯო ასეთს მიწას, უნდა დაიჩოქო და ეამ-
ბორო. ეს უბრალო ტოტი რომ მოგლიჯო ხეს და ჩაარტო მიწაში, ორ-სამს
წელს ისეთ ხედ გაიშლება, რომ ვერც კი გაანძრევ. ცოდვია ასეთ მიწაზე მხო-
ლოდ თობი იჩიქნებოდეს. ცოდვია... ეჰ, რატომ არ შევიდა ავრონომიულ ფა-
კულტეტზე! ეგებ მაშინ არ ეთქვათ:

— კულაკის შვილი ხარ... წაბრძანდი უნივერსიტეტიდან!

აგონდება განვლილი გზა. გრძელი არაა ეს გზა. რა სიგრძის უნდა იყოს
ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის მანძილი? აქამდე ყველაფერი „თავისით მოდი-
ოდა“, ახლა კი, აი, იწყება ახალი გზა, ახალი ცხოვრება, რომელიც თვითონ
თავისივე ხელით უნდა გამოსჭედოს.

— ყველაფერმა, რაც აქამდე გააკეთე, ფუჰად ჩავიარა, შალვა!

ჰო, დღეს პირველი შემთხვევაა, როცა დღემდე უცნობი იქვი, ცხოვრების
აზრის იქვი, მეორე ადამიანივით ელაპარაკება:

თითქოს გაორდა შალვა, და ორი შალვა ერთი მეორეს ასე ეკამათება:

— აბა, სად გამოგადგება ახლა იაკობ ხუცესი?

„იყო: მერვესა წელსა პეროზ სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარე-
მართა ვარსკენ პიტიახნი, ძე არშუშაისი“.

ან იოანე საბანისძე?..

... რამეთუ აღვირთებით ერსა უცხოთა, შეჯულითა განდგომლისა ქრის-
ტესაგან, ნათესაგნა საწუთროისა ამის მოყვარესა, სარწმუნოებისა ჩვენისა მა-
გინებელთა...“

— ვის უნდა დღეს გიორგი მერჩული?..

„აწ სულელნი სიბრძნის მტყველებენ, ხოლო თვისსა და ბრძნეთა შეკ-
მნეს დღმილი“...

— ხა-ხა-ხა! სად რომელ დაწესებულებაში გამოგადგება იოანე ზოსიმესი
„ქება ქართლისა ენისა“.

... და ესე ენა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი
და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა“...

ჰო, დღემდე იქვე-მიუტანლად სწავლობდა ყოველივე ამას. და დღემდე ეს
იქვი მას არ ეკამათებოდა. დღეს კი თითქოს შეერყა ძველი გზა. მათლაც სად
გამოადგება იოანე ზოსიმე...

შალვამ შებღზე გადაისვა ხელი, თითქოს რაღაცა მოიგვრია.

— არა, რატომაც არ გამომადგება? განა იმე ძველეთში კიდევ დაგობდა იოანე მინჩი, განა შეუპოვრად არ ეუბნებოდა შეფეს თვედოსს?

„არა ხეილოდე მდიდართა თანა,
არცა იქცეოდე უღირსთა თანა,
თვედოსი“!

ჰო, „არა ხეილოდე მდიდართა თანა“.

სწორედ სიმდიდრემ დაუშალა აწყობილი სიმები შალვას.

— მამა შენი ქვეყანას სძარცავს, შენც მძარცველი ხარ...— ასე უთხრეს მას.

არა, ნუ თუ არ გამომადგება? ცოდნა თავის თავადაც განძია.

„მას გეცილების არავინ, არ არის გასაყოფელი“.

ჰმ... გასაყოფელი არ არის... მიწის წიაღშიც ბევრია განძი ხელუხლებელი, ისიც არ არის გასაყოფელი?

— რად გინდოდა ანდაზებსა და ამოცანებს რომ აგროვებდი, აი აჰ, სამეგრელოში? და გაახსენდა ქვემო-სამეგრელოში შეკრებილი ამოცანები:

„თავს მოვსკრი, გულს ამოვიღებ, ვასმევ და ვალაპარაკებ“¹⁾.

„ოზი, ოზი, დონეთიო, თავი კოჭის დონეთიო, გადმოვდგები, გადმოვსძახებ: მე ვარ ქვეყნის დონეთიო“²⁾.

„ჩემო ძაო სისო, მე რომ საქმე გიყო, ტანზე პერანგი გაგხადო, თავში ბერტყა გიყო“³⁾.

გაახსენდა ზემო-სამეგრელოში შეკრებილი ანდაზები:

„ორი გლაზა გეგეთში არ დაეტია“.

„მწევარი კურდღელს მისდევს, მაგრამ კურდღელი რაღას მისდევს?“

„მოსიყვარულე ცოლ-ქმარმა თოზის ტარზე დაიძინაო“.

„ნადს თხილით გაუმასპინძლდნენო“...

„სიკედელის წამალი ლაფარაში“⁴⁾ იყოვო“.

ჰო, ანდაზებსა ჰკრეფდა, ცხლა კი თვითონვე გახდა საიანდაზო. სამეგრელო ხომ დაცინვის ქვეყანაა. შალვას გააფრტოლა. „რა მეპართება? მესეთი არ შემეყაროს ან უემური“. გაახსენდა ერთხელ გვიან დაბრუნდა შინ. ბნელოდა, პატარა იყო და შეეშინდა. დედამ შეხედა და შეჰკივლა:

— უი, შეილო, ფერი არ გადევს, უემური შეგყრია.— და შეულოცა. იცის შალვამ, ახლაც შეულოცავს დედა:

„დედა აცვია, მამა არტყია, სული წმინდა ტანზე აცვია. ქრისტე ღმერთის დაბეჭდილია, ქრისტე იორდანეს მონათლულია, სამოცდა სამი მიკელ გაბრიელ მთავარ ანგელოზო შენ დაიკავ შალვა ყოველი უემურისაგან! ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი და ბრძანება შენი!..“

¹⁾ ძველებური საწერ-კალაში.

²⁾ დუდუკო.

³⁾ სიზინდი.

⁴⁾ ლაფარა—ადგილი სახლის გვერდით. საზურავის დასწვრივ.

— ხე-ხე... აღმასკომის ეზოში ტრაქტორი დგას, სოფელს კი უემური სწამს. როგორი ამბებია! აი სწორედ აქ აქვს აზრი ლოზუნგს „ენი ენის“

ეპ, რა ბედნიერი ხარ, დედა, შენ გწამს მესეფი, უემური, თუღაში, გოგავლა. დასრულებული რწმენის ქვეყანა გვაქვს, მე კი ძველი არა მრწამს და ახალმაც გულზე ხელი მკრა... რატომ? რა ვქნა? ვის კალთაში ჩავსდო თავი?

„ვის კალთაში? ძიბუს კალთაში!“—ჩასჩურჩულა ვიღაცამ.

ჰა? სანამ დედა ცოცხალია ეს არ შეიძლება. დედა მისმა ხომ ძიუს აწოვა ძუძუ, მაშასადამე, ძიბუ უახლოესი ნათესავია. ძიბუ დაა შალვასი. ასე სწამთ სამეგროლოში, მტკიცედ, შეურყვევლად საუკუნოებით გამჯდარია ხალხში ეს რწმენა. ხალხი შეარცხვენს ამ ადათისა და რწმენის შემლანძველს.

„ერმა რომ ხეს შებღაელოს, ხე გახმება“—რა კარგად უთქვამს ვიღაცას! ვინა სთქვა ესა? იმავე ერმა. მაშასადამე, უნდა დაემორჩილო, თორემ შეგბღაელებს და... გაგახმობს.

ერთხელ სოფლის ძველმა მაქანკალმა, თათიამ ხუმრობით შეჰბედა შალვას დედას:

— კარგი ვეფი გეზრდება, კესა, მაგრამ ძიბუც მშვენიერი ქალი დადგება... კესა აენტო.

— ერთი მუკლიდან გოკები იბადებიან. რას როშავ? ძიბუ შეიღია ჩემი. არ გაბედო მეტი ხმის ამოღება.

იმ დღიდან თათიას ვერ შეუბედავს კესას სახლში, საწყალი თათია! ვინ იცის რა გამორჩენას მოელოდა ძიბუსა და შალვას შეერთებიდან!

აღბათ თუ ფიქრობდა: ამ საქმეს მოვაჯახრაკებ და ოქროს ჩაფიხბრიალებ ჯიბეშიო. ამიტომ გაბედა ადათს შებრძოლებოდა, ეპ, ოქრო, ოქრო!

შალვამ რატომღაც ხელი ჩააქნია და ხმა მალლა დაილაპარაკა:

— „ნახე, თუ ოქრო რასა იქს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“. რა დიდებულად უთქვამს შოთას!

იმ დღიდან შალვამაც დედის ხათრით გულს ბოქლოში დაადო. ეშინია, იცის, რომ ვერავითარი შელოცვა ვერ უშველის ასეთს უემურს. შალვა ნელა დაეშვა თხემიდან.

რანაირი დამხვდება სოფელი?—გაუელვა. თვალი მოჰკრა: ეკლესიაზე გუმბათი დაეშალათ და ჯვარი ჩამოეღოთ. აღმასკომის ეზოში ტრაქტორს გლეხები ახვევია.

„ჰააა, მშვიდობით, ძველო სოფელო! ვნახო, როგორი ხარ ახლა“.

კიდევ დაეშვა დაბლა. თვალი მოჰკრა: მაღალ სახლის განიერ აივანზე სდგას ქალი და თმებს ივარცხნის. თმები გრძელია უძილო ღამესავით და ხშირი. იცნო: ძიბუ. გაკვირვებით შენიშნა: კვადუების ეზოში ძველი მუხა გადატეხილი იყო.

ნაბიჯს უმატა: სოფლის მეორე მხარეს კრამიტით დახურულ სახლის წინ წელში მოხრილი კაცი სდგას და ვიღაცას ედავება, ხელებს აქნევს. იცნო: მამია, „რამ მოხარა?—და ნაბიჯს უმატა.



6.

— ამხანაგებო, ორგანიზაციის საგანგებო კრება გახსნილია, დღეს წესდებში ერთი საკითხი სდგას; ჩვენი სოფლის კოლექტივიზაცია. მოხსენებელია კარგად ცნობილი ანდრეი პეტროვი. დათო რეზიანი.

და ჯარნა ჩარვაზიამ კრებას ისე გადახედა, თითქო პირველად ხედავდა თავის პარტიულ ამხანაგებს.

აი ამხანაგი რეზიანი გასაბჭოებამდე უჭალამო გლეხი იყო, კარდაკარ დადიოდა ქირაზე. მგელივით მუშაობდა, მაგრამ ნაწრომ-ნაჯაფარს ხან დუქანში სტოვებდა, ხან ქალაქში. უბარაქო იყო და ვერ მოეძებნა თავისი ადგილი. გასაბჭოების შემდეგ დაწინაურდა, ოდა დაიდვა. საესე ეზო გაიჩინა, დღე დაღამე მუშაობს. გასაბჭოების შემდეგ ნალია არ დასცარიელებია. ფაღავას ქალი შეირთო და ოჯახი ცხენივით შეკაშა. ახლა მის ეზოში ხარიც ბლავის და ცხენიც ჰყვებიან. იცის წიგნი და მახვილია სიტყვა-პასუხში.

აი ამხანაგი ბათუ. ენაწყლიანია. ლაპარაკი იცის დინჯად, წყნარად, მიძღრად. იმდენს ველაპარაკება, რომ ძალიანაც არ გინდოდეს დაუჯერო, მაინც დაეთანხმები. არ მოგშორდება სანამ დასტურს არ მისცემ. მას ყოველ კონფერენციაზე და ყრილობაზე ირჩევენ. თემის ყველა დაწესებულებათა გამგეობის წევრია, გლეხკომის თავმჯდომარედ იყო ზედიზედ სამი წლის განმავლობაში. აღმასკომის თავმჯდომარედ იყო ორი წლის განმავლობაში. არ შეიძლება ითქვას, რომ ძალიან უყვარდეს ხელებით მუშაობა. უფრო გამგებლობას ეტანება. ხელები ბევრი ხანია გაუთეთრდა, მაგრამ დღესაც ძველებური სადა კაცია.

არც ის შეიძლება ითქვას, რომ სოფელს ძალიან უყვარდეს, მაგრამ არც ეჯავრება. ყოველ კრებაზე ლაპარაკობს, ყველა საკითხზე, ყოველთვის. შუა ღამეს რომ გააღვიძო და დაუსვა საკითხი, სულ ერთია რა საკითხიც იქნება, ბათუ დაამოქნარებს და დაიწყებს:

— მაშ ასე, მე ვლაპარაკობ.

და ილაპარაკებს. ბათუს საკუთრება არ აინტერესებს. არც აქვს. ერთი ობოლი ქოხი ჰქონდა, გაუთხოვარი ქალივით დაბერებული, და ისიც გაჰყიდა. მას შემდეგ სულ სხვის სახლებში ცხოვრობს.

— ბათუ, ხომ ხედავ ყველა ყიდულობს რამე-რუმეს, ყველა ოჯახს ჰყიდებს ხელს, შენი ამხანაგები შენდებიან, შენ რა დაგემართა? საშეგრელოში ერთ ქალს როგორ ვერ იშოვნი? დასახლდი, დაცოლშვილდი.

— მე კერძო საკუთრების მომხრე არა ვარ. — იგერიებს ბათუ დარიგებას — ცოლი რად მინდა, სხვას ვებმარები. და ცხოვრობს მოგანოდ, ცალფად.

აი ამხანაგი ფარნა. ძველი მუშაა. ეს ერთი ხანია ქალაქი მიატოვა, სოფელში მუშაობს. დაბერდა. ძალზე მოხიარა წელში, მაინც მხნეობს.

— ქალაქში გაეშავდი, ახლა მინდა სოფელში გაემწეანდე. — ოხუნჯობს ფარნა და მშვენივრად უვლის ოჯახს. აქვს მიწა, მოჰყავს ყანა, იცის ვეშახის მოვლა, ყოველ წელიწადს სამ-ოთხ ქვევრს ავსებს ღვინოთი. უყვარს ბალოსნობა და მისი ბალ-ბოსტანი სამაგალითოა სოფელში. ომამდე ფარნამ პირველმა დაიწყო სოფელში დაფნის მოშენება. დაფნის ფოთოლს ბაზარი ჰქონდა, შემოსავალიც მისცა. სოფელმა მიჰპაძა. ახლა დაფნის ბაზარი არ არის და დაფნის კულტურაც დაეცა. ძველად, სულ ძველად, მან პირველმა შეიტანი გლეხობაში კოოპერაციის

იდეა. გლეხებს ჯერ ეუცხოვათ, შემდეგ მიეჩვივნენ. კოოპერატორების გარეშე პოლიტიკური მუშაობა გაიხალდა. გაჩნდა მრავალი წიგნი, ბროშურები, შეკრებს წრე. დაირაზმა ახალგაზრდობა. წრემ ჩელ-ნელა, უჩინარის თანდათანობით დაუწყო ღრღნა ძველ სოფელს. ღვიასა გავდა ძველი სოფელი! გარეშად თითქოს საღი იყო, შიგნით კი დამპალი და გამოფიტული. დაპბერა ცხრაასხუთის ქარი-შხალმა და წააქცია. შემდეგ... შემდეგ ფარნა გაეცნო აშტრახანს, ვოლოგდას, ციმბირს, განა ერთხელ! ახლა კი გაქალაჩავებული ფარნა თეთრი ძველივით დგას ახალი სოფლის სათავეში და ახალ მებრძოლთ აგონებს ძველთა დროთა გარდახდილ ომებს. დეე მოიგონონ, ისწავლონ.

— რას იტყვის ფინა, პა? — ლურსმანივით ჩაერქო ეს ახრი თავში ჯარნას.

რაც შეეხება ამხანაგ ჯუბუს, ან მიხას, ან ბურდლუს... პო, ესენი სულ ღარიბები არიან. ამათ რა რჩებათ უკან, რომ წინ არ წაყვიდნენ?

ბურდლუ უღარიბესი გლეხია. ოთხი წვრილი შვილი ჰყავს, ქალები. მეზუთე ვაგი იყო, მეხმა მოუკლა წარშან. დღეს ღამეზე ათენებს. ერთი პატარა ქოხი უდგას, გამოუვალ ვალებში იღრჩობა. ამას წინათ უკანასკნელი ძროხა გააყიდა. ახლა ერთად ერთი ხარილა შერჩა. ზედმიწევნით პატროსანია და ზედმიწევნით მუყაითი. იცის ჯარნამ, რომ ბურდლუსაც ის ტკივილები აწუხებს, რაც მას. რამოდენიმე ჯერ უთქვამს ჯარნასთვის:

— ყველაფერი მრწამს: საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენი პარტია, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია: მე დღე და ღამე ვმუშაობ და მაინც ვაკირვებული ვარ. ეს სულ-კატინი ალექსი ჩარჩი კი ისევე ისე ძველებურად თარეშობს სოფელში და ტყავს მამრობს. აი მის ვალში ახლა ძროხა გავყიდე. რით ვკვებო აწი ბავშვები?

და ჯარნას თავში ფიქრები ფიქრებს მისდევს: შეიძლება თუ არა ახლავ კერძო საკუთრების სრული მოსპობა? ყოველ შემთხვევაში კომუნისტს არავითარი საკუთრება არ უნდა ამძიმებდეს. კომუნისტი უნდა ჰგავდეს სახარების ჩიტს... პო, როგორაა ეს ნათქვამი? მაგრამ ჯარნას სახარება არ უსწავლია და შედარებაც ვერ გაიხსენა. ისე, სალაღ, მეხსიერების ფსკერზე იელვა კესა გუგუნავას ქალისაგან გაგონილმა და ჩაპქრა, როგორც უნავთო ქრაქი.

— რამ ჩავაფიქრა, ჯარნა? — დაუშალა ფიქრთა ჯარი ბათუმ.

— ვუყურებ კრებას და ვფიქრობ: რას იტყვიან?

ჯარნას შუბლზე ნაოკი ნაოქს აწვება, წარბები ერთი მეორეს ეკვრის, თვალები უკან იწვიან და სიღრმეში მიდიან. ყურს უდგდეს მომხსენებელს.

მომხსენებელი ლაპარაკობს აღფრთოვანებით, გატაცებით, თითქოს მან უკვე შეაჯავშირა გლეხობა კოლექტივში, თითქოს ყოველი მისი სიტყვა სიმინდის ტარობად იქცა და აუვსო გლეხებს ნალიები, ხულოები; თითქოს ყოველი მისი სიტყვა ფრთა-შესხმულია, სოფელი კი ბედნიერი და მადლიერი.

— ამნაირად, ამხანაგებო, აღარ იქნება მდიდარი და ღარიბი, მყვლეფაფე და გაყვლეფილი, ყველანი გათანასწორდებიან, ყველანი გაერთიანდებიან და ჩვენ დავამყარებთ სოციალიზმს.

მომხსენებელი დაჯდა. ჩამოდგა სიჩუმე და მეზობელს ესმოდა მეზობლის გულისცემა. ჯარნა ისე ჩაითრია ამ სიჩუმეში, რომ მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა თავმჯდომარის მოვალეობა მოაგონა მომხსენებელმა.

— ამხანაგებო, ვის აქვს შეკითხვები?

შეკითხვები სიტყვებად იქცა. სიტყვები ცეცხლად და ბრაზად. ბევრს ეცადა ჯარნა, ვერ შესძლო ლაგამი ამოედო კრებისთვის.

შეორე დღეს, როცა ჯარნამ ჩატყვიებული თავი ასწია ბაზრშიდამ და სცადა გუშინდელი კრების სურათი აღედგინა, ისევ აირია ყველაფერი, როგორც თვით კრებაზე.

ჯერ იყო ასე: სდუმდნენ ყველანი. ერთმანეთს უცქეროდნენ. უცდიდნენ. ბევრს ეკრძალებოდა ბრკელები გამოეჩინა. შემდეგ იყო ასე: ყველა ერთბაშად აღაპარაკდა, ყველა ითხოვდა სიტყვას, ყველას ეშურებოდა. კომუნისტები კომუნისტურ კრებაზე ასე არასოდეს ყოფილან აღელვებულნი. ერთნი გაიძახოდნენ: გავერთიანოთ ყველაფერი. ძირს ყოველგვარი კერძო საკუთრება. გაუმარჯოს საერთო შრომას, საერთო მოხმარებას! მეორენი: როგორ თუ ყველაფერი?! ჩემი ოფლით ნაშოფნი შენ მოგცე? ჩემი მონაგარი შენ გაგიყო? ესაა კოლექტივიზაცია? არა, ამხანაგო! ჯარნასკენ ხელები შუბტივით გაემართა:

— მომეცი სიტყვა!.. სიტყვა მეტეი, ამხანაგო!.. კაცო, შენ არ გესმის? სიტყვა მეტეი, თორემ გასკდა გული.

ილაპარაკეს, განა ლაპარაკი იყო? ცეცხლს ჰყრიდნენ პირიდან, კბილებს აკრაქუნებდნენ და ახალობისა და ხალათის კალთებით იწმენდდნენ ოფლსა.

გაახსენდა ბათუს სიტყვიდან:

— აი ამ დროს მოველოდი, ამხანაგებო, მე... აი ახლა დადგება ნამდვილი სოციალიზმი. ყველას ჩამოვართვათ ყველაფერი და გამოვაცხადოთ საერთო ქონებად.

— შენ რა გეკარგება, ბიძია!—გააწყვეტინა რემამ.—რა გაქვს, რომ დაგეკარგოს! როცა მე ოფლში ვიწურებოდი, შენ გეძინა. მე შუა ღამეს ვდგები, ამხანაგო ბათუ! მთვარის სხივებზე ვთოხნი, ეს ჰქვეყანამაც იცის, შენ კი შუა დღემდე გძინავს, თოხი ჭირივით გეჯავრება. აბა დაგხედოთ ჩვენს ხელებს. შენ ლაპარაკის მეტი არა გინდა რა.

— ასე კომუნისტი ვერ ილაპარაკებს, ამხანაგო რემა!—შეუტია რემას ჯუბუმ, — შენ კერძო საკუთრებას იცავ.

— მე ჩემი ოფლით მოპოვებულს ვიცავ.

— კომუნისტისათვის კერძო საკუთრება არ უნდა არსებობდეს. ძირს კერძო საკუთრება!—გაპყვირის მიხა.

— დღეს ვნახავთ ვინ არის ნამდვილი კომუნისტი. კომუნისტობა საქმით უნდა დამტკიცდეს და არა პარტიულით, — ამოხს ბათუ.

— უკაცრავად, შენ არ მოგიცია ჩემთვის პარტიულით!

— აბა რის კომუნისტი ხარ, თუ პარტიის წინააღმდეგ გამოდიხარ?—პირდაპირ დაუყენეს საკითხი რემას.

— მე პარტიის წინააღმდეგ არ ვილაშქრებ. მე ვიცავ ჩემს სახლკარს, იმას, რაც მომცა რევოლუციამ და რაც მე თვითონ მიშოვნია. მე მონაწილეობას ვიღებდი მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყებაში. მე შენსავით გუშინდელი მოსული არა ვარ პარტიაში. როცა მე ციხეში ვიჯექი, შენ ირიტია-ურტიას¹⁾ გაიძა-

1) მეგრული სიმღერის მოქაზილია.

ხოლი. შენ ნუ მასწავლი რევოლუციონერობას, კომუნისტობა ბოგანობას როდი უნდა ნიშნავდეს.—სულ უფრო და უფრო იშვივლებდა რემა კლანკებს.

სიტყვა ჯარნამ აიღო. წინად მას უსმენდნენ, ახლა კი წმინდად უსმენდნენ. ტინებდნენ, გესლიან შენიშვნებს აძლევდნენ.

— თითქოს ეს პარტიის კრება არ იყოს. რაშია საქმე, ამხანაგებო!—გაბრაზდა ჯარნამ.

— კრება პარტიისაა, ხოლო საქმე არა პარტიის!—გაჯავრებით მიუგო რემამ.

— რატომ, ამხანაგო რემა?

— როგორ თუ რატომ? ბათუსა და ჯუბუს კოლექტივში შევიტანო ჩემი სახლკარი? ჩემი ხარები ამ ხალხს ჩავუგდო ხელში? სამართალი სად არის, ამხანაგო! მე ხელზე აბედი ამომსვლია მუშაობით, ბათუს კი გამოუგდია ორ-არშინიანი ენა და ლაპარაკის მეტს არას აკეთებს.

თითქოს ყუმბარა ვასკდაო:

— როგორ, ვანა ჩვენ არ ვმუშაობთ?—და ჯუბუსა და მიხას დაკორებული ხელეები რემას ცხვირწინ დატრიალდა.—აბა დახედე ჩვენს ხელებს. ჩვენ მოჯამაგირეები ვართ.

— თქვენ კი მუშაობთ, ამხანაგებო, მაგრამ ბათუ რას აკეთებს?

— ჩვენ სხვას ვამდიდრებთ ჩვენი მუშაობით, რატომ უნდა იყოს ასე? მაშ, ჩამოართვან იმათ!

— ასე როგორ იქნება!—გაბრაზდა ჯარნამ.—უპარტოო ხალხს ჩამოვართვათ და პარტიელებს არა? თუ კოლექტივს ვაარსებთ, პირველი მაგალითი ჩვენ უნდა ვუჩვენოთ.

— ჰო და შენ მიეცი.

— შენც მიგაცემინებენ.—დაემუქრა დათა რეზვიაშვილი.

— როგორ, ძალზეა საქმე თუ? ე-ჰე-ე!

— ჩვენ დღეს უნდა გამოვარკვიოთ ვინაა პარტიისთვის ზედმეტი ხალხი.—და დათამ კრებას ცივად გადახედა.

— შენ არ მოგიცია ჩემთვის პარტბილეთი, ბიძია!—ცივად ესროლა დათას რემამ. ჯარნას გაუელვა თავში: რატომ სდუმს ფარნა? და:


— სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ფარნას.

ყველანი გაჩუმდნენ. ფარნა წამოდგა. ნელის ნაბიჯით გაემართა ტრიბუნისკენ. წყერებზე ხელი ჩამოისვა. უღვაშები გაისწორა. ჩაბალახი წინ წამოსწია, თავზე მაგრად ჩამოიფხატა. კრებას დინჯად გადახედა, მაგრამ ეტყობოდა, ამ სიღინჯის ქვეშ დიდი იყო დუღილი.

რას იტყვის ფარნა? ძველი რევოლუციონერი, მეფეს რომ ეკიდავებოდა და წააქცია; ცხივებში რომ გაქალაჩავდა; ყარგი სახლკარი რომ აქვს, რემაზე უკეთესი...

— ამხანაგებო! მე ძველი ბოლშევიკი ვარ. ჩემთვის პარტიის ნება გარდაუვალია. ჩემთვის არ არსებობს „შენი, ჩემი, იმისი, ამისი“, როდესაც ბრძანებს პარტია. მე პარტიისათვის ჩამოდენიწივეჯერ მიმიტანია მხრებით ჩემი თავი და ახლა კალთით ვერ მივუტან ჩემს ფაცხას?

თითქოს ელექტროს დენმა დაუარა დარბაზს. იგრილა დარბაზმა.



— იცით რით იყო და რატომ არის ძლიერი ბოლშევიკური პარტია? იცით რა ცეცხლშია გავლილი ბოლშევიკური პარტია? იცით რა არის ჩვენი სიტყვა, ბოლშევიკის სიტყვა? აი ბოლშევიკურმა პარტიამ რომ სთქვას: *წმინდა სიბრძნის* კიდან ვარსკვლავები ჩამოვიღოთო, ჩვენ, მთელმა პარტიამ, როგორც ერთმა, უწყაყმანოდ უნდა ვტაცოთ ხელი ცას.

დარბაზი ჯეჯილივით ღელავს. ჯარნას თვალები უბრწყინავს. კოლექტივის მომხრენი აღვზნებით უფორგბენ ქაღარა ფარნას, მოწინააღმდეგენი კი მალული ბრაზითა და სიჩუმით. ფარნა კი ისევ მოუთხრობს კრებას პარტიის ნებაზე, სოფლის გარდაქმნაზე, დიდ ისტორიულ ცდაზე და ყოველ აზრს ძველი ბრძოლის მაგალითებით ამავრებს. კრება უსმენს სულგანაბული და მასთან ერთად სუნთქავს უმრავლესობა.

ყოველივე ეს გაახსენდა ჯარნას და ფიქრთა დენა ასე შესწყვიტა:

— ჰო, უმრავლესობა კოლექტივს მიემხრო, ნაწილმა კი ძველეთის გაშეშვლებული კლანჭები დროებით მიშალა. რა ვუყოთ ამ კლანჭებს?

7.

შორით მოსული მდინარე მთასთან შეჩერებულა. ერთ ხანს ჩაფიქრებულა და მარყუშივით დაგრებილა: გზას ეძებს. მთას არ მიუცია გზა, ამიტომ მდინარე ჩაპყლია მთის ფერდობს და დაქანებულა ძირს. ერთს ადგილას კალაპოტი გაწყვეტილა და მდინარე ძირს ენარცება შხუილით და შფოთვით—თითქოს ბავში გავარდნია დედას ხელიდან და ტირისო.

ძიბუ, შალვა და ჯარნა სხედან ჩანჩქერთან. ძიბუ დაბალის ხმით ამბობს, თითქოს მღერისო:

— ჩქარა ჩანჩქერის ნაპირას მრავალი ყვავილი გაიშლება. უბვი მცენარეულობა დაბურავს ამ პატარა მდინარის ნაპირებს. აი თხემლა. მის ტოტებს მუდამ ჩახვეული აქვს ფათალო. იმ ჯაგებთან ია გაიღიმებს. ოპ რა მიყვარს ია! ნეტა ვიკოდე, როგორ გაჩნდა პირველი ია... მანდ გაიშლება თეთრი ყვავილოვანი შხამიანი ლემა. ისე დაირხევა სიოზე, თითქოს არც კი იყოს შხამიანი. იის-ფერი ვარდ-კაჭკა მორცხვი ქალივით შემოგებდავს, ის ბავშვის თვალვით ღიაა და წმინდა. თეთრი გვირილა ჯარივით შეესევა ველებსა. ჩადუნა შალვასავით ჩაფიქრებული დადგება მდინარის პირას და ყურს დაუგდებს მის განუწყვეტელ ჩუხჩუხს. მთას აპყეება აბილილი თეთრი და წითელი ძაბრებით. მედიდურად გაიშლება დიდგულა და ჯარნასავით ლალად იქანავებს.

— შენ პოეტი ხარ, ძიბუ!—ეუბნება შალვა.

ძიბუმ გაახსენა ჯარნას:

— გახსოვს ჯარნა, ვარდ-კაჭკასაგან გვირგვინს სწინედით შენ და შალვა. შიგ აბილილს ჩააქსოვდით და მომრთავდით. ოპ, რა კარგია ბავშობა! გახსოვს, ჩანჩქერთან დაეჯდებოდი, ფეხებს ჩაყყოფდი წყალში და დავიძახებდი: ყვავილები თავს მახურავს, წყალი ფეხზე შაცვია!

— ხა-ხა-ხა!—გულიანად გაეცინა შალვას.—პოეტი იყო ჩვენი პატარა ძიბუ.

— ჯარნა, წარბი მაინც გაშალე. თუ გული შეკრული ვაქვს. *ნუთუ და-*
 გავიწყდა ჩვენი ბავშვობა? არაფერი ვახსოვს?—წყენის კილოზე და გამოწყვევი
 თვალებით მიმართა ძიბუმ ჯარნას.—ვახსოვს, კლდის ნაბრჭყვე დეშვეთ და
 მითხარით: აქ იჯექ, შენ ნესტან-დარეჯანი ხარო? *მეზღინოთქა*

— ჰო, ჰო, მახსოვს, როგორ არა!—და ჯარნას თვალემა იელვის.—იქვე
 ბავშვები დაგიყენეთ მცველებად, ესენი ქაჯები არიანო. ეს ვითომ ავთანდილი
 იყო—მიუთითა შალვაზე,—ჯობზე შეჯდა და ველად გაიქრა, ტარიელს ეტებდა.
 მე ტარიელი ვიყავი და აი იმ ხის ძირას მეძინა, სურო რომ შემოხვევია. მაშინ
 ნაკლები მჭონდა ამ ხეს სურო. არ მახსოვს, ვინ იყო ფრიდონი?

— არც მე მახსოვს.

— ეფრემი იყო.—მოაგონდა ძიბუს.

— ჰო, ეფრემი. შემდეგ სამნივე მივადექით ქაჯეთის ციხეს და მივიტანეთ
 იერიში. დიდი ბრძოლა გადავიხადეთ. ვახსოვთ მიხა არ დაგვნებდა და ძიბუ
 არ მოგვცა. რამდენი ვუმტკიცეთ, რო კესა ბიცოლამ ასე გვასწავლა წიგნიდან
 რომ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი იმარჯვებდნენ ქაჯებზე, მაგრამ არ
 დაგვნებდა. ჩვენზე უმფროსი იყო და ღონიერი.

ყველამ გულიანად გაიციანა.

— შემდეგ ბიცოლა კესასთან წავედით საჩივლელად.

— ნესტან დარეჯანი კი კლდეზე დასტოვეთ. ჰაი რა ვუთხრა თქვენისთა-
 ნა რაინდებს! რამდენი ვიტირე მარტოდ დარჩენილმა!—უსაყვედურა ძიბუმ.

ისევ გულიანი სიცილი. თითქოს შალვა და ჯარნა ისევ ძველებურად ბავ-
 შვები და მეგობრები ყოფილიყვნენ. მოგონებათა ძაფები ლამაზს ქსელს ხლარ-
 თავს, ქსელი მიდის ერთიდან მეორისკენ, მეორესგან მესამესკენ და ჰსურს გა-
 ახვიოს ისინი უჩინარს, ნახსა და განუმეორებელ აბლაბუდაში. შალვა ძიბუსკენ
 იწყებს, თითქოს ჰსურდეს არ დაირღვეს აბლაბუდა. მხოლოდ ჯარნა ზის განზე,
 განაგრძობს მოგონებებს და მისი სიტყვები ცივია ლითონივით:

— აი პატარობისას, ჯაბბაზიას კაკლებს დაესკლტედი, გაესწორავდი და
 შუშაში შევაგროვებდი. ეს იყო ჩემი მელანი. ჯერ წითლად დასწერდა. მიხა-
 როდა. შემდეგ გაშავდებოდა და აყროლდებოდა. ეს ნამდვილი ემბლემა იყო ძვე-
 ლი წყობილების: გარედან გალამაზებული, შიგნით კი შავი და მყარია.

ძიბუს გაეციანა:

— კარგი შედარებაა. ყოჩაღ, ჯარნა!

ძიბუს შექებაში შალვას გულზე უკბინა. უცბად მოიღრუბლა.

— უცნაურია.—ჩაურთო გესლით შალვამ.—რატომ უყვარს უსწავლელ
 ხალხს უცხო სიტყვები—“ემბლემა“ და “იზმები“. სიტყვი მარტივად რაც გინდა.
 ჩვენ ემბლემის საბადლო სიტყვა გვაქვს.—შემდეგ მობრუნდა და ცას მიაჩერდა.
 მზე დასავალს იყო.

— რა გუკოთ, რომ ყველას არ მიგვიღია უშალვესი განათლება, ზოგს
 მამები ზრდიდნენ სხვისი ნაშრომით, ზოგიც თვითონ იკვლევდა გზას ცოდნის-
 კენ.—და ჯარნას თვალემა სიძულვილით იელვის.

ბავშვური მოგონებათა აბლაბუდა დაირღვა. ახლა ორი მტერი იდგა პი-
 რისპირ. შუაში იჯდა ძიბუ და ორივეს ახელბდა.

— სხვის ასს გაზეპირებულს სიტყვას ერთი საკუთარი სუგობიან¹⁾ სიძულვილითვე უპასუხა შალვამ.

— თქვენ თუ ჩემი მეგობრობა გსურთ, ასეთ ქიშპობას უკვე უგაანებეთ, თორემ ავდგები და წავალ. აქ კოლექტივის როდი ვაარსებდეთ; აქ: ყველამ მეგობრები შევიკრიბენით.—უცნაურის ღიმილით გადახედა ძიბუმ ორთავეს.

— ჰო, რამდენჯერ გვიბანავია აქ! ვაბსოცს? შენ ჩვენზე პატარა იყავი, ძიბუ! ერთხელ იმ მორცეში ჩავარდი. ყველა დაიბნა.—მარტო მე და ჯარნა არ ტავიბენით. მარდად ჩავხტით და ამოგათორეთ. მაშასადამე, შენი ნახევარი სიცოცხლე მე მეკუთვნის.

— ხოლო ნახევარი ჯარნას.—და ძიბუმ ვადიკისკისა. კისკისი ჩანჩქერით დაიმტვრა ქვებზე.

— გრძნობა განუყოფელია.—ცივად ჩაურთო შალვამ.

— არის საგანი, რომლის შესახებ ხმა მალლა არ ლაპარაკობენ.—გაუსწორა ჯარნამ.

— მართალია.—დადასტურა ძიბუმ.—მაგრამ ზოგი ადამიანი პირდაპირი გზით მიდის დასახული მიზნისკენ, ზოგიც ფრთხილად, გზის გასინჯვით და გაზომვით.

— შენ რომელს არჩევ?—და ჯარნამ ორი მახვილი თვალი შეანათა ძიბუს. ძიბუ შეკრთა. მან ბევრი ხანია იცის, რომ უყვარს ჯარნას. ჯარნა წინადაც არ მალავდა თავის გრძნობებს, მაშინაც, როცა შალვას მამის მოჯამაგირედ იყო. ახლა მეორე წელია რაც აღმასკომის თავმჯდომარეა, და უფრო და უფრო დაეინებით, უფრო და უფრო გაბედულად, თვეში ერთხელ მაინც, მოაგონებს ძიბუს თავის გრძნობებს. ძიბუმ იცის, რომ მაკო და როსტომი ჯარნას წინააღმდეგ არიან. ძიბუ მდიდარია და ნასწავლი: ცხრაწლელი აქვს დამთავრებული, სად ძიბუ, სად ჯარნა! მაგრამ ძიბუმ ისიც იცის, რომ ჯარნა აღმავალი გზით მიდის და ხშირად ესიზმრება მას. რატომ ესიზმრება? ძიბუმ ისიც იცის, რომ ჯარნას მსურს ზნეობრივად დაიპყრას იგი, თორემ...

— თორემ სხვა რომ ყოფილიყო ჩემს ადგილას, შალვასაც გააძევებდა სოფლიდან და შენთანმსაც ბევრს არ ელაპარაკებოდა.—ასე უთხრა ერთხელ ჯარნამ.

ძიბუმ სხვა რამეც იცის. მან იცის, რომ შალვას გულშიც ისე ზის, როგორც მუზის ფესვები მიწაში. მაგრამ ძიბუ და შალვა ბიძაშვილები არიან. შალვა დედის ხათრს და მისი პატივისცემის ვერ დაარღვევს. შალვას დედას ღრმად სწამს ძუძუს ძალა და ერთი სიტყვა:

— ვაშინერს¹⁾!

იგი უფრო ძლიერია და გარდაუვალი, ვიდრე შალვას ცხოვრების განთიადზე დანთებული გრძნობის ცეცხლი. ყოველ წერილში, ყოველ მიხვრა-მოხვრაში გრძნობს შალვას გრძნობას ძიბუ, მაგრამ შალვა სდუმს პირისპირ შეყრისას და ძიბუც ელის, როდის გაამეღავნებს შალვა თავის ნაჩუქარს.

რამდენი ხანია ეს ორი ადამიანი, ორივე სიყრმის მეგობარი, გარს უვლიან მას, ესწრაფვიან მისკენ, ერთი გაბედულად და მტკიცედ, მეორე გაუბედავად და ნაზად, და მოელიან მისს პასუხს. რომელს რა უთხრას? უარი ვააკა-

¹⁾ ვაშინერს—არ შეიძლება, ტაბუ.

ეებს ჯარნას და გაახელებს და იგივე უარი შეურაცხყოფს შალვას და დაუკარგავს სამუდამოდ. ძიბუს სურს ორივე შეინარჩუნოს.

— ერთი ძმად, მეორე ქმრად.
რომელი ძმად?

უცნაურია, ნახევარი გული ჯარნასკენ ეზიდება, მეორე ნახევარი შალვასკენ. „რა ვქნა?“— ასე გაებაასა და შეეკითხა ძიბუ თავის თავს შალვას ჩამოსვლის პირველ დღეებში. ბევრი იფიქრა, ბევრი იმსჯელა, ბოლოს გადასწყვიტა ორივე ერთად შეეყარა. გადასწყვიტა და შეეშინდა. იგრძნო, რომ ულამაზო იყო მისი გადაწყვეტილება. მაგრამ ადამიანის ბუნება ბუნის თვალფიქრით არაა. იქ, სადაც ადამიანს ცუდისა და კარგის, ავისა და კეთილის საზომი აქვს, ძიბუმ პატარა ნილაბი იპოვნა, სახეზე აიფარა. უცნაური თვისება პქონდა ნილაბს: საგანს ისე მოაჩვენებდა, როგორც ძიბუს ჰსურდა.

და ძიბუმ თავის თავს შთააგონა:

— ძველი მეგობრები შევიკრიბებით. ერთად აღვზრდილვართ, ერთად გვიცინია, ერთად გვიღვრია ბავშვობის უდარდელი ცრემლები. რა არის აქ ცუდი? პირიქით, ეგებ დაეუბრუნო ერთმანეთს დაკარგული მეგობრები... ამ კოლექტივიზაციამ სულ გადარია ხალხი, და შალვა და ჯარნა მტრები გახდა და ძიბუმ ორივეს ერთსა და იმავე ღროს, ერთსა და იმავე ადგილას დაუნიშნა პაემანი.

რაც იფინიც მოვიდნენ. ჯერ ცივად შეხედნენ ერთმანეთს. შემდეგ, როცა ბავშვობა მოაგონდათ, თითქოს დაავიწყდათ ქიშპობა და გაუთბათ გულები. შემდეგ კი წარსულის უსწორობამ ერთბაშად იჩინა თავი, და ჯარნას შეკითხვამაც მოაგონებთა აბლაბუდა სულ დაშალა. იგრძნო სამივემ, რომ შეკითხვის პასუხი მათ შრთიერთობას გამოაშკარავებდა. ბავშვობის თავდადებული მეგობრები, ახლა მოსისხლედ გამზადებულნი, უმხერდნენ ძიბუს: შალვა ნაძალადევი სიცილით, ჯარნა—წარბ-შეკვრით და ცივად.

ძიბუმ ერთხელ კიდევ სცადა შეურიგებელის შერიგება:

— მე გთხოვთ ჩემი ხათრით მტრობა დაივიწყოთ და ისევ ძველი მეგობრები დარჩეთ.

— შენ მიპასუხე კითხვაზე.

— ძიბუ, მათრახიანსა და უიარაღოს შორის მეგობრობა არ შეიძლება.— შალვა წამოდგა, სიცილით აევსო ხმა და თვალელები.— მე უიარაღო ვარ, ჯარნას კი ჯოხი უქირავს და უნივერსიტეტიდან მერეკება: კულაკის შვილი ხარ, სწავლა არ გინდაო. ჩვენი მეგობრობა შეუძლებელია.

— ისტორიული სამართლიანობაა.— განმარტა ჯარნამ.— წინად თქვენ გვერეკებოდით, ახლა კი ჩვენ გვერეკებით.

— ისტორიას გაგება უნდა. მათრახით შექმნილი ყოველთვის დანგრეულია. დანგრეა ბაბილონი, ასურეთი, მაკედონელის მონარქია, რომი, ნაპოლეონის იმპერია, ავსტრო-ჰუნგრეთი... მაგრამ შენ რა გელაპარაკო, რა გესმის?

ჯარნამ ნაბიჯი გადადგა შალვასკენ, ტუჩებზე ფითრის ფოთლები დაერხა.

შალვას ხმა უფრო მეტად აევსო სიძულვილით; მიხვდა, რომ ძალზე შესტობა, მაგრამ დაბრუნება გვიან იყო: იგრძნო ძიბუს თვალელები და უიმედო იარაღი ერთხელ კიდევ მოიქნია:

— მართლა არ ყოფილა სამართალი, თორემ დამბლა მაგას უნდა დასცემოდა, მაგ შეჩვენებულს.— ბრაზობდნენ ზოგნი.

— იოსელიანის ქალს სიკეთე მაინც არ დაეკარგება.— ამბობდნენ ალმასკომში.— მისი ხათრი, თორემ აქამდე შეიღჯერ დავეგრებდი ალექსისს.

— წერა-კითხვა მაგან მასწავლა. რამდენი ხალათი უყიდნია ჩემთვის ქურდულად, როცა დავეობლდი.— იგონებდა ჯარნა და შეუტედა ალექსისს:— კესა ბიცოლას უმადლოდე, თორემ აქამდე აპურავით დავგრებდი.

— ცეცხლს მივცემ ყველაფერს და თქვენ კი არ გასარგებლებთ.— უბასუხებდა ალექსი.

— რამ შეაერთა ეს ბოროტება და სათნოება ერთად?— უკვირდა სოფელს.— ერთი ტყავს აძრობს ხალხს, მეორე იმ ტყავაძრობილ ადგილას მალამოს ადებს.

— ვიცი ვი? ზურგს უკან ხარ ამოფარებული, თორემ...— და ჯარნა ზიზღით ჩაუფლიდა ალექსისს.

მაგრამ ეს იყო წინათ, ახლა კი, როცა სოფელში ახალმა ქარმა დაჰბერა და მოსდრიკა ძველი ხეები, შეარყია ძველი ურთიერთობა და სოფელს კვლავ ახალმა ფერმა დაჰკრა, ალმასკომში კილო იცვალეს. კოლექტივიზაციის შტაბ-ნიაც გადასწყვიტეს:

— ალექსი შევდიას, კულაკს, ჩამოერთვას ყველაფერი და ჩამორთმეული ქონება გამოცხადდეს საზოგადო საკუთრებად.

დიდი ალიაქოთი ატყდა შტაბის სხდომაზე. ზოგი ამბობდა: ჩამოვართვათ, მაგრამ ეზო და ოდა დავუტოვოთ სანამ კესა ცოცხალიაო. ზოგიც: ახლაც ჩამოვართვათ ყველაფერი, ერთბაშად. დათო რეხვიაშვილმა გაიცინა და დასტუქსა ამხანაგები:

— ქველმოქმედება ჩვენ არ გვიწერია პროგრამაში, ამხანაგებო! კულაკების მფარველობა კომუნისტებს არ შეეგნის.

— უკაცრავად ბრძანდებით, ამხანაგო დათო, ჩვენ კულაკების მფარველობას არ ვეწვეით!— ვერ მოითმინა ჯარნამ.

— აბა ეს რა არის, თუ არა მფარველობა? ეს მემარჯვენე გადახრაა! ჯარნას რამოდენიმეთ ფერმა გადაჰკრა. ენას კბილებს აჭერდა, როცა ლაპარაკობდა:

— მოვლინებულმა ამხანაგმა უნდა დავვიჯეროს ჩვენ, ადგილობრივ ამხანაგებს. ჩვენ უკეთ ვიცნობთ ჩვენს თემს, ჩვენს სოფელს. აი, მეორე კულაკი გიგო. ქაქასავით გავსწუროთ, კოვზი არ გვატანოთ სახლიდან. დაბადება ვაწყველინოთ. მაგრამ აქ სხვა ვარემოებია. სოფელს ალექსი სძულს, ზოლო კესას ამავიყვლას ახსოვს.

— სწორია!— დაადასტურეს.

— კესა ბიცოლა, ავადაა. სულს ღაფავს.

— ხა-ხა-ხა!— გადღიხარხარა დათომ.— მონურ გრძობების მორცეს ჩაუთრევია ამხანაგი ჯარნა. მყვლეფელისა და წურბელას, კულაკსა და არამზადას ბიცოლას ეძახის.— უცბად სიცილი შესწყვიტა და ისე ცივად, თითქოს ყინული ტყდებაო, უთხრა ჯარნას:— როდის მიგიღეს პარტიაში?

თითქოს სახრე გადაუშხულიეს ჯარნას. გაახსენდა: თორმეტის წლისა იყო როცა მამა მოუყვდა. დედამ ალექსის მიაბარა მოჯამაგირედ. ერთხელ უანის პირას ხარებს წყემსავედა, ერთმა აიწყვიტა და სხვის უანაში შეჭრიმ, გააფუტა სიმინდი. პატრონმა იჩივლა ალექსისთან.

— ორმოცი ძირი შეილივით ტაროიანი სიმინდი გამიფუტა.

— ბიჭო, ჯარნა, მოდი აქ!—უბრძანეს ჯარნას.

ჯარნამ კანკალით მიიბრინა.

— მოიტანე სახრე!

მოიტანა. ალექსიმ ისე გადაუშხულია სახრე, რომ ჯარნა მოჭრილი სიმინდევით წაიქცა.

— რასა შერებო? სხვის შეილსა ჰკლავ?—შეჰკვილა კესამ ქმარს.—თურქის გული გაქვს, ქრისტიანისა კი არა.

და მივიარდა ჯარნას. თავი აღწია, კალთაში ჩაიდო. ხელები ხუჭუქ თმებში ჩაუვლო, მიუალერსა. ჯარნამ კესას თვალებში ცრემლი დაინახა...

აი ეს გაახსენდა ახლა ჯარნას. თითქოს ხელახლა გადაუშხულია ალექსიმ სახრე და ხელი უნებლიედ რევოლვერისკენ წაიღო.

— რას სჩადიხარ? მააყვირეს.

როდესაც გამოერკვა, დაინახა, რომ ცანუშა ლაპარაკობდა აღგზნებით, დამაჯერებელი რწმენით, მტკიცედ. და ცანუშა ისეთი ლამაზი იყო, რომ ჯარნამ პარველად შეადარა იგი ძიბუს. ცანუშა ილაშქრებდა წინააღმდეგ.

პარტიის კრება ორად გაიყო. ბევრი იდავეს და ასეთი რეზოლუცია გამოიტანეს:

-- ჩამოერთვას ყველაფერი. დადგენილება შესრულებულ იქნას ოცდა ოთხი საათის განმავლობაში.

დათომ წინადადება შეიტანა:

— განაჩენის გამოცხადება აღმასკომის თავმჯდომარეს დაევალოს.

ჯარნამ შეხედა დათოს და პირველად, მწვავედ და მტკივნეულად იგრძნო, რომ შესაძლოა აღამიანთან საერთო გზა გქონდეს, მაგრამ ისიც შესაძლოა რომ ზოგჯერ ამ აღამიანს ხელი ჰკრა და უფსკრულში გადასჩებო. ასეთ შემთხვევაში ხელი არ აკანკალდება.

კრებამ დათოს წინადადება მიღო. შესდგა დადგენილება, დასწერეს განაჩენი. მოაწერეს ხელი.

მტკიცე ნაბიჯით გაემართა ცანუშა შინისაკენ, მაგრამ ქისკარში ბარბაცით შევიდა. მძიმე ნაბიჯით, უხმოდ ჩამოვიდა აღმასკომის კიბიდან ჯარნა. შეუთანხმდა ბათუს:

— ხვალ დილას გამოვუცხადოთ ორივემ.



ალექსის სახლში ნათესაეები შეკრებილან: კესა კვდება. მთელი ღამე ჰპორგავდა, შფოთავდა, წვალობდა. დილას დაწყნარდა. თითქოს უმჯობესობა დაეტყუა. ჩაი დალია. ძიბუს, ცანუშასა და შალვას დაუძახა, თავისთან დაისვა. ყველას ხელები შეაერთა და დალოცა. შალვას ხელი ცანუშას ხელში მოხვდა, ძიბუსი კი

შალვას ხელზე. შალვამ შენიშნა: ცანუშას ხელი ცხელი იყო და მართოდ, კბილის ცივი და წყნარი.

სამივე ტიროდა, მაგრამ კესამ ღიმილით უთხრა: მარქენული

— მე არა მიშავს რა. ის უბედურია სატირალი. ქვეყანა გადასტეკებული ჰყავს. ყველას სძულს.— ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:— ჯარნა მინდა ვნახო. ეთხოვ ჩემი ამაგი არ დაივიწყოს. ოჯახი არ გამიუბედურონ. შეილო ცანუშა, მომიყვანე ჯარნა!

ცანუშას გააერთოლა. ცრემლები გადაჰყლაბა, პირველად იტყუა კესასთან:

— ჯარნა სხვებან ვაგზავნენს...

კესა დაწინარდა. მიეძინა. ოჯახში მბეუტავი იმედი აღმობრწყინდა. მუხის ქვეშ კი, აივნის წინ, ალექსი გვეგებს აწყობს. გიგო, როსტომი და ეფრემი ყურს უგდებენ, მსჯელობენ, დაეობენ.

— მე თქვენ გეუბნებით, შეძლებული და მავარი გლუბობა რომ შეკავშირდეს, ესენი ვერაფერს გახდებიან. მთავრობა უკან დაიხვეს.

— ამ მთავრობამ უკან დახვევა არ იცის, — ამბობს როსტომი, — ხოლო მთავრობის წინააღმდეგობა ძნელია და არც ვარგა.

— მთავრობაც არის და მთავრობაც. — არიგებს ალექსი.

— ჩვენ ამ მთავრობასთან არაფერი გვაქვს საერთო. — ადასტურებს ალექსის სიტყვას გიგო.

— მე, ბატონო ალექსი, შენი რჩევა ყოველთვის მომისმენია, მიმიღია. მაგრამ ახლა ისეთი დროა, რომ ერთი ნაბიჯი გადასცდე, ერთი წლის სავალით უნდა დაშორდე სახლკარს. მე ასე ვფიქრობ: რა დამიშავა ამ მთავრობამ? არაფერი. რა მომიცა? ბევრი რამ, ბატონო ალექსი! წართმევით კი არა წაურთმევია რა. იი როცა რამეს წამართმევს, მაშინ დავემდურები და წავეჩხუბები კიდევ.

— განა ეს წართმევა არაა? კოლექტივს მისცემენ შენს ქონებას. ას მეტრიან საბანს შეკერავენ და იმის ქვეშ ჩააწვევენ ყველას.

— ეს მარტო ჩემს თავზე არ არის. რაც სოფელს მოუვა, მეც მომივა. სოფელს ვერ გამოვეითიშები.

— მაშ, შენი აზრით, დაენებდე?

— ეპე, ალექსი, განა ვიფიქრებდი, ჩემს მუხას რამე წააქცევა? მაგრამ ამოვარდა გრივალი და შუაზე გადასტეხა. ასეა ახლაც. ძალა აღმართსა ხნავს. ეგების სახლკარი მაინც გადავარჩინო და ბალი. მიწები ჯანაბას და მეწყურს წაშლია.

შალვა ბოლთასა სცემს. ყურს უგდებს მამის გვეგებს, როსტომის მსჯელობას, ხმას არ იღებს.

— შენ რას იტყვი, შეილო? — მიუბრუნდა შეილს ალექსი. — მე საიქიოს არ მიმაქვს ეს ქონება. შენთვის მიღწვია, შენთვის მიშრომიო. რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ?

— რას იზამ, მამა! მართალს ამბობს როსტომი: ძალა აღმართსა ხნავსო. მაგრამ როსტომს კიდევ ეცხოვრება აქ, ჩვენ კი ვერა. ჩვენ ესენი გავვრეკავენ.

— რას ამბობ!

— იმას რაც მევზობელ სოფლებში ხდება. ჩვენ უფლებაყრილი ვართ.

შენ მარცხ რა დაგიშავებია?

— მე შეილი ვარ შენი. ეპ!—შალვამ ხელი ჩაიქნია.—და ჩაქნეული ბელით მეტი უთხრა მამას, ვიდრე სიტყვით.

— რა დროს მოვიხარე წელში! სად არის ჩემი ახალგაზრდობა! რამდენადაა შენი გადავიდოდი. ეხლა რაღა ვქნა? ავადმყოფი კისერზე მაწევს, მეორედ მოსვლა კარზე მადგია. ეპ, გულმა რომ შეეკუმშვა არ იცოდეს, ბრანისგან გასივდებოდა და გასკდებოდა.

სიიუმე ისე ჩამოწვა, როგორც მთაზე ღრუბლები. ქისკარში ჯარნა და ბათუ გამოჩნდნენ.

— ამათ რა უნდათ ჩემს სახლში, პა?—დაიყვირა ალექსიმი

— იყუჩე, ალექსი!—დააშოშმინა როსტომმა.—მთავრობის ხალხია. არა ღირს გამწვავება. რაც გარშემო სოფლებში ხდება, ჩვენთანაც მოხდება. რა ვუყოთ.

— მაშ გულზე ხელი დაეკრიფოთ?—ცხარობს გიგო.

— მე გირჩევთ და ნება თქვენი იყოს.

უსალამოდ შეხედნენ ერთმანეთს.

— ცანუშა, წავიდეთ კესა ბიკოლასთან,—სთხოვთ ჯარნამ.

— სძინავს.—ჩუმად მიუგო ცანუშამ.

— მაინც შევხედავ. გამიხარდება.

ცანუშა და ჯარნა ფეხ-აკრეფით შევიდნენ ოთახში, ცოტა ხნის შემდეგ ფეხ-აკრეფითვე გამობრუნდნენ.

— რა უნდა მაგ ყაჩაღს?—ვერ მოითმინა ალექსიმი.

— იი რა!—და ჯარნა მიუახლოვდა გგუფს.—მე გაფრთხილებ, ალექსი, ღრიალი არ მორთო, კესა ბიკოლას სძინავს. მარტო შენ არ დაგმართინია. ყუ-ლაკებს ის მოგვზლოთ, რაც დაიშახურეთ, და აღრევე უნდა მოგვზლოდათ. ყური მიგდე: წუხელის კოლექტივიზაციის შტაბმა გადასწყვიტა: მთელი შენი უძრავ მოძრავი ქონება გამოცხადებულ იქნას სახალხო საკუთრებად და გადაეცეს კოლექტივს.—ჯარნამ ქალაღი ამოიღო—ყური მიგდე, განაჩენს წავიკითხავ.

ქარი არხვედა ქალაღს. ჯარნას ცივი სიტყვები ტყვიასვით ხედებოდა ალექსის გულს. შალვა ხეს მიყრდნობოდა და ყურს უგდებდა განაჩენს. უცნაურს, საშინელს სიცალიერეს გრძობდა.

„ამიტომ,—ესმის შალვას განაჩენის სიტყვები,—სოფლის სისტემატიური ყვლეფისა და ჩარჩობისთვის, სხვისი შრომის ექსპლოატაციისათვის, ახალი ქვეყნის წინააღმდეგობისთვის ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ ხალხის ბედნიერებისთვის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის მოსასპობად, საერთო შრომით თავისუფალი ცხოვრების მოსაწყობად, კოლექტივიზაციის შტაბი ადგენს: ალექსი შავდია გამოცხადებულ იქნას ხალხში მტრად, ჩამოერთვის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება, გადაეცეს იგი ქონება კოლექტივს, ხოლო თვითონ ალექსი შავდია გაძევებულ იქნას სოფლის ფარგლებიდან“...

— სად არის ძიბუ?— გაუელვა შალვას და წამსვე ზევიდან მოესმა:

— ვაიმე, ოჯახო!

დაინახა: აივანზე დამდგარა დედამისი, მხარქვეშ ძიბუ შესდგომია დედას თეთრი თმები გაშლია, ქარი ჰქრის და გაშლილ თმებს მანდილსავეით უფრიალებს. დედა გრძელს ყავარჯენს დაპყრდნობია და მოჩვენებასავეით ქანაობს. და მაშინ, როცა ჯარნამ წაიკითხა: „გაძეებულ იქნას სოფლის ფარგლებიდან“, კესამ შეჰკივლა:

— შვილო, შალვა!

მთელი სიმძიმით დააწვა ძიბუს მკლავებს. ვერ დაიმაგრა ძიბუმ. და კესა დაგორდა საფეხურზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

გომბოსტოვანი ზღაპარი

„1749 წლის აგვისტოს 28-ს, შუადღეს, 12 უერ დაჰკრა კედლის საათმა და მეც მოვედ-
ლინე ქვეყანას მაინის ფრანკფურტში.

მზე კარჩიბზე შემდეგარიყო. მუსტარი
და ზრნი ილიმბოდნენ, არც თუ აფროდიტი
ბრძანდებოდა გულგანაწყენი; კრონოს და ნარნი-
ხი გულგრილად მიმოიქცევდნენ, მხოლოდ
მთოვარე შეფსულად გავსილი იმეამად თეი-
სის მცხრალი არილის ციმციმს და აძლიე-
რებდა, ვინაიდან მოწუწულიყო ეამი ცთომილე-
ბის შიშოქცევია. ამ რიგად მარტოოდენ იგი
წინაღდგომოდა შობასა ჩემსა, ვიდრემდის ეამი
იგი არ გაივლიდა. გოეტე „Dichtung u.
Wahrheit“.

I. ოქროს ბავალი

ბავში მკედრადშობილი ეკონათ, რადგან ბებია ქალმა უეროვანად ვერ
უხელა შობიარეს—იოჰან კასპარ გოეტეს მეუღლეს—ფრაუ იასს. ძლივს მაჯაგანით
შოასულიერეს ახლადშობილი. ამ შემთხვევამ აიძულა გოეტეს პაპა—ფრანკფურტ-
ქალაქის მაშასახლისი ი. ვ. ტეუსტორი, განსწავლული მეანი მოეწვია და ქალა-
ქისათვის სამეანო დაეარსებინა. იმავე წლის სექტემბრის 2-ს, გერმანული წე-
სისამებრ ფრანკფურტელი გაზეთი „ორდენტლიხენ ვოხენტლიხენ ფრანკფურტერ
ფრაგ-უნდა ანცაივე ნახრიბტენ“ იუწყებოდა: „Getauft in Frankfurt Freytags
d. 29 ten 1749 J. Caspar Göthe, Jhro Röm. Kayserlich. Majestät Wirklicher
Rat, einen Sohn Johan Wolfgang.

ქართულად: „მისმა რომაულ იმპერ. უდიდ. ნამდვილმა მრჩეველმა იოჰან
კასპარ გოეტემ 1749 წ. აგვისტოს 29-ს, პარასკევს მონათლა ვაჟი იოჰან ვოლფ-
განგ“.

ასეთი მალაღბათეთიური სტილით აუწყებდნენ ქვეყანას იმ დროინდელი
გერმანელები შვილის მონათლას.

გერმანიაში განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ხოლმე სამხრეთისა და ჩრდი-
ლოეთის ტემპერამენტების განსხვავებას. რასსიულადაც ამ ორ პოლარულ უკი-
დურენობაში სხვა და სხვა ტომების სისხლი მძლავრობდა. გოეტეს ბუნებაში
ნამდვილი შერჩევა მოხდა: ჩრდილო გერმანული ხასიათის სიმტიკიცე, გერმანულ-
ტეეტონური ჯიქობა და ცისფერ თვალებიან სამხრეთელების ნაზი და გულ-
ხმიერი ალერსიანობა, რომელიც ხშირად აღმოსავლეთურსა და ლევიანტურ თარ-
სობას ემიჯნება.

დედის სისხლი სამხრული იყო, ვაჟურტენბერგიდან, ხოლო გოეტეს ოჯახი წარდილო გერმანული. მამის წინაპრების ჰეროლდიკა მე-11 საუკუნეში გამოკვლეული აქვთ გოტე-მკვლევარებს, დედის მხრით უშორესს. გენეალოგიაში შეთორნეები, ყასბები გვხვდებიან, არც ერთი მეცნიერი არ უტყუებს მათ შორის, ტექსტორების გვარს ლუკას კრანახი ენათესავებოდა.

ნუ შეგვაკრთობს ვოლფგანგის მამის პათეთიური ტიტული, რომელიც წილან ვახსენეთ. არტერნში უცხოვრია ოდითვანვე გოეტეს წინაპარს—უბრალო მკვდელს პანს ქრისტიან გოეტეს. ხოლო ამ უკანასკნელის ვაჟს ფრიდრიხ გეორგ გოეტეს ენერგია შემოუზოგავს, როგორც სჩანს და მკერვალის ხელობა აურჩევია (1657 წ.).

ბევრი უხეტილია თავის ბედის მაძიებელს ფრიდრიხ გეორგს და მამის ფრანკფურტს შეხიზნებია.

1687 წელს ფრიდრიხ გეორგ ირთავს ფრანკფურტელი მკერვალის ლუტციის ქალს ანა ელიზაბეტს. 1700 წელს გარდაიცვალა ანა ელიზაბეტ, დარჩა ლენჩად შობილი იოჰან მიხაელ და ჰერმან იაკობ გოეტე. ამ ხანებში ეს გვარი იწერებოდა Goethé. დაქვრივებულმა ფრიდრიხ გეორგმა კვლავ მკერვალის ქალიშვილი კორნელია შელჰორნ შეირთო ცოლად.

უკვე მოხუცებულ ფრიდრიხ გეორგს დაებადა გოეტეს მამა იოჰან კასპარ.



მამამ უანდერძა იოჰან კასპარს თექვსმეტოდე ათასი ოქროს გულდენის ქონება. მანვე შეძინა ფრანკფურტში ჰირშგრაბენზე ის სახლი, რომელსაც გოეტე აგვიწერს „პოეზიასა და სინამდვილეში“. ყრმა გოეტეს ცნობიერებაში დარჩენილია ჰირშგრაბენის ქუჩის სახელი (ჰირშ—ირემი, გრაბენ—თხრილი). ბავშვი დაინტერესდა რად ერქვა ამ ქუჩას ამგვარი სახელი, ვინაიდან არც ირემი და არც თხრილები არსად იყო. უამბეს ყრმას: ქალაქ ფრანკფურტს აქ ირმების ქართა ჰქონია გამართული. ფრანკფურტის სენატი ყოველწლიურად დღესასწაულებს აწყობდა და საამისოდ ინახავდნ თურმე ირმებს, ხანაც ამ ირმებს მტრების მიერ ალყა-შემორტყმული ქალაქი შავი დღის საზრდოდ იყენებდა.

გოეტეებთან სახლის უკანა ფასადი თვალუწვდენ ბალებს გადაჰყურებს. აქვეა კეგელის მოედანი. მეორე სართულზე მდებარე „ბაღის ოთახის“ ფანჯრიდან ხედავს პაწია ვოლფგანგ ბუნების სტიქიონების ცვალებადობას: ყვავილთა ფურცლობას, ხილის მოსვლას, ფოთოლთა ცვენას, წვიმას, ქუზილს, ვლვას და სეტყვას. ხანაც კეგელის რაკარუქს ისმენს. მახლობელ ბალებსა და ეზოებში მეზობლების ბალები კეგელს თამაშობენ, ხილს ჰკრეფენ და მზიარულად ეივნიან. დედამამა მოწადინებული იყო: ბავშვები შიშს გადასჩვეოდნენ, ამიტომ მარტოკა უნდა წოლილიყვნენ განკრძობებულ ოთახში. მუდამ მზიარული, ქველი და სათნო ფრაუ აია ხერხს მიმართავს: საჩუქრებს პირდება ბალებს, უკეთეს ისინი შიშს დასთრგუნავდნენ. რა უნდა მიეღო საბადლოდ უმამაცესს? სურნელოვანი, წითელლოყება ატმები. ატამი ჩვეაში ჩვეულებრივი ხილია, ევროპაში მას შორეული აზიის ნელსურნელება თან ახლავს.

ბავშვი იზრდება კეთილად მოწყობილ ოჯახის კომფორტში. საიმპერიო მრჩეველი იოჰან კასპარ გოეტე ფრანკფურტელი პატრიციუსის კვალობაზე

სცხოვრობს, მისი სახლის სასტუმრო დარბაზების კედლებზედაც ხატბეჭდილია ფრანკფურტელი პატრიციის განსწავლისა და მოგზაურობათა ნატურალი. ერთ ერთ დარბაზს რომელი პროსპექტები ამშვენებს. კედლებზეც ხატბეჭდილია რომის სანახები: პიაცადელ პოპოლო, კოლიზეო, სან პიეტრო, პანტეონის ციხე და ტიბროსის ნაპირი. ოჯახში იტალიური ხელოვნებისა და ენის კულტი სუფევს. გამოცდილი იტალიელი პედაგოგი ჯიოვინაცკი ოჯახში დადის. ხან და ხან მღერის ფრაუ იას აკომპანიმენტს ქვეშ. პაწია ვოლფგანგიც მასგან სწავლობს Solitario bosco ombroso-ს, ვიდრემდის სიმღერის ტექსტს შეიგნებდა.

ოჯახის მამას მოეპოვება იტალიიდან ჩამოტანილი მარმალილოს კოლექციებიც.

მამა მხიარულია და გუნებიანი, მუშაობის შემდეგ ოჯახში ერთობა და სწავლობს. მთელს ოჯახს შეგნებული აქვს ტრივიალური სიბრძნე: სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდება.

თავისუფალ საღამოებს ოჯახი დიდდენასთან ატარებს. აქ ბავშვების გასარბად დედოფალების სპექტაკლი იმართება და პატარა ვოლფგანგი ძლიერ ერთობა ამ ამბებით. სავსებით ახალ სამყაროზე აეხილა თვალები ბავშვს.

ვოლფგანგი ფრიად გრძნობიერია და შთაბეჭდილებათა იოლად მიმღები. სულ სამიოდე წლის იყო იგი, როცა ერთი რამ მოხდა, რაც ასე ახასიათებდა თვით მიხრწნილებამდის მისულს.

მეზობლისას სტუმრად წასულმა პაწია უშნო, მახინჯი ბაღლი შენიშნა, მყისვე უმწერო ღრიალი მორთო და ენერგიულად მოითხოვა ის ბავშვი გარედ გაეყვანათ.

ფრანკფურტი კარლოს დიდის მიერ დაარსებულია, კაროლინგებისა და ჰოჰენშტაუფების სატახტო, ხოლო მე-18 საუკ. თავისუფალი ქალაქი.

იმ ეამად ფრანკფურტი ჯერ კიდევ საშუალო საუკუნის იერს ატარებდა.

ირგვლივ ქონგურებიანი ციხეები ერტყა, ვალლები და სიმავრეები, ვიწრო აზიური ქუჩები და ქუჩაბანდები მრავლობდნენ.

პატარა ვოლფგანგს ძლიერ უყვარს მაინის ხიდზე გასეირნება.

ამ ხიდის ბუმბერაზული სიმკვრივე, სიმტკიცე და დიდებული აღნაგობა მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ყველაფერზე უფრო მეტად მის ხედვას ატყვევებს ხიდის თავზე აღმართული ოქროს მამალი. ჩამავალი მზე კაშკაშებს ხოლმე მის ბიბილოზე და მოოქროვილ ფრთებზე, და ეს ძლიერ მოსწონს ვოლფგანგს.

ხიდს გაღმა გადადის ბავშვი „ლენის ბაზარში“ და აქ მის წარმოდგენას ახალი და ახალი სანახაობანი ართობენ: აყლაცუნა ელევატო რები, რომე ლთაც უშველებელი ტვირთი გადმოაქვთ ნაპირზე მოჯარულ მდინარის გემებიდან. ამ გემების ნაპირზე დგომაც დიდ სიბარულს ჰგვრის ვოლფგანგს. ახალი და უჩვეულო საქონლის გადმოზიდვა, მრავალგვარი უცხო და უცხო აღნაგობის ადამიანების დანახვა. მერმე ცნობილი ებრაელთა შუკა, გროტესული ბიბლიური სანახაობა. ქალაქის სიღრმეში შეიწვეს ბაღლი იქითკენ, სადაც ახლაც ბათლომეს ეკლესია იმყოფება, აქვეა ზაალჰოფ, რომელიც იმავე ადგილასაა აღმართული, სადაც კარლოს დიდის სასახლე ოდესღაც მდგარა.

გაცხოველებული ფუსფუსია ყასბების დაზგების წინაშე და სისხლიანი, კისერგამოლადრული ცხოველების ნახეა ზიზლსა ჰგერის პაწია კელეფანგს. სამაგიეროთ გასკდება, თუ არა ბაზარს, თვალწინ გადაეშლება კელეფანგის სისხლიანი საამური სანახები.

აქვეა ძველი ფრანკფურტის უბანი. ქალაქის წრეში მოთავსებული მრავალი პაწია ქალაქი, საშუალო საუკუნეების სიბნელე და სიტლანქე გამოიყურებიან ხავსმოდებული კოშკების, გალანების, სიმაგრეების ქონგურებს შორის. ყოველგან თხრილები, გალანები, კოშკები, ხიდები, ყოველგან წარსულის და აღსრულებულის ქვაზე ანაბეჭდი ნატერფალი.

ვოლფგანგის წარმოდგენაში გარდაუვალ შთაბეჭდილებას სტოვებს ძველი ქალაქის საბჭოს სახლი—„რატაუს“, რომელსაც „რომერს“ ეძახდნენ. ქვედა ხართულში რათული და დახლართული ლაბირინტებია გამართული.

ბავშვი ზედა ხართულში აღის და სენატი; სასხდომო დარბაზს ათვალერებს.

იმ დროინდელი საზოგადოების კლასობრივ დაყოფას სენატის დარბაზში გამწკრივებულ სკამებზე შეატყობს კაცი. პირველ წყებაში ისხდნენ შოფები (მოსამართლენი), ერთ კუთხეში შულტაის—მამასახლისი. იმავე წყების მეორე ნახევარი საბჭოს ბატონებს ეკუთვნით. ხოლო მესამე წყებას ხელოსანთა წარმომადგენელი იკერენ.

პორფირის შპალერები ამკობენ დარბაზებს. ცნობის მოყვარე ბავშვი ყურადღებით აშტერდება კედლებთან დარაზმულ გერმანიის უთვალავ კაიზერების მარმალილოს ბაუსტებს.

შინ კი ბავშვს უამბობენ ისტორიულ ანეგდოტებს. ამ ანეგდოტებში ტყუილი და მართალი ძნიად გასარჩევია. იმპერატორების კურთხევის ცერემონიები, კარლოს დიდის, რუდოლფ ფონ ჰაბსბურგისა და სხვა ისტორიულ გმირების შესახებ შეთხზულს თუ განაგონ.

ეს იყო დაახლოებით ის დრო, როდესაც პრუსიის მოფილოსაფოსე მეფე ფრიდრიხ დიდი (ინიკურად ოხუნჯობდა: „ევროპას სამი უდიდესი ბოზი განაგებსო“ (იგულისხმებოდა აესტრიის მარია ტერეზია, საფრანგეთის პამპალური და რუსეთის ელისაბედი).

ცხადია; ასეთ რამეებს ყრმა გოეტეს არაეინ უამბობდა, წინააღმდეგ, წმინდანთა სწორად უსახეაღნენ მარია ტერეზიას ვითომდა „ლეთისმშობლურ“ სიქველეებს და აღტაცებულ ამბებს სთხზავდენ ფრანც პირველისა და ფრიდრიხ დიდის საგმირო საქმეების შესახებ.

ქალაქში მონარქისტული ცერემონიები და ზეიმები იმართება, მოქალაქეთათვის უდიდესი ვალი იყო ამ ცერემონიებისათვის ღია ფანჯრებიდან ემზირათ, ან არა ქუჩებში გამწკრივებულებს ქუდმოხდილი ეყვირათ: „ვიგატ“ (იკოცნოს). სხვაგვარი გასართობებიც მრავალი იმართებოდა ფრანკფურტში და ესეც ფრიად დამახასიათებელია ეპოქის სულისთვის. ქალაქის კიშკრიდან ნახევარი საათის სავალზე გოგირდის წყაროა ფრანკფურტში. ამ წყაროსთან ყოველ წლიურად, განსაზღვრულ დღეებში, ირგვლივ მღებარე ველებიდან გროვდებოდნენ მწყემსები და მათი ჯოგები. აქ მართავდნენ მწყემსები და მწყემსი ქალები ტამ-

ფანდურას, ასე ერთობოდა უბირი ხალხი და პატარა ვოლფგანგი არტაქცებაში მოჰყავს ამ ამბებს.

მუდამ ბეჯითი, სერიოზული და საქმიანი მამა თავის კანცენტრუმ-შეშაობს. პატარა ვოლფგანგის ყურადღებას იწვევს სანაქებოდ დაკავშირებული წიგნები, პოლანდურ გემოვნებაზე აკინძული ლათინური ავტორები, უწარჩინებულეს-იტალიელ პოეტების ქმნილებები, ტორკვატო ტასოს ტომები საპატიო ადგილას უწყევია მამას. აქვეა იმ დროინდელი მოგზაურობის წიგნები; ამ ხანებში ევროპა მგზავრობას სწავლობდა. აფრიკა, ავსტრალია, ინდოეთი, ამერიკა და აღმოსავლეთი ახალსა და ახალ ავანტურისტებს, ინგენერებს, კომერსანტებს, მოგზაურებს, ბედისა და ოქროს მაძიებლებს იზიდავდა. ევროპელ მწერლების ფანტაზიაც არ სთვლემდა.

ამ ბიბლიოთეკასვე ამშვენებდა მალალ განსწავლულ იურისტების, სჯულისმდებელთა ფოლიანტები და ტომები.

როგორც მთელს ოჯახში, ისე მამის სამუშაო ოთახში და საკოლეციო-დარბაზებში გერმანული ბეჯითობის, სისუფთავის, წესრიგიანობის კულტურა გამეფებული. გადიები და მსახურნი ბიბლიურ ზღაპრებს უამბობენ ყრმას. ასეთ მყუდრო, ტფილ, უზრუნველყოფილ და განათლებულ მამის ფრთენი იფარავენ ყრმა გოეტეს ბალღურ სიზმრებს, მაგრამ 1755 წლის 1 ნოემბერს მთელი ევროპა შეაძრწუნა ლისაბონის მიწისძვრამ. მდიდარი და დიდებული სატახტო ქალაქი ელვის უსწრაფესად დაემხო. ზღვა აზვავდა და წყალმა ქუჩები დაფარა. სახლები ბავშვების ხუხულებსავით ერთი მეორეს შეაღწეა, ეკლესიების გუმბათები შეავიფით ძირს დაეშენ. 16,000 ადამიანი მოისრნა. ვინც გადაარჩა ყაჩაღებს და მძარცველებს ჩაუვარდა ხელში, ამ კატასტროფამ შემზარავი შთაბეჭდილება დასტოვა საშუალო საუკუნის ქრისტიანულ ცრუმორწმუნოებით გაქცეული ევროპის მოწინავე ადამიანებზედაც.

როგორ? მამ ყოვლად-მოწყალე და ყოველთა მფარველ უფლის ამბავი ზღაპარი ყოფილა და ხუცების მიერ მონაჩმანი? არა ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ამ საშინელმა კატასტროფამ ყრმა გოეტეს წარმოდგენაზე. ყოველივე ამას ისიც ზედ დაერთო, რომ მომდევნო წლის ზაფხულში საშინელი სეტყვა მოვიდა და გოეტეს საწოლი ოთახის მინები ჩალეწა, ახლად ახალი ავეჯი დაახინა, ბალბოსტანი დასეტყვა და გააჩანავა. თავზარდაცემული მოსამსახურენი მუხლებზე დაეცნენ და შემზარავი ღრიალით ევედრებოდნენ შვედრომებს უწყალო ღმერთს. მხოლოდ გოეტეს მამა არ დაბნეულა, ზეწამოიჭრა, დარაბები დაგმანა და რამოდენიმე ფანჯარა დამსხვრევას გადაარჩინა.

ამ ფაქტმა პატარა გოეტეც ძლიერ დააფიქრა და სწორედ ამის გამო აღვიარა კიდევაც: „ლისაბონის მიწის ძვრამ ღმერთის სიტყველში ასე თუ ისე დამაეჭვაო“.



მამა ძლიერ იკვნეულად ექცეოდა თავის თანამედროვე პედაგოგებს, ამიტომაც თავად ერეოდა შვილის აღზრდის საქმეებში. ეს იყო ისეთი დრო, როდესაც პოეზიას, იტყვანუბილ მეტყველებას დიდის დნობით ექცეოდნენ და

სხვა და სხვა მეცნიერულ დისციპლინებს გაღიქმულად სწავლობდნენ, მაგალითად გეოგრაფიასა და გრამატიკასაც.

Ober-Jssel; viel Morast.

Macht das gute Land Verhasst.

ერყენული
ნივლიერება

კვირაობით ბავშვებს თავს მოუყრიდნენ. ყოველ მათგანს საკუთარი ლექსი უნდა ეთქვა. განებვირებული ვოლფგანგი თავის ლექსებს სხვის სხვის ლექსებზე უკეთესად სთვლიდა. მალე დარწმუნდა ჩვილი პოეტი რომ სხვებიც ასევე დარწმუნებული იყვნენ საკუთარ ლექსების უპირატესობაში. იმეამად ჯერაც არ ჰქონდათ შეგნებული, რომ ბავშვებს საკუთარი იდეური სამყარო მოეპოვებათ და, მაშასადამე, საკუთარი ბიბლიოთეკა უნდა მიუჩინო. კიბლინგი ჯერაც არ იყო დაბადებული და არც ფრანგული, ინგლისური და გერმანული პირველხარისხოვანი საბავშვო ლიტერატურა არსებობდა.

ასე რომ პატარა ვოლფგანგი შორიდან შესცქეროდა მამის ბიბლიოთეკის სქელტანიან ფოლიანტებს და პოლანდურ და ფრანგულ ყიდაზე გამოცემულ-კლასიკოსთა ქმნილებებს.

ამგვარად პატარა ვოლფგანგი კითხულობს ამოს კომენუსის Orbis pictus, გოტფრიდის ქრონიკებს, „მსოფლიო ისტორიის უშესანიშნავეს ამბებს“, Acerra philologica, ოვიდის მეტამორფოზებს, ფენელონის ტელემახოსს და რობინზონ კრუზოს. რომელ თაობას არ გაუხარია რობინზონ კრუზოს ავანტურებით!

გარდა ამისა, გლობუსს უტრიალებს პატარა ვოლფგანგი და ეძებს იმ წერტილებს დედამიწის ორივე ჰემისფეროზე, სადაც მსოფლიო მოგზაურს ღორდ ანსონს გაუვლია.

ჯერაც არ იყო ევროპაში წიგნის კულტურა ისეთ დონეზე, როგორც დღეს არის, წიგნებს საშრობ ქალაქებზე ბეჭდავენ.

მიუხედავად ამისა, აღრე შეიყვარა წიგნები პატარა ვოლფგანგმა და ფრანკ-ფურტელ ბუჩინისტებთან ორიოდ გროშად ყიდულობს იგი ოაღენშპიგელს, ზღაპრებს, მითოლოგიურ ლიტერატურას, მშვენიერი მეღუზინას ამბებს.

იმ დროინდელ გერმანიაში ჯერაც საშუალო საუკუნის შემკვიდრება მძლავრობდა. ეამი, კეთრი და ყვავილი მუსრს ავლებდა ხალხს. აცრას ჯერ კიდევ იჭვის თვალთ უცქეროდნენ. ზოგიერთი ავანტურისტი ინგლისელი ევროპის ხმელზე გადმოდიოდა და ფრიად წარჩინებულ ოჯახის წევრებს უტრიდნენ, უშველებელ ჯილდოს ღებულობდნენ გასამრჯელოდ. უსახსრო ხალხს მუსრს ავლებდა ეპიდემია, ხან და ხან მდიდრებიცა და განათლებულებიც ვერ ბედავდნენ ამ ახალ „ჯადოქრულ“ საშუალებისადმი მინდობას.

პატარა ვოლფგანგს ყვავილი შეეყარა. მთელი სხეული წითელი ფოთლებით მოფინა. სასოწარკვეთილი დედ-მამა შესაძლებელ საშუალებებს არ ზოგავს და ვოლფგანგს ოქროს მთებს აღუთქვამენ, ოღონდ გასაჭირს გაუძლოს და ფხანას აერიდოს. გველის პერანგსავით გაშვრა კანი ვოლფგანგს და სნეულების მოხდამ სიცოცხლის „წყურვილი“ გაუორკეცა.

აეადობან დააფიქრა ვოლფგანგი. დარწმუნდა: ცხოვრება მარტოდნენ თამაში არ ყოფილა, მშვენიერ სურათების მხერა და ლამაზად დაკანულ წიგნების კითხვა.

ზედიზედ გარდაიცვალა ოჯახში რამოდენიმე და-ძმა, პატარა, უმცროსესი დაიკოს მშვენიერი და სათნო სახე დაამახსოვრდა ვოლფგანგს, მაგრამ მალე ისიც საღალაღ გაჰქრა.

წინდასულები და პურიტანი მამა ძლიერ დააფრთხილეს სიკვდილიანობამ და ავადობამ და პატარა ვოლფგანგს უფრო მაგრად მოუჭირეს პედაგოგიური არტახები.

ამიტომაც ვოლფგანგი სიამოვნებით მიიწევს პაპისა და დიდდედის ოჯახისაკენ. ესენი ფრიდბერგის შესახვევში სცხოვრობდნენ, ერთ ძველებურ სახლში, რომელიც ოდესღაც ციხე უნდა ყოფილიყო. ამ სახლის ტალანიც ისეთივე პნელი და ვიწრო იყო, როგორც ციხე-სიმაგრეში შემავალი გზა.

განსაკუთრებით ბალი უყვარს პატარა ვოლფგანგს, პაპის რულდუნებით მოვლილი ბალი. ლოყა წითელი ატმები ამშვენებენ ამ ბალს და ნარგინი, იასამანი და თეთრი ვარდის ბუჩქები. პაპა ძველი მოხელეა, ქალაქს აქვს ხელი გაწვეული და ამიტომ ტყავის ხელთათმანები წამოუცვია ხელებზე და ისე მუშაობს. პაპას შინ ყოფნის დროს მუდამ ანათორის მაგვარი შლაფროკი აცვია, თავზე ნაოჭებიანი ხავერდის ქუდი ახურავს, ასე რომ იგი „საშუალო კაცია ალკინოუსსა და ლაერტესს შორის“.

ძველი, ფრანკფურტელი პენტეტული მოხელე ისეთივე დიდის სიბეჯითითა და გულმოდგინებით უვლის თავის ბალს, როგორც თავის სამსახურს ასრულებდა.

დილით ადრე იგი ქალაქის საბჭოში მიდის, საქმეებს მოაგვარებს, ყოველივეს დროზე შინ ბრუნდება, ისაუბრებს, ოდნავ წასთვლემს და ბალს მიაშურებს. ყოველი დღე მეორესა ჰგავს, ისე როგორც თავად იგი მუდამ ეამს თავისთავს. იგი მუდამ ოლიმპიურ სიმშვიდით ეგებება დღის წასვლას და დღის მოსვლას, ცოტას ლაპარაკობს, არასოდეს სიფიცხეს არ იჩენს და არც არასდროს უნახავს შეილიშვილს განარისხებული პაპა. მისს ბიბლიოთეკაშიაც იურიდიული წიგნები სჭარბობენ. სხვა დანარჩენი მოგზაურობის მემუარებია, აღმოჩენათა და ახალი მატერიკების, პლანეტების ამბები.

მაგრამ თავის ნაკითხობის და განსწავლის მიუხედავად ვოლფგანგის პაპა ტიპიური შემკვიდრეა ძველი საუკუნოების ცრუმორწმუნებისა, მაგალითად, მას სიზმრები სჯერა უთუოდ და ყოველთვის, ქალაქის საბჭოში არჩევის წინ, სიზმარში ზედაეს თუ რამდენ ხმას მიიღებს, ან აირჩევენ თუ არა.

ბავშვის ხსოვნაში აღაბეჭდა მაზიდების სახეებიც. ერთი მათგანი ფრიად ექსცენტრიული იყო, იგი დიდ თავყვანს სცემს გრაფებსა და მეფეებს და როცა იმპერატორმა კარლოს მეშვიდემ ფრანკფურტში გამოიარა „ვიფატ“ შესძახა თორმე და ფრიად სასახელოდ მიიჩნდა რომ „იმპერატორმა ქუდი მოუხადა“. მეორე მამიდის სახლში გოეტემ პირველად გაიცნო ჰომერი, მაგრამ პროზაულ თარგმანში. ამ თარგმანს ფრიად კუროზული სათაური ჰქონდა: ჰომერის მიერ აღწერილი ტროიას სახელმწიფოს აღების ამბავი, ფრანგული ილლუსტრაციებით. და სწორედ ილლუსტრაციები ისეთი უგემური იყო, რომ ბავშვის ფანტაზიას მხოლოდ ფრთას თუ შეაკვეცდა.



ფრანკფურტელ ოჯახების მყუდროება დაარღვია ერთმა ამბავმა. აგვისტოს 28-ს, 1756 წელს, ფრიდრიხ დიდი, პრუსიის მეფე თავისი ცხელი სიტყვებითაში შეიქრა. ცნობილია, იმ ეპოქად პრუსია ახლად გაძლიერებული სახელმწიფო იყო, ფრიდრიხ დიდი მარია ტერეზიას ებრძოდა გერმანულ ტომებში პოლიტიკური პირველობის მოსახვეჭად. ფრანკფურტი თავისუფალი ქალაქი იყო და იქნეულად შესცქეროდა წელში გამართულ პრუსიულ იმპერიალიზმის რკინის ქუსლს. ისიც უნდა ითქვას, რომ ფრანკფურტში ფრიდრიხის მომხრენიც აღმოჩნდნენ. ზოგი მარია ტერეზიას აქებდა, ზოგიც ფრიდრიხ დიდს, ზოგი ერთს აძაგებდა, ზოგიც მეორეს.

გოგუტანთ ოჯახიც ორ პარტიად დაიყო, პაპა ტექტორი ცხადია მარია ტერეზიას მხარეზე აღმოჩნდა, გოგუტეს მამა ფრიდრიხ დიდს თანაუგრძნობდა.

ლეგიტიმიურობის ზღაპრებით გამოკვებულმა ევროპამ ისტერიული ყიყინი ასტეხა. საფრანგეთი ავსტრიას წამოექომაგა. Pn fou!) მიახალა ლუამ ფრიდრიხს, „სატანა“, „ბარბაროსი“, „ჩრდილოს ტევტონი“, ყვიროდნენ დიპლომატები, პრუსია, სასახლის დამები და კურტიზანები.

II. პარიზი, პარიზი, ნარპიზი, ნარპიზი...

ეზმანა პატარა ბიკუნას, ოქროს კულულიან ვოლფგანგს: სარკესთან დგას, კოხტობს, ახალ, სავაზაფხულო ტანისამოსს ისწორებს. ფარჩა და ხავერდი, ფარჩა და ხავერდი, გახამებული, ხუჭუქა თეთრი ბატისტის მალალი საყელო, ძვირფასი ტყავის ფესაცემლები, საუცხოვოდ ნაქსოვი წინდები, მოკლე, შავი შარვალი, მწვანე ბერკანის²⁾ ქაკეტი, ვერცხლის ქამარი.

ყველაფერზე უფრო მოსწონს ვოლფგანგს ოქრო მკედით ნაქარგი ქილეტი. კულულები, სიმინდის ნორჩი ფიმფას ფერი კულულები ისე ადგია საფეთქლებთან, როგორც ამურის ფარფატა ფრთები.

თნები კოკმაზურად დავარცხნილი აქვს, სახე მეთვრამეტე საუკუნის გემოზე შეპუდრული.

იცვამს და ირთვება ვოლფგანგი, მაგრამ სამოსი ისევე უსხლტება ხელიდან, როგორც ტანტალს პეშვიდან წყალი; ჩაიცვამს ერთს, სრიალით ვარდება იგი ძირს. ახლა სხვას წამოავლებს ხელს და ისიც ხელიდან უცურდება. ამ დაუსრულებელი ფათურის დროს ვიღაც ახოვანი, თვალტანადი, პირმშვენიერი კაცი შემოდის ოთახში. მიესალმა თავაზიანად ვოლფგანგს, მოეაღერსა, მოთანი სიტყვა გადაუდგო.

— მშვიდობა თქვენს მოსვლას, ბატონო ჩემო. ფრიად საამოა ჩემთვის თქვენი ზღება, ბატონო ჩემო.

სტუმარი ღიმილით გკითხება:

— როგორ მიტანიო?

¹⁾ გიჟი.

²⁾ ბერკანი აქლემის, ან თბის ბეწვის სუფთა ნაქსოვი, ქართულად—თიფთიკი.

— როგორ თუ არა! თქვენ აკი აფროდიტი ბრძანდებით. მრავალჯერის მინახეხართ ქალაქებზე თუ მარბალილოზე გამოხატული.

— ღმერთებმა წარმოგზავნეს შენთან, ფრიად დიდი ამოცანა შეგქმნა — ნაკისრები. აჰა, ხომ ხედავ ამ სამ ვაშლს?

ხელი გამოიშვირა აფროდიტმა და ვაშლები გაუწოდა ვაეს.

ერთი წითელი იყო, მეორე ყვითელი, მესამე მწვანე. ვაშლები? დიახ ვაშლები იყო, მაგრამ პატიოსან თვლებს ჰგვანდა, ვაშლის ფორმაში გამოკვეთილ პატიოსან თვლებს.

ვოლფგანგმა ხელი გაუწოდა, უნდა გამოერთმია, მაგრამ აფროდიტმა უკანვე წაიღო ვაშლები.

— იცოდე, ეს ვაშლები შენ არ გეკუთვნის, სამივე შენვე უნდა დაურიგო ამ ქალაქის სამს ულამაზესს ქაბუქს, რათა მათ ამ ვაშლებით ულამაზესი საცოლეები აირჩიონ, აჰა, წაიღე და ასე ჰქენი.

გამოართვა ვაშლები ვოლფგანგმა და ხედავს: ჰიმე! ვაშლები კიდევ უფრო გაზრდილან, კიდევ უფრო დამსხვილებულან! ასწია ხელით საწინოე. ხედავს: გამსჭვირვალენი ყოფილან! გაუსხლტა ხელიდან ვაშლები. სულ ზევით, სულ ზევით აიჭრენ, გაგანიერდნენ, გაიზარდნენ, გამსხვილდნენ, გადაიქმნენ და ვაშლები სადღაა? სამ მშვენიერ ქალწულად ქცეულან! სამნივე მოზრდილ დედოფალების ოდენა მზითუნახავები. და ეს მზითუნახავებიც იმავე ფერით მოართულან, როგორც ის ვაშლები...

ერთი წითელი, ერთი ყვითელი და ერთიც მწვანე სამოსიანი. შეფრთხილდნენ, შეიჩხნენ, აცოცდნენ ქაბუქის თითებზე და აჰა, ვოლფგანგს ეს უნდა: ხელი წაეღოს მზითუნახავებს და არ გაუშეას, მაგრამ ისინი ელვისებრ სწრაფად აფართატდნენ ზევით, სულ ზევით...

სდგას გაშტერებული, ვაოცებული ვაეი, თითებზე იხედება და თითებზე აღრაცერი დარჩენილა. მაგრამ ჩუ! ერთ თითზე პაწია, სულ პაწია უნატიფესი, უნაზესი, უმშვენიერესი მზითუნახავი დარჩენილა და ცეკვავს იგი ვოლფგანგის თითის წვერზე. გაჩნა თუ ერთ თითზე გაჩერდა, ხან საჩვენებელ თითზე ცეკვავს, ხან შუა თითზე, ხან ცერზე და ხან ნეკზე. შეჰყურებს ქაბუქი ამ ამბავს და უკვირს. მოიკრიფა ღონე ვაემა, კმარა ცელქობა, უნდა შეიპყროს... ჰოპლა!.. ვილაკამ თავში ჩაჰკრა მაგრად და წაიქცა ვოლფგანგი. თვალი გაახილა ვითომდაც... ვითომდაც წირვაზე წასვლის დროც მოწეულა. ნასადილევს უკვე მეგობრების სანახავად გაემართება ვოლფგანგი, ხომ უნდა აწვენოს ტოლებს ახალი ქუდი, ახალი ტანისამოსი. ამჟამად მიდის ქაბუქი, წელზე ხრმალი ჰკიდია თავმომწონეს. მაგრამ შინ არავინ დაუხედა.

და მიდის მარტოკა ვოლფგანგი, თავის გზას მიჰყვება გულამაყი.

იარა, იარა, იარა, მიაღდა ჯილას უშველებელს. უარა გარს, თანაც სამ მზითუნახავზე ფიქრობდა, ის ერთი ფერია გულში ყავს ქაბუქს ამოჭრილი, ნეტავი მოვიდოდეს ის ქველი ფერია და კვლავ იცეკვავდეს ვოლფგანგის თითებზე. ხედავს: მხარმარცხნით გალავანში კარია, მცირე რამ კისკარი, სადღაც, ოდესღაც უნდა ჰქონდეს ეს კარი ნანახი.

ქისკარიც რომ საოცარია? მოყვითალო მოძველებული ძელი, და ძელზე რვალის ტოტებია ნაქანდაკები და ამ ტოტებზე პაწია, საყვავილო ყუბუნები ჩამსხდარან. გარნა თუ უსულო, ცოცხალი ჩიტუნები ჟივიან!.. მაგრაჰ ქისკარს საოცარი ის არის, რომ ამ ქისკარს არც კლიტის ქუჭრუტანა გააჩნია, არც სარკვი რკინის რიკი ჰქილია ზედ, ცხადია: შიგნიდან თუ აღებენ ამ კარს.

მაგრამ დახეთ, მიუხალოვდა ვოლფგანგი კარს და შეახო ხელი თუ არა, იგი წამს შეიღო და ვიღაც მაღალი, სუდარისებურ სამოსში გამოწყობილი კაცი წარუდგა სტუმარს. გრძელი და კრძალვის აღმძვრელი წვერი ამშვენებს ამ კაცს. ნეტავ ებრაელი ვინმე თუ არის, ფიქრობს ვოლფგანგი. მაგრამ თითქოს ამ კაცმა ვაჟის ნაფიქრალი უსიტყვოდ შეიცნოო, მყისვე პირჯვარი გარდაისახა, სწორედ კათოლიკური პირჯვარი.

—ქაბუკო ჩემო, როგორ მოსულხართ თქვენ აქ, ან რა გნებავთ?

—შე ამ ქისკარის ნაკეთობას შეესტკეოდი მხოლოდ, ბატონო ჩემო, რაკი ამგვარი რამ ჯერ არასოდეს მინახავს.

—ფრიად მახარებს, ამგვარი ნამუშევარი რომ გყვარებიათ, ქაბუკო, მაგრამ შიგნით შეზობრძანდით და უკეთესს რამეებს ნახავთ.

შეკრთა ვოლფგანგი და კარი ბქესთან შეყოყმანდა. არ მოსწონს ამ კაცის ჩაცმულობა, გული ერევია, თრთის. მის წინაშე ბალია, ნამდვილი ბალი. და ბალში მაღალი, უზერდილიანი ცახხვები შენიშნა. მოხუცი შეკარე ეპატიემა, ვოლფგანგი ყოყმანობს, მაგრამ რა საკადრისია, მას აკი ზრმალი არტყია წელზე.

ლინკილებისგან ნაგები ნიშები, მარჯნისა და რვალის საფეხურები, უშველებელი, ხახა-დაბმენილი ტრიტონები წყალში აფრქვევენ პირიდან და ეს წყალი მარმალლოს დიდ გეგებში ისხმება.

ზღვის ღორები დასრიალებენ წყალში, მწვანეში ციყვები დაბტიან.

სირთა სტვენა გაისმის და მზიარული ჟივილი.

შოშიები ჭყივიან, ჟივიან. ერთ-ერთი მათგანი კი წარამარა იძახის:

—პარიზი, პარიზი,—ხოლო მეორეს მოძახილი გაისმის: ნარგიზი, ნარგიზი. ისე მკაფიოდ, ისე გარკვევით იძახიან შოშიები ამ სიტყვებს, თითქოს შეგირდი განაკვთს იმეორებსო: პარიზი, პარიზი, ნარგიზი, ნარგიზი!..

ვოლფგანგმა უკან დაიხია და კარს მიუხალოვდა, მაგრამ აქედან თვალი ჰქიდა ოქროს მესრებით შემორაგულ ბალის შუაგულს. როცა კარი გაიღო, ყრმა ეუბნება მოხუცს:

—თქვენ ფრიად თავაზიანი იყავით ჩემს მიმართ, მაგრამ ნება მიბოძეთ ერთი წადილიც გაგიშვილოთ, ეგებ ნება დაგერთოთ ბალის შუაგულიც დამეთვალიერებინა.

—სიამოვნებით, მაგრამ ერთი პირობა...

—შაინც?..

—თქვენი ზრმალი და ქუდი აქვე დასტოვით, ოღონდ არ მომცილდეთ.

—სიამოვნებით,—უპასუხა ვოლფგანგმა, ქუდი და ზრმალი ქვაზე დასტოვა. მოხუცმა მარჯვენა ხელი მარცხენაში წააელო ვოლფგანგს და გაემართენ.

აჰა, მიუხალოვდნენ ოქროს მესრის და ხედავს ყრმა უჩვეულოსა და უნახავ რასმეს:

უშველებელ მარმალილოს კვარცხლბეკზე უამრავი შეუბები დაჯიშულიყო. მათი წვეტები გერილიაშემო დაერაზმათ. შეუბების არეში ხეფავე ვოლფვანგი ოქროს და ვერცხლის თევზები დაციგლივობენ. გაღმა გასტყობ მარჯვენა კვაწვილს, მაგრამ გაღმა გასასვლელად სამოსის გამოცეცა საჭირო აღმოჩნდა.

მდიდრულად მორთულ დარბაზში შედიან, აღმოსავლეთის ყაიდაზე ნაკერი სამოსი პკიღია ირგვლივ. ვოლფვანგმა ტანისამოსი გამოიცვალა. კვლავ სარკეს მისჩერებია თავმომწონედ ქაბუკი. ხტის და როკავს აღტყინებულთ. ვოლფვანგი სთხოვს თავას მეგზურს არქის გადაღმა გადაყვანას. გზაში ოქროს მესრები უნდა გაიარონ. დააკვირდა ვოლფვანგი ოქროს მესრებს და ხედავს შეუბების ტყე შეტოკდა, შეიძრა და ურთიერთის წინააღმდეგ მიიმართნენ შეუბები, თითქოს ორმა შეუბოსანმა ლაშქარმა ურთიერთს შეუტიაო. ერთბაშად ძირს დაიხარნენ შეუბები და არქზე ხიდი გაიღო. გარდაიშალა მის თვალწინ ნაირ-ნაირი მცენარე და ყვავილი, მტილი რამ უცხოდ და ამოდსახილველი. ცა იყო დაბალი და ისიც წყლის სარკეში იხატებოდა. ირგვლივ უშველებელი, ხუროთმოძღვრების მიერ ნაგები ფანჩატურები, ციური მუსიკა ისმის. ჩანგი და ჩონგური უკრავენ ტკბილად ზეციურ ხმებს. მიადგნენ ახლა მეორე ჰისკარს, გაიხსნა ივრც და ხედავს ვოლფვანგი მის საყვარელ პატარა ფერიას, წიღან რომ ცეკვავდა მის თითის წვეტზე. ნოხზე დამსხდარა სამივე შხიკუნახავი; ერთი წითლად, მეორე ყვითლად, მესამე მწვანედ მორაული. ოქროვანი სავარძლები უღვანან და ნოხი. ნოხი ყვავილთა ფიანდაზა გეგონებათ. მკლავებზე საკრავები უღვეთ ამ შხითუნახავებს. ერთ სკამზე მანდოლინა სძევს,

— საღამო თქვენს მობრძანებას, მიმართა ვოლფვანგს შუაშიმჯღომმა წითელსამოსიანმა.

ერთი წამოდგა, გვერდით მოისევა ქაბუკი. მეორე ყვითელსამოსიანი მხარმარჯვნივ მოუჯდა ვოლფვანგს. მის ციტრა ეჭირა ხელში: ვოლფვანგის გული იმ პატარა ფერიისკენ მიიწვეს, გაისმა სულზე უტკბენი მუსიკა და ვოლფვანგს ავიწყდება რომ ამ სამოთხის მეტი თუ სხვა სამყარო არსებობდა სადმე.

ეს ბავშვური ფანტაზიები და იოლი თამაშით შეთხზული მითი ძლიერ მკვეთრად ახასიათებს ყმაწვილ გოეტეს, ეს არის ნამდვილი გაქცევა თანადროულობიდან. მისი თანადროულობა რა იყო? ფრიდრიქისა და ვოლტერის საუქუნე, უგულო, უსულა საზოგადოება, ვითომდაც მორალური, ამავე დროს ყოველივე მორალს მოკლებული, ვითომდაც რელიგიური, არსებითად ურელიგიო, სენტ გერმენისა და კალიოსტროს გენიალური მატყუარობით გამოკვებილი საუქუნო.

III. „კუნდაკინდ“

„გაგზი მამა მამაკაინსა“!

გამოხდა ხანი.

ბავშვობის საზმრებში გართული ვოლფვანგიც შეაკრთო ფრანგების არტილერიის გრიალმა. ფრიდრიქ დიდის მიერ ავსტრიის წინააღმდეგ გალაშქრებამ, ხელშეკრულების ძალით აიძულა ფრანგები თავიანთი ჯარები დაეძრათ პრუსიის

წინააღმდეგ. „თავისუფალი ქალაქის“ — ფრანკფურტის ნოატრალობაც ისეთივე წყალზე დაწერილი ამბავი აღმოჩნდა, როგორც ყოველქვეყნულად მოწიფოს ნოატრალობა, იმ შემთხვევაში, როცა დიდ სახელმწიფოებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მოსახრებით დასქარდებათ ოკუპაცია.

საფრანკეთის მარშალმა პრინციმა სუბის 1759 წლის 2 იანვარს ბრძანება გასცა ფრანკფურტი აეღოთ. ფრანკფურტის ქალაქის მეციხოვნე ჯარი 1,000 კაცს არ აღემატებოდა. ამ ჯარს განაგებდა სხვათა შორის გოეტეს ბიძა პლატონიოზი ნ. ტექსტორი. ბევრი ივაკაცა ეოლფგანგის ბიძამ, მაგრამ ვერას გახდა და საფრანკეთის ჯარი ფრანკფურტს დაეუფლა. საოკუპაციო ჯარი მცხოვრებლებს ჩაუსახლეს. სწორედ გოეტეს მამის ოჯახში ჩასახლდა ლოატენანტი. ფრანსუა გრაფ დე ტორნაკ¹⁾. ჩოფურა, მალალი, სერიოიშული, სამუერი გამომეტყველების კაცი და ჯენტლმენი. ხან და ხან ფრიად ფიცხი, პიპოხონდრიული, უადრესად თავაზიანი, კეთილი, გონებამახვილი, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოყვარული.

ეოლფგანგის მამა ბუზლუნებს, მოფრიდებლად აგინებს „წყველ ფრანგებს“. მუდამ დღე იმის ნატერაშია, მიწამ პირი უყოს მოძალადეებს. მუდამ ფრანგებს წასვლაზე ოცნეობს, მაგრამ ოკუპანტები უფრო მკვიდრად ეწყობიან „თავისუფალ ქალაქში“. ფრანგის ჯარებს ფრანგული თეატრი და ლიტერატურა მოჰყვა. ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზში ფრანგული თეატრი გამართეს. პატარა ეოლფგანგი სპექტაკლებს არ აკლდება.

დეტუსი, ლა შოფეტი, მოლიერი, ლემიერი, კორნეილი, რასინი და სხვა ფრანგი დრამატურგები ამეტყველდნენ ფრანკფურტელ ესტრადაზე.

გასაოცარის სისწრაფით შეითვისა ეოლფგანგმა ფრანგული და პირველი თავისი დრამატული ქმნილება ფრანგულად და ფრანგი ოსტატების გავლენით დასწერა. ფრანკფურტშივე დაიწყო მან ალექსანდრიული ლექსით დაწერილი დრამა „ბალსაზარი“.

გრაფ დე ტორნაკის და მხატვარ ზეკაციის მენტორობით ეცნობა იგი პლასტიურსა და თეატრალურ ხელოვნებებს. პარალელურად მამის სასტიკი ბედაგოგიური განსწავლის წყალობით ლათინურს, იტალიურს და ინგლისურს სწავლობს. ეოლფგანგი იკონებს საგანგებოდ რომანს, სადაც შეიღი და-მა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან შეიღ სხვა და სხვა ენაზე წერილებს სწერენ ერთმანეთს.

ეოლფგანგი ტოლებთან თამაშს ერიდება, ამიტომაც ჯიროთისა და ფარიკაობის გაკვეთილებზე გულს იცრუებს. მომეტებულის გულსწყურით მეგობრობს ჭარმაგ და უხუცესს პირებთან. იგი მამასავით გულჩათხრობილია და ხანდა-ხან ცივი, ასე რომ საყვარელი ძმის სიკვდილზე ცრემლიც არ დასდენია. ფრანუ აიხსგან ნაანდერტევი აქვს სიხალისე და მზიარული გუნება და ყოველივე უსიამოს და უხეიროს მუდამ თვალსა და ყურს არიდებს. ესმის აღრიანად დაბრძენებულ ქაბუკს, რომ უსიამოს ხილვა და სმენა ცუდად მოქმედებს და ცუდის თქმაც სულსა რყენის.

¹⁾ რატომღაც გოეტე დე ტორნაკს „გრაფ ტორნაკს“ უწოდებს თავის ავტობიოგრაფიაში. in: G. the. Dichtung u. Wahrheit გვ. 64—5, 6.

დედის გადაჭარბებული პეონეპტური კლერიკალიზმთან მომიჯნოება და ბიბლიისადმი ტრფიალი მისზე ჯეროვან ზეგავლენას არ ახდენს ჯერ კიდევ 6 წლის ბაღლი სკეპტიურად შესცქერის ურბების ღმერთისა და მისი მოწოდებას. სამაგიეროთ ბიბლიის მოტივებისა და ლუთერული თარგმანის სტრუქტურის მიბაძვა კეთილ ზეგავლენას ახდენს მის შემოქმედებაზე. ამავე მოტივების მიბაძვით სწერს იგი თავის „Poetische Gedanken über Höllenfahrt Christi“ და პოემას „იაკობ“.

ამასობაში ფრანგები ზეიმობენ ფრანკფურტში.

ფრანგული საოკუპაციო ჯარების პარადებს ფრანგული კონცერტები, სპექტაკლები და მასკარადები სცვლიან.

ხელ ისწავლეს და მსწავლულთა სისხლია ვოლფგანგის ძარღვებში, ამიტომაც არ ვაპირებთა მის გულს არც დედის გადაჭარბებული რელიგიურობა, არც მამისა და პაპის პედანტური ბიუროკრატიაში და არისტოკრატიული თავმოთნეობა. ჩვენ პირობებში იმის წარმოდგენაც ძნელია, თუ რამდენ სიძნელეს ატარებდნენ თავის გარშემო ევროპის ქრისტიანული ეკლესიები.

ვოლფგანგი სიყრმიდანვე ფრიად დაინტერესდა ბუნების მეტყველებით, ადრე ითვისებს ელექტროს და მაგნეტიზმის თეორიებს, თუმცა მათემატიკაში მოკოჟლეს, გრამატიკა სძაგს, სამაგიეროდ ფრიად გულდასმით აკვირდება მამის მიერ მოგროვილ ბუნებისმეტყველურ კოლექციებს.

უნდა აღინიშნოს: სასაცილოა გერმანელი ფაშისტების ცდა, გოეტეს დიდი ავტორიტეტით გაამართლონ თავიანთი კაცობილვარებასა და დესპოტიზმზე დამყარებული ხელისუფლება, გოეტე თავის შემუარვში Dichtung u. Wahrheit აღწვითებული იგონებს მაინის ხიდის ურში რკინის სარზე წამოკმულ 1616 წელს მომხდარი აჯანყების მეთაურის გამხმარ თავისქალას. ბავშვი დაინტერესდა და შინაურები უამბობდნენ ამ თავის ქალის პატრონის—რევოლუციონერის ფეტმილხის და ისინი ამხანაგის თავგადასაყალს. ისინი თურმე ფრანკფურტ ქალაქის მთავრობას ასჯანყებთან, ქალაქის სხვადასხვა უბნები გაუძარკეავთ, მაგრამ იმპერატორის რწმუნებულებს აჯანყება ჩაუქრიათ, შეამზობენი შეუწყრიათ, სიყვდილით დაუსჯიათ. სამაგიეროდ იმპერატორს თავისი მოხელეებიც დაუტუქსავს და წესწყობილება გაუუზჯობესებია. 1616 წლიდან მხოლოდ ფეტმილხის თავისქალა შერჩა რკინის სარზე მრავალი წლის ვრიგალისა და აედრის მიუხედავად და ამ თავის ქალას არა ერთხელ დაუფიქრებია ყრმა ვოლფგანგი: „მე შეკოდებოდა ეს უბედური ადამიანები, რომელთაც თავი დასდევს რევიმის გაუზჯობესებისათვის“.

ასევე გოლარეულად იგონებს ვოლფგანგი ფრანკფურტში მომხდარ აუტოდაფეს—წიგნის დაწვას. ეს წიგნი რომანი ყოფილა. მის ავტორს თურმე სარწმუნოება მოუხსენებია უდიერად. სამაგიეროდ წიგნი შუა მოედანზე განაღებულ კოკონზე შეგდეს. ვოლფგანგი სხვა ტოლებთან ერთად შესცქეროდა, თუ როგორ ავარდა ალი და ფერფლად ქცეული ფურცლები პაერში დარიალებდნენ.

ცხადია: მეთვრამეტე საუკუნის ევროპაში უფრო თვალსაჩინო იყო საშუალო საუკუნის ბარბაროსული შემეკადრეობა. მისწავლებლები ჯერაც არ იყვნენ

1) „ბოლტური ახრები ქრისტეს ჯაჯობეთად შთასელისათვის“.

შეგირდების როზგვას გადაჩეული¹⁾. ეს ზედგავლენას ახდენდა თავად ბაქსების ფსიქიკასა, მათ ქცევასა და თამაშზედაც.

ვოლფგანგი სიყრმიდანვე თვითგანსწავლითა და თვით-დაცნობით იყო გართული, ხანაც ოცნებას გადაყოლილი მთვარეულივით დადიოდა ტოლებში, მათთან თამაშს ერიდებოდა. ამეზარი ბიქუნები ყოველივე ამას „ამპარტანობითა“ და „მეტიჩრობით“ ნათლავდნენ.

ერთხელ მასწავლებელს გაკვეთილზე დაავიანდა. ბალები საკლასო ოთახში იყვნენ და ერთმანეთს იკლებდნენ იქაურობას. ვოფგანგი გაყრუული იჯდა კუთხეში. უმიზეზოდ აუხიარდნენ ცელქები, ვერ მოითმინეს რომ ვოლფგანგი ამ ღრიანცელში არ გაერია.

სამი ტოლები მიეჭრა ვოლფგანგს. ერთმა მათგანმა გამოსძებნა ცოცხი და შიშველ წვივებზე დაუწყო ცემა. ვოლფგანგი პირმოკუმული იჯდა და იტანდა ამგვარად როზგვას. ვოლფგანგის მოთმინების საწყაულიც აივსო. ერთბაშად ყელში სწვდა თავდაძსხმელთა ბელადს და იატაკზე დასცა, მკერდზე მუხლი დააბჯინა. ახლა მეორე ცელქი მიეშველა წაქცეულს. ვოლფგანგმა მას ქოჩორში წაივლო ხელი და წაქცეულზე გადააწვინა. მალე მესამეც წამოაქცია ცალი ხელით. ცელქები ამის შემდეგ გაფრთხილდნენ და ამიერიდან რიდი თუ ველიდნენ გვერდს.

მე 13 წელი ვაყის ცხოვრებაში ფრიად მოუსვენარი ასაკია. ვოლფგანგის ბუნებაც გაზულუქდა, იგი ფიზიკურ ვარჯიშობასა და გართობას ეტანება.

ყოველ საუკუნეს თავისებური მზარული სენი ახასიათებდა, მეთვრამეტესაც საკუთარი ჰქონდა მრავალი. ერთი მათგანიც დღელი იყო. ბავშვი დღელს ჰხედავდა ყოველგან, როგორც ცხოვრებაში, ისე სცენაზე. განგების „შეუცდომელ“ ნებისყოფას მინდობილი აღამიანი ბრმა შემთხვევის სასწორზე იოლად შეადგებდა ხოლმე საკუთარი სიცოცხლის საფხვეს.

ერთხელ კობტად გამოპრანქული ვოლფგანგი ტოლებითან სათამაშოდ გაემართა. ქუდი ხელში ეჭირა, წელს ხრმალი უშევენებდა, ხრმალს ფერადი, სირმებიანი ფოჩვები ეკიდა ვადაზე. სწორედ ისევე, როგორც სიზმარში ნახა ამას წინად თავისი თავი. იცელქეს, იხტუნეს, იკიდავეს, იანგლეს. ვოლფგანგმა და მისმა ამხანაგმა დერონმა. დერონი სავსებით უმიზეზოდ გაქირვეულდა. აუხიარდა ვოლფგანგს: შეურაცხყოფა მომაყენე და გინდა თუ არა „სატისფიკაცია“²⁾ უნდა მომცეო. ვოლფგანგი არწმუნებდა: არაფერი დამიშავებია და დამომშანიდო. დერონი მაინც არ მოეშვა.

— მე ასე მგონია, — ეუბნება ვოლფგანგი — დღელის წესი მოითხოვს, განვმარტოვდეთ და იქ ვიფაროკავოთო.

წავიდნენ და ერთ ძველ ბელელს ამოეფარნენ. პოზიტურები³⁾ გადამიჯნეს. ხრმლები გასინჯეს.

¹⁾ თვით თავისუფლების აპოლოგეტი ღორდ ბაირონი სერიოზულად უჩრევს თავის თანამედროვე პედაგოგებს როზგი არ სოაკლონ შეგირდებს.

²⁾ სატისფიკაცია — მედუელეთა ტრმინია: დაკმაყოფილება.

³⁾ პოზიტურა — ნაძილი, მედუელეთადმი მიჩნეული, ის ადვილი, სადაც მედუელენი უნდა დადგნენ.

ერთბაშად ორივე მოფარიკავემ იშიშვლეს მახვილი და შიშვლეს ერთი მეორეს. დერონმა ფიცხლად შეუტია და იერიში მიიტანა. ვოლფგანგმა უკან დაიხია, იგერიებდა შემომტევს, მაგრამ მკვლავმარჯვედ იქნედა ხრჩოლს მქედ-რკა დერონი, ახლა ვოლფგანგმა გამართა მკლავი, მკლავმაგარი და მტკიცე მქედ-ლის სისხლი ნაგვიანევად ატოკდა მის მაჯებში. მაგრამ არც დერონი აღმოჩნდა ჯაბანი.

კენტი და ლუწი, ლუწი და კენტი, ტარციალი, ლაწანი, წკრიალი და ხრმლები ელაედენ ჰაერში. მოფარიკაველნი იბრძოდნენ თამაშით და გატაცება ისე ერეოდა ორივე მხარეს რომ ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო თეატრალური მიმბაძველობით წამოწყებული კენწლაობა, სერიოზულ დუელად გადაქცეულიყო.

თეატრალური იმბავი თეატრალურად დასრულდა.

უცებ დერონის ხრჩლის წვეტი ვოლფგანგის ხრჩლის ფოჭვში გაეჩხირა, ვოლფგანგმა აუკრა ხმალი და დერონი განაიარაღა.

დერონი მიეპრა ვოლფგანგს და გადაეხევა.

„რაინდები“ მახლობელ საშაქარლამოსაკენ გაემართნენ და ტკბილი ნამცხვარებით კვლავ განამკვიდრეს მეგობრობა.

●

ვოლფგანგი ფრანკფურტელი ფრანგული თეატრის მულმივი სტუმარია. ერთ საღამოს იგი პარტერში იჯდა. წითელ ფარჯებში გამოკაზმული ფრანკფურტელი ცეკვის ოსტატის პაწია ვაეი სოლოდ ცეკვადა სცენაზე. მოცეკვის ოსტატობითა და სიემაწვილით მოხიბლული საზოგადოება მხურვალე ტაშს უკრავდა მოცეკვავეს.

— ეჰ, რა კარვად მორთულია ეს ვაეი სცენაზე, ვინ იცის ეგებ შინ ძონძები ეცვას. ეუბნება ვოლფგანგი მის გვერდით მჯდომარე ამხანაგს.

უკანასკნელად გადაიბრინა ტაშის ტალღამ შავი ფრაკებისა და ხაბარდინი კაბების კალთებზე, უშველებელი ფარდა ძირს დაეშვა. ხალხი გამოსავალ კარებს მიაწყდა.

უცნობი ფრანგის ქალი გვერდით ამოუდგა ვოლფგანგს და გაწიწმატებუ-ლი ეუბნება:

— ვინა ხართ ყმაწვილო ნეტავი? ან რა უფლება გაქვთ ასე ხელაღებით იმსჯელოთ ჩვენი ოჯახის კეთილდღეობაზე? და მოჰყვა ეს დედაკაცი უსახნრო ქადაგებასა და ვოლფგანგის ქირდვას. ამრეზილმა ყმაწვილმა კრძალვით მოიხადა ბოდიში. ქალი მაინც არა სცხრებოდა. მომეტებულად ლანძღავდა და აგინებდა.

ვოლფგანგიც გაფიცხდა, აენტო:

— რა საჭიროა, ბატონო ჩემო, ამდენი აურზაურის ატება ასეთ უბრალო რამის გამო? Heute rot, morgen tot¹⁾.

გაცოფებული დედაკაცი უემურსავით შეიშმუნა და გაეცალა.

¹⁾ დღეს წითელია და ხვალ მკვდარი იქნება. ვერმ. ტექსტში აღიტერაციული თამაშია.

გვიან გაიგო ვოლფგანგმა: პატარა მოცეკვავე რამოდენიმე დღის შემდეგ ავად გამხდარა და სიკვდილის პირზე მიმდგარა თურმე.

რიჩარდსონის რომანების ზეგავლენითა და სენტიმენტალურ საუკუნეში აღზრდილი თავის პოეტურ ემანაციებში გოეტე კვლავ ალაგ-ალაგ სენტიმენტალიზმის მიყვანილ გრანობიერებას იჩენს, აქვე უნდა ვიგულისხმოდ, მეოცნებე, ქველი, გულხმვიერი და ნახი დედის ზეგავლენაც, მაგრამ თავად მის ხასიათში ვაჟური, მამაკაცური ელემენტი სჭარბობდა, აღბად მამის მტკიცე ხასიათი უპირატესად განსახიერდა მასში.

როცა ვოლფგანგის უმრწემესი ძმა იაკობი, მისი ბავშვური სიხარულისა და თამაშის თანაზიარი გარდაიცვალა, ვოლფგანგს ცრემლიც არ დასდენია. პირიქით ბავშვი სწყურებოდა, როცა ხედავდა და ისმენდა დედისა და თავის დის კორნელიას მოთქმას და ცრემლებს. ფრაუ აია ცოტა ხნის შემდეგ დაინტერესდა ამ ჯიუტის ასეთი ჯიქობით და ეკითხება: შეილო, ნუ თუ შენი ძმის იაკობის დაკარგვამ გული არ დაგწყვიტაო? ვოლფგანგი გაიქცა, საწოლიდან აუარებელი ნაწერები დანახატები გამოათრია, წინ დაუყარა დედას და ეუბნება: აჰა, ხომ ხედავ რამდენი მიხატავს და მიწერია მის გასართობად, განა ვერ ხედავ როგორ მიყვარდით.

მამა ზრუნავდა თავის მხრით და საუკუნის ატმოსფერაც ხელს უწყობდა ასე თუ ისე სპარტანული აღზრდა მიეღო ვოლფგანგს. ხელოვნება, განსაკუთრებით მუსიკა და მხატვრობა, რომელთაც დიდი ტრადიცია ჰქონდათ გოეტენთან ოჯახში, აფაქიზებდა მის ხასიათს, ხოლო ბუნებას მისას რეფლექტიური იერს აძლევდა, სამაგიეროდ მეომარი და ავანტიურისტული განწყობილება ტრიალებდა მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურასა და ყოფაში. მაშინდელი გერმანიის არისტოკრატიის პოლიტიკური იდეალი გმირი ფრიდრიხ დიდიც სპარტანულ ცხოვრებას ეწეოდა, თავად მიუძღოდა თავის არმიას, უბრალო ჯარისკაცების ულუფით იკვებებოდა, ბივაკებში და საყარაულო ღამის თვეებში მონაწილეობას იღებდა, სიცივის, სინესტის და სიმშოლის ატანას ეჭეოდა. ასეთ ატმოსფერაში ცხადია, „ეთილშობილთა“ ოჯახებიც იმის ცდაში იყვნენ თავიანთი შვილები რიგიანპირიანად გამოეწვრთნათ, ჯაფისა და შეტევის ატანა ესწავლათ, ცხენზე ჯდომასა და ფარიკაობას წიყრმიდანვე მისწავლიდნენ.

ფარიკაობის დროს ბავშვებს ფოლადის წათებითა და სწორკუთხანი ხრმლებით ავარჯიშებდნენ. ფარიკაობის წესებს ზუსტად ასწავლიდნენ. იმ დროს ფრანკფურტში ორი ოსტატი ასწავლიდა ფარიკაობას ახალთაობას. ერთი სასტიკი და ბეჯითი გერმანელი, მეორე ფიცხელი და ტემპერამენტიანი ფრანგი, რომელიც განსაკუთრებულის ოსტატობით ასწავლიდა თავის შეგირდებს Avancieren-ს და retirierens-ს¹⁾, როგორც შეტევა, ისე უკუსვლა ფარიკაობის დროს მსუბუქი და ხელმარჯვე მოქნევით უნდა ეწარმოებინა შეგირდს, ყოველ შემოქნევას შეძახება უნდა მოჰყოლოდა.

¹⁾ ფარიკაობის ტერმინებია: avancieren—დაწინაფრება, შეტევა, retirien—უკუსვლა მოგერიებით უკუსვლა.

გოეტეს და მისი ამხანაგების ოსტატი ფრანგი იყო. ახალი თაობის მეორე ნაწილი გერმანელის ზედამხედველობით სწავლობდა, ეს ორ ბანაკად დაყოფილი ფრანკფურტელი ახალგაზრდობა დიდხანს ებრძოდა ერთი მეფეებს, ერთნი ფრანგ ოსტატს აქებდნენ, ხოლო მეორენი გერმანელს და მათი დაჯილდოებული და გაუთავებელი იყო, როგორც ფრანგობასა და გერმანელობას შორის ოდიდანვე არსებული პაექრობა და ჭიშკობა.

უფრო მომეტებული პედანტობით ეკიდებოდნენ ცხენოსნობას. ვოლფგანგის აღზრდაში უფრო მეტი სკოლასტიკა იყო, ვიდრე თუნდაც ჯორჯ ბაირონი-საში. ბუ ბაირონი გაშვებული იწყოდა ამ სპორტს, ბაირონივე უფრო რეფლექტიურსა და ოდნავ უფრო პასიურ გოეტეს სიყრმიდანვე თავს აბეზრებდა ცხენოსნობის ოსტატების საშინელი პედანტობა, თუმცა ცხენზე ჯდომა მასაც არა ნაკლებ უყვარდა უკვე მიღწეულეობაში გადამდგარი გოეტე გულარეულად იგონებს საჯირითო მანეჟის ობზოდეტულ, შმორიან ჰაერს, უსირცხვილო შეჯინებითა შექრთამეობას. შეგირდებს უბელო ცხენებზე ავარჯიშებდნენ თავდაპირველად. ვინც რიგიანად მოქრთამავდა მათ, საუკეთესო ცხენზედ მას შესვამდნენ. მწვრთნელების პედაგოგიკას ასეთი განხრა ჰქონდა: უკეთუ შევირდს კარგად შეარცხენდნენ, ულაზათობას და ბედოვლათობას იოლად გამოამგლანებინებდნენ, იგი უფრო მეტის გულმოდგინებით შეეცდებოდა თავისი ნაკლი გამოესწორებინა.

ვოლფგანგს ყოველთვის უხეირო და ჯაგაღა ცხენი შეხედებოდა ხოლმე, ეს ძლიერ აბრაზებდა ყრმას.

IV. გამიჯნურება პირველი

ბუნება, ოჯახი და აღზრდა, პატრიციული ოჯახის ბაჟურგერული მორალი, ეს ყოველივე შეზღუდულ ატმოსფერას ბადებდა ყრმა ვოლფგანგის გარემო. რომინზონ კრუზოსა და ინგლისურ სენტიმენტალურ რომანებს, მოგზაურობის მემუარებს დაწაფებული ბავშვის ფანტაზია რაამე არაჩვეულებრივისა და სახითათო განცდის მონატრული იყო.

მახვილი თვალი ეჭირა მამას. სიყრმის ასაკის მიჯნამდის მიღწეულ ვოლფგანგს ხიფათი რამ არ შემთხვევოდა. საამისოდ გოეტეანთ სახლის უკანასკნელი სართულის ქუჩისკენ მიჭკეულ ყრუკედელზე პატარა ფანჯრის თვალი იყო მოწყობილი. ამ ქუჩაუტანიდან უთვალთვალებდა მამა, თუ როდის მობრუნდებოდა შინ ამხანაგებთან სათამაშოდ წასული ვოლფგანგი. მოხელეების, ბაჟურგერების ოჯახებში გაწვრთნილი ტოლბიჭები უფანტაზიოდ და უსიცოცხლოდ იჩვენებოდნენ ვოლფგანგს.

ამიტომაც იგი უბირი ხალხის, ხელსანთა ბალღების საზოგადოებას ეტანება მომეტებულის ხალისით, რადგან ამ წრიდან გამოსული ყმაწვილი უფრო მეტ სითამამეს იჩენს და ეს მოსწონდა ვოლფგანგს. ერთი ამგვართაგანი იყო მისი ბალობის ტოლი პილადეს. პილადესს უჩვენებდა ვოლფგანგი თავის პირველ შაირებს. ეს იყო მისი პირველი სალალობოდ, სათრეველად, ამხანაგთა გა-

სართობად დაწერილი შაირები, ქორწილის, ლხინის, სიყვარულის და ყმაწვილური სიცილეებისა და სიშმაგის ამბებს უმღეროდა ამ ლექსებში. ბოტუქაძეს ძლიერ მოსწონდა ესენი. ხელთნაწერებს ართმევდა ავტორს და ყველგან ატარებდა თვის უბნის გოგობიჭებს.

— იცი, ეუბნება ერთხელ პილადეს, ვისაც არ წაეუკითხე შენი ლექსები, არავინ იუკრებს, რომ შენს მიერაა ესენი დაწერილი.

— რა ეუყოთ მერმე, ჩვენ დავსწეროთ და გავიხაროთ ამ ლექსებით და სხვებს როგორც ენებოთ ისე ილაყბონ.

— აგერ მოგიყვანე ჩემი მეგობარი, რომელსაც არა სჯერა რომ შენა სწერ ამ ლექსებს, — ეუბნება პილადეს და აცნობს თავის ამხანაგს ვოლფგანგს.

— იმედია, ავტორი არ გავიწყდება, იშართლა თავი ახალგაზრდამ, ეს გამოწვეულია მისი ყმაწვილობით და მისივე ლექსების ღირსებით, — გამოაკეთა საუბარი ახალმოსულმა, რომელიც შურიანი თვალით აკვირდებოდა ვოლფგანგის შავი ხავერდის პილდაკას, მოკლე შარვალს, მაღალყელიან წინდებს, ტყიცინა თეთრი ტილოს ქუჩუჩა საყელოს და შავ ქუდს.

— შე მგონია, ჩაავადო სიტყვა პილადესმა, ყველაფერს სჯობია ჩვენ მიუცეთ მას რაიმე თემა და ვოლფგანგი ექსპრომტად დაგვიწერს ლექსებს.

ვოლფგანგმა ახლა შეკვეთა მიიღო ტოლებისაგან: ლექსად უნდა დაეწერა მოკრძალებული ქალის სამიჯნურო წიგნი ქაბუქისადმი, ამ ბარათში მას უნდა გაემღიებინა თავისი ფარული ტრფიალი.

— ამაზე იოლი რა იქნებოდა, შენიშნა ვოლფგანგმა, მხოლოდ ესაა... ქალადი რომ არსად გვაქვს?

უცხო ყმაწვილმა უბის კალენდარი ამოაცოცა მყისვე ჯიბიდან. მგოსანი იქვე სკამზე ჩამოჯდა და შეუდგა საქმეს. რამოდენიმე წუთში მზად იყო მადრიგალი. იქვერული ყმაწვილები აღტაცებულნი ხარხარებდნენ.

ახლად-გაცნობილი ვაჟი დაემშვიდობა გულამაყ პოეტს, მეგობრობა სთხოვა და სამივემ გადასწყვიტეს სოფლად წასულიყვნენ გასასეირნებლად.

ნათქვამი სისრულეში მოიყვანეს და ამ სეირნობის დროს პირველად დაუმეგობრდა ვოლფგანგი უბირი ხალხის წიაღიდან გამოსულ ყმაწვილებს. მათ აღრე სიყმაწვილეშივე აღკვეთოდათ სწავლის განგრძობის საშუალება, უსაკონი შრომას შებმოდნენ, ზოგი უსახელო ვეჭილებს შიკრიკებად ჰყავდა, ზოგი თხოვნებს უწერდა მომჩივანთ, ამგვარად იოლად მიდიოდნენ. ყმაწვილები ძლიერ დაუახლოვდნენ ვოლფგანგს, დასასრულ გამოუტყდნენ, რომ მის მიერ დაწერილ სამიჯნურო უსტარით ისინი ერთგვარ მისტიფიკაციას ეწეოდნენ.

ვილაც მეტიჩარა და ტრაბახა ყმაწვილი ერთ „კეთილშობილ“ „ასულს“ ეტრფოდა თურმე შორიდან, ცელქებმა აიღეს და გოეტეს ლექსი იმ ქალის მაგივრად გაუგზავნეს მას. ყმაწვილი უსაზღვროდ გაყოყონდა. რაკი ასეთი საქმე მიყავით, ახლა გინდათ თუ არა სამაგიერო უსტარიც ლექსად უნდა მიმაწერინოთო.

ვოლფგანგს კუთაში დაუჯდა ასეთ უვნებელ ავანტურაში ფეხის ჩადგმა საპასუხო შაირიც თვალისდახამხამებაზე დაიწერა და კმაყოფილებით აღესილ ქაბუქს შინ გაეგზავნა. რამოდენიმე დღის შემდეგ პილადესმა შეატყობინა ვოლფგანგს.

განგს რომ ახლად გაცნობილი მეგობარი პატიეებს მას საზეიმო ვახშამზე, რათა ამგვარად პარტივისციმა დაუმოწმოს „პოეტსა და მდივანს“.

ვახშამი ჩინებული იყო, ახალგაზრდები შეჰხაროდნენ ახლად შეიქმნილ პოეტს, სადღეგრძელოები ითქვა, უებრად გაამაჟულებულ შეყვარებულსა და თავმოთნე ვაჟს ბევრი დასცინეს. ამ ვაჟმა კიდევაც შეიფერა თურამე თავისი უტყარი „გაპოეტება“ და ლამის იყო არ დაიჯერა, რომ ამ ლექსის ავტორი თვითონ იყო, ყოველ შემთხვევაში ასე არწმუნებდა ტოლებს. ვოლფგანგს არ მოსწონდა, რომ მისი ახალგაეცნობილი ამხანაგები ამდენს დასცინოდნენ ამ საცოდავ ვაჟს, ის ის იყო ძლიერ მოეწონა, როცა მასპინძელმა მსახური ეხმო გამოღიწული ღვინის მოსატანად და ერთბაშად ოთახში ფეხი შემოდგა მწყაზარმა, კეკლუცმა და ქერა გოგონამ. მოკრძალებული სალამი მისცა დამწრეთ და განაცხადა: მსახური ავადაა, ნება მომეცით მე გემსახუროთო.

— ღვინო დაგვაკლდა. შესძახა ვილაკამ.

— მოდი შენ მოგვიტანე გრეტხენ, ეუბნებოდა მეორე მენინახე.

— რატომაც არა, წამოიძახა გრეტხენმა და ცარიელ ბოთლებს მარდად წამოაწყო ხელი.

ვოლფგანგმა თვალი შეასწრო მის სარო ტანს, მაღალ კისერსა და განიერ თეძოებს, თანაც საყვედური შეჰკადრა მენინახეებს, ეს მშვენიერი ასული რატომ გასარჯეთ, ან ამ სიბნელში მარტო რატომ გაუშვიტო? ყმაწვილებმა ბევრი იცინეს ვოლფგანგის ასეთ მიაპიტობაზე, დასასრულ ანუგეშეს, იგი სულ ორიოდ ნაბიჯს გადადგამს და ახლავე მობრუნდებაო. ამასობაში გრეტხენი კვლავ შემოიკრიალდა, საცხე ბოთლები მოქეიფებებს მიაწოდა და შორი ახლო დაჯდა, ვოლფგანგს გულმა რეჩხი უყო, მის გვერდით რომ არ დაჯდა ეს მშვენიერი, ცოტა ხნის შემდეგ კი გრეტხენ საცხებით გაეცალა შეზარხოშებულ ბალებს. გრეტხენ იყო პირველი ქალი, რომელმაც ვაჟური აღტყინება პირველად გააღვიძა ვოლფგანგის გულში. მან ამ ქალის გარეგნობა და სახელი შეარქვა თავის უდიდესი ქმნილების—ფაუსტის გმირს—მარგარიტას

უასაკო ვაჟი შეპურობილსავით აენტო, გაშმაგდა. ახლა იგი გონება არეული დაეძებს შემთხვევას რათა წამ და უწუმ მას უმზიროს და მის ევერდით იყოს.

მკაცრი, პურიტანული ოჯახის სასტიკ პირობებში იგი გაიპარება ხოლმე სახლიდან, ფრანკფურტის ქუჩებში დაძრწის და დაეძებს თავის გულის მიჯნურს. ბოლოს აუსრულდა წადილი. მოსძებნა. ის ეკლესია სადაც წირვაზე დადიოდა გრეტხენ. უთვალთვალებს, შეჰყვება ლოცვანებით აღტურვილ ქალწულს, გვერდით მოუჯდება, ფრთხილად ადევნებს თვალს მლოცველის ყოველ მიხრა-მოხერას, სტკებმა მისი სიახლოვით, მისი სხეულის სიტბოთით და მშკენებით, თანაც ფრიად მოსაწყენ ქდაგებას პროტესტანტი მღვდლისას უგემურად ყურს უგდებს. საყდრიდან გამოსულ გრეტხენთან მისვლასაც ვერ ბედავს, შორს ყოფნაც ვეღარ აუტანია, ხლებს ეკრძალება, შესიტყვების ეშინია, მცირე მანძილზე თან გასდევს, უყურებს შორიდან მისი ნარნარი სხეულის რომინებას, მისი კაბის ნაოკების რხევას, მისი გრძელი და ქერა ნაწნავების ლივლივზე იდაგება და თუ გრეტხენს მოეპრიანა, ჩვეულებრივი სალამიც უთავაზა, ამითაც კმაყოფილია გამიჯნურებული მგოსანი.

მცირე რამ ხანი გამოხდა. იმ შეყვარებულ ვაჟს, რომლის „პოეტური მდივნობა“ ვოლფგანგს დაეკისრა, ამხანაგებმა აუწყეს: შენს მიჯნურს ლექსად დაწერილი პასუხი მოუყიდაო. ახლა ვოლფგანგს პასუხის პასუხი უნდა დაეწერა. ვოლფგანგს საკუთარი მიჯნურობის ამბები სდაგავს, ცელქების ზროგა წარამარა უგზავნის პილადესს, რომ პოეტმა თავი არ დაიზოგოს და რაც შეიძლება კოკმაზურად გამოიყენოს პასუხის პასუხი. შეყვარებული ვაჟი გრეტენის ნათესავი აღმოჩნდა, ასე რომ ეს ლექსი გრეტენის სახლში უნდა მიეტანა ავტორს. გამიჯნურებულმა ვოლფგანგმა ეს საბაბი ჩინებულად გამოიყენა და დანიშნულ დროზე კიდევაც გამოცხადდა.

გრეტენი ფანჯარასთან იჯდა და ქსოვდა, დედა მისი ოთახში დასვირობდა, ასე რომ ახლად მოსული სტუმრის მისვლა არაფრად ჩაუგდია.

შეყვარებული ვაჟი მოითხოვდა ვოლფგანგს თავად უნდა წაეკითხა ეს ლექსი მისთვის. პოეტი ნებას დაჰყვა. კითხულობდა, თანაც ირიბული მზერა გრეტენისაკენ რბოდა. გრეტენის ლაწივებზე მოკრძალების აღმური კიანთობდა. ყმაწვილი განუწყვეტლად აქებდა ავტორს, თანაც სთხოვდა ზოგიერთი სტრიქონი შეეცვალა პოეტს (რადგან სწორედ ის ადგილები უფრო ვოლფგანგის მიერ გრეტენის მიმართ ირიბად ნასროლი სამიჯნურო სიტყვები იყო, ამას თავად ავტორი ხედავდა). ვოლფგანგი შეუდგა ლექსის გადასწორებას, ყმაწვილი წაეიდა.

დიდხანს ეცადა ავტორი, მაგრამ უგუნებოდ მიდიოდა გადასწორების საქმე.

— არ მინდა გადასწორება, წამოიძახა ვოლფგანგმა.

— მეც ასე მგონია, სავსებით არაა საჭირო, ჩაგდო სიტყვა გრეტენმა. ორივენი ხედავდნენ ლექსი აშკარად გრეტენის მდგომარეობას უფრო შეეხამებოდა, ვიდრე იმ ქალისას, მით უმეტეს რომ ეს უკანასკნელი მთელ ქალაქში ცნობილი იყო თავისი სიძლიერითა და ოჯახური დოვლათით.

— გარდა ამისა, ამბობდა გრეტენი, მე თქვენ გირჩევთ ამ საქმეში სავსებით არ გაერიოთ, თორემ შესაძლოა ეს ამბავი გამოაშკარავდეს და თქვენ დაისჯოთ.

— მაშ რა ვქნა?

— აიღეთ თქვენი ლექსი, ჯიბეში ჩაიდევით და იმ ყმაწვილის მოსვლას ნუ მოუცდით. მე თავად ძლიერ დამოკიდებული ვარ, ჩემი ნათესავეებისაგან, მე ფრიად ღარიბი და საწყალი აღამიანი ვარ, ისინი მდიდრებია, კიდევაც დამაძალეს მაგრამ ლექსი არ გადავსწერე. თქვენ კარგი ოჯახის შვილი ხართ და სავსებით დამოუკიდებელი, რად გინდათ ხიფათი აიტეხოთ?

— მე არც ისე დამოუკიდებელი ვარ როგორც თქვენა გგონიათ, ბოლოს და ბოლოს რაში ვაქნევ სიმდიდრეს, როცა ის აღარა მაქვს, რაც ჩემთვის უძვირფასესია.

გრეტენმა სამიჯნურო ლექსი გამოართვა ვოლფგანგს, ხმადაბლა კითხვა დაიწყო.

— ძალიან კარგი ლექსია, მაგრამ სამწუხაროა, რომ ცუდი მიზნითაა იგი განზრახული.

— ეს ფრიად სანუკველი რამ იქნებოდა უთუოდ, რა ბედნიერი გიქნებოდი ასეთ სტრიქონებს რომ მომწერდეს ჩემი გულის მიჯნური?

— ცხადია, ამისთვის ბევრი რამაა საჭირო, მაგრამ აქ შენს დასაწყისში არაფერია,

— მაგალითად ვინმემ ვაფთავანმა, რომელიც თქვენ გიცნობთ, ფრიად გაფასებთ და თავყანსა გცემთ, ეუბნება თავმოძრეკილი ვოლფგანგი, ასეთი, სწორედ ასეთი სამიჯნურო ლექსი რომ გიძღვნათ, მერმე იმ ვაჟმა თქვენი გულის პასუხი ითხოვოს, ნეტავ რას იქმდით თქვენ, ან რას იტყოდით ამის პასუხად.

— მე? მე... ბორძიკობდა გრეტხენი, მერმე სიტყვები აღარ ეყო, კალამი აიღო და თავისი სახელი და გვარი მოაწერა ლექსს.

ვოლფგანგი აღტყინებამ აიტაცა, ზეწამოიჭრა, უნდოდა მკერდს მიჰკვროდა დარცხენის აღმურისაგან ოდნავ შეფაქლულ მიჯნურს.

— არ მაყოცო, წამოიძახა ქალმა, კოცნა სამაგელი რამეა, თუ ეს შესაძლოა, შემიყვარეთ.

ვოლფგანგმა ლექსი დაკეცა და ზუბში ჩაიღო. ამ ლექსს არაფის დავანებებ, ფიქრობდა.

— მე თქვენ საფრთხეს ვაღამარჩინეთ, ამბობდა მადლიერი პოეტი.

— თუ ასე გინდა მალე დასტოვეთ აქაურობა, ვიდრემდის არ მოსულან. გულაჩვილებულ მიჯნურს ცრემლები მოსდგომოდა წამწამებზე, ასე ეგონა გრეტხენსაც დაღამოდა თვალები.

ამ ამბავმა დიდი ვადატება გამოიწვია ყრმა პოეტის სულიერ ცხოვრებაში, მის არსებაში გრეტხენის მწყაზარი სახე ჩაიჭრა, დღე და ღამ თვალწინ ედგა მისი საროსებური ტანწყობილება, განუსაზღვრელ მარტოობას და მელანქოლიას გრძნობდა შინ და გარედ, მუშაობისა და ტოლბიჭებთან თამაშის დროს, უდამ თავის მიჯნურის ხლებას იყო დანატრებული, სამიჯნურო უსტარ მარად თან ატარებდა, მარტო დარჩენილი ხელში იღებდა წერილს, და ხარბად კოცნიდა მის ხელმოწერას. ენატრებოდა მიჯნურის ხლება მაგრამ რაგზით? ვერც იმ ვაჟს დავანებებოდა და ვერც პილადესს, რომლის შუამავლობით ეს უოველივე მოეწყო, სწორედ ეს აწუხებდა ვოლფგანგს, რომ პილიდესთან ასე პირშავად იყო. ბოლოს ველარ მოითმინა: ვადასწყვიტა ნიდეროდს წასულიყო, პილადესი უთუოდ მოეძებნა.

ვოლფგანგი ფრიად გაოცებული დარჩა, როცა მომლიმარე პილადესი და მისი მეგობრები წინ შეეგებნენ. მცირე ხნის შემდეგ კოტაოდენი საყვედურიც შეაპარეს ვოლფგანგს.

— ჩვენ ბევრი რამ გვაქვს შენთვის სათქმელი, ერთი ამბავი უნდა გითხრათ ისეთი, რაც შენ უთუოდ გაგახარებს, მაგრამ ესაა, შესარიგებლად მაყარჩი შენზეა, დღეს შენ უნდა დავვატყო.

ვოლფგანგი დაიბნა, ძლიერ შეწუხდა რაკი ჯიბეში ამდენი ფულიც რომ არ ეგულებოდა. ყმაწვილები მიუხედავდნენ.

— არაფერია, ზოდი ამ ტალავერს ქვეშ ჩამოვჯდეთ, ამბავს გეტყვით, დაიწყო ერთმა. ყმაწვილები თავადაც სწუხდნენ რომ გულღვარძლიანობას აყოლილებმა ასე უსაზნოდ და კუდად მოიხმარეს ვოლფგანგის ტალანტი, მა-

შინ როცა მათ იგი უკეთ შეეძლოთ გამოეყენებინათ. ახლა მათ საესკანოთ ახალი და არც ისე საიუგო წინადადება ჰქონდათ, თუ ვოლფგანგი საქორწინო და საქელეხო ლექსების წერას მიჰყოფდა ხელს. საქორწინო, ერთ კვლავი წყურფი უნდა ყოფილიყო, ხოლო საქელეხო იმდღესვე უნდა დაეწერა. სამაგიეროდ ყმაწვილები პირიქით მოითხოვდნენ ჰონორარს. ვოლფგანგს ორჯერ უნდა დაეპატიებინათ ისინი დუქანში, შემდეგ კი შენგან მარად დავალებულნი ვიქნებითო, ამბობდნენ.

ეს ამბავი ქუჩაში დაუჯდა ვოლფგანგს, მით უმეტეს რომ ასეთი ლექსები მას თავად წაეკითხნა და უდიდეს ხელოვნებად მიაჩნდა. აქ მთავარი იყო თავის გამოჩენა და მერმე ის, რომ ამგვარ ლექსებს ჩვეულებრივად ბეჭდავდნენ. ვოლფგანგმა წინასწარ გამოიკითხა ნეფე-დედოფლის ვინაობა, სადაურობა და ოჯახური ვითარებანი, სტროფები სტროფებზე წაეწყო. იმ საღამოს ღვინო დალიეს, ვოლფგანგი შეზარბოშდა და ამიტომ მისი მუხა გაქირვეულდა, საქმე შეფურხდა. ყმაწვილები გამოტყდნენ: ჰონორარი უკვე ავიღეთ და ხვალ კარგ ქეიფს მოვიწყობთო. დაპარდნენ გრეტხენიც მათთან გაატარებდა დროს. ამ ამბის გამგონე ვოლფგანგი ცას ეწვია სიხარულისაგან, წინა ღამესვე ლექსი დასწერა, დილით ადრე ხელშორედ გადასწერა, ხოლო მეორე საღამოს ჯერ დღე და დამე არ იქნებოდა გაყრილი, ვოლფგანგი, უკვე გრეტხენის სახლს უახლოვდებოდა.

დაბალქერიან პატარა ოთახში ვოლფგანგს სახეში ეცა ობისა და მოქველებული ტყავის სუნი, ფანჯარასთან დაკიდებულ გალიაში იადონები ქვიპინებდნენ, კედლებზე ბატალური სურათებისა და გერმანელი იმპერატორების გაჯგვირულ სურათებს გვერდით გრეტხენის ბიძის წინაპრების უკემური ნახატები ეყიდა, კარადის თხევ უკემურად შეთითხნილი პაწია სათამაშოები, ხელოვნური ყვავილები და თიხის ქურჭლები ელგა, ირგვლივ პედანტური სისუფთავე იყო, მაგრამ ობისა და ტყავის სუნი მაინც იღვავ. ვოლფგანგს წამსვე თავის მამის განიერფანჯრიანი, მაღალი და გრცელი ბინა დაუდგა თვალწინ, მისი მდიდრული ავეჯი, საუცხოვო სურათები, ფრესკები, მარმალის, ლითონების და მცენარეთა კოლექციები, ფრანგულსა და პოლანდურ ყაიდაზე დაკანული წიგნები. აქი სილატაკე და უკემურობა შესცქეროდა სახეში, სამაგიეროდ ერთ კუთხეში თეთრ ფეშტქელიანი გრეტხენი იჯდა და ჭკოვდა და ეს ავსებდა აქაურობას სხივმოხილი ჯადოსნობით.

ამ ახალ წრეში, ამ ახალ მეგობრებს შორის ვოლფგანგი სულ სხვა ამბებსა და ვითარებებს ისვენდა. სულ სხვა ინტერესები ამოძრავებდა ამ ყმაწვილებს, იქ არ ლაპარაკობდნენ იურიდიულ კარიერის შესახებ, არც ქალაქის საბჭოში დანიშნულ ბიუროკრატების ამბავი ესმოდა. ესენი შურით იხსენიებდნენ იმ ლატაკ ნოქრების სიყვარულს, რომელთაც ამა თუ იმ დიდი ვაჭრის ქალიშვილის შეყვარებამ გზა გაუკაფა შეძლებულ ოჯახებისაკენ. პილადეს თავის მხრით სჩივოდა, ჩემს მშობლებს იმის საშუალება არ აღმოაჩნდათ, რომ „აკადემიებში“ მესწავლა, კარგი ხელი მაქვს, ანგარიში და უცხო ენეხი შევისწავლე, ახლა ჩემს საცოლეს შევირთავ, პატარა, მყუდრო ოჯახს გავიჩენ და ჩემს გემოზე ვიცხოვრებო.

მორიგეობით ყოველი სტუმართაგანი ჰყვებოდა თავისი სანერმისო ცხოვრების გეგმებს, როცა ვოლფგანგის ჯერში მოაღწია, მას არც ერთ აცხადეს: ყველაფერი ისა სჯობს ვოლფგანგმა რამე ზღაპარი გვიამბოს. ამასობაში გრეტებენმა საქსოვი მოათავა და წამოდგა, ოთახის შუაგულში მოთავსებულ დაბალსა და განიერ მაგიდას მოუჯდა.

ვოლფგანგმა ძლიერ მჭევრად მოუთხრა თავისი მომავალი გეგმები, იგულისხმებოდა: ახალგაზრდები მას უნდა მოშველებოდნენ და სხვადასხვა შემთხვევათათვის მიძღვნილი ლექსები ბლომად შემოეკვეთათ. ცხადია თუ აღებულ ჰონორარს უსაზნოდ არ დახარჯავდნენ, ვოლფგანგი ამ გზით ცოტა რაიმეს უთუოდ შეიძენდა და ისიც მოიწყობდა აქ თუ ისე ასატან ცხოვრებას. ამასობაში ლეონო ისმოდა, გრეტებენი ათასში ერთხელ შორცხვად მიაკარებდა ბავჯს თანს, იგი მეტწილად ცარიელი ბოთლების ალაგებითა და საეგეთა შემოტანით იყო გაართული. ხანაც გულ-ხელდაკრეფილი უსმენდა და როცა შეზარხოშებულთა ქაქანი მისთვის საინტერესო თემას მისწვდებოდა, კრძალვით ჩაადგებდა შათ საუბარში სიტყვას. ვოლფგანგი წამ და უწყემ გრეტებენს შესტკეროდა, მისი ქურდული მხერა ხარბად ზვერაგდა ქალწულის შებლზე ჩამოშლილ კულულების უცნაურ შეტოკებას, დაწვების მოულოდნელ შეფაკლებას, ადგომისა და გველი-სას მხართეძობის მოჭრაობას.

თუმცა კაბუკი ვოლფგანგის მიერ წარმოდგენილი საერმისო ცხოვრებაში „მეუღლე“ სახელშერქმეული არ იყო, ამ შიფრის ქვეშ მომთხრობი გრეტებენს გულისხმობდა, თავის მხრით გრეტებენიც თავად გულისხმობდა თავისთავს აქ. შესაძლოა, პილადესსაც ჰქონოდა ეს შემწიული, ვინაიდან იგი წარამარა ისეც და ისეც „ცოლის“ მოვალეობას გამორკვევას უბრუნდებოდა, და თანაც ეწადა ვოლფგანგს რამე დასცდნოდა თავისი მომავალი ცოლის შესახებ. ვოლფგანგი ხანდახან გრეტებენს ესროდა ირიბ მზერას და განყენებულად მსჯელობდა ცოლის შერთვის აუცილებლობისა და მომავალი ოჯახის შექმნის შესახებ.

ასე იქეიფეს ყმაწვილებმა საქელებო შაირის ჰონორარით, ჯერში იყო საქორწინო შაირის გასამრჯელოც. ტოლბიჭები საქეიფოდ ემზადებოდნენ, სხვადასხვა გეგმებს ადგენდნენ, ხოლო თავად აეტორი ამ ლექსის დაწერას ციებ-ცხელებას ჰქონდა შეპყრობილი. მაგარი ის იყო, ვოლფგანგი საღამოობით შინ ვერ ჩერდებოდა, მუდამ გრეტებენის ხლებას იყო დანატრული, მამისეულ მდიდრულ სასახლეში სიცარიელესა გრძნობს და ენატრება დაბალტერიანი ღარიბული ბინა, ფანჯარასთან იადონების კუიპინი, ობისა და მოძველებული ტყავის სუნი.

ყოველ მეორე დღეს გრეტებენის ოთახში იკრიბებიან ახალგაზრდები შელაშებულზე, პილადესს თავისი საცოლევ მოჰყავს, თითოეული მათგანი დაწყვილებული ცხადდება აქ. თავდაპირველად გრეტებენი ერიდება ვოლფგანგის გვერდით ჯდომას, მაგრამ როცა პოეტი რაიმეს კითხულობს, იგი მოუჯდება, უნებლიედ მხარზე ხელს დაადებს, მყისვე გონს მოდის და ფრთხილად ჩამოიღებს ხელს, ხან გრეტებენის ხელი ვოლფგანგისას მოხვდება და ელექტროს დენი სხეულიდან სხეულისაკენ გადაირბენს და ყმაწვილურ სისხლს აჩქროლებს ორივეს გულში.

ერთ დღეს ახალგაზრდები საექსკურსიოდ გაემართნენ, ანძიანი ვაკით დაყენენ ქვემოთკენ მდინარე მაინცს. ერთ პატარა დაბაში ჩამოხტნენ, რესტორანში დაიმუხლეს, წაისაუზმეს. ამ დაბას ერქვა ჰესტ.

საქართველო

სწორედ აქ გააცნო გრეტენის ბიძაშვილმა ვოლფგანგს საქართველო საამო აღნაგობის ჰაბუკი, რომელიც შესთხოვდა ვოლფგანგს ქალაქის სამმართველოში სამსახური ეშოვნა მისთვის პაპის მისის ბატონ ტექსტორის შემწეობით. ჯერ იყო და უარის თქმას აპირებდა ვოლფგანგი, მაგრამ გრეტენისა და ამ ყმაწვილის საამური შესახებდავობის ხათრმა გადასძლია და შეველა ილუთქვა.

კვირა დღეს, ნასადილევს ვოლფგანგი ბაღში ეხმარებოდა პაპა ტექსტორს ყვავილების მორწყვაში, შუა ზაფხული გადასულიყო და ქალაქის საქმეებით დატვირთული ბერიკაცი ვერ ასწრებდა ბაღზე მზრუნველობას და ამიტომაც განსაკუთრებით სანუკველი იყო მისთვის შვილიშვილის თანაშემწეობა.

— შეხე, ვოლფგანგ, რა კარგად გაუხარნია ამ თეთრ ვარდს პაპადღურს, ეუბნება პაპა.

ვოლფგანგმა იდროვა მომღიზარე პაპის გახარებით და მოკრძალებულად შესთხოვა იმ საცოდავი ახალგაზრდისათვის მფარველობა გაეწია, რაკი ქალაქის სამმართველოში სწორედ ამას წინად განთავისუფლებულა თურმე ის ადგილი.

— თუ მას კარგი მოწმობები აღმოაჩნდება, ამბობდა პაპა ტექსტორი, მისისა და შენის ხათრით, მე მზადა ვარ ეუშველო. ვოლფგანგი დადუმდა, ისე გაეხარდა რომ სამადლობელო სიტყვაც ვერ შეარჩია. დიხაც ახარებდა ასეთი გამარჯვება, ის ყმაწვილი ფრიად რიგიანი ვინმეა ფიქრობდა, რაც მთავარია: გრეტენს უთუოდ ყურში ჩააწვეოებენ ამ ამბავს, უქვევლია ვოლფგანგი კიდევ უფრო ზეიანწევს გრეტენის თვალში.

დღე ისე მიფრინავდნენ, როგორც ეს პირველი სიყვარულით დაბანგულ ყმაწვილებს ეტევენათ ხოლმე. როცა საღამოობით გრეტენს შინ შეისწრებდა; ვოლფგანგი ხედავდა: იგი უკვე აღარ ქსოვდა, ბეკრავდა. ერთ ორჯერ გაიარა, გრეტენი შინ აღარ იყო, მიზეზი ვეღარ გაიგო და გამოკითხვაც ეკრძალებოდა. შეწუხებულ მიჯნურს უცარი მწუხარება დაეფულა, ასეთ დროს არც შინ მისვლა უნდოდა, მიჰყვებოდა მაინცის მოფუსფუსე ნაპირებს, მოლაშლაშე ბრბოს ყურს უჯდებდა და ქალაქის აურზაურსა და ალიაქოთში იქარებდა შენაღვლიანი მარტოობის დარღს.

ვოლფგანგის დაკორნელია ბალისათვის ემზადებოდა, წინადღეს სთხოვა ვოლფგანგს აგრედ წოდებული იტალიური ყვავილები ეყიდნა ბაზარში მისთვის. ამ იტალიურ ყვავილებს იმ დროს მონასტრებში აკეთებდნენ, მეწვრიშალეები ბერებისაგან იაფად იძენდნენ და შემდეგ თავად ყიდდნენ.

ერთ ერთ დღეინს კარი შეიღო ვოლფგანგმა და აქ თვალი მოჰკრა ერთ ლამაზს, ფარიაში გამოკანზულ ნოქარ ქალს, რომელიც ძლიერ წააგავდა გრეტენს. სახე აელეწა ვოლფგანგს, გამოლაპარაკება ეწადა, მაგრამ ქალმა ოსტატურად თვალი უყო, ანიშნა არ გამოემეცნაუროო.

ამ მოულოდნელი ამბისაგან გუნებაარეული ვოლფგანგი მთელი კლასიკით მოყილდა შინ და აქ მამამ ახალი ამბავი შეაგება, ეს ამბავი ნაკლებად ინტერესებდა ამ წუთში გამიჯნურებულ ყმაწვილს. როგორც ჩანს, აესტრიის ერც-ჰერცოგი იოსებ რომის მეფედ აურჩევდათ თუ არა ამ დღეებში უნდა აკურთხონ კიდევაც.

* * *

ცხადია, ვოლფგანგის მამის ოჯახი რომის მეფის ფრანკფურტში კურთხევის დიარიუმში¹⁾ დიდ მონაწილეობას მიიღებდა. ამ დღეებში ვოლფგანგი მამას უნდა ხლებოდა და მასთან ერთად ახლოს ენახა ზეიმის გამო გამართული ცერემონიები. გოეტენთან ოჯახში ციებცხელებიანი ფაცა-ფუცი დაიწყო, ფერთახედნენ, სწმენდნენ, კერავდნენ, აკრიალებდნენ, ირთებოდნენ, ლელავდნენ, ყიდულობდნენ, ტანისამოსებს იკერავდნენ, თანაც სტუმრად მოსულ მეფეების, მინისტრების, ჰერცოგების და მათი ცოლების ტუალეტებზე მსჯელობდნენ, ამ მიტქნა მოტქმის შუაგულში იყო მეფედ საკუთებელი ერც-ჰერცოგი, ბრწყინვალე მორთულობა და სხვა ამისთანანი. სავსებით ახალი ასოციაციები წარმოიშვენ ყმაწვილის წარმოდგენაში და ამ ბრწყინვალე საგნების ნამქრში ელავდა გრეტხენის თვინიერი სახე და მისი ღარიბული უბრალო ჩითის კაბები და ახალი ფარჩა, იმ დღეს დუქანში რომ ეცვა. ამ საღამოს შეუძლებელი იყო გრეტხენის მონახვა, ვინაიდან მთელი ოჯახი სამზადისის აღიქოთით იყო გართული.

მეორე საღამოს ვოლფგანგი უკვე გრეტხენთან იყო. მას უკვე ჩვეულებრივი, საშინაო კაბა ეცვა. გამოირკვა: გრეტხენი იმ დუქანში ნოქრად დამდგარა, ვოლფგანგი არ ამხელდა, თავად კი ფრიალ შეწუხებული იყო, რომ მისი მიჯნური ნოქრად უნდა ყოფილიყო ხელოვნური ყვავილებისა და ქალების საკონსმეტიკო საგნების სავაჭროში.

ფრანკფურტ ქალაქი მომავალ დღესასწაულებისათვის ემზადებოდა, პატრიციების ოჯახები ნაირნაირად ერთობოდნენ, ვოლფგანგი და მისი ახლად შეძენილი მეგობრები კვლავ გრეტხენის პატარა ოთახში იკრიბებოდნენ, ვოლფგანგი საქორწინო და სამგლოვიარო შაირებს სწერდა, გრეტხენი კერავდა, ხანაც შემოკვეთილი ლექსების ფულით ვახშამს მართავდნენ ყმაწვილები.

კურფიურსტების ყრილობა, რომელიც თავდაპირველად აუგსბურგში უნდა გამართულიყო, ფრანკფურტში გადმოიტანეს.

ცერემონიების დასაწყისი ქალაქს აუწყა ცხენზე მჯდომარე მოხელემ, რომელსაც ოთხი ცხენოსანი მეტუკე ახლდა, ჭვეითი მეომრების რაზმეული უკან მისდევდა.

ფრანკფურტის ყოველ კუთხეში ედიქტს კითხულობდნენ, ამ ედიქტში ცხადდებოდა მომავალი ზეიმის განწყვი. ქალაქის საბჭოს სახელმწიფო კვარტირ-მინისტერი ეწვია და მომავალ სტუმრების დაბინავების თადარიგს შეუდგა. ვიწრო სიტები, კონტრავიზიტები, ვახშმები, რაუტები, სპეკტაკლები და ქეფი.

¹⁾ diarium—დღეობა, ზეიმი, სპეც. ყოველდღიური პურის ჭამა, საოცარია ეს სიტყვა მჯერად დააღქტნი შეზონახულია როგორც „დინარა“—ნაღიმი.

გორჯუბა ცხატარიაშ რედაქცია მოხდა. შუათანა სარაჯული, რომელიც გრაფ დე ტორნაქს ეჭირა, ნაურბნერგ ქალაქის რწმუნებულმა ბრონ ფონ კონიგსტალმა დაიკავა. სტუმართ მოყვარე ოჯახმა ძლიერ შეიმჩნია მისი თავი, ამ გარემოებამ მომეტებული საბაზი მისცა ვოლფგანგს მსოფლიო დღესასწაულს გვიან ღამეშის ან ქუჩაში ესეირნა, ან არა და გრეტხენთან ყოფილიყო.

მაშინდელი გერმანია უთვალავ სამეფოებად, საპერცოგოებად იყო დაქუც-მაცებული და ყოველი თვით უმცირესი თავადის გაბლენძილი თავმოყვარეობა მოითხოვდა ასეთ ზეიმებში საკუთარი წარმომადგენელი წარმოგზავნა.

არჩევნები 7 თებერვალს უნდა დაწყებულიყო. ქალაქში გაუთავებელი ცერემონიები დაიწყო. მეფეები, თავადები, ელჩები და მინისტრები ექვიპაჟებისა და ლივრების ბრწყინვალეობით ეჯიბრებოდნენ ურთიერთს.

პაპა ტექსტორი „წარჩინებული“ სტუმრების მიღებას, სადილებს, საჩუქრების მირომეცას და „უქვეშევრდომლესს“ რევერანსებს ველარ აუდიოდა.

ვოლფგანგს მამისაგან ერთგვარი მდივნობა დაეკისრა და უაზრო ბარათების მიწერმოწერით იყო გართული, მაგრამ მის ყურადღებას არ გამოპარვია ცნობილი მისტიკოსი მწერლის ლაფატერის ფრანკფურტში ჩამოსვლა.

ცხადია, ვოლფგანგს ეს უფრო აინტერესებდა ვიდრე უთვალავი ელჩების და კარიკატურული მეფეების ხროვა.

არც ლაფატერისათვის პქონია რაიმე მნიშვნელობა ამ გულდაფშუტა, ყოყლოჩინა არისტოკრატის გროტესკულ ზეიმს, რადგან ლაფატერი ამ გვარ ზეიმებს ამოცების უმწეო ფუსფუსად სთვლიდა.

გრეტხენი და ვოლფგანგი, პილადეს და მისი ტურფა ფრანკფურტის სანახებიდან მოჯარულ ხალხის ბრბოს დაჰყვებოდნენ ქუჩიდან ქუჩამდის, მოედნიდან მოედნამდის. გრეტხენს დედოფლების, პერცოგების, გრაფების და აზნაურთა ცოლების ტუალეტებზე რჩებოდა თვალი, ვოლფგანგი და პილადეს უფრო მეტის ინტერესით ათვალთვლებდნენ ეტლებში შებმულ ჯიშთან ცხენებს, ვიდრე კარეტებში მჯდომ ღიბიან სტუმრებს.

იმ საღამოს კვლავ გრეტხენთან შეგროვდნენ ახალგაზრდები და გასული დღის შთაბეჭდილებას უზიარებდნენ ერთი მეორეს.

მეორე დღეს დილიდანვე კვლავ ატყდა დაფაფეების, ბუკების ზიშხიში, მოქალაქეთა ლაშქარი ქალაქის საბჭოს მიაწყდა, აქ ახლად არჩეულ მეფისთვის ფიცი უნდა მიეცათ.

წინა დღეს უცხოელები ქალაქიდან გააძევეს და ციხის ალაყაფის კარები უშველებელი დვირებით დაგმანეს.

საარჩევნო ცერემონიების სანახავად ვოლფგანგი სასხდომო დარბაზის სხვენზე შეძვრა და თავს ისე გრძობდა როგორც „ბელელში“ შეპარული თავი.

ქუჩებში ვოლფგანგი კურფურსტების ბრწყინვალე მანტიებს, კრიალა ეტლებს და ცხენებს ათვალთვლებდა. ხიბლავდა ყრმას არისტოკრატის ოქრომკედით ნაკერი მოსახსამები, რომელთა ბადალი აქამდის მხოლოდ მუზეუმში და სურათებში ენახა. განსაკუთრებით მზიარულ გუნებაზე აყენებდა მას სტუმრების ქუდებზე მიკერებული ვრძელ-ვრძელი ფრთები და ჯიხვის წვერები. რო-

ცა ამგვარად მორთულთა რაზმეულები ჩაივლიდნენ, მათი ქუდები ნიაცის ქრო-
ლვაზე ველის მელიკუდებსავით ბიბინებდნენ და ირხეოდნენ და ამას იდრატემაში
მოჰყავდა ბალლი.

ერეკენული

მთელი ეს ზეიმი და ალიაჟოთი მის წარმოდგენაში ისტახტებრძეს ქო-
ვორც რამოდენიმე დღის განმავლობაში ცის ქვეშ გამართული სპექტაკლი და
ცხადია, მის თეატრალურ ბუნებას ეს ამბები სანახაობის თვალსაზრისით აინ-
ტერესებდა.

კაიზერი და მეფე შონბორნის სასახლეში ჩამოხდნენ. ქალაქში ზარბაზნები
გრაილებდნენ, ეკლესიებსა და სინაგოგებში პარაკლისებს იხდიდნენ.

სამღვდელოება წესისამებრ სუფრას უჭურთხებდა მოხეიმი თავად აზნაუ-
რობას.

ყოველ წუთში სტუმრების, მოსიერე და მოსიერნე უცხოელების ახალი და
ახალი ტალღები ემატებოდა ფრანკფურტს.

ცერემონიების დროს ყოველივე წინასწარ განზომილი იყო, კურფიურს-
ტებს, ელჩებს და თავადებს თითქოს გაზეპირებული ჰქონდათ თავთავიანთი
როლები. უაღრესის სიზუსტით წინასწარ დადგენილი იყო: ვინ ვის უნდა ეახ-
ლოს, ვინ ვის თაყვანი სცეს, ვინ ვის სად შესვლეს, რა მიართვას, რა ჰკითხოს,
ან ნაკითხზე რა უპასუხოს.

ხალხის უთვალავი ბრბოები ფილაქანებიდან, ეზოებიდან, სხენეებიდან, სა-
ხურავეებიდან და ბავშვებით დახუნძული ხეებიდან შესცქეროდა ამ წარმოდ-
გენას.

ღიდის ზათქით და ზეიმით შემოვიდა ქალაქში შაინცის კურფიურსტი.
შემდეგ კაიზერი და მეფე წამოვიდნენ ქალაქისაკენ. მთავარ ალაცაფის კარებ-
თან ციხე-ქალაქის გასაღებები ჩაიბარეს.

ბლავოდნენ ზარბაზნები, ზრიალებდნენ ზარები, ზიმიშებდნენ უშქარი
ბრბოები. იმპერატორის გეჰაიმრატებით, კამერპერებით, ათასი ჯურის პოლმა-
ისტრებით დატვირთული გალა ეტლები მოწინაწარებდნენ მეფეების კორტე-
ჯის უკან, პილადესს და ვოლფგანგს მაინც ცხენებისაკენ ეკირათ თვალი, ხანაც
ესპანური კოსტიუმები იპყრობდნენ მათ ყურადღებას, ხანაც საშუალო საუკუ-
ნის სამუზეუმო კოსტიუმები ცოცხალ მანეკენებზე გადაცმული.

ვოლფგანგიც დიდ გაწამაწიაში იყო, მამის მიწერმოწერა მას უნდა ეწარ-
მოებინა, სანახაობები კი აუარებელ დროს ნთქავდნენ, როგორც იქნა საღამოს
შინიდან გაიპარა, გრეტენი ყურადღებით უსმენდა ვოლფგანგს, რომელიც მე-
საფერ ისტორიულ ექსკურსებს აწვდიდა მას სხვა და სხვა კურფიურსტების,
ჰერცოგების და მათი დროების შესახებ.

მთელი დღე ნასიარულევი, ნარბენი ვოლფგანგი ძლიერ დაიქანცა, სახლის
კარის გასაღებიც შინ დარჩნოდა. გრეტენი ყვით გაუმასპინძლდა სტუმრებს,
მალე დაქანცულ სტუმრებს ძილი მოეკიდა, გრეტენი და ვოლფგანგი ერთ კუთ-
ხეში სთვლემდნენ, პილადესს და მისი ტურფა მეორეში, გრეტენის ბიძაშვილი
მშვილდივით მოკეცილ მკლავებზე დაიხობილიყო და ხვრინავდა, ოთახში ძვე-
ლებური ლამპა ხროდა. ინათლა თუ არა, ვოლფგანგს გამოეღვიძა, მას სატ-
რფოს მხარზე ჩამოსძინებოდა. შინ მობრუნებული ვოლფგანგი აერიდა სახლის

სწორედ იმ მხარეს, სადაც საზვერავე ფანჯრის თვალი ჰქონდა მამის გვერდებზე. კეთილმა დედამ იძულებით იცრუა: ვოლფგანგი დილა აღრიან ჰქალაქში გაეგზავნენო, ასე რომ ეს პირველი ღამე უცხოელ გათენებულ იქნა დასარულდა ამრიგად.

მეორე დღეს მრავალი წარჩინებული პირი სადარბაზოდ მოვიდა ვოლფგანგის მამის ოჯახში, ცხადია, ყურადღებით ექცეოდნენ ფრანკფურტელი პატრიციის ერთად ერთ ვაჟს, ვოლფგანგი უცხოებთან ძლიერ შორცხვი იყო, იგი ხმას არ იღებდა ვიდრე რამეს არ ჰკითხავდნენ, მაგრამ ყველა მისი მნახველი ერთ რამეში ეთანხმებოდა ერთმანეთს: ეს იყო ნამდვილი ვუნდერ კინდ¹⁾. ამას ამბობდნენ ისინიც ვინც მის ბავშვური ნაწერებით, ნახატებით და ნაკეთებით არ დაინტერესებულან.

კურთხევის დღეც მოახლოვდა, 1764 წლის აპრილის 3.

ქალაქში შადრევანები მოაწყვეს, მიღებიდან ღვინო გადმოსჩქეფდა, ცალკერძ თეთრი, ცალკერძ წითელი. მოედნებზე უშველებელ მამფურებზე წამოგებულ ხარებს სწვავდნენ.

ფრანკფურტის ცერემონიები დაიწყო, მირონცხება, კურთხევა რაინდების ხელდასხმა. მეფერამეტე საუკუნოში მიღწეული რაინდული წესების გროტესკული ნაშთები მელანდებოდნენ ამ გაუთავებელ ცერემონიებში. ამას ყოველივეს დიდის ყურადღებით შესცქეროდა ვოლფგანგი და აღზად არც იცოდა, რომ სწორედ მას მოუხდებოდა ამ მხიარული მასკარადის, ამ სასიკვდილოდ განწირული ეპოქის გაუყვადება თავის ფაუსტსა და გოც ფონ ბერლინხინგენში.

მეფის კურთხევის ცერემონიები გათავდა, ახლად ნაკურთხებს ფეხით უნდა ეარნათ, რათა ცნობისმოყვარე და უმეცარ ბრბოს საკუთარი თვალით ენახა, თურმე მეფეებსაც სიარული რომ შესძლებიათ, საამისოდ მოედანზე საგანგებო ხიდი იყო აღმართული, ხოლო ამ ხიდზე შავ-ყვითლ-თეთრი საფენი ეფინა, როცა სამეფო კორტემა გაიარა, უკან მომავალმა კარისკაცებმა დაახვიეს სამეფოროვანი საფენი და ჰაერში აისროლეს. მოზღვაებული ხალხი მისცვივდა, ერთ წუთში ნაკურთხ-ნაკურთხად იქცა სამეფოროვანი მატერია, რათა ყველას შესძლებოდა თითო თითო ნაჭერი შინ წაეღო სახსოვრად. ხალხით გაქეპილ ქუჩებში ცხენოსანი შეიკრები დაჰქროდნენ, ქისებიდან ოქროსა და ვერცხლს იღებდნენ და თავზე აბნეოდნენ ბრბოს, ცხადია, წყალობა ათასში ერთს თუ შეხედებოდა.

ვოლფგანგი გრეტხენის გვერდით მიდიოდა მოლაშლაშე ბრბოში და ამ გასეირნებას უკვე მიზარწნილებაში ვადამღგარი გოტე იგონებს „როგორც ელიზიუმის სვებელნიერ ველზე სეირნობას, სადაც ხეებიდან ნექტარით სავსე პურქელი ჩამოაქვთ და უჯაფოდ იბნევა მიწაზე ჯადოსნური ნაყოფი“.

დაქანცული შეყვარებულნი: გრეტხენი, ვოლფგანგი, პილადეს და მისი ტურფა ერთ ღარიბულ დუქანში შევიდნენ და დანაყრდნენ. სატრფოს ხლებით გულდამტკბარი ვოლფგანგი უგემურად სჭამდა. იმ საღამოს უკანასკნელად მიაცილა ვოლფგანგმა თვისი მიჯნური შინ და შუბლზე აკოცა, ეს იყო უკანასკნელი კოცნაც და ამის მეტად არც არასოდეს შეხვედრია გრეტხენს.

¹⁾ საოცარი ბავშვი.

სიბნელისაგან სინათლის გამთიშველს ასე უნებებია, რომ ჩვენი საყვარული ყველაზე ძლიერი სწორედ მაშინაა, როცა თავად საგანი სიყვარულისა ჩვენისა მიუწყვდომელია და ნდობა ჩვენი აუხდომელი. და ისიც დასწერილა, რომ ყოველი სიამისათვის ამავე ოდენობის უსიამოვნება გვაქვს მორწყული.



მეორე დილას ვოლფგანგს ჯერაც თვალის მოფშენეტაც ვერ მოესწროა როცა გაფითრებული, წინა ღამით უძინარი ფრთხილად აიხადე და თავზე წამოადგა.

— ადრე შეილო, ჩაიცივი, ეუბნება დაზაფრული დედა, უსიამო რამე უნდა გამცნო და განემზადე.

ვოლფგანგი უსიტყვოდაც სახეზე ატყობდა დედას გულში განზრახულს. შესჩქვიფთდა ყმაწვილი, ზეწამოიჭრა.— ყველაფერი გავიგეთ, შეილო განაგრძო დედამ, თურმე შენ ცუდ საზოგადოებას გადააქვრხარ და საფრთხის წინაშე დაგიყენებია შენი სახელი, მაშა განძვინებულა, ჩვენ საცდელი არ დაგიცილია, ძლიერ ძლივობით დავაწოშვინეთ და როგორც იქნა დავეთანხმეთ, საქმის გამოძიება მესამე პირს მიენდოს. დარჩი შენს ოთახში და უცადე თავიოდრეკილად მაშის რისხვას.

საიმპერიო მრჩეველს შნაიდერს მიანდო მაშა შენმა და მართებლობამ ყოველივე გამოარკვიოს, გამოიძიოს. შესაძლოა ყოველივე ფრიად არაკეთილად წარიმართოს.— ეს უთხრა დედამ და კარი გამოიხურა.

ვოლფგანგი ხედავს: საქმე ვერაა კარგად, მაგრამ გულს იმაგრებს; აქაზებენ ფიქრობს, გრეტხენთან ურთიერთობა შეიძლება ვაიგონ, მაგრამ სახიფათო რა უნდა იყოს, მაინც თრთის, მოუსვენრობა ეტყობა, მაშის მოკუშტული წარბებიდან განრისხებული მზერა გამოსჭვივის.

ფრიად კეთილი, თმაშვერცხილი რატ შნაიდერ შემოდის კრძალვით, თითქოს უმცროსი უფროსს ეახლაო, დილას მშვიდობიანს უსურვებს ვოლფგანგს და თავისი ნელი და ტუბილი ხმით, დაბლა, ფრიად ხმა დაბლა ლულულუნებს, თანაც მის ცისფერ თვალებში ღმობიერების სისველე ელავს:

— ფრიად მაწუხებს ჩემო ბალო, რომ ამგვარი უსიამო საქმის გამო მომიხდა შენთან მოსვლა. მე მაინც ვერ წარმომედგინა რომ თქვენებრ ქერუბიშულად სათნო ვაქი ეგზომ გადასცდებოდა გზასა მართალსა. მაგრამ დიღია ძალა უკეთური ამხანაგებისა და მზაკრული მაგალითისა. ამ გზით მიიყვანენ კეთილგონიერსა ახალგაზრდას წარწყმედის უფსკრულამდის.

— მე ჩემდა თავად, დაიწყო ვოლფგანგმა თვისი პასუხი, არავითარი სიცუდე არ ჩამიდენია, არც თუ ცუდ საზოგადოებაში გავერვივარ ოდესმე.

— ამეამად, ჩემო კეთილო, უმთავრესია სიმართლის დადგინება და თქვენის მხრით ყოველივეს ალაღმართლად აღვიარება და არამც თუ თავდაცვა.

— მე არ მესმის რა გნებავეთ მაინც?

რატ შნაიდერმა ჯიბიდან ნაწერი ამოიღო და ამგვარი კითხვები მისცა ვოლფგანგს:

სათხოვა თუ არა მან პაპა ტექსტორს მავანი და მავანი ვაქისათვის აღგილი მიეცა?

— დიან, — იყო პასუხი.



— სად ვაიციანით?

— სეირნობის დროს.

— ვისი თანხლებით?

ვოლფგანგი დადუმდა. ჯერ საქმის ვითარება არ იცოდა, ანაწილების გაცემა არ ინდობა.

— დადუმება ვერას უშველის საქმეს, ყოველივე ვიცით.

— მაინც რა?

— ჩვენ ვიცით, რომ ეს ყმაწვილი თავის დამქაშს გაუცენია თქვენთვის, — ამასთანავე შნაიდერმა სამი პირი დაასახელა, ვოლფგანგისათვის სახსენებით უცხონი. შემდეგ შნაიდერმა დაუსახელა ქუჩა, სადაც ვითომდა ამ პირებს უნდა შეხვედროდა ვოლფგანგი. არც ამ ქუჩის შესახებ იცოდა რაიმე ვოლფგანგმა. ახლა სახლიც დაუსახელა შნაიდერმა, ვოლფგანგმა იუარა, მაგრამ გამოუტყდა შიგ შიგ სახლში არ ვყოფილვარ, მაგრამ ერთხელ პილადესი და მისი ტურფა მივაცილე, სახლში არ შევსულვარ, რადგან ორივეს ბაღში ვუცდიდიო. კიდევ მრავალი შეკითხვა მისცა გამოძიებელმა, მაგრამ ყველაზე უარი მიიღო. შნაიდერი მოთმინებიდან გამოიყვანა ვოლფგანგის ეგზომ ჯიუტურმა უარისყოფამ და საყვედური შეჰკადრა, ჩემს ნდობას და კეთილგანწყობილებას ცუდად ეპყრობიო.

— ჩემი ერთად ერთი განზრახვია თქვენი სახელის სისპეტაკე დაეიცვა და საფრთხე აგაციდინო—ლულულულებდა ბერიკაცი. აქ ფრიად სერიოზული დანაშაულობანია აღმოჩენილი, ეს პირები ყალბის მქნელებია, ყალბ ანდერძებს სწერდნენ, ხალხს ფულებს სტყუებდნენ, ხელმოწერას ბაძავდნენ, ყალბ ვექსილებს აფრცელებდნენ და სხვ.

ვოლფგანგი დაფიქრდა. ბევრი რამ ურთიერთს ემთხვევოდა შნაიდერის ნათქვამსა და მის მიერ შენიშნულს შორის. ბერიკაცი არა სცხრებოდა, ვოლფგანგი მომეტებულ სიფრთხილეს იჩენდა, სანუგეშო ეს იყო, მისი მეგობრების გვარები, სახსენებით გარკვეული არ იყო და ამიტომაც ერიდებოდა ანაწილების დასახელებას. სამაგიეროდ მან ველარ უარყო რომ ლამლამობით შინ გვიან ბრუნდებოდა, ისიც აღვიარა: ერთხელ გასაღები შინ დამრჩა და ღამე სხვის ოჯახში გავათიეო. ჩემზე უმირ ახალგაზრდებთან მეგობრობა მქონდა, ამ ურთიერთობაში ქალიც ერიაო, მაგრამ სახელები და გვარები არ გასცა, ბევრი უტრიალა ჭკვიანმა და ფრთხილმა მოხუცმა, მაგრამ ვოლფგანგი კლდესავით იდგა და თავის სიყრმის მეგობრების ხვაშიადს მტკიცედ ინახავდა.

— მაშ თუ ასეა, მე გამოვეთხოვებით, მაგრამ იცოდეთ ჩემს შემდეგ სხვა მოვა და იგი უკვე ჩემებრ სათუთად აღარ მოგექცევათ.

მალე გრეტუნის ბინაც დაასახელა შნაიდერმა, სახლის ნომერიც კი ახსენა. ამ სახლში ხედებოდნენ თურქე ერთმანეთს დამნაშაენი, ამბობდა იგი, პოლიციამ ყოველივე იცის, მხოლოდ ესაა თქვენ ჯიუტობით, ბოროტმოქმედებსა და ყალბისმქნელებს ხელს აფარებთ. ჰქადაგებდა შნაიდერი, ამ ქადაგებას არ აკლდა არც საშინელი, კრიმინალური რომანების სტილი, არც რელიგიური ფრაზებით ზედგავლენის მოხდენის სურვილი, არც თუ დაქაღნება და გაკიცხვა.

ვოლფგანგი მოტყდა, მთელი სხეული დაერღვა, თვალწინ წამოეტევა როგორ შეიპყრეს გრეტენი, საცოდავი პილადესი და გრეტენის ბიძაშვილები, ერთი მათგანი მლიერ კარგი ყმაწვილი იყო, მეორე თვით ვოლფგანგის ძეგარ მოსწონდა, ამ უკანასკნელის გაბოროტებული გამომეტყველება და მუდმივი მტრურობა მასაც საეჭვოდ შიანდა, ეს ფიქრები აირია ბავშვის წარმოდგენაში, მისი ხული საშინელმა ძრწოლამ აიტანა, ვეღარ გაუძლო ამ საშინელ სიცხადეს, თავის მეგობრების ასე გაუბედურებას და გულშეღონებული წაიქცა.

სსოფნამიხილი დიდხანს ასე იწვა, როცა გონს მოვიდა, ატირებული კორნელია სასთუმალთან უჯდა და ეალერსებოდა.

კორნელია ანუგეშებდა: ქალაქის სამშართველოდან ვილაც მოვიდა, მამა, შნაიდერი და ის კაცი ცოტა ხანს საუბრობდნენ, საუბრის დროს ილიმებოდნენ, ამბობდნენ თურმე კიდევაც: ვოლფგანგს არაფერი განსაცდელი არ მოელისო.

„ვოლფგანგს არაფერი განსაცდელი არ მოელისო“, გაიმეორა ხმამალალი ფიქრით ვოლფგანგმა, ეს მანაც იცოდა, მაგრამ გრეტენს, სვედამწარებული გრეტენს, კეთილი პილადეს და ის ერთი ბიძაშვილი, გრეტენის ბიძაშვილი, ამათი ამბავი სდაგავდა. კორნელია დაღონებული გაეცალა.

მამა ვოლფგანგის ოთახში არ შემოდიოდა, ახლა დედა შემოვიდა, კარგი ამბა ვიც მოიტანა, თურმე მამასრულ ამნისტიას პირდება, სხვის სახლში ღამის გათევაც ეპატრება ვოლფგანგს თუ კარგად გახდება ისევ, „დაბალი წრიდან გამოსულ ამხანაგებთან ვეიფსა და უხნებობას მიუტევენს, ყოველივეს, ყოველივეს დაივიწყებს, ოღონდ ვოლფგანგმა ავადმყოფობას და უგუნებობას თავი არ მისცეს, მალე გამოჯობინდეს, კიდევ მეტს პირდება მამა: იგი მხადაა ვოლფგანგი ქალაქის გამგეობაში წაიყვანოს, იქ ახლა მხოლოდ წარჩინებულ პირებს აწვენენ მეფის კურთხევის შემდეგ იქ დატოვებულს ოქროს გვირგვინს, სკიპტრას დროშასა და პორფირს. სულ თვალწინ, სულ ახლოს აწვენენ ვოლფგანგს. მამის მხრით „სრული ამნისტიის“ მიღება ცოტა იმა ვოლფგანგს, მაგრამ მან დაბეჯითებით განუცხადა დედას და დას: არც სიცოცხლე მინდა და არც თუ რომის იმპერატორის ინსტიტუტს ოდესმე მივბედავო.

ფრანკფურტში ზეიმი თავდებოდა, უკანასკნელი ზარბაზნები გრუხუნებდნენ, ზარები მოუსვენრად ეღარუნებდნენ, კურფიურსტები, გრაფები და ელჩები გალა ერლებს დააქროლებდნენ უკანასკნელი დარბაზობის გადასახდელად, არც ის აინტერესებდა ავადმყოფს კაპუცინების ეკლესიაში რომ წირვას დასწრებია იმპერატორი, მისი ფიქრი გრეტენისაკენ ჰქროდა, საცოდავი პილადეს აგონდებოდა და კიდევ მეორე ბიძაშვილი გრეტენისა.

საშინელი ფსიქიური დეპრესია ანაზღვეულად უკუ იქცა, როცა ვოლფგანგის დაზაფრული სხეული ავადმყოფობამ შეიპყრო, მყისვე ექიმი იხმეს. დასიცხული ბავშვი კომარულ ზმანებაში თავის მეგობრების სახელებს ამოდებდა, ყველაზე ხშირად კი გრეტენის სახელს.

როცა იგი ოღრე მომჯობინდა და სიცხემ იკლო, დედა და დაა გვერდით მოუსხდნენ და ტკბილად უამბეს ვითომდა ახალი ამბავი, რომ გრეტენს საესეებით არაფერი დაშავებია, იგი სთფელში გაუჯანჯანით, ხოლო პილადეს და ის მეორე მეგობარი საშიოდე დღის განმავლობაში წინასწარი გამოძიების დასრულებამდის ცოტა, სულ ცოტა დაუსჯიათ, მაგრამ ისევ გაუთავისუფლებიათო.

ტყუილი ხანდახან მართალზედ უფრო მჭრელია და ტკბილი და ამ ახალმა საღბუნმა სულ მალე მოუშუშა წყლული ვოლფგანგს, მაგრამ საესეებით არა, ვინაიდან გრეტენის სახელი და ეს უბედო ფინალი დალივით დააჩნდა მის გულს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ნ ა ბ ი ზ ი ბ ი

ენილოვია. კაჩი პირიელი

ქარიშხლის წინ

შადის ნათხი

მიიჩქარის ლადარია სამეგრელოსკენ. მოხუცებულ დედის ნახვას ესწრაფება. ძიკისთან ცხარე საუბარი ენატრება. ენატრება ეზომამულზე თვალის გადავლება, თუმცა... „სადღაა ჩემი მიწა-მამული, სადღა გაქვს სახლ-კარი ან ეზო-შიდამო. ამბობენ: ძიკიმ ურიადნიკობისას ხელი ზოითბოო, მაგრამ ძიკის ზიარი მზის შუქიც ხომ საზიზღარია, მასთან ერთად ერთ ქერ-ქვეშ ცხოვრებაც კი წარმოუდგენელი. ეჰ! რა არის გული ადამიანის: უფსკერო და გაუმადლარი. თვალები ხარბი, გამოუწრყავი. ძიკი ხარბია ხარბებს შორის, შურიტა და ღვარძლით სავსეა ყელამდის. მისი თვალები მხოლოდ ოქრო-ვერცხლის გახსენებაზე ენთება, სიმდიდრის მოხვეჭისა და სამკაულების შოვნის განზრახვაზე... მის გულს სიმდიდრე თუ გაახარებს... ღიმილს-წარმატება და თანამდებობრივი დაწინაურება თუ მოჰგვრის... ძაკი ბოროტია ბოროტთა შორის... ბოროტი, ხარბი და გაუმადლარი“!

ლადარია ფიქრებით იტვირთება. დაქანცული აჯილღა ფრუტუნით მიიკვლევს ათოლილ გზას.

ალარ თოვს სამეგრელოში. ქაობში დანათოვი ყვითლად გამოიყურება. ჩალის დერები დარაზმულა ნაყანებ მინდვრებში. შორიდან ისმის წეროების შეწყობილი ხმა, ხაზარულა იხვებისა და კოკორინების მხიარული ყატყატი.

შუაგულ ზამთრის სუსხს ფრინველთა ყოფაც აუფორიაქებია. გზა გამოგრძელდა. ლადარიამ დაკარგა მოთმინება. სიცივე თოშავს ყველაფერს, მაგრამ ბეგის აჯილღა ოფლდასხმულია: გრძელი გზა ათოკა ეგვიტოს ბედაურმა და, ლაფში ჩამდგარი, ძლივს მილასლასებს ქანცმილეული.

— მომიკვდა ცხენი შიმშილით, — გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა ბეგიმ და ცხენს მოეფერა.

— ტალახში მაინც არ იყოს. უუქვეითებდი ცოტა ხანს.

იბ. „მნათობი“ №6 5-6

ეურ. „მნათობი“ № 7.

სოფლად სანთელი აანთეს. ფაცხებში სავახშმო ჭადი არეკეს კეცოდან. ახლა ბევრმაც იგრძნო შიმშილი. საბერიომდე კი შორი მანძილია.

— შეუხევე სადმე. ვინ მიცნობს. ფეხზე მოვაჭრედ გავაყენებთ და გავიფქვავთ ლადარიამ და აჯილღას შუკაში შეახვევია.

— მასპინძლო!— გაუბედავი ხმით დაიძახა ბეგემ პირველსავე მოსახლის კიშკართან.

ეზოში ძალღმა დაიყუთა. ბეგემ, ანგარიშმიუცემლად, ხელში რევოლვერი მოიმარჯვა, გაოფლებულ აჯილღას დაუწრუბუნა და კიშკართან დააყენა.

— ვინ ბრძანდები?— ხელმოფარებით იკითხა ვილაცამ.

— მგზავრი ვარ. ჭადის ნატეხი გექნებათ.

ოდის წინ ნაბდიანი გამოჩნდა, ყაბალაბით თავშებურვილი.

— ვინ ხარ?— კვლავ გაისმა ნაბდიანის ხმა, ხმა გოროზი და დეკვე-ბული.

ხმაურობაზე ძალი გახელდა, აღრინებული მესერს დაეტაკა. ძაღლებიც დაგვედა ყაზახებისა და პოლიციელების წარა მარა სოფლად ხეტიალზე...

ნაბდიანი კიშკარს მიუახლოვდა. სტუმარს გადახედა. კიშკარი აჭრიალდა.

— სტუმარი ღვთისაა!— ხმა დაბლა თქვა ნაბდიანმა.

— ღვინის ვაჭარი ვარ. შემომალამდა. მომშივდა კიდევ. — იცრუა ლადარიამ და ნაბდიანს დააკვირდა.

სტუმარ-მასპინძელმა ერთმანეთი ჩაათვალღერეს.

— ხმა შეცნაურა. ვაჭარს არ გიგავს.

ბეგი დაისტეკვა მასპინძლის დაეკვებაზე. მაგრამ გული გაიმავრა „ეგ ხმა ჩემთვისაც ნაცნობია“. გაიფიქრა მინ და კიშკარში შევიდა.

— ბეგლარ!— აღარ დააყოვნა ნაბდიანმა, ნაბადი მხრებიდან გადიგლო და გადასახვევად ხელები გაშალა, მაგრამ ორივე ხელი დამძიმებული დაურჩა. ცალ ხელში ხელბომში, ცალში კონდახზე დამაგრებული მათხერი.

ლადარია შეკრთა იარაღის დანახვაზე, უცებ თავი მოტყუებულად იგრძნო, მაგრამ ნაბდიანის მომღიმარმა სახემ ეკვები გაჰფანტა და ლადარიამაც ხელი უშვა მომარჯვებულ იარაღს.

— გოჩა!— იცნო ლადარიამ მეჯოგე ურიღია და ახლა ამნაც გაშალა ხელი გადასახვევად.

— ბეგლარ! ჩქიმი ჯიმა, ბეგლარ!— აღტყინდა ურიღია ლადარიასთან შეხვედრაზე და ბეგლარს ოდისკენ წაუძღვა. — შემოდი, ბეგლარ. აქ ჩემი დის ოჯახია. სიძე „თქვენი“ კაცია. შემოდი, როგორც საკუთარ ოჯახში.

ლადარიას ოდაში შეუძღვენ. ბუხარში ცეცხლ გააჩალეს. გაყინული ბეგლარი სწრაფად მოაბულბულეს.

— საუზმე აბა, ჩქარა! სანამ ვახშამი იქნებოდეს.

საპასუხოდ ხმა არავის ამოუღია. სწრაფად პაწია სუფრა გაშალეს, გრილი საკმელი მოიტანეს, დოქით ღვინო შემოდგეს სუფრაზე და დაფაცურებული დიასახლისები ვახშმის თადარიგს შეუდგენ.

გამგლებული ბეგლარი თან ილუქმებოდა და თანაც, სიცივისაგან გათოშილი, ცეცხლზე გულღვიძლს ითბობდა.

კარგა ხანია ბეგლარს ურიდია აღარ უნახავს, კარავზე თავდასხმის დღიდან მასზე თითქმის არაფერი შეუტყვია. ბეგლარი მზად არის ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხოს ურიდიას, ყურმოკრულ ამბებზე ესაუბროს. მაგრამ ჩაფიცებული ჰადის ნატები და სულგუნი უფრო იტაცებს მის ყურადღებებს. გარდა ამისა, ის საჩქაროდ უნდა გამოეთხოვოს გულგაშლილ მასპინძლის ოჯახს და საბერიოსკენ გაექანოს. დაყოვნება შეუძლებელია. უთენია უკან უნდა დაბრუნდეს. ზეგ შებინდებისას სურებში უნდა გაჩნდეს. ცენტრიდან კაცს ელოდებოდა, მას უნდა შეხედეს და ბევრ საჭირბოროტო საკითხებზე ესაუბროს. ამიტომ...

... არ იცის საიდან დაიწყოს, რა ჰკითხოს ურიდიას, რაზე ესაუბროს.

— რასა იქ, გოჩა, როგორ ხარ?—ჩვეულებრივად იკითხა ბოლოს ლადარიამ, და სავსე ჭიქა პირზე მიიღვა.

— რასა ვიქ?! ვიმალები.—არ დააყოვნა ურიდიამ.

ბეგლარი განცვიფრდა, ჭიქა პირიდან მოიშორა და, გაოცებული, გოჩას მიაშტერდა:

— იმალები?!

— სიცოცხლე მწყურია და ვიმალები.—ჩალუნა თავი ურიდიამ.

ბეგი ბურუსში გაიხვია. ლუქმა ყელზე დაადგა და სიცივისგან შებრუყებულს სლოკინი აუარდა. ბეგის ყურმოკრული ჰქონდა ბოქოვლ ჩიჩისა და ძიკის მტრობა გოჩასადმი, მაგრამ დანამდვილებით არაფერი იცოდა და არც ის ჰქონდა წარმოდგენილი. თუ მეჯოგე ურიდია როდისმე მთავრობისგან დევნილთა შორის აღმოჩნდებოდა.

—სიცოცხლე ვის არ სწყურია.—მშრალად გაიმეორა ლადარიამ და თავი ჩალუნა.

—რამდენი ხანია?—ხმამალა იკითხა მან ბოლოს.

—ძიკის „გაბატონებიდანვე“—გაიგუდა ბრავით ურიდია.

ბეგიმ უხმოდ გადაყლაპა უკანასკნელი ჭიქა ღვინო და ზედიზედ დაასლოკინა. დაასლოკინა და ბუხარში ანთებულ მუგუზულს დააკვირდა.

თაკარა ენთო მაშინ ლადარიას გულში, მუგუზალივით ენთებოდა მისი ძარღვები, ენთებოდა და ბორგავდა მთელი სხეული, მაგრამ... მუგუზალიც ელვარებდა ანთებულ ბუხარში. ელვარებდა და ნაკვერცხლებოდა. ფერფლი ეპარებოდა დაბლებულ ნაკვერცხლებს.

—მისეზი?—ისევე უაზროდ იკითხა ლადარიამ, თითქო სხვა რამეზე ფიქრობსო, და დანაკვერცხლებულ მუგუზულს ნაფოტი ჩაახალა. მუგუზალი დაიშალა ენეელი ნაკვერცხლებად და ახლა ნაფოტი ელვარებდა მუგუზალივით.

ლადარია უცებ გამოერკვა, ბუხარს თვალი მოარიდა და გოჩას პასუხს აღარ დააცალა, თვითონვე უპასუხა თავისივე შეკითხვაზე:

—აღბად ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად.

— და მამაჩემის საფლავის...

— როგორ?—წამოხტა ლადარია სელის სკამიდან, თითქო თავზე მდულარე დაასხესო.

— დაახჩვეს კატასავით.— დაიდაბლა ხმა ურიდიამ და ხომწარისგან ტუჩებზე იკბინა.

— საცოდავო უჩა!— შემოიკრა თავზე ხელი ლადარიამ და ხომწარისგან ტუჩები დაუსველდა.

— საბრალო მოხუცი!— ბეგი აღდუღებულ ქვაბივით აქშინდა.

— დედინაცვალცი გადაშირია. ცოლად შერთვას შეპირდა. ერთი სიტყვით პატრისცემა: უჰში..

გოჩამ უკანასკნელი სიტყვა ლუქმასავით გადაყლაპა, სიმწარისგან თავი გაიქნია და მუწურის კონდახს ჩააფრინდა.

— ლორონთი!— დაიგმინა ლადარიამ და მუწურის ოდენა თვალები ცეცხლივით დაანთო.

— მამა არ პატრეს. სადღაც ძალღივით დამარხეს, საფლავიც არ ვიცი... მამაჩემთან ერთად მეც ამითვალთვალეს... კაცი მომიჩინეს... ერთმა მესროლა კიდეც, ამაცდინა და ტყვილა თავი შემომამკლა... ნეტავი მოვეკალი... სულერთია, დღეს-ხელად სადმე მიმახელებენ და... გათავდა. ჯაშუშებით აავსეს მთელი სამეგრელო... ყოველ ნაბიჯზე მითვალთვალევენ, მე კი ხან სად დავეხეტები და ხან სად. სიცოცხლე მწყურია, ბეგლარ! სიცოცხლე მენატრება. ბეგრი სისხლი მაქვს დასალერელი. გამაბოროტეს და დღეს სისხლის მეტი არაფერი მწყურია თავზეხელაღებულს. რომ სანახევროდ ჩაემაძლეებდე ჩემზე დაგევილ მეძებრებს, ჯანდაბანს. არაფერს აღარ გინანებდი. მე ხომ ყველაფერი დაემარხე რაც რამ გეზადა: დედ-მამა, ოჯახი, სახლ-კარი, ათიათასი სული საქონელი... დღეს აღარც „იქეთ“ ვარ და არც „აქეთ“. მამაჩემი მთავრობის და ხალხის სამსახურში მოიხარა. მე კიდევ მეჯოგეობას შეეწირე ჩემი ახალგაზღობა, კერძო საკუთრებას გამოვედღენე. ახლა ყველაფერი ერთად დავკარგე. აღარც ქონება, აღარც ჯოგი, აღარც...— ურიდიამ მწარედ ამოიოხრა და სკამზე უმნიშვნელოდ შეინძრა.

ჩვენ ოჯახს ახალთაობასთან არაფერი აკავშირებდა.— განაგრძობდა ურიდია, ხელს არ უშლიდა, მაგრამ არც არაფრით ეხმარებოდა გარდა ამისა, რომ შენისთანა გამოქცეულები ინახავდნ თავს ჩემს კარავში.

დღეს მეც შენსავით დენილი ვარ. საშობლო კერიდან გაქცეული. განსხვავება ისაა, რომ შენს გაქცევას რაღაც მიზანი აქვს, რაღაც საქმეს ემსახურება, მე კი... ვინ იცის, იქნებ ღამე არავინ გამათევინოს, თავშეფარებაზე რომ მიდგეს საქმე.

ლადარია შეწუბდა გოჩას სასოწარკვეთილი სიტყვის გაგონებაზე, დაფიქრდა, გული სიბრაღულით აეცსო.

— ასე დატრიალდა ჩემი ცხოვრების ჩარხი და შედეგი აღბად ის იქნება, რომ სადმე კვერნასავით ჩამოიხვევენ ჩიჩიას მეძებრები... ჩამოიხვევენ და ჩიჩიასთან ერთად ძივი ძიგლაც გაიხარებს.

— გოჩა, ნუ დარდობი!— აიღეწა ლადარია, როცა ურიდიამ ხალღიანი სიტყვა დაასრულა.— შენ სალხი შეგინახავს.

— არა მგონია.— გაიქნია თავი ურიდიამ.

— მერწმუნე, შეგინახავს... ჩვენ შეგინახავთ.

— რა დამსახურებისთვის? ჩიჩია ხომ პირად საქმეზე ვადამეტყვითა? შენი ძმა ძიკიც ჩემი გაქცევა ხომ რაიმე სახალხო საქმესთან არ არის დაკავშირებული.

— დავუკავშიროთ. ცუდი რა მიგიძღვის!

— ეგ ხომ ცალი ფეხით მისვლა იქნება რევოლუციასთან, მოძრაობასთან.

— მითრევას მაინც სჯობია. ბრძოლები წინ ვვიდევს, ხალხია საჭირო..

— მაშ...— ურიდიამ გაიღიმა— ბეგლარ! მომეცი ხელი, რომ დამინდობთ და... გეფიცები... გეფიცები, რომ...

— მოიტა, ხელი!— გაუწოდა ხელი ბეგლარმა.

— ვინ პირშავი მოძრაობას თავს არ შეაკლავს., ოლონდ...

— წამოდი ჩემთან. საქმე უამრავია. ვაეკაცი ხარ, გასაჭირს გაუძლებ... ვიბრძოლოდ ერთად და ჭირი თუ ღზინი ერთნაირად გავინაწილოდ.

— ცეცხლშიც გადავარდები ბეგლარ! ყინულში შევსცურავ ოლონდ იცი რა ვითხრა.— გოჩა ბავშვივით აიღეწა— ჩიჩიას რომ თოფი ვესროლო, კერძო ინტერესად ხომ არ ჩამეთვლებია!?

— როცა საჭირო იქნება, ჩემო გოჩა მიგიბოძებენ, თუ ვის ესროლო, ან როდის ესროლო. ისე ჩვენი მთავარი სამუშაო ჩვენივე ორგანიზაციის ზრდისა და ჩამოყალიბების საკითხებია.

— რიგს გარეშე რომ რაშე ჩავედინო?— არ მოეშვა გოჩა ლადრის აკვირებული ჩიჩიას ჩაძაღვლებას საკითხზე.

ბეგის ვაეცინა, გოჩას მხრებზე ხელი დაჰკრა და ღიმილით უთხრა:

— მტერი ყველგან მტერია, გოჩა მაგრამ ცალკეული მტრებს ფიზიკური განადგურება როდი ნიშნავს მთავარი საშიშროებისა და რაც მთავარია, ჩვენი ჩაგვრისა და შევიწროების, მოსპობას.

ტერორისტული აქტი დაიშვება უკიდურეს შემთხვევაში, ისიც ფრიად საზოგადოებრივ საქმესთან დაკავშირებით, თითო ოროლა ჩიჩიების მოსპობით არაფერი კეთდება, მოკვდა შირზახანი— შირზახანი შეცვალ ჩიჩიამ, ჩიჩიას ძიკი შეცვლის. ჩიჩია ქვეყნის მტერია, ჩემი ძმაც, არა, ძმა კი არა, გველის წიწილი. — დამიგმინა ლადარიამ.— ძიკიც მტერია სახალხო მოძრაობის, რევოლუციის... მტერია, და მტერს განადგურება უნდა. მაგრამ მართა ამით განადგურება არ შევლის საქმეს, უნდა განადგურდეს მმართველობის მთელი სისტემა, უნდა დაეშოს ხელისუფლება რომლის დამოხმაც მოყვება მექრთამეობისა ჩინოფიკობისა და კაციკამია პოლიციელების განადგურება.

ოდაში ვახშამი შემოიტანეს.

სასტუმრო სუფრა ბუხრისკენ მიიჩიქეს და შინაურებიც გარშემო შემოუსხდენ...

— აბა, სუფრისკენ მოიწი, ბეგლარ! ვივახშმოთ რაშე.— მიპართა ბეგლარს აქამდე გაჩუმებულმა გოჩამ.

— მე დამავიწყდა მეთქვა, რომ დიდხანს დარჩენა არ შემიძლია. საბეროში უნდა მივიდე აშალამ, გათენებისას ისევე უკან გამოვბრუნდე— უადგილოდ ვანაცხადა ლადარიამ და სუფრას მიუჩოჩდა.

— მოასწრებ, ბეგლარ. ისეთ ცბენზე შეგსვამ, რაშივით გაგაქროლებს.

ბეგის გაეხარდა ცხენის შენაცვლების ამბავი.

— აქითობისას ეზოში დავსტოვებ, ადრე გამოვივლი და თქვენ აღარ შეგაწუხებთ გაღვიძებით. ჩემი „ბედაური“ კი სასიმიინდეს ქვეშ დამიტოვებო!

— ყველაფერს მოვაწყობთ... მართლა, მეც ხომ შენთან წამოვალ, ბეგლარ!.. აკი ეხლა მეუბნებოდით.

— წამოხვალ, გოჩა, უთუოდ წამოხვალ.

— აბა, მიირთვით რამე— შეიწუხა თავი დიასახლისმა და ბეგლარს თვალიერება დაუწყაო.

— საცოდავი მამაჩემი!— აშოიობრა მან ბოლოს— რამდენჯერ უთქვამს ცხონებულს, ნიკო ძიგუას კაი შეილები მოესწრო, ერთი მაინც საკითხავი კაცი იქნებოა.

უჩას ხსენებაზე ბეგი ყურებამდე გაწითლდა. მიხვდა, თუ საითკენ იყო საყვედურის კილო მიმართული, მაგრამ ძიკის ვინ აღარ უსაყვედურებდა უკანასკნელ დროს!

„3й, бичи!“

ცენტრიდან ჩამოსულს ჯერ კიდევ სამიკიტნოში დაადგეს თვალი მუშებმა. უცხო კაცის ვინაობა დაწვრილებით გამოიკითხეს, გარეგნულადაც აწონ-დაწონეს.

მივარდნილი კუთხე იყო სურები, უგზო-უკვლო და მიუვალი, ამიტომ ყოველი უცხო მგზავრი თვალში ხედებოდა მოსახლეობას.

„ვინ უნდა იყოს? გზადგამვლელი არ იქნება (რადგან სურებიდან გზამთაზე თუ აღის, ისიც ზაფხულობით), ამ შუაგულ ზამთარში მთაზე სამგზავროდ თავს ვინ გაწირავს?!— ფიქრობდენ სოფლელები თუ ლაღუმებზე მომუშავენი ყოველი უცხო კაცის გამოჩენაზე.

ასევე განცვიფრდნენ დღეს ცილინდრიანი მგზავრის დანახვაზე, განცვიფრდენ, მაგრამ ჩუმჩუმად ერთმანეთს რალაც გამოიკითხეს და ისევ დაწყნარდნენ.

— სამუშაოდ მოსულს არ ჰგავს,

— აბა, ამ ყიამეთში აქ რა უნდა?

— ილიკომ გაიყოლა სალაპარაკოდ და იმას ყველაფერი დაწვრილებით ეცოდინება,— თქვა ერთმა მოსაუბრემ და ილიკოს თვალიერება დაუწყაო.

— ხოსიაც იქ იყო.

— ირაკლიც.— დაუმატეს სხვებმა.

— აი ხოსია!— გაიშვირა ხელი რომელიღაც მუშამ.

ხოსია იღვა ჩაფიქრებული და კოწია ტრაპაიძე რალაცას ეწურჩულებოდა. კოწია ტრაპაიძე ხოსიას მეზობელი იყო, ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე. კოწია მოძრაობის საკითხებშიც კარგად ერკვეოდა და ახლა ხოსიას წრის კრების მოწვევაზე ესაუბრებოდა.

მუშები ხოსიას გარშემო მოგროვდენ, უცხო კაცზე სიტყვა ჩამოაგდეს.

უამრავი შეკითხვა მისცეს.

— დამაცათ, გეტყვი მე! დრო არა მაქვს,— შეუტია ხოსიამ უცნაურ კაცის მოსვლით დაინტერესებულ მუშებს, როცა ფიქრებიდან გამოერკვა და კოწია ტრაპაიძემ უდროოდ შეწყვიტა ახლახან დაწყებული საუბარი.

— თქვი, შე ოხერო, ვინ არის, რა კაცია, ენა ხომ არ გტყუიან?

— რა კაცია და პროპაგანდისტი, გეტყვი მე!— გაიჭნია ხელი ხოსიამ და გარშემო თავმოყრილ მუშებს გაკვირვების თვალთ გადახედა.

— პროპაგანდისტი?!

— ახალი ამბავი ეცოდინება რაიმე.

— პროკლამაციები ექნება.

— ყველაფერი იქნება, გეტყვი მე! წრის კრებაზე ვაიგებთ ყველაფერს. ხოსია მუშების ჯგუფს გამოეთიშა და ინგლისელის კარავისკენ გასწია, სადაც ირაკლი გვარამაძე რწმუნებულ შერვაშიძეს ესაუბრებოდა რალაც საკითხზე.

— პრო-პაგან-დი-სტი...— უკმები ტონით გამოაზოგა სიტყვა ქაიხოსრო ბარამიძემ— კიდევ აურევინ აქაურობას.

მუშებმა ერთმანეთს გადახედეს, ქაიხოსროს საყვედურს მიუყურადეს,

— ცოციალისტები!— ისევ უკმებად წამოისროლა ბარამიძემ და გაჯავრებული შეფიფქულ წიფლის ნამორზე ჩამოჯდა.

სალამო იყო. უკვე აღარ თოვდა. სუროზე შაშვეები ქაბჯახებდნენ. ისრ-და ფილთა თოვების მქაზე ხმა.

— ქაიხოსრო, არ მოგწონს სოციალისტები? არეულობის ვეშინია?—

შეეკითხნენ ქაიხოსრო ბარამიძეს და მია შორიახლო დადგნენ.

— კაი თქვენს ცხვირს მოუვა, კარგი ამბავი მაგ იყოს, მოათრიეს ვილაც ხიზანი მეგრელი და „ჭერი ბიჭო“, დეიწყეს კრებობია... გაგიყრიდნენ უღელს ფეხებში, მაშინ ნახავთ თქვენს სიკეთეს.— აყარყუმდა ქაიხოსრო მუშების შეკითხვაზე და ხელები შეიოართქლა.

— ძველი კაცია, ახალი არ მოწონს.

— იქნება ბატონყმობა მოწონს?!

— დამაცათ ერთი. შეუტია მუშებს კოწიამ.— ბიძია ქაიხოსრო, თავგატეხილი კაპიტონი როგორ მოგეწონა დღეს?

— ა, ლენჩი, მოდი და ამას ჭკუა ჰკითხე!— გაცხარდა ბარამიძე.

— არა, როგორ მოგეწონა!— დაიღინა კოწიამ.

— ეთქვათ არ მომეწონა. მერე? რა შუაშია არეულობა და ჩემჩემად რალაც კრებები და მამაძაღლობა? კაპიტოს გატეხილ თავს კრებები გაამთელებს?

— შენც ის დღე მოგელის,— ნიშნის მოგებით უბასუხა კოწიამ,— მეც, სხვა-საც. ხმა არ უნდა ამოვიღოთ? ბინა ჩვენ არ გვაქვს, ტანფეხსაცმელი, არც საექიმო დახმარება, აღარც ჯამაგირი, რასა გავს ჩვენი ცხოვრება?! ვინ ვართ ჩვენ? რა ვართ ჩვენ? კიდევ კარგია რომ ზამთარია, თორემ ოღინავ რომ გათბეს ამინდი, ხოლერა ამოგეთუფავს.

— ხოლერას პროპაგანდა რას უშველის?— ჩაუკრა სიტყვა ქაიხოსრომ და კოწიას თვალბში მიაჩერდა.

— უშველის.

— უშველის, დიად, უშველის.—დაემოწმენ სხვებიც.

— ჰეუს კოლოფი!—დაიშინა ხანშესული ბარამიძე.—ეცემე არე-გვეყავს? ვიცი რომ არ გვეყავს. ხელფასი ცოტაა? ვიცი, რომ ცოტაა. გინდა რა გვეყავს?! ვიცი რომ არ გვეყავს. რად უნდა ამას პროპაგანდა-აგიტაცია?! ამისთვის რაზე ცდება ის ვილაც პროპაგანდისტია თუ არქიმანდრისტი, ცუდი პირობებია? გვაკლია რაიმე? ავღვეთ და ვაცნობოდ მთავრობას. კრებებით რას გახდებით. აქაც ხომ გაფიცვა არ უნდა მოვაწყოთ?!

— თუ საჭირო იქნება რატომ არ უნდა მოვაწყოთ?—გაოცებით იკითხა კოწია და სხვებსაც გადახედა დასტურისთვის.

— იმისთანას მოვაწყობთ, რომ ორი ორს ეკითხებოდეს.—წამოიძახა ერთმა.

— ასეთ პირობებში სანამდე უნდა ვიყოთ?

მუშებმა შეტოპეს ცხარე საუბარში, ჭიხოსროს ჯიუტობას ერთხმად შეუტყეს, ილაპარაკეს ახალთაობის აუცილებლობასა და მოძრაობის გაძლიერებაზე, საპარტორტო საკითხზე, ქვეყნის ავტარგზე, მუშების მდგომარეობაზე, მაგრამ არ იქნა, ჭიხოსრო ბარამიძეს ფეხი ვერ მოაცვლივინეს თავის-პოზიციიდან, ვერც ერთ საკითხზე ვერ დაითანხმეს და ამან კიდევ უფრო გააბრაზა და ცხარე კამათის მაღაზე მოიყვანა ისედაც საღერღელაშლილი მუშები.

„ცალკე ინგლისელი გვიძრობს ტყავს, ცალკე რწმუნებული შერვაშიძე, აქით პრინტავი და მამასახლისი, გადასახადები, დრამის ფული და ათასი ჯანდაბა... ხმავე აღარ ამოვიღოთ?!. არაფერი ვთქვათ?. ფიქრობდენ მუშები და შეტყვებზე გადადიოდენ.

ხოსია ირაკლისთან ერთად დაბრუნდა უკან, მუშებს შეუერთდა.

— რას დაობთ?—იკითხა ირაკლიმ, გაცხარებულ მუშებს რომ შეხედა.

— ყველაფერს.

— ყველაფერზე დავა როგორ იქნება?—გაიკვირვა ირაკლიმ.

— თუ ლაპარაკიც არ შეიძლება, ვეცდებით გავწმუდეთ,—წყენით თქვა კოწია ტრაპაიძემ.

— გაჩუმება რა საჭიროა, გეტყვი მე!—მოუკრა, ხოსიამ,—რაც სათქმელია უნდა ითქვას.

— თუ ჩვენს გასაპირზე დავა და ლაპარაკი არ შეიძლება, სხვა რაღა გვაქვს სალაპარაკო! თოვლზე და ჩიტების რავვზე ხომ არ უნდა ვილაყბოთ ყმაწვილებივით.

— მოიცა თუ ღმერთი გწამს—ჩაერია საუბარში აქამდე დაჩუმებული ოტია ბერიშვილი,—ეფრემ ვერდის უთქვამს, წელს დიდი ზამთარი იქნებაო.

— სად უთქვამს?

— რა უთქვამს?—დასცინეს ოტიას ზოგიერთებმა.

— სად უთქვამს და წიგნში. ეფრემ-ვერდი ძველი წიგნია. ჰოდა კალანდა დილას რომ დაგრგვინა, ხომ გახსოვთ.—აჩიფნიფდა ოტია და ეფრემ-ვერდზე საუბრის გავრძელება სცდა.

— ერთი შენ კალანდას კი არა, გუშინ რა ვქამე ის არ მახსოვს.—შეუტყეს მოხუცს ახალგაზდებმა.

— რა ჭამე?! შე ვიცი, სათფილო გეჭნებოდა, ან ბერწი უმობილეს ბეჭი ვასათლელი. რა ჭამე... ლობიოს შეჭამანდი, ან კიდევ მკავეე კეჭერამა...

— რა დროს მოაგონდა ამ ოხერს ბეჭი და სათფილო...
სამაგიისო ამინდი. კაი თბილი ოთახი, რცხალის შეშით გაჩაღებული სუთარი, სათფილო საწებელით და კაი ჩხავერის წვენი, თუ გინდა ალადასტური... პა, რას იტყვი?!

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, საღერღელი ნუ ამიშალე.—აინერწყვა მადაზდ მოსული მუშა.

— თქვენ არეულობასა და ხალხის აბუნტებაზე იფიქრეთ და სათფილო ყოველდღე გეჭნებათ ვასათლეოი,—დაცინვით თქვა ქაიხოსრომ და წიფლის ნამორიდან წამოდგა.

— კრებას არ დაესწრები, ქაიხოსრო?!—მიმართა ხოსიამ მიმავალს.

— რა კრებაა?—მოიხედა ხოსიასკენ ბარამიძემ.—პროპაგანდისტების?

— დაესწარი, იქნება მოგვეწონოს კიდეც.

— არა, ბიძია, არა, ჩემი პროპაგანდისტი ჩემი ჭკუა და გონებაა. ლაპარაკით აშენდება ქვეყანა?!

— ლაპარაკს საქმეც მოყვება. ქაიხოსრო!

— ჯერ საქმე გვიჩვენეთ და მერე ილაპარაკეთ. საქმე, ბიძია, საქმე!—ქაიხოსრომ პირი იბრუნა და გასწია შინისკენ.

— რა ჯიუტი კაცია,—დაიწყო კოწიამ.

— ჯიუტია, მაგრამ ძალზე პიტოსანია, ყველაფრამდე საიმედო.

— საიმედო კი არის. პირადად რასაც გეტყვის, თორემ არ შეიძლება საღმე დაგასმინოს.

— სიფთხილე მაინც საჭიროა,—ჩაურთო ვილაკამ.

— მართალია, გაურთხილებაა საჭირო. ახლა სხვა დროა,—დაადასტურეს სხვებმაც.

— სხვისა რა მოგახსენოთ და ელაშუღ რამიშვილს კი უნდა ვეკრიდოთ, ნიკო ბლალაშინის მარჯვენა ხელია.

— მარჯვენა ხელია და... ჩვენ რაღას ვაკეთებთ?—გამომწვევი ტონით იკითხა კოწიამ.

— ბეგემ. თქვა, გეტყვი მე, ჯერ დაფიცადოთო.

— დაფიცადოთ, მაგრამ სანამდე?

— ცენტრიდან მოსულს შევეკითხოთ, იქნება გვირჩიოს რაიმე.

— შევეკითხოთ,—დაუდასტურეს კოწიას დანარჩენებმა.

— ამბობენ, ტერორისტი ყოფილა ჩვენი პროპაგანდისტი.

— ტერორისტი?!

— !!

— პროპაგანდისტი და ტერორისტი?!

— პროპაგანდაზე ახლა გამოუგზავნიათ, ისე პროფესიონალური ტერორისტი ყოფილა.

— რა გვარია!

— კასრაძე.

— მოიცა, ეგ სერგო კასრაძე ხომ არ არის?!— იკითხა კოწიამ.
 — ვგონებ სერგო ქვიია... დიად, სერგო კასრაძეა.
 — ვიცნობ.— წამოიძახა კოწიამ, — ასოთამწყობია. ერკენულნი
 — მართალია, ასოთამწყობია. დაეთანხმა ხანშესულნი მტკანქუნი
 — ჰო და მე სერგოს კარგად ვიცნობ. ერთი ექსი ერთად მოვახდინეთ.
 ხმელ-ხული ბიჭია, მაგრამ ქვაში ვავარდებდა. ისეთი სწრაფია, თვალს ვერ
 მოასწრებ. მამაციც არის, გამბედავი. ოცი კაცი რომ შემოეხვიოს, გამოსაივალს
 იპოვნის. მაგარი ბიჭია, მაგარი. ცნობილი ტერორისტია. კამოსთან ნამუშევარია,
 „დავახეთქე“ ვაგიგონიათ? იმისი კარგი ამხანაგია. ერთად ბევრჯერ „აუ-
 წვევით“

— რა აუწვევიათ?— გულუბრყვილოდ იკითხა ერომა,
 — რა და ტომარი. ბაშბით სავსე ტომარი.— დასცინა კოწიამ— „აუწვე-
 ვით“— ასე იტყვიან ტერორისტები როცა ვინმეს დაახეთქებენ, გაიგე?
 — ჰო, გაეიგე— დაიმორცხვა მუშამ, რომელმაც „აწვეა“ ვერ გაიგო გა-
 დაკრულ მნიშვნელობით და თავი ჩალუნა.
 — კრება სად იქნება, ხოსია?
 — ირაკლის ბინაზე, გეტყვი მე.
 — ენახოთ, რას გვეტყვის ჩვენი სერგო.— გაიღიმა კოწიამ და სხვებს გა-
 დახედა.

— წავიდეთ, ბიჭებო. საცაა დალამდება.
 — წავიდეთ, მაგრამ...— ეილაც შეყოყმანდა მუშებში.
 — რა?
 — ლადარია რომ არ ჩამოსულა?!
 — გუშინ წავიდა ასე მალე როგორ ჩამოვიდოდა.— გაიკვირვეს ზოკიერ-
 თებმა.

— მერე, კრება უიმისოდ ვაგმართოთ?
 — რიტომ არ უნდა ვაგმართოთ, რა გვიშლის ხელს?
 — ლადარიას დაუსწრებლობა როგორ იქნება, ხელმძღვანელი კაცია.
 — შეუძლებელი არაფერია, ამხანაგებო! ჩვენ ხომ აქა ვართ, დღეს ჩვენ
 მოვილაპარაკებთ შინაურულად და როცა ლადარია დაბრუნდება, მაშინ თუ
 გინდათ საზოგადო კრება ვაგმართოთ. დებატები მოვაწყვით რაიმე საკითხზე.
 — სწორია, გეტყვი მე! დღეს შინაურულად მოვილაპარაკოთ და როცა
 ბეგი დაბრუნდება, საზოგადო კრება მოვიწყვიოთ.
 — მასაც ექნება ახალი საკითხები, მით უმეტეს თუ გურიის კომიტეტში
 მოახერხა გამოცხადება.

— მართალია, ახალი დირექტივები ექნება კომიტეტიდან,— დაუდასტუ-
 რეს სხვებმა.

— ჰო და მით უკეთესი. მაშ წავიდეთ, ამხანაგებო!— დაასრულა ხოსიამ
 და კრებაზე წასასვლელ მუშებს სათითაოდ თვალი გადაავლო, უცებ რწმუნე-
 ბული შერვაშიძე თვალწინ წამოუდგა და დაღონებული ფიქრებს მიეცა. „თუ
 მოინდომა, ციმბირს აქეთ არ მოგვახედებს. ვაუღენიანი კაცია, თავდა-ახნაუ-
 რებში გამორჩეული. გამორჩეული კაცია, მაგრამ თუ ღმერთი გაუწყრა და“...—

ხოსიამ თავი მოიფხანა, ყურებზე შემოჭირებული ყაბალახი შეისწორა და, თითქო თავზე მუხრუჭი შემოაცალესო, სიამის გრძობით ამჩატებულმა ისევ ფიქრს მისცა თავი. — „თუ გაუწყრა ლჷრთი და ჩვენი დასმენა ჩაიწინა...“ — ფიქრობდა ისევ წრის სხდომაზე მიწვეული ხოსია — „დაგვიფავე და ის იქნება. შერვაშიძე ხედავს ჩვენს მუშაობას, ალბათ ბეგის გამგზავრების ნამდვილ მიზეზიც ეკოდინება, აქაურ წრის წევრებს ხომ ყველას სათითაოდ იცნობს და მისი ვინაობა დაწვრილებით იცის... გათავდა... თუ მოინდომა. მაგრამ... შევარდნაძე? შევარდნაძე რალას აკეთებს? ის ხომ ბეგის მარჯვენა ხელია. შევარდნაძე ხომ მთელს გურია-სამეგრელოს ახანხარებს. მისი შიშით ბოქაულები გარეთ ვერ გამოსულან. ჩაფრები იარაღს აბარებენ და მასთან შეფეთების დროს გარბიან. ნუთუ შერვაშიძეზე გავლენას ვერ მოახდენს? ნუთუ შერვაშიძე თავს გაიმეტებს ასეთ საშიშარ პირობებში და ახალთაობის ხალხს დევნას დაუწყებს?“ ხოსია ფიქრებში ჩაიძირა. რა არ მოაგონდა ხოსიას ამ დროს, რა არ გაითვალისწინა: ჩემი ბრძოლები. მზადება შეტყვისთვის, გაფიცებისთვის, მზადება ტახტის დანგრევისთვის, თავისუფლებისათვის. „ვინ გაუძღვება სახელმწიფოს, გეტყვი მე? — ეკიოხება ხოსია თავისთავს. „ვინ ეყოლება ამ ქვეყანას ბატონ-პატრონი? ნუთუ ბეგი ლადარია, ილიკო ტოროტაძე, კოწია ტრაპაიძე, ირაკლი გვარამაძე და ამისთანა ხალხი შეცვლის? მაგრამ ვის? მამისახლისს, ბოქაულს მაზრის უფროსს? — ხოსიას თვლები გაუშტერდა სიარულში, პირი დაალო და სალამოს ცივი სუსხიანი ჰაერი ხარბად შეისუნთქა.

„შესცვლიან, შესცვლიან და აჯობებენ კიდევ განსაკუთრებით ბეგი ლადარია. „ბეგი“. — დაუდასტურა ხოსიამ საკუთარ თავს და სუსხით გათოწილმა ერთი ღონიერად ამოახველა.

შარაზე ხმაურობა მოისმა. ხოსიამ, თითქო აქამდე ეძინაო, თვლები გაახილა და მის განცვიფრებას (თან მოულოდნელ დაფრთხობასა და შეშინებას) საზღვარი არ ჰქონდა, როცა ცხენებით მომავალ რუსებს მოაკრა თვალი, რომელიც ხალამპრეს დუქნისკენ მიემართებოდენ.

— ყაზახები, გეტყვი მე! — ხმამალა დაიყვირა გულგახეტქილმა ხოსიამ და გაქცევა დააპირა.

— ყაზახები... — გაეხმაურენ ხოსიას სხვა შორიახლო მიმავალი მუშებიც და გამოუვალ მდგომარეობაში მოექცენ. — რა გეშეველება?

— ნუ ვეშინიათ, ყაზახები არ არის, — დაამზვიდა მუშები გვარამაძემ, რომელსაც წინასწარ გაეგო ყველაფერი რუსების მოსვლის შესახებ.

რუსები ლუქნთან შეჭერდენ, ცხენებიდან ჩამოხტენ.

აქეთ-იქით დაიწყეს ყურება, მუშები დაათვალიერეს.

— შიჩხაი! — დაარღვია ერთმა სიჩუმე და პირტიტველ მუშას თითით ანიშნა, ჩემთან მოდიო.

ადგილიდან დაძვრას არავენ ფიქრობდა. ყველას უკვირდა რუსების მოულოდნელი სტუმრობა, თან ეშინოდათ, ყაზახები არ იყვნენო. ყაზახის ხსენება შიშის ზარს სცემდა გურულ მოსახლეობას. ყაზახის ხსენებით ქირვეულ ბავშვებს აფრთხობდენ ატირებულს აშშვიდებდენ.

— გეძახის, ბიჭო მიხედე, წამოიძახა ვილაცამ მუშებთან, შენ თვითონ მიხედე ჩემთან რა ესაქმება! — იყო პასუხი.

— Кацо поди сюда, Кацо! — ახლა სხვებს მიუბრუნდა ცხენის ხანძარი რუსი, რომელსაც ხელში ცხენის სადავე ეჭირა.

მოდო ხოსია ცხენი ჩამოართვი, — დაესაქმა ირაკლიმ ხოსია ტრაპიძეს.

— რა ჩემი საქმეა, ვეტყვი შე! — გაწყრა ხოსია.

— მედუქნის ბიჭი ხომ არ არის?! — ჩაურთო ტოროტაძემ.

— იცით ვინ არიან ეს რუსები?!

— ვინ არიან?

— კონცესიონერმა რომ გამოითხოვა ხელმძღვანელებად.

— თუ ჯაშუშებად და მეთვალყურე ჩაჩუტებად? ვანმარტა კონბომ.

— შეიძლება ასეც იყოს.

— ჰო და მიდი, ხოსია, ცხენები ჩამოართვი. — დასცინა ტოროტაძემ ირაკლის და უგუნებობა დაეტყო რევოლუციონერის ასეთ საქციელზე.

ირაკლის კი უკვირდა ტოროტაძის და ზოგი მისი თანამოაზრის ასეთი უკიდურესობა. „პოლიტიკა შეგუებაა. — ფიქრობდა ის —, ესენი კი შეგუების ნაცვლად იკბინებიან ყოველი ფეხის გადადგმაზე, იკბინებიან და თავი ისე მოაქვთ, თითქო საერთაშორისო ბანკში მილიონები ეწყობთ და ხელისუფლების სათავეში თვითონ ბრძანდებოდნენ, არ შეგუებები, არ ითანამშრომლებ და... გაისრისები. განადგურდები ფიზიკურად და ზნეობრივად. რას წარმოადგენს ჩვენში ხელცარიელი მუშათა კლასი? აკრალულ რუსეთში და საქართველოში მუშათა კლასს რა უნდა? ეს ხალხი აბა რა მუშებია — ირაკლიმ თავისი ამბანაგები ჩაათვალიერა.

— სულ გლებებია და მესაკუთრე, გლები კი რეაქციონერ ძალად არის მიჩნეული ჩვენი მოწინავე ბელადებისაგან. გლებისგან ბრძოლას ნუ მოელი. მუშები კი... ხელი უნდა შეუწყო კაპიტალის აღორძინებას, რომ მუშები გაჩნდნენ და ამით მუშათა კლასი გაძლიერდეს, აქ კი... ეს ერთი ქვეყნოვანი ინგლისელი ძლიერ ჩავეთრით, სამუშაო რომ მიეცა ამ ვატყავებულ ხალხისათვის და დახე, ამასაც ევირკიმალებიან, შეტყევაზე გადადიან და ლამის არის გული აუტრუნონ და აქედან გააქციონ. რომ ვაიქცეს, ხომ დავრჩით ისევ მშვიდები, ხომ დაიღუპა ყველაფერი?!“.

ხალამპრეს დუქნიდან ბიჭი გამოვიდა, რუსებს ცხენები ჩამოართვა და დუქნის უკან ფარდულისკენ წაიყვანა. სიკოია ჩუმად იგინებოდა, სიცივისგან აბუზული ხელებს წამდაუწყუმ იორთქლავდა და ძირგამოღლეტილ წულებში წყალის ჰიკუნის ყურს უგდებდა. „დამეთუთქა ფეხები. ვაიმე დედა!“ — კანკალებდა საბრალო სიკოია და გახურებულ ცხენებს დაფეთებული თვალეებით ეწეოდა ფარდულისკენ.

— Бичо покорми их хорошенько — ესმოდა სიკოიას რუსის სიტყვები.

— Сейчас барин — თქვა, უთხარი შე გასაოხრებელო! — უწყებოდა სიკოიას ხალამპრე მიკიტანი და, მიბრუნებული, რუსებს რალაცას „უპარუსკება“.

— Эй, Кацо! — ძლიერ მოიბრუნა ერთმა სული ხალამპრეს დუქნის წინ და კონიას შეუტია არაყით ასლოკინებულმა.



- ვის ავინებს აჯი რუსი?
 - Мамазагли,—აბორძიკდა იგივე და კონიას მიუახლოვდა,
 - მამაძალღოც ხარ და,—გაიწია კოწიამ ვალეშლი რუსისკა,
 - შეჩერდი!—ჩადგა შუაში ირაკლი გვარამაძე.
 - აბა რას ივინება მოთრეული მამაძალღი!
 - Мамазагли... Сает ты Мамазагли...
 - პიანიცა ვირიშვალი...—მოიბრუნა სული კოწიამ.
- რუსები დუქანში შევიდნენ. ახლა იქ შეიქნა სართულებიანი ვენება და ხალამპრეს „Сияс ნარин,“-ის წამდატუწუმ წამოძახილი.
- მუშებმა დატოვეს ხალამპრეს სამიკიტნო და აქეთ-იქეთ მიეფარენ. ირაკლი კოწიას მიუბრუნდა საყვედურით: „რომ მიიწედი, რას ფიქრობდი, თუ იცი?“
- ვლენწადი სიფათში და ის იქნებოდა.
 - ჭკეიანი! მერე რა მოყვებოდა ამ ლაწანს?
 - რაც უნდა მოყოლოდა, მე ასე მერჩია.
 - არ ვარგა, ამხანაგო, ასე ამჩატება, არ შეიძლება ყველაფერზე თავის გამოდება და პასუხის გაცემა, ვერ ხედავთ რა დროს ცეხოვრობთ?
 - როცა ძალად გიწვევენ სკანდალზე?!
 - რო გიწვევენ, არ უნდა გაყვე, აი არ არის ვაეკაცობა.
 - ეგპ, დამანებე თავი, თუ ღმერთი გწამს, მე თქვენი პროგრამის ვერაფერი გავიგე...—ჩაიქნია ხელი კოწიამ და წინ მიმავალ მუშების ჯგუფს შეურთადა.

ისავ სამეგრელოში

ღამეა. ახლახან მოიწმინდა. ფიფქი ელვარებს უმთვარო ღამეში.

ღადარია მიაქროლებს გოზი ურიდიას სიძის ოჯახში შენაცვლებულ ცხენს. დასვენებული იორლა ეგვიტოს აჯილღას სჯობნის სიარულში და ლადარიას სუნთქვა ეკუმშება სუსხიან ღამეში.

„ისევ სამეგრელოში... ისლით დახურულ ფაცხების სიახლოვეს“.

მიჰკრის იორლა საბერიოს მიმართულებით. ყინული იმსხვერვეა დაოთხილ ნაბიჯებს-ჭვეშ და სოფელი ძილში იზმორება.

რამდენი ხანია ამ გზით არ უვლია ლადარიას, სამეგრელოს მიწაზე ფეხი არ დაუდგამს, ნაცნობ-მეგობრებს არ მისალმებია.

ახალგაზრდა იყო ბეგლარი, მავრამ სამეგრელოში ვინ არ იცნობდა, საბერიოში ხომ ყველას მისკენ, ეჭირა თვალი.

ღამითაც ხშირად უვლია ამ გზით ლადარიას, უვლია უშიშრად და მოუჩიდებლად.

ახლა კი—მიაქროლებს ლადარია ფეხმარდ იორლას და, თვალ-გამახვილებული, ყოველგვარი უბედურების მოლოდინშია. ლაგამის მოსაზიდთან მაუსერის ტარი ეხახუნება ბეგის გათოვილ ხელებს.

„რომ ვინმეს შევეჩნხო,—გაუელეებს ხშირად ფიქრებით თავდამძინებულ ლადარიას და აქეთ-იქეთ იყურება,—უკუნ ღამეში აბა რას გააჩნევ“, მაგრამ

მკრელია მალულ ცხოვრებას დაჩვეული კაცის თვალები, სმენა კი დევ უფრო გამახვილებული.

იორლა ფრუტუნით მიიკვლევს გზას და ნაბიჯს დახედავს იცის საბრალო პირუტყვემა რომ მისი დაფრუტუნებაც აკრთოლებს თავდასხმის შიშით დაქვეიანებულს მის მხედარს.

«ეეპ, რა არის ადამიანის ცხოვრება...—ფიქრობს გზადაგზა ბეგი ლაღარია,—რამდენიმე დღით გაახელ თვალს კოდეილ დედამიწაზე და ვერც კი მოასწრობ თავისუფლად ამოსუნთქვას, რომ ათასგვარი დაბრკოლება ციცაბო კლდესავით აგემართება თვალწინ და გზას გადავიღობავს. გადავიღობავს და... დაიჩხებები. ხედავ, ცხოვრება წინ მიიწევს, კაცობრიობა იბრძვის გამრუდებულ ხაზის გამოსწორებისთვის, მაგრამ შენი სავალი გზები დაიხსულია, გამომწყვდეული. რკინის ხორცი უნდა შეისხა და ფულადის ნებით აღიკურვო, რომ ცალიერი ხელებით უსამართლობას შეებრძოლო, დაიხსული კარების ვარდევვა შესძლო და... და აი სწორედ აქ იხოვებს ბევრი სუსტი ნების მებრძოლი, თავს ქინდრავს დაბრკოლებათა წინაშე და თვალდახუჭული მიჰყვება ცხოვრების მიმდინარეობის ბრმა კალაპოტს. ბევრი კი... აბა ასეთი ცხოვრება რა სახსენებელია! რა არის ცხოვრება, რომელიც ხალხის ჩაგვრისა და დამონებისთვის არის მოგონილი! რა ფასი აქვს ასეთ ცხოვრებას, ვეკითხები ჩემს ნაცნობ—მეგობრებს და თანამებრძოლ ამხანაგებს? სინეილეების წინ წამოჩვენება მხოლოდ მხდალსა და ლაჩარს თუ შეუძლია. ცხოვრება ხომ ბრძოლაა არსებობისთვის, და რომ არსებობდე, ხომ უნდა იბრძოდე ადამიანი! იბრძოდე სიმაართლისა და კანონჩერებისთვის. უშუალოდ რა სიმაართლე, რომელი კანონიერება კანონი და სამართალი ადამიანის მოგონილია ადამიანისვე დაჩაგვრისა და დამონებისთვის. მხეცებს ვაღიარებ აქუტებენ, ადამიანის დაკუტებისა და დამონებისათვის კი კანონ-სამართალია გამოგონილი. რაც ერთისთვის კანონიერია და სამართლიანი, უსამართლოა ასისა და ათასისთვის; რაც ერთს გაამართლებს, ათასსა და ათიათასს გაამტყუნებს; რაც ერთს იხსნის და გააბედნიერებს, ასიათასსა და მილიონებს გააუბედურებს მას ვინ არიან ეს მილიონები? ვინ არიან ეს ჩაგრულები, რომელთა დაგლახაკებისა და დაუძღურებისთვის მოიგონეს ეს კანონები? მოიგონეს შეფის უჭაზები... კანონმდებლობათა სიგელები და გუჯრები. ვის მხარზეა სიმაართლე? ვინ არის მართალი? სამართალი ხომ იმისია ვინც შეძლებულია, მაშასადამე გამარჯვებაც იმისია. კანონი ხომ იმათთვის არის დაწერილი, ვინც უსამართლობის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვაბედავს, სამართლიანობის დაცვას მოითხოვს, მართალი ხომ ის არის, ვინც ძლიერია და ძლევა მოსილი. ჩვენ კი... ჩვენ... ჩვენ, ღარიბები და უმიწაწყლო მუშები თუ გლეხები, ჩვენ, ვისაც თავისუფლად შეიძლება შეაწერო დრამის ფული და ფოსტის გადასახადი, ჩვენ ვისი დაწყვედევა და გამოთრახება „აუცილებელია“ და „სავალდებულო“ სამართლიანობის „დაცვის“ თვალსაზრისით, რა ვართ ჩვენ?! ვინ ვართ ჩვენ?! რა არის ჩვენი ცხოვრება?! რისთვის ვცხოვრობთ ჩვენ? ვის ახარებს ჩვენი სიცოცხლე და ამ ჭეყანაზე უმიზნო ბოგინი?—მეფის მოხელეებს, ჟანდარმებს, კაპიტალისტებს, ვაჭრებსა და მემამულეებს.

ვისთვის ვართ ჩვენ გაჩენილი? კონცესიონერის, ფაბრიკანტის შერვაშიძისა და ყოველი ჯულის კონბინატორისთვის რა არის ასეთი-სიცოცხლე, და ფასი აქვს ასეთ ცხოვრებას? მიპასუხეთ, მიპასუხეთ*.

ლადარია უკვე გამოერკვა. მწარე ფიქრებით თავი დიშქიმბოდა, სადავე-მიშვებული იორლა ახლა ნაბიჯით მიარღვედა საბერიოდან მოვარდნილ პირ-ქალს. ენგურის გრუხუნით ასკდებოდა ნაპირებს და სვანეთიდან მოტაცებულ საიდუმლოებას ზღვისკენ მიაქროლებდა.

ლადარია უკვე საბერიოში იყო.

„ურდიდები... ნესტორ შერიას ოჯახი, ჯოლორიები“.—მოიგონა ბეგ-ლარმა და ტანში გააეროლა, ფიქრები ახალი ფიქრებით შეეცვალა. „გაფორჩხიები“...—გადახედა სოფელს ბეგლარმა და ცხენი გააჩერა... „ამზობენ სამშობ-ლო არაფერიო, მაგრამ... სამშობლოს მშობლიურ კერას უთუოდ თავისი სურ-ნელი აქვს და მიმზიდველობა“...

გამოჩნდა იაკინთე გაფორჩხიას ეზოც.

ლადარია აქ ჩამოხტება რამდენიმე წუთით, ცნობებს მიიღებს, საბუთებს-საც, სიტყვას დატოვებს და გამობრუნდება...

ლადარია ჭიშკარს მიიღვია, ცხენიდან ჩამოხტა, ჯვარედინ შარას დააკვირ-და და ეზოში შევიდა.

„რა ამბავია? რატომ არაფერი ისმის?! ხომ მომელოდა?!—წაიბუტბუტა თა-ვისთვის და პაწია ოდის კარს მოუთმენლად მიუჯაკუნა.“

⊗

„მაშ ასე. გაფორჩხიაც უაბა ჰარის“.—სწრაფად გამობრუნდა უკან ლა-დარია და იოილას მოახტა ერთი წუთით შკიასვეშებ ზურგზე.

„დაპატიმრეს გაფორჩხია. დაპატიმრეს ივანე ჯოლორია. მერე? ვისი წყა-ლობით? ნუთუ იორდანემ... მაგრამ პო, თუმცა გასაკვირიც არაფერი. იორდა-ნი... ელიშულ რამიშვილის დისწულია და აღბად, მისი მარჯვენა ხელიც. ექ როგორ წაირყვნა ხალხში ნდობა და პატიოსნება! ძმა ძმას ველარა ნდობს, მა-მას შვილისა ეშინია, მეზობელი ხომ მეზობელს უთვალთვალებს. მერე რისთვის? ფულისა და წარმატებისათვის, პირადი ინტერესებისათვის, ზოგჯერ შურისძიე-ბის ნიადაგზე. საბრალო იაკინთე! წერილი ცოლშვილის პატრონი კაცი, ხელ-მოკლე და უსახსრო. წლის მოსავალი მაისამდე არასოდეს გაჭყოლია, დღიურ ლუქმანზე აცხოვრებდა ცოლშვილს. ახლა ციხეში ზის. ჯოლორიაც ციხეში ზის. ევანია გადასახლებულია. გვიჩია გადასახლებულად ითვლება, ბექია როსტოვიში მოკვდა, ალანია გზაში დაიღუპა. ჯინორია ციმბირშია, შელეგია ვოლოგდაში, და ამა რომელი ერთი მოვთვალო. „გაიწმინდა“ სოფელები, დაცალიერდა ოჯა ხები“. ლადარიამ თითზე იკბინა და ენგურის შფოთვას მიუყურადა. „შფოთავს და ბორგავს, როგორც ყოველთვის. კივილით ასკდება ციკაბო კლდეებს, ნაპი-რებს მკერდით ეხეთქება. წყალიც კი ებრძვის დაბრკოლებებს, კალაპოტს გასა-ფართოებლად ნაპირებს ენარცხება. თავისუფალი თარგშის გუნებაზეა. გუნებაც ხომ ებრძვის სიძნელეებს. მცენარეები—მცენარეებს, ცხოველები—ცხოველებს-იბრძვიან ზნის სხივისა და სიკოცხლისთვის. ადამიანები კი... ადამიანები ხომ

ქვიანი და გონიერი ცხოველებია. მაშ რა არის აქ გასაკვირი, თუ ერთი ცდილობს მეორის დაჩაგვრას, ერთი ცდილობს მეორეზე გაბატონებას. ბრძოლა ხომ აქაც აუცილებელია. ბრძოლა გადასწყვეტს საკითხს საბოლოოდ. ვაფორჩნია ბრძოლაში დაიჭირეს... ალანია ბრძოლის მსხვერპლი გახდა; დაიღუპა ბექაია, დაიღუპა ალანია, დაიღუპება ათეული და ასეული, შეიძლება მილიონებიც... დაიღუპება უსწორო ბრძოლაში; როგორც შეიარაღებული და ძლიერი მოწინააღმდეგე მოპირდაპირე. დავიღუპებით ჩვენც, დაიღუპება ბევრი ჩვენი თანამოაზრე და თანამებრძოლი, დაიღუპებიან... მაგრამ დაიღუპებიან გმირულ ბრძოლებში, მომავალ უდავო და აუცილებელ გამარჯვების მოლოდინში. დავიღუპებით მეც, სხვებიც, ისინიც... მაგრამ საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვებთ... გამარჯვება უდაოა, გამარჯვება ჩვენს მხარეზეა, ჩვენც ვიქნებით ოდესღაც გამარჯვებულნი... ამიტომ... ამიტომ ბრძოლა... გაათავებულნი ბრძოლა შიგნით და გარეთ ბრძოლა ყველგან და ყოველთვის", — ბეგი თავის ეზოს მოუახლოვდა. გული ჩირბივით აუფართოვდა შელესილ ფაცხის შორიდან დანახვაზე, თვალწინ წარმოუდგა საყვარელი დედა... შუაღმოსავლეთის ნაპირას მჯდომი, სართავით ხელში. პაწია ლოგინი, მაგრამ... ეს ოდა, ორსართულიანი ოდა... ქერამიკით დახურული, მარალსფეტიანი. სახურავზე სამტრედოც. ირგვლივ აივანი. მალა-ლი ქვის კიბეები. ეს რა ამბავია?! ვინ ცხოვრობს აქ? რა უდგას გვერდით ძიგუას ფარცხას? ნუთუ ძიკი მართლა ასე გადიდვდა, რომ ორსართულიანი ოდა დაიდგა.

ეზო აკაციის მესერით შემოღობილი. შეღებილი ჭიშკარი. ჭიშკრიდან ოდის კიბემდე ხრეწმოყრილი ქვაფენილი. რასა ჰგავს ეს? ვინ ცხოვრობს აქ?

ბეგი ჭიშკარს მიადგა. ცხენიდან ჩამოხტა, ეზოში ჩასვლა დააპირა, მაგრამ ჭიშკარი დაკეტილი დაუჭდა. ბეგიმ სცადა ჭიშკრის გაღება სარაზს გადაწედა, მაგრამ როცა უბრალო სარაზის ნაცვლად ფრანგულ ბოქლომს შეავლო ხელი რკინის კოჭყურებზე, ბრაზით აინთო და, მოთმინება დაკარგულმა, ერთი ხმამალა დაიძაბა.

დაძახილზე მოზვრის ტოლა ძალღი გამოვარდა ოდის ბალკონიდან და, ჭიშკრისკენ გამოქანებულმა, სავსე ხმით დაიღლოფინა.

ბეგი ელოდება ძიკის გამოძახილს, ელოდება ოდის გამოგებებას. ელოდება. მაგრამ არაფერს სჩანს!

„ოდის კარები გამოკეტულია, — გაიფიქრა ბეგიმ, — სინათლე მიმჭრალია და ფანჯრები ფარდა ჩამოშვებული. იქნება სძინავთ“ — ბეგიმ დაკარგა მოთმინება. შიგნიდან ეზოს მცველიც გაათავებულნი ასკდება მესრებს. მესრების ბოლოებს კბილებით ეჭიდება, ხანგრძლივად ღრინავს და თანდათან ბრაზდება.

ბეგიმ ორ-სამჯერ კიდევ სცადა დაძახება და ჭიშკრის გაღება, მაგრამ როცა საწადელს ვერ მიაღწია, ლადარიამ მოულოდნელად იძრო ხანჯალი, შემოკრა ჭიშკრის სარაზს, კოჭყურში გადახნიჭა და ჭიშკარი ჩამოავდო.

ხმაურობაზე გაიღო ფარცხის კარი და მოისმა მკახე შეძახილი: „მოკიდე ხელი“.

წაქვზებული ნაგაზი დაებდღვნა ლადარიას ნაბდის კალთებზე, მაგრამ ბეგიმ თითქო აქ არაფერი იყო, ძალს გვერდი აუქცია და პირდაპირ ფაცხისკენ

გემართა. ნაგაზი ჯერ გახელდა თავებედი მგზავრის საქციელზე და, გაქცეულ-ლი, წინ გადაეღობა ლადარიას, მაგრამ როცა ბეგიმ შემთხვევით ხელში შერჩენილი ხანჯალი უაზროდ მოუქნია ნაგაზს ისე, რომ ნაბიჯი ვერ შეუძლებია, ძალი უცებ ჩაოშორდა მას და, ოდის ქვეშ შემძვრალმა, წყნარად შორთო.

ბეგი ფაცხას მიუახლოვდა. მიახლოვებისას აელვარდნენ ჭკრიტიმალეზი. „ასე უქუნი ღამე იყო, როცა“... გაუელვა თავში ლადარიას და გაქცევის ღამე მოაგონდა.

ფაცხის კარი გაიღო და გამოჩნდა შუა ცეცხლი. კარის ზღურბლზე ძიკის ლანდი დაეცა, რომელიც ხელმოფარებით აკვირდებოდა ეზოში ჩამოსულს და უკვირდა, თუ რამ დაამუწჯა ასე უცებ ეზოს მცველი ნაგაზი.

უახლოვდება ბეგი სინათლეს და ძიკი თვალებს არ უჯერებს. მოჩვენება ჰგონია, წუთიერი ზოლიანდება. „საიდან? როგორ?“—ფიქრობს. განცვიფრებული ძიკი, მაგრამ ბეგლარი უკვე ორ-სამ ნაბიჯზე მიუახლოვდა ფაცხის კარს. ძიკიმ მიმალვა სცადა, გაპარვა, შორიდება მაგრამ... „რა საჭიროა. ადრე თუ გვიან ხომ უნდა შევხვდეთ. იქნება ეხლა უფრო ხელსაყრელი დრო იყოს, ვიდრე ოდესმე“. ძიკი გამავრდა, ბეგლართან შეხვედრა გადაწყვიტა და სინათლისკენ გადადგა ნაბიჯი.

— ბეგლარ!—ცივად და უხეშად წამოიძახა ძიკიმ და წონასწორობა დაკარგა, გული საგრძნობლად აუბაგუნდა. — აქ რა გინდა? საიდან გაჩნდი?

— გიკვირს?—გაიკვირვა თავის მხრივ ბეგლარმა ძიკის ასეთი შეკითხვები. გამარჯობა! დიდი კაცი ხარ და ხელს ვერ გამოგიწყვიდი.—მოსვლისთანავე დასცინა ბეგლარმა უმცროს ძმას და ფაცხაში შეიხედა.

ძიკი გაწბა. ბეგლარის გულცივობა თავისებურად ახსნა და შესაფერი დასკვნაც გააკეთა. ეზოში ცხენი ახვიებინდა.

— ცხენით ხარ?—უაზროდ იკითხა ძიკიმ და ეზოს სიღრმეში გავიდა.

— შორს არ მოგიხდეს გასეირნება.—გადაუკრა სიტყვა ბეგლარმა ძმას და ფაცხაში შევიდა, თან გაბრაზებული ძიკისთან უსულგულო შეხვედრით და თანაც დედის სიყვარულითა და მისი ნახვის გრძნობით აღტაცებული.

ბეგიმ ფაცხა დაათვალიერა. უსუფთაობა და საოჯახო ნივთების არეღარევა თუ უწესრიგობა თვალში მოხვდა.

— დედაჩემო!—ბავშური აღტაცებით წამოიძახა ბეგიმ, თითქო „უტუმალობის“—ს თამაშობსო და თვალეზი გააცეცა, როცა არსაიდან საყვარელი დედა არ შემოეგება. —დედა!—აიმაღლა ხმა ბეგლარმა, მაგრამ არსაიდან ჩქაში.

ლოგინზე ვიღაც შეწრთლდა. გაფითრებული, დამდნარი ხელებით საბანი გადაიწია, ჩაცვინული თვალეზი ზანტად გააბილა და ბეგლარის დანახვაზე ცივი, მიღუღული ხმით იკითხა:

— ვინ ხარ?

—დედაჩემო!—აინთო ბეგლარი სალომეს ხმის ვაგონებაზე და ხელებგაშლილი ტახტისკენ გაექანა. ბეგლარი მზად იყო ფეხის ფჩხილამდე დაეკოცნა მოხუცი დედის ნატანჯი სხეული, მოხვეოდა და გულში ჩაეკრა მრავალ ჯანდარაში გამოვლილი საყვარელი დედა, მაგრამ...

— ვინ ხარ! — ისევ უგულოდ იკითხა შეწუხებულმა მოხუცმა და ბეგლარს ისე შეხედა, როგორც გადასახადზე მოძალადედ მოსულ იასაულს უქცეოდა სალომე ამ ერთი წლის წინად. „ძიკიმ მომისპო სიცოცხლეს... შენც ხარ...“ შეილად არ ვიფიქვებ, მაგრამ... ვინ დავაჯერო, ვინ დამიჯერებს, რომ ძიკი ჩემი შვილი არ არის... საცოდავი ნიკო ძიგუაც ამ დღეშია. მასაც სჯერა, რომ ძიკი მისი სისხლი და ხორცია...“ — ბუტბუტებდა თავისთვის სალომე გაურკვეველი მიზნებით ხმით და დროგამოშვებით ბეგლარს გადახედავდა, რომელიც ხელებგაშლილი იდგა მისი ტახტის წინ და გონს ვერ მოსულიყო, თუ რა მოუვიდა მის საყვარელ დედას, რომელიც ამ ორი წლის წინათ ვაჟკაცივით გამოიყურებოდა და შვილების მოალერსებაში ცეცხლივით ენთებოდა.

„ავად თუ არის.“ — გაუფლვა თავში ბეგლარს და მოხუცს მაჯა გაუსინჯა. მაჯა ნორმალურად უცემდა სალომეს, სითბოც ჩვეულებრივი ჰქონდა.

— დედა! — სასოწარკვეთილი ხმით ჩასძახა ბეგამ სალომეს, თითქო ყრუს ესაუბრებო, მაგრამ ამოაღ. მოხუცმა ზანტად გადაატრიალა თვალს მოთეთრო კაკლები და დამდნარი ხელები საბანში შეინახა.

— დედა! ნუთუ... — დაიღრიალა ბეგამ ასეთი უცნაური სურათის დანახვაზე და, მოულოდნელ შემთხვევისაგან გულაჩუყებულს, ქვითინი წსკდა.

— ბეგლარი ხომ არ გინახავს, ჩემი შვილი ბეგლარი... — მოგვიანებით იკითხა სალომემ და გაფიცებული ტურები ენით დაისველა.

ფაცხაში ძიკი შემოვიდა და სალომეს ტახტთან შორიაზლო დადგა.

— დედიკო! — ეალერსებოდა ბეგლარი გაძვალტყავებულ სალომეს, მაგრამ ყურს არაფერს უგდებდა.

სალომე შეშინებული გამოიყურებოდა უსუფთაო წვირიან ლოგინში. მის უღიმღამო სახეზე უიმედობა და შიში თუ ამოიკითხებოდა. სიცოცხლით სავე თვალელები სადღაც მიქუფულიყვენ, ნაოჭიანი, მაგრამ ჭკვიანი სახე უდროვოდ დაფერფლილიყო.

— ეს არის შენი ნავაგაკაცი! — დაიღრიალა ბეგამ ძიკის დანახვაზე და გამწარებული მიუბრუნდა უმცროს ძმას, რომელსაც ამ რამდენიმე თვის უკან მხოლოდ დედის ბედ-იღბალი ჩააბარა, როცა ის ბეგლარს გამოეთხოვა სანი-სლიაზე. — რატომ არაფერს მიპასუხებ? — წამოდგა ბეგი ტახტიდან.

— მოიჭანცა და ცოტას ურევს ამ ბოლო ხანებში.

— ძიკი, ძიკი, რა უყავ დედაჩემს?!

— რას ცხარობ. შენმა დარღმა შეარყია... შენ შემოგწირა თავი და...

— კმარა! სალახანა! — მოიკენიტა ტურნი ლადარიამ.

— ლომისკარელზე დაიფიცა... მესამე დღეს არეული ლაპარაკი დაეტყო. ცნობიერებაც დაკარგა. — მშვიდად განმარტა ძიკიმ სალომეს შერყევის მიზეზი და სხვენზე ასასვლელ კიბეს მიეყრდნო.

„ლომისკარელი...“ — დაუჭრდა ლადარია და შუბლზე თითი მიიდვა — ნუთუ სამეგრელოშიც უწვდინა ხელი სახიზლარმა ბლადოჩინმა? ნუთუ ნიკო ბლადოჩინის უფლება ასე შორს ვრცელდება ბინძურა ხატის ჰეობებით? ნუთუ... ბეგის მოაგონდა, ამასწინად რომ ლომისკარელი სადღაც „წაასვენეს“ სურებიდან, მოაგონდა შემოქმედის თემში მომხდარი საშინელი ამბავი, ლომისკარელზე და-

ფიცებით გამოწვეული... მოაგონდა, თუ როგორ ბრმადებოდა ხალხი ლომის-
კარელის დანახვაზე, როგორ უფროსობდა მის რისხვას, როგორ გაურბოდა მის
წინაშე წადგომას, დაფიცებას, გადაცემას... ლომისკარელი დაუძლეველ ფეხებზე
რიც ძალად იყო მიჩნეული გურია-სამეგრელოში, ყოვლის მცოდნე-დაკრძალის
შემძლედ.

— დაიფიცა?!—

— დიალ, სიცრუეზე დაიფიცა. მე კი ვურჩიე, მაგრამ...

— სალახანა!—გაბორბოტდა ბეგი ისედაც გულაცრუებულ ძმაზე და თვა-
ლები მხეცივით დაუბრიალა.

— იცრუა, მაგრამ ველარ გაუძლო. ხატი უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვინემ...

— ღეთის გლახა! რა უფრო ძლიერი აღმოჩნდა?!—გადადგა ნაბიჯი ლა-
დარიამ და თვალები დაწკურა.

— ვისი შვილი ხარ შენ? ბეგლარი ხომ არ გინახავს,—დაიქნავლა სალო-
მემ ლოგინზე, რომელიც შორიახლო ყურს უგდებდა ძმების ცხარე საუბარს
მაგრამ ვერ მიმხედარიყო, ვინ რაზე საუბრობდა და რა იწვევდა ზოგჯერ ხმა-
შალლა წამოძახილს.

ბეგი ლოგინისკენ მოტრიალდა. ბურანში გახვეულ სალომეს წყლიანი თვა-
ლებით გადახედა და სიმწარისაგან თავი გაიქნია, თითქო ყურზე კოლომ
უქბინაო.

— რასა ჰგავს ეს? ვინ არის ეს? სად ვარ მე ახლა?—სასოწარკვეთით
აღრიალდა ბეგლარი თვალებჩაცვენულ დედის დანახვაზე, რომელიც უაზროდ
ჩიფჩიფებდა გაუგებარსა და უშინაარსო სიტყვებს.

— იქ სადაც...—სცადა ძიკიმ ენის შებრუნება.

— სადა ვარ ახლა მე?—გააჟროლა ტანში ბეგლარს და, გაცოფებულმა,
ისე მაგრად დასტაცა ხელი ძიკის, რომ კინალამ კიბე შეარყია.

— სიფრთხილე გმართებს, ბეგლარ! ფიცხომა როდი გამოვადგება!

— ჭკუასაც მასწავლი!—ბეგლარმა ბურთივით გაიქნია ძიკი და ფაცხის
კედელზე ისე მაგრად მიანარცხა, რომ შეღესილი ტალახის ბელტები ჩამოან-
გრია.

— მოხუცმა თვალები გაახილა, ფაცხის კედელზე მიყრდნობილ ძიკის და-
აკვირდა. საცოდავად გამოიყურებოდა ამ დროს ძიკი. მისი თვალები შეელასაც
ითხოვდენ, მაგრამ ბეგლარის შეხედვაზე უსაზღვრო ზიზღითა და შურისძიების
გრძნობით ენთებოდენ, ძიკი გრძნობდა თავის უსუსურობას. მას გაბედულობა
არ ჰყოფნიდა პირდაპირ შებმოდა მის შეურაცმყოფელ ძმას, შებმოდა ხელებით,
თუ გინდ იარაღით და შურისძიების გრძნობა დაეცბრო პირდაპირი ანგარიშ-
გასწორებით. ძიკიმ ტკივილები იგრძნო, ტკივილები ფიზიკური და სულიერიც.
წამოდგა, ტუჩებზე მომდგარი სისხლას წვეთები გააფურთხა. ჩოხის კალთები
გაიბერტყა.—რევოლვერის საბმული შეწყვეტოდა ძიკის...

— რევოლვერი—დახედა მან ბრაუნისგან შავ ტარს.

— გიჟი ვარ, რომ თავზეხელაღებულის წინააღმდეგ იარაღს მივმართო და
ცხოვრებას გამოვესალმო? გაიფიქრა უმაღ ძიკიმ—მე მინდა ვიცოცხლო, მე მინ-
და ვიზარდო ქონებრივად და დავიპყრო განუსაზღვრელი უფლებები, ავმაღ-

ლდე უფლებებით. აქ კი... არა... „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, — გამიგონია, ბეგლართან აშკარა ბრძოლა მე ხელს არ მომცემს, ბეგლართან შეტაკება ჩემს ფიზიკურ განადგურებასაც უდრის... ამიტომ, ფრთხილად, ფრთხილად, ძიკი ძიგუა! შენი სამოქმედო გეგმა ათასჯერ გაზომილია, გეგმის რამდენიმე მუხლი განხორციელებული, და დღეს სიფრთხილე უფრო გამართებს, ვინემ თავი მოყვარეობის გრძნობით წუთიერი გაფიცება და ამით მთავარი სამოქმედო გეგმის ჩაშლა და განადგურება*.

— ძიკი, სად არის დედაჩემი? ძიკი, რა უყავ ჩემს ჭკვიან დედას?! — არ დააყოვნა ბეგლარმა, როცა ძიკი ფეხზე წამოდგა და მტვერში გათხვრილი ჩოხის კალთების წმენდას შეუდგა.

— რომელი ხარ შენ? ასე ხმამალა ვის ელაპარაკები? — დაიკნავლა ლოგინზე მოხუცმა, რამაც ბეგლარი ერთხელ კიდევ აამხედრა ძიკის წინააღმდეგ.

— საზიხლარი! — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა ბეგლარმა და ძიკის მრისხანე თვალები მოაშორა.

ბეგლარი ფიქრებში წაიღო. ახლო წარსული თვალწინ წამოუდგა. ფაცხის ყოველი ჟნქული აღდგა და გაცოცხლდა მის მეხსიერებაში.

რა ბედნიერი იყო მამის ბეგლარი, როგორ მოუხაროდა ღარიბს, მაგრამ წყნარსა და მშობლიური სიყვარულით საესე კერასთან! რა მზრუნველობით შეეგებებოდა ბეგლარს სალომე, ეალერსებოდა, ხუტუჭი თმების კულულებს უსწორებდა, ბავშვით ართობდა და ანებებებდა. დედას ახარებდა შვილების წამოსწრება და დაეკაცება, შვილები კი, განსაკუთრებით ბეგლარი, ნებიერობდენ და ხარობდენ დედის უსაზღვრო საყვარულით. შეტრიალდა ცხოვრების ჩარხი. ბეგიმ დაკარგა მებრძოლი მამა, დაკარგა ოჯახის ბურჯი და იმედი. ბეგიმ დაკარგა მარჯვენა ხელი, მკვიდრი ძმა, ახალგაზრდობაშივე რევოლუციონერ ბრძოლაში ჩაბმული ძიკი. დაკარგა როგორც ძმა და როგორც მებრძოლი. უკანასკნელად კი დაკარგა საყვარელი დედა, ნიკო ძიგუას ღირსეული მებრძოლი მეუღლე, ბეგლარის მშობლიური თბილი მოგონების საფუძველი. ქუთაშერყელი სალომე დღეს უკვე აღარ ათბობდა მშობლიური სიყვარულით ბეგლარის საყვარელ, ტალახით შელესილ კერას, და ბეგი ჩაიძირა უსაზღვრო ფიქრებში.

„როგორ მომიხაროდა სამეგრელოსკენ, როგორ მალეღებდა დედაჩემის მოგონება“?! — ბეგიმ თავი ასწია, სალომეს ლოგინს გადახედა. — კონკი საბანი... გაქანილი ლეიბი. რასა ვავს ეს? რა მოუვიდა დედაჩემს, ძიკი! — კვლავ იკითხა გულამღერეულმა ბეგიმ.

— დამნაშავე როდი ვარ, ბეგლარ! — მშვიდად მიუგო ძიკიმ და კიბეს მიებჯინა.

— აბა ვინ არის დამნაშავე, თქვენო მალალ კ...შ...ბავ! — ბეგიმ მზოლოდ ახლა შენიშნა ძიკის მხრებზე ურიადნიკის პაგონები.

— დამცინი?

— როგორ გავებდავ, — მოუჭრა ბეგლარმა.

— მე ჩემი გზა ავირჩიე... ნუთუ ამის უფლება არ მაქვს?!

— ცუდი არჩევანია ძიკი, გზა კიდევ უფრო სახიფათოა. გზა, რომელიც უფსკრულს უერთდება...

— ეგ სადაოა, ბეგლარ! ვინ იცის...— არ დააყოვნა ძიკიმ და მურები აიჩეჩა.

— სალახანაე! აინთო ისევ ლადარია ძიკის საქციელზე.— რატომ არ წამოიხალვოდები? რატომ იარალზე არ წაივლებ ხელს და ჩემი ხელის ამოძრავებებს შესაფერ რისხვით არ უპასუხებ? შენ ხომ პოლიციელი ხარ, ურიადნიკი, მისი კეთილშობილების, ბატონ მურთაზ ჩიჩიას და გუბერნატორის მარჯვენა ხელი.

— რა საჭიროა,— ხელის ჩაქნევით და თითქო დაცინვითაც უპასუხა ძიკიმ და წელში გასწორდა.— ხეალ უთენია შენ თვითონ აიბარგები აქედან. ჩვენი ვხები ხომ სხვადასხვა მიმართულებისაა, ბეგლარ, და სამოქმედო გეგმაც სხვადასხვა გრძნობით თუ გონებით შეიარაღებული. შენ გიცნობ, როგორც ყოველი სულმოკლე და ნერვებაშლილი... შენ ცქმუტავ...

— ძიკი!

— მე მართალს მოგახსენებ.— გათამამდა რატომაც ძიკი და ეპოლეტები. კრძალვით გაიფერთხა.

— მოახსენე შენს მურთაზ ჩიჩიას, საბერიოს ბოქაულსა და ელიშულ რამიშვილის მარჯვენა ხელს. შენ ხომ კარგად იცნობ ელიშულ რამიშვილს?! ჩემზე ცნობებს ბლომად მოგაწვდიდა?

ძიკი გაწითლდა. სირცხვილის გრძნობამ გაიღვიძა ახალგაზრდა ურიადნიკში,

— რამიშვილს მე არ ვიცნობ.— ცივად, მაგრამ ყოყმანით განაცხადა ურიადნიკმა და მიწას დახედა.

ნაგვალავ დინამიკით დახეთქილიყო მიწა ფაცხაში. დიდი ხნის დაუგველობით ნაპრალეები ნაგვით ამოკსილიყო. ძიკი ხან ერთ ნაპრალს აკვირდებოდა, ხან მეორეს, ხან მიმჭრალ ცეცხლს გადახედავდა, მიბეჭუტულ მუგუზლებს, ხან კი საკუთარ გულში გრძნობდა ანთებულ მუგუზლებსა და მწველ აგონიას. ძიკი ყოყმანობდა. გაურკვეველ ბურუსში ეხვეოდა რამიშვილის მოგონებაზე, ურიადნიკობაზე, ოჯახზე, ფაცხაზე, ურიდიაზე.

დადუმდა ფაცხაში ყველაფერი. ბეგლარი ისევ ფიქრებმა გაიტაცა და ერთი წუთით დააეიწყადა, რომ ის საკუთარ ფაცხაში იმყოფებოდა, კეუაშერეულ დედისა და ბრძოლის ველიდან გაქცეულ ძმის მახლობლად.

„ირგვლივ ქაობი და გარდაუვალი სიბინძურე.— ფიქრობდა ბეგი ლადარია.— ირგვლივ ჯაშუშებისა და გამხეცებულ პოლიციელების ხროვა. პოლიციელი ძიკი ძიგუა. ურიადნიკი ძიგუა. ნიკო ძიგუას მეშვეილდრე ძიკი ურიადნიკის მუნდირით, საბრალო დედა! როგორ ჩაგიშხამდა ცხოვრების უკანასკნელი წუთები. რა უშედეგო გამოდგა შენი და მამაჩემის ახალთაობის გამარჯვებისათვის ბრძოლების დაუფასებელი ამაგი და თავშეწირვა. შენი შვილი, რევოლუციონერად მიჩნეული შვილი, დღეს საბერიოს ურიადნიკია, რომელიც გაფაცხავებით უთავალუებებს და სისხლში ახრჩობს ნიკო ძიგუას მიერ დაარსებულ ორგანიზაციებს. არბევს და ანგრევს მოძრაობის ყოველ ჩანასახსა და დასაყრდენს. ეკ, როგორ მოვიხაროდა სამეგრელოსკენ, მომიხაროდა ჩემს ფუტუიან ფაცხასკენ, საყვარელ ეზო-მიდამოსაკენ, ამხანაგებისკენ, სამშობლო კერისაკენ. სადღაა ახლა ჩემი სამშობლო? რაღა არის დღეს ჩემი მშობლიური კერა? სადღა მყავს მშო-

ბელი და გულშემატკივარი? რაღა არის ამის შემდეგ მშობელი, მახლობელი ნათესაები, სისხლი და ხორცი, რაღა არის ძმა? ძიკიც ხომ შეგეჯერებოდა, ნიკო ძიგუას სისხლი და ხორცი. რაღა გვაერთებს ჩვენ ერთმანეთს? რაღა შეგვიძლია ვეძმოთ ერთმანეთს, თანაგრძობა გავუწიოთ და ერთმანეთის კირი თუ ლხინი ვავიზიაროთ? ძმობა ხომ საამისოდ გვავალდებულებდა დღემდე ადამიანებს?! ძმისთვის თავგანწირვა ხომ სავალდებულო და სასახლო საქმედ ითვლებოდა? რით ვგავარ შე ჩემს ძმას? რით არის ძიკი ჩემი ძმა და სისხლხორცი? რით ვარ მე მისი ახლობელი და გულმოსაწვავი? განა იმით, რომ ერთი დედამამის შვილნი ვართ? განა იმით, რომ ჩვენ ორივენი ნიკო ძიგუას და სალომეს სისხლხორცი ვართ? განა იმით, რომ ერთმანეთს წავაგავართ ტანდაობითა და ხუჭუჭი თმით? რა გვაქვს ჩვენ საერთო? რაღა დაგვრჩა საზიარო და გაუყოფელი? მხოლოდ წარმოშობის და სისხლის ისტორია. აქი ძაკიმ თვითონ თქვა: ჩვენი გზები ერთმანეთს დაშორებულა, ჩვენ სხვადასხვა მსოფლმხედველობით ვმოქმედობთო. მაშ რა ყოფილა ძმა, ნათესავი, სისხლი და ხორცი? არაფერი, დიახ, არაფერი. სრული სიკალიერე და არარაობა. შენი ძმა ის არის, ვინც შენს აზრებს იზიარებს, შენი ძმა ის არის, ვინც შენთან ერთად იბრძვის, შენი განუყრელი მეგობარია. სისხლი არარაობაა, ნათესაური გრძნობები სისულელეა, სისხლხორცით ძმობა თავის მოტყუებაა, ცალიერი სიტყვებით უბრალო გატაცება. რა არის სამშობლო და მშობლიური კერა? სადღა მაქვს მე ახლა სამშობლო? ჩემი ფაცხა ხომ ნიკო ძიგუას და დედაჩემის სახელთან იყო დაკავშირებული. ფაცხის და კარმიდამოს მოგონება მაგონებდა მებრძოლ მამისა და დედის სახელს. მაგონებდა მათ, როგორც მშობლებსა და იმ იდეებისთვის მებრძოლებს, რისთვისაც დღეს მე ტყისთვის მიმიცია თავი, სამშობლო კერიდან გავტყუდვარ. რაღა არის დღეს ჩემი ფაცხა? რაღა არის დღეს ის კარმიდამო, სადაც თვალი გავახილე და პირველად მიმღერეს მეგრული „ნანა“? აღარ არის ნიკო ძიგუა. დედაჩემი უკვე აღარ ახარებს შელესილ ფაცხის ყოველ კუნჭულებს. მაშ ხომ ჩამკვდარია მშობლიური გრძნობა და დაფერფლილი სამშობლო კერის მოგონება? აღარ მყავს თანამებრძოლი მშობლები, აღარ მყავს თანამოაზრე დედა, — ის სულთმობრძაყი ჩონჩხია და უაზრო დედოფალა. აღარ მყავს მშობლები, ერთად-ერთი ძმა ჩემი მეტოქეა, მოწინააღმდეგე. მაშ რაღა არის დღეს ჩემი საყვარელი ფაცხა, ჩემი საყვარელი (აქამდე საყვარელი) სამშობლო და ეზომიდამო? ეჰ, რა ტყუილ-უბრალოდ ამიფართქალდა გული საბერიოს საზღვრებზე მოახლოვებისას. რა უცნაურად მეჩვენება ამჟამად ის შეუჩერებელი სისხლის ჩქოლვა, რაც მე ჩემი ეზომიდამოს და ფაცხის შორიდან დანახვაზე ვიგრძენი? რა არის ახლა ჩემთვის აქაურობა, სად არის ჩემი სამშობლო კერა? სად არის ჩემი ძმა და ნათესაური სისხლხორცი? ამიერიდან აღარ მყავს თანამებრძოლი მშობლები, აღარ მყავს ძმა და ნათესავები. ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც ჩემი და ჩემი თანამებრძოლი ამხანაგების აზრი თავისუფალია. სამეგრელოსთან ამიერიდან მებრძოლი მამის მოგონება თუ მაკავშირებს... მებრძოლი დედის უაზრო სიციცხლე... სამეგრელო და სამეგრელოში სოფელი საბერიო, ამიერიდან დაკავშირებული იქნება რამდენიმე მოგო-

ნებასთან... ზოგი მათგანი დღესაც რომ გულს მიღლეებს, მახარებს და ტანში მაერჯოლებს... ზოგიერთი კი...საბრალო დედა ჩემი!

—ბეგლარ...ბეგლარ!.. მოდი, მოდი ჩემთან... ჩემთან მოდი...
იქნია ხელები სალომემ და ლოგინზე შეიშმუნა.

ბეგი უაზროთ ფეხზე წამოვარდა, სალომეს სიტყვები გულზე ლოდივით დაეტაკა. თვალბეგაფართოებულმა სალომესთან მიიბრინა, ტანმა რაღაც საშინელი უბედურების სიახლოვე იგრძნო.

—მო..დ..ი...ი—უკანასკნელად დაიბლუკუნა ჩონჩხადქცეულმა მოხუცმა. და თვალები გადაატრიალა... დამშვიდდა... გაიჩინდა...

—დედა!—დაიზნუვლა ბეგიმ, როგორც პირუტყვმა, რომელსაც შეილი მოსტაცეს და თვალბი აუცრემლდა.

—მოკვდა...—მიიბრინა ძიკიმიც სალომეს საქოლთან და გაშეშებული შორიახლო დადგა.

—დაიჭიმი!—დაიღრიალა ბოლოს ძიკიმ და ხელები თავში წაიშინა.

—დედა!—შეანჯღრია ბეგიმ სალომეს ნელთბილი სხეული, მაგრამ მოხუცი უკვე აღარ სუნთქავდა.

უთანხმოება

მუშები მოუთმენლად ელოდებიან ბეგის დაბრუნებას. ორი სამი დღით მოშორდა ის სამუშაოებს და ყველას თვალში მოხვდა რაღაც დანაკლისი.

რა ცოტა ხანია, რაც ბეგლარი სურების მუშებს დაუკავშირდა და, დახე! უმისოდ არც ერთი საკითხის გადაჭრას არ კისრულობენ. ბეგლარის აზრი ამხანაგებში საბოლოოა და გადამწყვეტი. ბეგლარს ენდობიან მუშები. სამაგიეროდ, არც ლადარია ეპყრობა აბუჩად ამხანაგების უსაზღვრო ნდობასა და პატივისცემას. წვრილმან საკითხებზეც კი უახლოესი ამხანაგების თათბირს მოიწვევს, კომიტეტის წევრებს ხანგრძლივად ესაუბრება, თუმცა კომიტეტის ზოგიერთი წევრი გამოუმეღვენებელი გულისწყრომით იგუდება ლადარიას მიმართ და ზოგჯერ შურითა და ლეარძლით ანთებული გულში ასე ფიქრობს: „დაიცა გადამითიელო. შენზედაც მოიკლიან და მაშინ ნახე როგორი ლიდერი იქნები, როგორი წინამძღოლი“.

ლადარია ვერ იტანს მიკიბულ-მოკიბულობას და პირფერობას. სამაგიეროდ ბევრი ლადარიას პირდაპირობას, სისწორესა და შეუტყებლობას ვერ ითმენს.

„რასაც იტყვის თითქოს კანონია. არასოდეს დათმობაზე არ წაეა, რა გინდა“...—ფიქრობენ კომიტეტის ნაწყენი წევრები, მათ შორის ირაკლი გვარამაძეც, განსაკუთრებით უკანასკნელი, რომელიც ეს ერთი ხანია თვალში ჰყავს ამოღებული ლადარიას და სხვა ამხანაგებსაც.

—გადაესკვნა შერვაშიძეს და ეს არის...

—რაღაც კავშირშია იმასთან, თორემ ასე გულმოდგინეთ რად იცავს რწმუნებულის წამოყენებულ პირობებს?—იკვირანობენ მუშები და გვარამაძის

ყოველი ნაბიჯის გადადგმას შესაფერ დასკვნას უკეთებენ. ყველაზე უფრო შესაძინევი და თვალსაჩინო გახდა გვარამიძის ურთიერთობა რწმუნებულთან, როცა ლადარია სამეგრელოში გაემზგავრა და ლადარიას მაგიერეზუტელომადემ იკისრა კონცესიონერებთან ზოგიერთ საკითხის მოსაგვარებლად.

ამხანაგები აუხირდენ მას ასეთ საქციელზე, მაგრამ ირაკლიმ ჩვეულებრივი სიჩუმითა და ხმაამოუღებლობით დაიძვრინა თავი მოსალოდნელი თავდასხმისგან.

—ჩამოვიდეს ბევი და მე ვიცი!—იმუქრებოდა კოწია ტრაპაიძე.

—რომ იგვიანებს?! იქნებ რაიმე შეემთხვა?—ვერ ისვენებდა სევე გვიჩია.

—გუშინ წინ უნდა დაბრუნებულყო.

—ვაი თუ...—აქნევდენ თავს კოწიას ბინაზე თავმოყრილი მუშები, წრის წევრები და უბერო ამინდს რისხვით იგონებდენ.

სერგო კასრაძე ფანჯარასთან იჯდა ფიქრებში წასული და ყურს არ უგდებდა წრის წევრების საერთო ჩოჩქოლსა და ზოგჯერ ხმაშალლა წამოძახილებს. ის კომიტეტის გუშინდელ სხდონაზე ფიქრობდა და უკვირდა ზოგიერთ წევრების ოპორტუნისტული გამოსვლა და კონცესიონერის ინტერესების დაცვისათვის თავდადება.

„მთელი სამეგრელო მოვიარე, სამტრედია, ხონის რაიონი და ასეთი მკავე ოპორტუნისტები არსად შემხედრია, როგორც ეს სურების რაიონშია. ალბათ ეს „იმას“ თუ მიეწერება...—გაიფლო გულში კასრაძემ და ის იყო აზრის დაზოლოვებას აპირებდა, რომ უქნიდან მოესმა:

—ამხანაგო სერგო!

სერგო გამოერკვა. ფანჯარას თვალი მოაშორა და კოწიას მიუბრუნდა, რომელიც ამ დროს გვერდით მოჯდომოდა კასრაძეს და მასთან საუბრის გაჩალებას აპირებდა.

—რას იტყვი, ამხანაგო კოწია?

წრის წევრები დაჩუმდენ და ამაღ საუბარს მიუყურადეს.

—რას ვიტყვი და...—დაიწყო უთავბოლოდ კოწიამ, თითქო ეხლა იგონებს რის თქმაც სურსო,—ჩვენ გუშინ რომ დავადგინეთ გაფიცივის მოწყობა...

—დავადგინეთ, მაგრამ უსაფუძლოა ეს დადგენილება—აიღერლა ბუბართან სამფეხა სკამზე დამჯდარი გვარამაძე.

—შენთვის სხვა რა არის საფუძელიანი, რომ ეს იყოს?—მუტია გვიჩიამ გვარამაძეს.

—თუ სამეგრელოდან გადმოხიზნული ხალხი უხელმძღვანელებს ჩვენს ადგილობრივ მოძრაობას, მაშინ ცხადია ყველაფერი საფუძელიანი იქნება და კანონიერი.—ერთბაშად მიახალა გვიჩიას ირაკლიმ და განაგრძო: —გურიის კომიტეტი უთქვენოდაც გაუძღვება ჩვენს მოძრაობას, განსაკუთრებით სურების რაიონში ჩვენი ლიდერები ცოტა უფრო... ფართო მასშტაბის... მომუშავეებიან...

—კარგი ერთი... ბრახაბრუხს თავი გაანებე.—მოუტრა გვიჩიამ და კასრაძეს მიუბრუნდა: —ამხანაგო სერგო, ხომ გესმით გვარამაძის „ფილოსოფია“. ამის შემდეგ... მასთან ღირს განა რაიმე საერთო საკითხზე ლაპარაკი?!—გვიჩია

ადგილიდან წამოდგა და გაფიცებული ფანჯარას მიუახლოვდა, საიდანაც წათლად მოსჩანდა თოვლით დაფენილი მიდამოები და კონკრესიონერის საზაშტრო კარავები.

კარავის წინ ხალხი ირეოდა. ხალხში უცხონიც გამოჩნდნენ! გვიჩია ახლა ამით დააკვირდა, გულში რაღაც გაიქცა და შიშით თვალეში გაუფართოვდა... ავტო ცხენიანებიც... მათ შორის თეთრ ჯორიანი მხედარი... ანაფორიანი.

— „რა მოხდა? ვინ არიან?“ — უმალ გაუელვა თავში გვიჩიას და თვალთახედვა კიდევ უფრო გაამახვილა, მაგრამ გარკვევით ვერაფერი შენიშნა.

კარავებიდან დაბრუნებული ხოსია შუკაში გამოჩნდა. გვიჩია მოუთმენლობამ აიტანა. ოთახში შებრუნდა, ბუხარს ზურგით მიეფიცა, ისევე ფანჯარასთან დაბრუნდა. შეწუხდა, შეწრიალდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა წრის დანარჩენ წევრებს.

— რა მოგივიდა სევდი? ასე გაფიცება როგორ იქნება?

— ამხანაგებს შორის როდი ვარგა საკითხის ასე გამწვავება. — თავისებურად ახსენს ზოგიერთებმა გვიჩიას ახლანდელი სულიერი მღვლეკარება და ირაკლის წყრომით გადახედეს.

— მე რა შუაში ვარ? — არ დატოვა უშენიშვნოდ გვარამაძემ ამხანაგების წყრომა და საყვედური. — მე იმას ვამბობ, რასაც მუშების და სურების მოსახლეობის უმრავლესობის საერთო აზრია. მე კომიტეტში მარტო კონკრესიაზე მომუშავეების წარმომადგენელი როდი ვარ. ჩემი სახელით სურების მოსახლეობა ლაპარაკობს მთლიანად. და თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩვენი ხალხის აზრი მოძრაობასა და ახალთაობაზე საერთოდ. ჩვენი რაიონის ლიდერები... საქართველოს მოძრაობას ხელმძღვანელობენ და... როგორ გგონიათ... აქ... ჩვენი...

— დაგვაცა ერთი შენი ლიდერებით — მიტრიალდა ირაკლისკენ ალყილი გვიჩია და ბრაზმორეული თვალში შეატყდა.

ოთახში ხოსია შემოვიდა.

— არაფერი ისმის, გეტყვი მე!

— ცხენოსნები ვინ არიან? — ვერ მოითმინა გვიჩიამ.

— ყაზახებია. ნიკო ბლალოჩინი და ქუცურბეგი.

— ქუცურბეგი?

— აბა კაი ამბავი არ არის ჩვენს თავზე.

— გზები შეკრული იქნება.

— ლადარია ალბათ ჩავარდნილია.

გვიჩია ფიქრმა წაიღო. ის ადგა გულზელდაკრეფილი და თვალსაც აღარ ახამამებდა.

— არაფერია. ლადარია ყოჩალი ბიჭია. გაუძვრება გასაჭირს. — გაამხნევა ამხანაგები კასრამძემ. — ამას წინად ზიდისთავში ვიყავი, — დაიწყო მან საკუთარი თავგადასავალი რათა მოწყენილი და ლადარიას ჩავარდნით შეშინებული ამხანაგები გაემხნევეზია. — მოვრჩი სამუშაოს და ბარგაკრული ვბრუნდები ოზურგეთში, ნუ დაგავიწყდებათ, რომ თან მიმაქვს ბახვის რაიონში გასავრცელებელი ფურცლები, რაიონული ოქმები და ლენინის რამდენიმე ბროშურაც „რა ვაკეთოთ“. ვნახოთ გუბაზოვლის შესართავს ზემოთ შუკაში რაღაც ჩოჩქოლია. მოვერიდე

ჩოჩქოლს და ორლობეში შევუბნე გზის გადასაქრელად. მგონია მოვხარდი ხიფათისა და დავიდარაბას; ვხედავ ორი ყაზახი პირდაპირ ჩემსკენ მოაჯენებს ცხენებს. უცებ დავიბენი. უკან გაბრუნება დავაპირე, მაგრამ ვხედავ რეალურ მომკრეს ყაზახებმა და ცხენებს მათრახიც გადაუქირეს. შეიქნა ორლობეში ცხენების თქარა-თქური და მეც სწორედ ამ დროს ვიღაც ჩხიკვიშვილის ეზოს მივადექი. ფიცხლავ ცხენი ჭიშკარში შევაგდე, ჩამოვხტი, აღვირი უნაგირზე ჩამოვაფხატე და ამწვანებულ კონინდარზე მიუშვი საბალახოთ. მე კი ვითომ გულითად მოყურისას მივსულიყავი, ყაზახების თვალის ასახვევად (ისინი სწორედ ამ დროს გაუსწორდნენ ჩხიკვიშვილის ჭიშკარს და თვალთერება დამიწყეს) დიასახლისის ღიმილით ჩამოვართვი ხელი, თამამად სკამლოვინზე ჩამოვჯექი და ჩემი მასპინძელი ჩუმად გაეაფრთხილე „არ შეგეშინდეს, ჩაივლიან და მეც აქედან ავიბარგები შეთქი!“ მართლაც, მიიმალენ თუ არა ყაზახები, გავედი სოფლის შარახე და, პერი ბიჭო! შევარდენივით გაეაქროლე ჩემი აჯილა. ბეგლარი მოხერხებული ბიჭია. ადვილად ხელში არავის ჩაუვარდება. თუ ვინიცობაა ჩაევარდეს კიდევ, გაქცევასაც იოლად მოახერხებს.

გვიჩია ცოტათი დაშოშმინდა.

კოწიას ახლალა მოაგონდა, რომ წელან გაფიცვის შესახებ ესაუბრებოდა კასრაძეს. ჯერ გვარამაძემ შეაწყვეტინა, შემდეგ გვიჩიას გაფიცებამ მიიპყრო წრის წევრების ყურადღება... ახლა კი... ლადარია... „ვთუ მართლა ჩაევარდა და ჩვენი მუშაობაც შეფერბდეს“.—გაივლო გულში კოწიამ, თუმცა კასრაძის ნაამბობით ოდნავ გამზნედა და გული გაიმავრა.

„ყოჩალი ბიჭია, იოლად ხელში არავის ჩაუვარდება“—ფიქრობდა კოწია.

— ბლალოჩინი სადღა მიშავდებოდა?—იკითხა ერთმა.

— უპ მაგის წვერი და უღვაში!

— თმის კიკინა რომ ცხენის ფაფარივით დაუწნავს მაგ ეშმაკის კერძს.

— სასიკვდილოა შეთქი, მაგრამ... რო არ გჯერათ.—აიღურლა კოწია ბლალოჩინის ხსენებაზე.

— არ გჯერათ და...—წამოიძახა კუთხეში ეცტიბი ცინკაძემ, რომელიც წრის სხდომას სრულიად შემთხვევით ესწრებოდა. მაგრამ ბლალოჩინის შესახებ ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი და ბრაზით იღრჩობოდა.

ყველამ ყურადღება მიაქცია ჯერ სრულიად ქოსა, უწვერულღვაშო ახალგაზრდა ყმაწვილს, რომელიც აქამდე წყნარად იჯდა კუთხეში და უფრს უგდებდა წრის წევრების საერთო საუბარს.

— არა, ამხანაგებო, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ტერორისტული ნაბიჯის გადადგმა თუგინდ ჯაშუშების გასანადგურებლად.

— შენი არ მიკვირს ამხანაგო სერგო?—შენიშნა აქამდე ფიქრებში გართულმა კოწიამ—შენ რომ იმდენი ოხერი „ავიწევი“, დღეს მიკვირს, როგორ გულცივად ეკიდები ამ საკითხს და რალაც პირობებზე ლაპარაკობ.

ყოველი ჩვენი ნაბიჯი ჩვენს პარტიულ პოლიტიკას უნდა ეთანხმებოდეს, ამხანაგო კოწია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენც ის მოგვივა, რაც ესერებს და ანარქისტებს მოსდით ხოლმე, ტერორი ჩვენთვის რადიკალური საშუალება არ არის, ის შეიძლება გამონაკლის შემთხვევაში, „შემთხვევით“ გამოვიყენოთ, ისაც

წინასწარ განზომილი რაიმე პოლიტიკური აქტის გამოწვევის ხელის შესწყო-
ნად, ან გასალრმავებლად... ეს ხდება უკიდურეს შემთხვევაში, უკიდურეს
დურეს შემთხვევაში და არა როგორც სისტემა ჩვენს ყოველდღიურ...
ინდივიდუალური ტერორი კი კატეგორიულად დაგმობილია ჩვენს მიერ. ჩვენი
საბოლოო გამარჯვების თავდები ჩვენი ორგანიზაციული დარაზმულობაა, ჩვენი
პოლიტიკური ხაზის სიმტკიცე და მეცნიერული სიზუსტე და არა შემთხვევითი
ტერორისტული აქტები.

— მე საერთოდ კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ რაიმე ტერორისტული
აქტის მოხდენის. — შენიშნა გვარამაძემ, როცა ბლალოჩინზე ჩამოვარდა ლაპარაკი
და როცა შეიტყო, რომ ბევრი თავგამოდებით იცავდა ჯაშუში ბლალოჩინის
განადგურებას.

— საინტერესოა რის მომხრე ხარ შენ საერთოდ ჩვენს რევოლუციონერ
მოდრაობაში? — აუტყდენ მუშები გვარამაძეს.

— მოსახლეობას ჰკითხეთ და იქ გაიგებთ რის მომხრე ვარ მე და რის
წინააღმდეგი. მე ხალხის სახელით ვმოქმედებ, რაც თქვენ ყოველ ფეხის გადად-
გმაზე გავიწყდებათ და, მაშასადამე, შეცდომაშიც შედიხართ, ყოველ საკითხის
გადაჭრის დროს.

— ხალხი! ხალხი! ხალხში ბლალოჩინიც ურევია... პოლიციელი და ქარხ-
ნებისა თუ მამულების მებატონეები. ხალხი... ფართო ცნებაა...

— აკი იცავს ბლალოჩინსაც! — ჩაურთო სიტყვა გვიჩიამ.

— კონცესიონერსაც. — დაუმატა მეორემ.

— სჯობს სამეგრელოში გამოიჩინო მეტი რევოლუციონერობა. მე ვიცი
ვის ვიცავ და რისთვის. — გაწყრა გვარამაძე.

— რა უნდა ვუპასუხო ასეთ ბეცსა და დაზრმავებულს. თითქო გურული
და მეგრელი ჯაშუში ერთი არ იყოს, თითქო მუშათა მოძრაობის მტერი, რო-
გორც ჩვენში, არამც თუ გურია-სამეგრელოში, მე ეს სასაცილოდაც არ მყოფ-
ნის, რა შუაშია აქ გურია-სამეგრელოზე სიტყვის ჩამოგდება, არამედ მსოფლიოს
ყოველ კუთხეში ერთნაირად საშიშა და საზიზლარი არ იყოს. რით გაირჩევა
ქართველი ბოქაული რუსის ეანდარმისაგან, ან ფრანგი პრეფექტი ინგ-
ლისელ პოლისმენისაგან. პოლიციელი და ყველა მოღალატე ხომ ერთნაირი მტე-
რია საერთოდ მუშათა მოძრაობისა. ყოველი ჯურის მოღალატეს ხომ ერთნაი-
რად განიცდის ყველა ქვეყნის ყველა შებრძოლი. მაშ რომელ გურულ-მეგრულ-
ზეა აქ ლაპარაკი? — საკმაოდ აუწყია ხმა გვიჩიამ და გვარამაძეს ისე გადახედა,
თითქო მოულოდნელად მოსისხლე მტერს შეხვდაო.

— სხვისი კუთხის შვილი მაინც ადვილი გასამეტებელია — დაიჩემა გვარა-
მაძემ და ისე გაჩაღდა ამ საკითხზე ცხარე საუბარი.

— გვარამაძე შემთხვევით როდია გაფიცვის წინააღმდეგი — დაასკვნა კას-
რამემ დიდი ხნის კამათის შემდეგ. — გვარამაძის პოლიტიკა წინასწარ შეთანხ-
მებული და შეგუებულია ერთის მხრივ კონცესიონერისა და მეორეთი რწმუნე-
ბულისა და ბლალოჩინის სამუშაო გეგმასთან.

— რაც გინდა ის დასკვნა გააკეთე, მე კი მაინც ვფიქრობ, რომ ამჟამად
გაფიცვის მოწყობა კონცესიონერის წინააღმდეგ უშედეგო იქნება და მუშების

თვის შეიძლება დამღუპველიც. ბლალოჩინისთვის ტერორის დანიშნა კი... სრულიად უტაქტიკო და შეუძლებელი...

— მაშ რსევ თავიდან დავიწყით?

— გაფიცვის კომიტეტი რისთვის ავირჩიეთ?

— ავირჩიეთ, მაგრამ დადგენილების გაუქმება ჩვენვე შეგვიძლია. როგორც გადავწყვიტეთ, ისე გადმოვწყვიტეთ, შორჩა და გათავდა!

— ასე რომ დაევადეთ კომიტეტის წევრებმა და ვითამაშოთ „გადაჯექი-გადმოჯექი“—დასცინა გვარამაძეს კოწია ტრაპაიძემ და სხვებს გადახედა.

— კი, სათამაშოა, გეტყვი მე, მაგ „გადაჯექი-გადმოჯექი“, მასსოვს პატარაობისას მწყემსები ვითამაშობდით და ხშირად ჩხუბიც მოგვდიოდა თამაშობაში.

კასრადე კოწიას დააკვირდა. მისი ლაპარაკის თავისებური მანერა და მსუბუქი დაცინვები მოეწონა. მოეწონა მისი ჭკუამახვილობაც, განსაკუთრებით კომიტეტის სხდომაზე სადაო საკითხების გადაწყვეტის დროს, სადაც ხოსია გვარამაძისთვის სრულიად მოულოდნელად, კასრადის მხარეზე აღმოჩნდა და გაფიცვის მოწყობის საკითხი ერთი ხმის უმრავლესობით კასრადის წინადადების სასარგებლოდ გადაწყდა.

ირაკლის უკვირს ხოსიას ასეთი შეუღრეკლობა, უკვირს რომ ამ ბოლო ხანებში ხოსია მეტად გააქტიურდა, მაგრამ თვითონვე ასე განმარტავს ამ გარემოებას. „ლადარია შინ უზის და ცხადია ხოსია ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებსო“.

— კარგი, ესტქვათ შეუძლებელია გაფიცვის მოწყობა. არ უნდა ვიცოდეთ რა მიზეზით არის შეუძლებელი და საზარალო?—იკითხა ბოლოს კოწიამ.

— მიზეზი არის.

— რა?

— კონცესიონერი გაიქცევა და დავრჩებით უმუშევრად. ვგონებ ეს არის შენი მთავარი საბუთი, არა?—წამოიძახა გვიჩიამ.

— რა ურიგო საბუთია?—წარბის შეთამაშებით უპასუხა გვარამაძემ და კასრადის გადახედა.

— რომ არ გაიქცეს!

— რომ დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნა!

— გარწმუნებთ რომ გაიქცევა, მე დაწვრილებით ვიცი კონცესიონერის მდგომარეობა. ვიცი მისი განწყობილება კონცესიის გავრძელების შესახებ, დამერწმუნეთ...

— გაჩუმდი თუ ძმა ხარ. განწყობილება!...

— რომელ განწყობილებაზე გვეჭიკჭიკები? რწმუნებულის თუ?—მიახალეს ირაკლის წრის წევრებმა.

— მე დაწვრილებით, მაგრამ მოგაგონებთ, რომ ასე შორიდან მოტანილი ამბების საფუძველზე შეთხზული დადგენილებებით შორს ვერ წავალთ, როგორც მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, ისე მოძრაობის გაღრმავების საკითხებშიც...

— შენ რომ ძალიან აღრმავებ რევოლუციას...— გააქნიეს თავი ზოგიერთებმა.
 — აღრმავებს კი, გეტყვი მე, რწმუნებულის სასარგებლოდ ბევრს რასმე აღრმავებს...

— ხოსია, საოცარია შენი...

— რა არის საოცარი, გეტყვი მე? შენ თვითონ ხარ საოცარი და გამო-
 საცნობი. როცა შენ გემზრობოდი? მაშინ არ ვიყავი საოცარი?

— არა, შენ ძალიან „გარევოლუციონერი“... ამ ბოლო ხანებში...

— შენი რევოლუციონერობა ჯერ კაცს არ უთქვამს, გეტყვი მე, რა ჩემი გიკვირს...— მოუჭრა ხოსიამ და ადგილი მოინაცვლა. ირაკლიზე გაბრაზებულ-
 ახლა კასრამდეს მიუჯდა გვერდით. მართლა რომ საოცარი ადამიანია, გეტყვი
 მე!— არ ისვენებდა ხოსია და გვარამაძეს მგელივით უყურებდა, — მუდამ კონცე-
 სიონერი აკერია ენაზე, მუდამ შერიგებას და შეგუებას გაიძახის და დახე, ხა-
 ხის სახელითაც რომ ლაპარაკობს!

— საკვირველია, ამხანაგებო, ზოგიერთი ამხანაგის საქციელი. გუშინ კო-
 მიტეტის სხდომაზე საკითხი გადავწყვიტეთ და დღეს წრის სხდომაზე დაობენ-
 ამის გარშემო. გადაწყდა შორჩა! ხელახლა ხომ არ უნდა ვილაყბოთ უკვე თავ-
 მობმულ საკითხის გარშემო!

— ზოგისთვის ლაყობაა ამ საკითხზე მსჯელობა და ზოგისთვის კი...

— კარგი ერთი თუ ძმა ხარ! ბოლოს და ბოლოს საქმოდ ილაპარაკეს-
 აქ თქვენი „გულშემატყვირობის“ შეჩახებ. — ჩაუკრა კასრამდემ გვარამაძეს და,
 წარბები შეათამაშა.

— ყოველ შემთხვევაში...

— გული შეგტკივათ, არა?— დაასწრო ისევ კასრამდემ.

— მე ვფიქრობ...

— მართლა რომ „ფიქრია“ ეს თქვენი „გულშემატყვირობა“ და სხვა არაფე-
 რი, — ჩაურთო თავის მხრივ გვიჩიამ. — დაბრუნდება ბეგლარი და მაშინ უფრო
 დაწვრილებით მოვილაპარაკებთ აქ საკითხების ირგვლივ.

— ბეგლარი? საოცარია, რომ ხალხი, ხალხის მიერ არჩეული კომიტეტის
 წევრები ელოდებოდეს ერთი კაცის დაბრუნებას.

— საოცარი არაფერია, გეტყვი მე! ყველაფერს რომ თავი გავანებოთ,
 ბეგლარი კომიტეტის თავმჯდომარეა. გარდა ამისა ამხანაგების აზრით, გაფეც-
 ვას მან უნდა უხელმძღვანელოს.

— გაფეცვას... ისევ გაფეცვაზე ლაპარაკობთ?— აიღერლა გვარამაძე.

— დიად, გაფეცვაზე. ამხანაგო ირაკლი. გაფეცვაზე და არა შემარბიგებ-
 ლობაზე და შეგუებაზე. ჩვენი სამოქმედო ხაზი ლარივით სწორია, პირდაპირი
 და მიუტიბავ-მოუტიბავი. ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე ამ ხაზის ცხოვრებაში გა-
 ტარებისათვის.

— იბრძოლებთ. ყოველგვარ ბრძოლას რაღაც მიზანი უნდა ასულდგმე-
 ლებდეს, თქვენ კი... მაგრამ ეჰ!— ჩაიჭნია ხელი გვარამაძემ, ამხანაგების ჯგუფს
 გამოეყო, ფანჯარასთან მიდგა და თვალმდამწყურული თოვლით დაფენილ მი-
 დამოებს დააცქერდა.

ოთახში სიჩუმე ჩამოეარდა.

ხანშესულები ჩიბუხს ათითხინებდნენ და დროგამოშვებით ნაცარში აპურკ-
 ყებდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პრსენა მარაბული

თავი მცამდევი.

(დასასრული *)

— ბაჯბაჯით და ზღაზენით გავიდა სამი წელიწადი. მარაბდელმა დალი ჰასანი მოსტებნა, ყაზახში წაიყვანა და ერთ ხანს ზულგადარ ბეგს ემსახურებოდა, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო, ისევ ქალაქში დაბრუნდა და ჰასანაც წამოიყვანა. მაგრამ ჯუჯა თათარმაც ვერ გაუძლო ქალაქს და ბორჩალოს ტრამალს და ლორის მთებს მიაშურა.

მარაბდელმა როსტომის და სულხანის გარდა ხუთიოდე სხვა მოზიარე იშოვა, ფარა მოამრავლა და სარქლობა იკისრა. ბეჯითი და მცოდნე სარქალი გამოდგა ოძელაშვილი, ამიტომ ბევრი გლეხი აბარებდა მას თავის უკანასკნელ სარჩოს და თვითონაც მწყემსად მოსდევდა. საზამთრო ბინა ისევ სამგორში ჰქონდა, ზაფხულობით კი ოსმალეთში გადადიოდა და არტაანის იალაღებზე აძოვებდა. კარპიჩა, მეშთა, სულხანი და როსტომი ოძელაშვილს აღარ შორდებოდნენ. და არც ოძელაშვილი იშორებდა მათ. ყველა ისინი ნიდაგ ცხვარში ტრიალებდნენ და ისევ რიგრიგად და ქურდულად მოდიოდნენ ისანში, სადაც არსენას და სულხანის ჯალაბობა ისევ გოვილოს აბანოს მახლობლად ცხოვრობდა.

ოძელაშვილის ვინაობა და ბინაც ძალიან ბევრმა იცოდა, მაგრამ ხალხს ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი პირის წყალი და არავინ არ მიდიოდა მაიორთან „ჩენი არსენას“ გასასყიდად და ჯაშუშის სახელის საშოვნელად.

მარინემ და ფიქრიამ ახალციხეში თამარაანთ ჯალაბისგან ხელსაქმე ისწავლეს და აქაც გამოიყენეს. მშვენიერად ჰყრავდნენ, ჰქსოვდნენ, ჰქარავდნენ და რამდენიმე მოწაფესაც ასწავლიდნენ. მაგრამ მესხეთში მათ ამაზე უკეთესი რამ ისწავლეს და არც ქალაქში ჩამორჩნენ: მარინემ უკვე მესამე ვაჟი აჩუქა არსენას, ფიქრიამ კი ორი თმბაბუქუა ქალვაჟი გააჩინა და მესამესაც ამწიფებდა. ეხლა დედაკაცები კარპიჩას, მეშთას და როსტომს შეუჩნდნენ და ცოლის შერთვას ურჩევდნენ.

*) იხ. „მნათობი“ № 5—6

— მოვესწრობი. რა მეჩქარება! — მორცხვად ამბობდა ჯოჯოხიაშვილი.

— ყაჩაღს ცოლი რად გინდა? დღეს ან ხვალ ჩამოგახრჩობენ და ქერივობოლი უნდა დაგტოვო? — უარზე იდგა მეშთაც.

— რა ჩემი საქმეა, კალო! ცოლშვილს შენახვა არ უნდა? — სწორიხმადი კოკლიც. — რუსეთში ერთი მკაეს და ისიც მეყოფა. სანამ მე სალდატად ვიკავი ჩემმა ცოლმა ხუტი შვილი გააჩინა და ისიც გყოფა.

ერთხელ ამ ნასალდათარს გაახსენდა, რომ ოდესღაც ერთმა ბერმა ჩატეების დახატვა ასწავლა, გაახსენდა და საღებავი, ფუნჯი და სუფთა ფიცრები იყიდა და გულმოდგინედ შეუდგა საქმეს. დღეში ზედიზედ ლეთისმშობლის და ქრისტეს ხუთიოდე ხატს მაინც ხატავდა და არყისა და მზეფუჭვრითის ფასად ჰყილდა. მის ნახელავს მხოლოდ სალდათები და გადმოსახლებული რუსის მუყიკები ყიდულობდნენ, ქართველები კი ახლოსაც არ ეკარებოდნენ, რადგან ხატის დასვენება სახლში ჯერ კიდევ დიდ ცოდვად მიანდათ. ზევრს ეცადა კარპიზა თავის მხატვრობის ფასი აეწია და მოხელეთა ოჯახებშიც გაესაღებინა, მაგრამ მუყიკებს ერთი გოჯითაც ვერ ასცდა, რადგან მის მიერ დახატული ძე ლეთისა ზედგამოქრილი დიდწვერა და მრისხანე ჰუგაჩოვი იყო, ხოლო მარიამი უფრო ბაზრის შეზარხოშებულ „ბაბას“ ჰგავდა ვიდრე სათნოიან ლეთისმშობელს.

არსენას გამოუღვეველა სტუმარი ჰყავდა, ლეთისაგარი, მელანო, პაპა მახარა და ერეკლე რიგრიგად მოდიოდნენ, ზოგჯერ კი ხოსიტა, მაგდანა და ზურაც ჩამოდიოდნენ და კარგა ხანს რჩებოდნენ.

დათუნამ მორჩილობის ყველი გაათავა და შედგა ბერად შუამთაში, სადაც მისი მოძღვარი ფილადელფოსი მოღვაწეობდა. ისიც დროგამოშვებით ჩამოდიოდა არსენას ოჯახში, მაგრამ ფიქრიას თვალს არიდებდა, მორცხვად ილიმებოდა და დილით-დიღამდე ათიოდე სიტყვასაც ძლივს იმეტებდა.

წელიწადში ერთხელ გადაარჩენილი ძმად ნაფიკუბი დარიის მონასტრის ეზოში სამლოთოს ჰკლავდნენ და ამ დღისთვის ხოსიტას, ლეთისაგარს და მათს ჯალბასაც იბარებდნენ. პანაშვიდს დათუნა ბერი სწირავდა და აღაპების კითხვის დროს სასოებით იხსენიებდა „უმანკოდ შეწირულ“ სევასტის, სიმონას, ოსტაპს, პაპუნას, ნასყიდას, საბას და „ყოველთა ძმათა მათთა, რომელთა უფლისა კეთილ საქმისათვის დასდეს თავნი თვისნი უმწიკვლონი“.

ძმადნაფიკუბს ცრემლი ჩამოსდიოდათ, ხოლო ქელეხის ჰამის დროს „უმწიკვლოთა“ სულის საცხონებელს სევამდენ, პურზე ლეინოს აწვევებდნენ და შინისკენ დაღვრემილ-ფხიზლები ბრუნდებოდნენ.

ერთხელ დათუნამ გაეკრით ჰკითხა არსენას:

— გახსოვს გლეხები რომ აიშალნენ და ძლივს დავამშვიდეთ...

— მე არ დამიმშვიდებია. — გააწყვეტინა მარამდელმა.

— ვიცი. ყველაზე მეტად შენ ააფორიაქე. მე სხვა რამეს გეკითხები, მაშინ რომ აგყოლოდა ხალხი და იარაღი გეხმარნათ, საქართველოს ეშველებოდა რაიმე თუ დავიღუპებოდი?

არსენა გუმანით ჰგონობდა, რომ მისი საქმე სწორედ უღროულობამ ჩაშალა და ხალხი იმიტომ არ გაჰყავდა ზოლომდე, რომ გლეხობასაც ვალესილი გეში ჰქონდა და ჯანდაბას ისევ დოზანა ამჯობინა.

— ვინ იცის, იქნება კიდევაც გადავრჩით.— ბუნდოვანად შიშგარე მარაბდელმა.

— დროება არა გვწყალობდა, ეხლა კი ომი აღარ არის, ^{დღესაც უკვე} ებრძობა სიტყვა აღარ დაასრულა.

— ვიცი რაც გიძვეს გულში, დათუნავ. ერთხელ შალვამ და ფილადომაც მითხრეს, მაგრამ არ აფეხვი და არც ეხლა აფეხები. მე ჩემი გზა მაქვს, თქვენ კი თქვენი ვერ მოვრიგდებით. შენც გირჩევ ხელი აიღო, თორე სულ უბრალოდ დაილუპები.

ამით გათავდა მათი საუბარი. დათუნა წავიდა და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.

იმ სამ წელიწადში კიდევ მრავალი რამ მოხდა.

ბოსიტამ ერთხელ კიდევ იფაქვაცა, მაგდანამაც იღედაკაცა და ზურას პაწიამა მიუძღვნეს.

— ვეფო, სული ნუ ამომართვი!— დროგამოშვებით უღრინავდა მარაბდის ბატონი თავის ნამედროშალს და ლამობდა ის პირობა დაერღვია, რომელიც ერთხელ ეამსა გაკირივებისასა ლეთისავარმა გამოჰგლიჯა.

— არ შეიძლება ბატონო. შენი თხოვნით დავაბრუნე ეს გლეხები, შენ მაგიერ დავიფიცე და ფიცის გატეხვას თავის გატეხვა მირჩენიან. თუ არა და...

და ცხადი იყო, რომ ეალთვალა თვითონაც აიყრებოდა, იმ გლეხებსაც აპყრიდა და ისევ სადმე გადაჰქარგავდა.

— დაგტანჯოს ჩემმა გამწენმა როგორც შენ დამტანჯე, ლეთისავარ! წაღი, დამეკარგე!

ლეთისავარიც მიდიოდა და იქამდე იყარგებოდა, სანამ მოურავების ახალ შარს არ გაიგებდა და ისევ ზაალის სულის ამოსართმევად არ წავიდოდა.

პასკევიჩმაც ამოარაოვა სული სპარსეთსაც და ოსმალეთსაც, სულთანმა ზავი მოითხოვა და მიიღო, სპარსელებმა კი რუსის ჯაერი გრიბოედოვზე იყარეს; თეირანში მთელი საელჩო ახოელიტეს, გრიბოედოვის გვამი პასკევიჩს გამოუგზავნეს და ჩვიდმეტი წლის ნინო ნაადრევად დააქრივეს.

გრიბოედოვის სიკვდილის და ომის დამთავრების შემდეგ პასკევიჩმა სწრაფად შეიცვალა გეზი და მარჯვნივ გადაუხვია.

გენერალი პანკრათიევი გააფთრებით ებრძოდა პასკევიჩის ქარზე გრიბოედოვის გავლენას და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გაიმარჯვა. ომის დასასრულს პასკევიჩმა ისეთი ძალა მოიპოვა, რომ მოურიდებლად დაითხოვა მსახურიდან ლიბერალები: თავის შტაბის გამგებელი შურავიოვი, ოსტენ საკენი, მრავალი დიდი მოხელე და გენერალი და იმპერატორის მარჯვენას გრაფ ბენკენდორფსაც არ შეეპუა და ნისი ძმაც მოიშორა. მაგრამ ყველაზე უფრო შაკერად ტფილისის ვიცე-გუბერნატორს ზავილეისკის მოექცნენ, რადგან მან კრივის განახლების უფლება მისცა ქალაქელებს და განგებ ხელი შეუწყო გლეხთა აჯანყებასო. ზავილეისკი დააპატიმრეს და ეტაპით გაგზავნეს პეტერბურგში, სადაც მან ძლივს გაიმართლა თავი მრისხანე სენატის წინაშე.

ომის დასრულების გამო გლეხობას სამხედრო ბეგარა მოუფიქრეს სალ-
დათობაზე ჩამუნიც აღარ ისმოდა. ოთხფეხის გაქლეტა შენელდა. უწინდელზე მე-
ტი საქონელი შემოვიდა და ფულსაც ფასი დაედო.

ჩვენი ქვეშევრდომობა მივალბინეთ ყარაჩაველებს, დავიმორჩილეთ ოსტებში,
დამოუკიდებლობის ჩრდილიც კი გავუფანტეთ მოუსვენარ ჭარ-ბელაქანს, საბო-
ლოოდ და მტკიცედ დავიჩემეთ აფხაზეთი, ხოლო გურია უბრალო რუსულ
პროვინციად გადავაქციეთ. მაგრამ მიუხედავად რუსული იარაღის ამ-
გვარ ბრწყინვალე გამარჯვებისა კავკასიის სრული მოთვინიერება ჯერ კიდევ
შორს იყო და სისხლიანი ბრძოლა მურიდიზმთან, რომელმაც ორმოციოდე წე-
ლიწადს კიდევ გასტანა, პასკევიჩის მომდევნო რიგს დააწვა“.

თვითონ პასკევიჩი კი 1831 წელს სასწრაფოდ წავიდა პოლონეთის აჯან-
ყების ჩასაქრობად, ჩაახშო იგი და „ერეგნის“ გრაფი „ვარშავის“ თავადად და
პოლონეთის ნამუსტნიკად გადაიქცა. ასე იქნა შური ბედმა: რუსის ხიშტებმა
ჩერნიგოველი ყაზახი პასკა უკრაინის საუკუნო მტრის ტახტზე ააგდეს.

პასკევიჩის ნაცვლად ბარონ როზენი ჩამოვიდა და უმაღლესე დაეტაკა ყუბანსა
და დაღისტანს. მან დაიმორჩილა ვალკაველი, იჩქერი და გიმრი, „მაგრამ ამ
გამარჯვებამ თითქმის არავითარი ნაყოფი არ გამოიღო“. გიმრში იმამი ყაზი
მულა მოჰკლეს და მის მაგიერ იმამობა გამზათ ბევმა მიიღო, რომელსაც კვალ-
დაკვალ მისდევდა შამილი.

სანამ ალექსანდრე ქავჭავაძის სიძე ცოცხალი იყო, თვითონ სიმამრიც მაგ -
რად იდგა, ხოლო მფარველი რომ მოუკვდა, პატრიოტებმა ერთხელ კიდევ წა-
მოიწიეს და ეკატერინე დიდის ნათლული ხელმეორედ დააქვეითეს. ქედმაღალმა
თავადმა და პოეტმა უმაღლესე მიანება თავი სამსახურს და სტუმარ-მასპინძლობას,
ლზინსა და ნადირობას მისცა თავის ხალვათი გული.

იმვე ხანს რუსის დიდი პოეტი პუშკინი ჩამოვიდა ტფილისში და მალე
ბრძოლის ველისკენ გაეშურა, ერთი პოეტი საბრძოლველად მივბოდა, მეორე
კი—უკვე ნაბრძოლი გრიბოდოვი—თეირანიდან მოჰქონდათ. ცხედარი და ცოც-
ხალი ერთმანეთს ბეზობდალის ქედზე შეხედდნ. პუშკინმა იქვე გამოიტერა თა-
ნამოკალმე და აზრუმის გზას გაუდგა.

დავით ბარათაშვილმა დისა და გვარის შერცხვენისთვის დიდხანს სდია
მაიორს, რომელიც მანამდე იმალებოდა ახალციხეს, ნახჭევანსა და ნუხა-ორდუ-
ბათებში, სანამ ბარათაანი არ დამშვიდდებოდნენ. მათი სული ისევ მათმა მსა-
ხურმა ჯორაშვილმა დააშოშმინა. მან პირნათლად შეასრულა ზაალის დარბეგბა
და ახალციხიდან კრიალა საბეჭურები და სისხლის ჯვარი ჩამოიტანა. ზაალმაც
შეუსრულა პირობა: ცალყურა ჯორაშვილს ხაზინის მიერ ჩამორთმეული მამუ-
ლები დაუბრუნებინა და მზითად თავის პატივყარილი დარო გააყოლა.

კაპიტანი ლომოვი თრიალეთ-ბორჩალოს სამხედრო დისტანციის გამგედ
დანიშნეს, არლოვი კი დაროს გათხოვების შემდეგ ტფილისში გადმოიყვანეს და
კარგადაც დააწინაურეს. არსენას მოკვლამ, გაცოცხლებამ და გაქცევამ დიდხანს
აციინა ქალაქი და მაიორის წარჩინებაც შეაფერხა, მაგრამ ის მალე გასწორდა
წელში და კიდევ ორიოდ ნაბიჯით დაწინაურდა.

არც უცვირპირო კუჭატნელი ჩამორჩა. მან ხარავაუღელი ბუჩიძის ქალი შეირთო, ისევ კუჭატანში დაბრუნდა, რამდენჯერმე ივაცკაცა ლეკებთან და ალაზნის პირას პატარა სამხედრო საგუნავგოს მეთაურობა მინიჭებულა.

გრიგოლ ორბელიანი სამსახურმა რუსეთში გადაიყვანა. ბედი მღვდარი ფებდაფებ დასდევდა ერეკლე მეფის შვილისშვილს: ნინო ჭავჭავაძე გრიბოდოვმა მოსტაცა, ხოლო მისი მომდევნო კატო სამეგრელოს მთავარმა დავით დედინამა წაიყვანა.

ოთხ ორბელიანს—ლუარსაბს, იაკობს, ასლანსა და ქაიხოსროს—ბრალი დასდეს, სალდათობის გამო აჯანყებულებს ცეცხლი თქვენ შეუკეთეთო, და კინალამ უკრეს თავი ყინულეთში.

ალექსანდრე ორბელიანმა მარშლობა დიმიტრი ორბელიანს დაუთმო.

მელიტონ ბარათაშვილი თარჯიმანობას ვერ გასცდა და ხელგაშლილი ცხოვრების გამო დღითიდღე ლატაკდებოდა, სამაგიეროდ მისი შვილი ტატე მწიფდებოდა და დიდი პოეტობისათვის ემზადებოდა.

გიგოლა ისევ გიგოლობდა. ფირუზა მოურავობდა. ბაჯიაშვილი დოსტაქრობდა. გარსიაც იზრდებოდა და იქვე მახლობლად უწინდელზე მეტად ჰქუხდა დალი ჰასანის მრისხანე სახელი.

მესხეთი მარტო რუსეთმა დაიჩინა და ქართველ საზოგადოებას იმედის ფერფლიც კი გაუფანტა. ამიტომ და კიდევ მრავალ მოლოდინის გაცრუების გამო ამ საზოგადოებამ გულისთქმა ვაილესა, ძველი ბოღმა გაიღვიძა და ომის დროს მივიწყებული ძველი ანგარიშებიც გაიხსენა.

ოცხოეთის ამბები დაგვიანებით და დამახინჯებით მოდიოდა, მაგრამ მაინც მოდიოდა. აქაც ყრუდ მოისმოდა დასავლეთის შორეული გუგუნო, აქაც მოსჩანდა იქური ელვის ანარეკლი.

რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ოსმალეთზე იმძლავრეს და საბერძნეთი გამოჰკლიეს. პომპროსის, პლატონის და მრავალთა მათთა ტოლთა სამშობლოს განთავისუფლებამ ბევრგან გააფუფა მიმქრალი იმედი და ნიკოლოზ მეფის გვირგვინის ერთ პაწია კუთხეშიც გააღვივა შეკუმშული სული, რომელიც—ასე ანგარიშობდნენ სადღაც—უკვე მიმხივალი უნდა ყოფილიყო.

შფოთის მკედლებმა—ფრანგებმა—შარლი მეათე გადაეცეს და ლუი ფილიპ ორღენელი მოიწვიეს. ამ შენაცვლებამაც ბევრი ქართველი წამოშალა. ისინი ნაპოლეონ პირველის დიდი ლაშქრობის განმეორებას ელოდებოდნენ, მაგრამ მალე ჩამოირცხეს ბედნიერი ღიმილი და ისევ უწინდელი კაეშანი აისახეს. მცირე ხნის შემდეგ ეს გუშინდლობაც წაიშალა და ისევ მხიარულმა ხვალინდლობამ გაიღვიძა: შებოჭილმა პოლონეთმა უცებ წამოიწია, მცირე ხნით დაპლვიჯა საბელ-ხუნდები და აქაურებაც სულიერად წამოსწია. მაგრამ ვარშავას ერთხელ კიდევ მოსტებეს ხერხემალი და ქართველ ორგულებს საბუთად სამი ათასი დაუდგარი ტყვე პოლონელი გამოუგზავნეს. აქაურთა გუნება ისევ თავდაღმა დაგორდა, მაგრამ მალე კვლავ აღმართს შეუდგა და ერთი წლის შემდეგ ხელისუფლებას მოულოდნელი საოცრება მიართვა: ერთ დღეს უამრავ თავადაზნაურს, წარჩინებულს, განათლებულსა და გაუნათლებელსაც ერთგულების საზეიმო სამოსელი ჩამოსცივებდათ და გულმოდგინედ დანამალი ლალატის ხანჯლები ვაუშიშვლდათ.

ხელისუფლება შეკრთა და გაკვირდა.

შეთქმულეებიც დაფეთდნენ და გაოცდნენ.

ქვეყანამაც ერთი წუთით მოიხედა და მხრები შეიშმუნა. იქ არაფერიც არ შეცვლილა, მაგრამ აქ, ერთ მტკაველ მიწაზე, ვილაცას სული გადაუტყდა, ძველი რამ დასრულდა და ახალი რამ დაიწყო.



ეროვნული
განთავისუფლება

— დროა დავიწყოთ, თორემ დიდი ხიფათი მოგველის და დაგვიანება დაგვლუპავს. — შემერთალი ხმით განაცხადა ალექსანდრე ორბელიანმა.

ალექსანდრე მართალს ამბობდა: ან ეხლავე უნდა გაერეკათ რუსის მთავრობა და ჯარი, ან ეს მთავრობა შემუსრავდა შეთქმულეებს.

ორბელიანმა საბოლოო ბრძანების მისაცემად ყაზახ-ბორჩალოს თათრების წინამძღოლი მოლა ზამანი და ზოგი აღალარი დაიბარა. მათ სახარელი ამბავი ჩამოუტანეს: თითქმის ყველა თათარმა იცის, რომ შენ ბალა მაჰმადის, მოლა ზამანისა და თეიმურაზ ლორთქიფანიძის პირით მოლაპარაკება გაქვს ბიძა შენს ალექსანდრე ბატონიშვილთანო. რახან ამ ამბავმა ყაზახ-ბორჩალოში გამოიწონა, მაშ საცაა მთავრობის ყურშიც ჩაეონავს და შეთქმულნი ისე დაილუპებიან, რომ თითის განძრევასაც ვერ მოასწრობენ. აი ამისათვის დაუძახა ალექსანდრემ სამს დანარჩენ მეთაურს. — ელიზბარ ერისთავს, სოლომონ დოდაშვილსა და იასე ანუ ია ფალავანდიშვილს.

მეთაურთა ნამდვილ მეთაურად პეტერბურგში ნამსახური არტილერისტი ქსნის ერისთავი ელიზბარი მოსჩანდა. ამ ერისთავების სახელმა ადრევე დაიწყო ქუხილი. დაუდევარი დიდი შანშე შეთვრამეტე საუკუნეშივე გადაუდგა ყველას: საქართველოს, ოსმალეთს, რუსეთსაც და სპარსეთსაც. ზოგი ჭირი მარგებელიაო, მან თორმეტი ათასი ლეკი მოიწვია და დედიან-ბუდიანად ამოსწვა ანანურის ეკლესიაში თავის მოსისხლე მტრები ნუგზარისა და ზურაბის ჩამონავეალი არაგვის ერისთავები და საქართველოს ამ მხრივ შვებით ამოასუნთქვინა, მაგრამ მას შემდეგ თვითონ ქსნელები უწინდელზე უარესად გაგოროზდნენ და სწორედ მაშინ, როცა ერეკლეს სამკედრო-სასიციოცხოლო ომი ჰქონდა დაღისტანთან, ერისთავები ოსმალებს და ლეკებს მიუდგნენ და ამის გამო კინალამ თავიანთ ყმბსაც კი დააღვრინეს თავიანთი სისხლი. ერეკლემ მცირე და დიდი დარბაზი შეტკრიბა, რომელმაც მოისმინა ეს „საქმე და ორგულობა“ და დაადგინა: „სრულიად უკუნითი უკუნიამდე მოელოთ მათ საერისთავო და იყავნ კრული თვით მეფეცა, რომელმაც გახსნას შეკრულება ესე და ჰსცვალოს განჩინება“.

„შეკრულება ესე“ გახსნა ალექსანდრე პირველმა. ან რატომ არ უნდა შეეცვალა მას განჩინება უერთგულეს ერისთავებისათვის! მათზე მეტად თავდადებული ხალხი მას არა ჰყავდა. ათასი სამსახური გაუწიეს ერისთავებმა „კურთხეულ“ იმპერატორს და ბოლოს 1804 წელს შანშე უნკროსმა, მიხეილმა და თორნიკემ ურჩი მემკვიდრე იულონი დააქერინეს და მთის აჯანყებაც ჩაუქრეს. აი ამ შანშეს შვილი იყო ელიზბარი.

ერთხელ შეთქმულეებმა კიდევაც გაახსენეს მას ხუმრობით:

— შენ იმ ერისთავეების ჩამომავალი არა ხარ, ვინც საქართველო შეგპოკა და რუსებს მიუგდო?

— დიალ, მათი ჩამონაწერი გახლავარ. საქართველო ჩვენ შეგპოკით და ჩვენვე დავიხსნით. — უპასუხა მან და ისეთი თვალით გადახედა ყველას, რომ უმაღლესე მიუჩინდნენ და მისი ბელადობაც ირწმუნეს, რადგან იცოდნენ, რომ ელიზბარის თითქმის ყველა ერისთავს და რამდენიმე ათას მეომარს გამოიყვანდა.

მას შემდეგ, რაც რუსეთიდან დაბრუნდა, ელიზბარის გამაღებით მუშაობდა, დადიოდა, აჯერებდა, წვერებს შოულობდა, ჰკრავდა, ალულებდა, არიგებდა. მან დაარსა დოდაშვილის ხელით „საქართველოს უწყებანი“, მანვე შეიმუშავა გეგმა აჯანყების დასაწყისისა და დროებითი მთავრობის შედგენისა.

— უნდა დავაჩქაროთ. — მოკლედ მოსკრა ეხლა ელიზბარსაც და დოდაშვილს ჰკითხა: — რას იტყვი, სოლომონ?

სოლომონ დოდაშვილი ჩუმად უგდებდა ყურს მღელვარე მეგობრებს. ამ ხუთ წელიწადში მისი სახელი და გავლენა უზომოდ გაზრდილიყო. მღვდლის შვილი ყველაფერს ასწრებდა: მასწავლებლობდა, სახელმძღვანელოებს ადგენდა, გაზეთს რედაქტორობდა პროკლამაციებს, ლექსებს და წერილებს სწერდა და დიდი მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა ჰქონდა ბატონიშვილებთან, მღვდლებთან და გლეხებთანაც.

— მარტო მე ავშილი მთელ კახეთს. — განაცხადა მან ერთხელ და ყველამ დაუჯერა, რადგან მისი სიტყვა ისევე ნაღდი იყო როგორც „ქართული თეთრი“.

ერისთავი შეთქმულების ხელი და ნებისყოფა იყო, დოდაშვილი კი — ტყინი და სინდისი. ამგვარი საქმე არც უორბელიანოდ გაკეთდებოდა, რადგან ალექსანდრე ხომ ორბელიანიც იყო, ალექსანდრე ბატონიშვილის დისწულიც და საგარეო საქმეთა „მკოდნეც“. მაგრამ არაფერ არ იცოდა, ვინ იყო, რა იყო და რად განიდა სათავეში ია ფალავანდიშვილი? მხოლოდ ერთი რამე იცოდნენ: იყო ოდესღაც ვინმე იესე მიქაძე — კარგი პიტიკოსი, ზრდილობასა შინა მოსაწონი, სწავლული კაცი და ქართულსა შინა ისტორიასა გამოცდილი“. მისმა შვილებმა ბარათაანთ და ფალავანდიანთ ქალები შეირთეს, ზედსიძედ შევიდნენ და თავადობაც დაიძვიდრეს ერეკლე მეფისგან, რომელიც დაპრეტულ სისხლის განახლებას ხელს უწყობდა. ამ ფალავანდიშვილს ორი შვილი ჰყავდა — ნიკო და ია. ნიკო „უკვიანეს ქართველად“ ითვლებოდა და გუბერნატორობასაც კი მიაღწია, ია კი მხოლოდ მისი ძმა იყო და მხოლოდ უსამსახურო „კოლეკი სოვეტნიკობას“ მიაღწია. სამავიგროდ სხვებზე უფრო მეტად იყო გაანჩლებული და თავის ძმის მოკვლაც იკისრა.

შეშფოთებული მეთაურები კარგა ხანს ჩუჩულებდნენ და არკვევდნენ, მზად ჰქონდათ ყველაფერი თუ კიდევ უნდა გადაედოთ და ბოლოს დაადგინეს, რომ ყველანიც მზად არიან და ყველაფერიც გამორკვეულია: რუსის ჯარს რომ განდევნიან, დროებითს მთავრობას შეადგენენ. სამხედრო მინისტრად ალექსანდრე ჰავკავაძეს დანიშნავენ, ფინანსებისას — ნიკო ფალავანდიშვილს, შინაგან საქმეებისთვის კონსტანტინე მუხრან ბატონი გამოადგება, ხოლო განათლების მინისტრობა ზედ გამოჭრილი იქნება იავგორა ქილაშვილზე.

შემდეგ ბაგრატიონთა ტახტს აღადგენენ და ზედ მეფეს დასვენიან, მართალია, ტახტი ისევ რუსებმა წაიღეს, მაგრამ არა უშავს რა, ჯერჯერობით მდიდრულად მართული სითაკანიც გამოდგება. მაგრამ რომელს უნდა დასვენიან ამ ტახტზე? ვის მოიწვევენ? მსურველი ბევრია: ბაგრატი, თამარი, ფარნაოზი, თეიმურაზი, მიხეილი, დიმიტრი, ოქროპირი, ვახტანგი, ტარიელი და კიდევ რამდენიმე კანონიერი და უკანონო მემკვიდრე ერეკლესი, გიორგისა და სოლომონისა.

ცხადი იყო, რომ რუსების განდევნის შემდეგ ნიკოლოზი არც ერთ მათგანს არ გამოუშვებდა, მაშ ისიც ცხადი იქნებოდა, რომ იმ ტახტზე ალექსანდრე ბატონიშვილი უნდა ასულიყო და ყველაზე უკეთ ეს აუცილებლობა მისმა დისწულმა ალექსანდრე ორბელიანმა იცოდა, მას დროებითს მთავრობაში ერთი სკამიც არ დარჩა, მაგრამ ეს არაფერია: „საქმეს“ სხვები აკეთებენ, ხოლო მომავალმა მინისტრებმა (გარდა ნიკო ფალავანდიშვილისა) ისიც ძლივს იციან, რომ ორბელიანები, ერისთავები, ჩოლოყაშვილები, ჯავახიშვილები, მაჩაბლები, დოდაშვილი, რაზმაძე და კიდევ უამრავი შეთქმული მათთვის სანიწისტრო კვერთხებს სჭედანდენ, რომელიც მათ, მკედლებს, შემდეგ ზუნდება ვადაეცყოფით. შეთქმულთა მეთაურები თავმდაბალი არიან, რადგან მათ ისიც იციან, რომ ხვალინდელი ალექსანდრე მეფე პირუთენელად განსჯის ყოველივეს და ყველა მათგანს ღირსეულ ალაგს მიუჩენს. მართალია, ოქროპირსა და დიმიტრი ბატონიშვილებს რესპუბლიკისკენ ეკირათ თვალი, რადგან ამათაც შეჰპაროდათ „ვოლტერიანობის ქირი“ და, უფრო კი იმიტომ, რომ ტახტის უდავო მემკვიდრე არ მოსჩანდა და ეწინააღმდეგებოდათ ხელახლა არ შეეჭამათ ერთმანეთიც და საქართველოც. მაგრამ მათი ხმა შორეულ რუსეთიდან მეტად სუსტად მოისმოდა და შეთქმულებს ოდნავ ღიმილსაც კი ჰგვრიდა ხოლმე. მაშ ესე: რესპუბლიკა საქართველოსთვის ნაადრევი ხილია და ძველბურთი მეფობაც უკვე დრომოკმულია, ამიტომ ინგლისს მიჰბაძავენ და ორნაირ დარბაზს დაარსებენ. ზემო დარბაზის თავმჯდომარედ მეფე იქნება, ქვემო დარბაზი კი თვითონვე აირჩევს მეთაურს. თითო მაზრას თითო წარმომადგენელი ეყოლება, რომელსაც მხოლოდ თავადაზნაურობა, სამღვდლოება და მოქალაქენი აირჩევენ, ყმები კი კათაკმეველნი არიან და ისევ ყმებად დარჩებიან. მაზრას მეფის მიერ დანიშნული დივანი განაგებს, რომელსაც თითო შემწე ეყოლება: თავადი, აზნაური, მღვდელი და მოქალაქე, გლეხი კი—

გლეხი მუდამ ითმენდა და ეხლაც კამეჩივით მოითმენს.

ჯარის სარდლებს თვითონ ჯარი აირჩევს. ესეც დიდებული ხერხია.

მაშ შინაგანი საქმენი უკვე მოგვარებულია და დადასტურებული.

— ეხლა გარეთ გავიხედოთ.—სიტყვა საგარეო საქმეთა ხელმძღვანელმა ალექსანდრემ და ერთხელ კიდევ გაიხედა.

გარეთ კი ძალთა გადაჯგუფება ხდებოდა. რამდენიმე წლის წინათ რუსებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა ოსმალები დააჩოქეს.

— ეხლა კი ეგვიპტის ფაშა მაჰმად ალი ოსმალებს ეომება და მისი შვილი იბრაჰიმი უკვე აზრუმში შევიდა.—მისცა თავის მეგობარს „უტყუარი ცნობა“ ალექსანდრემ.—მართალია, ნიკოლოზი მხარს უჭერს ხონთქარს, და ჯარს

უგზავნის დასახმარებლად, მაგრამ შიგნით თითისაც ველარ გაანძრევს. რადგან მას აღარც ფული აქვს, ჯარიც მოეშალა, ვერც პოლონეთი დაამარცხა საბოლოოდ, ვერც მთა დაიმორჩილა და, გარდა ამისა, ახალ დეკემბერსაც უმზადებენ. ეს კიდევ არაფერი. ჩვენი ერთგული სოლომონ რაზმაძე ანტანასიშვილს მატყობინებს თავრიზიდან: ანგლიის და ფრანციის კონსულები დანამდვილებით ამბობენ, თუ რუსეთმა და ოსმალეთმა ხელი ხელს მისცეს, ჩვენც ჩავერგვით და რუსეთს ოსმალეთზე უარეს დღეს დავაყრითო. თურმე ამავეს იმეორებს რაზმაძის ქვისლი ელჩი გრაფი სიმონიჩიცი. ესეც არაფერი. უფრო უკეთეს მოგახსენებთ:—და „ნამდვილის“ მთხრობელმა ისე დაუწია ისედაც დაბალ ხმას, რომ თავის ნაუბარი თვითონაც ძლივს ესმოდა.—ეს კიდევ არაფერი. ფრანცია და ანგლია გვითვლიან, თუ რუსები კავკასიიდან გაჰყარეთ, მერმე ჩვენც ჩავერგვით და უკან დაბრუნების ნებას აღარ მივცემთო, მაშა!

ნებას აღარ მისცემდნენ, მაშა! ეს იყო საქმის თავიც, ბოლოც და საძირკველიც. აღარ მისცემდნენ! ეს ხომ ცხადია, უდავოა, უდუკელია! შეთქმულნი ამაზე შედგნენ და ისე მოეჭიდნენ, რომ ამ ქორს ამ უსინდისო დაპირებას ხარბაზანიც ველარ გაჰფანტავდა.

ასეთივე დარიგებას აძლევდა მათ საფრანგეთის აქაური კონსული სემინო თავის მდივნის ლეტელიეს პირით და დატინებით ურჩევდა ყაზი მოლას მორიგებოდნენ და რუსის ჯარისთვის მხარი აღარ მიეცათ. მაგრამ შურისძიების ალლო მაინც თავის გზით მიდიოდა და შეთქმულნი და არა შეთქმულნიც რუსებთან ერთად გააფთრებით ებრძოდნენ დალისტანს, შეთქმულთა მეთაურებს კი ვითომ სჯეროდათ, რომ რუსების განდევნის შემდეგ ოსმალეთი და სპარსეთი აღარ შემოალაგებდნენ საქართველოში, რადგან მათთვისვე ხელსაყრელი იყო რუსეთსა და თავიანთ შორის ძლიერი კავკასია ჩაეყენებინათ და მაჯლაჯუნა მაგუგი მოეშორებინათ.

მაშ ეს საქმეც მოგვარებულია. დარჩა მხოლოდ „უმცირესი რამ“—როგორ განდევნონ რუსის ჯარი. სხვა რამეს ნუ მოსთხოვთ ქართველ თავდაზნაურებს, თორემ ისინი და ომი ერთმანეთისთვის არიან გაჩენილი. ზოგი კირიცი მარგებელიაო: რუსები მათ გულმოდგინედ ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს და აბა ეხლა მოიშკონ რაც აქამდე დაუთესიათ. ქართველებს ათასი აფიცერი მაინც ეყოლებათ, შეთქმულთა უმრავლესობაც სამხედრო ხალხია, გვარდიის აფიცერიც მრავალი ურევიათ, გადმოსახლებული პოლონელიც სამი ათასამდე ეყოლებათ და საომარი გეგმაც ისე ზუსტად არის მოჭრილი, რომ თვითონ ნაპოლეონიც კი ვერ დაიწუნებდა.

და ელიზბარ ერისთავმა ერთხელ კიდევ გადაუშალა მეგობრებს:

ნოემბრის დამლევი კარგად არის შერჩეული: თავდაზნაურთა ყრილობაა მოწვეული და ყველა მათი თავიკაცი ქალაქში იქნება.

ამავე დროს ყველგან ხმა გავარდება: რუსები ისევ სალდათს გვთხოვენო და ხალხი ერთი კაცივით წამოდგება.

— ისევ წამოდგება.

— უეპველად წამოდგება.

— ვაჰ რა დრო გავუშვით მაშინ, პასკევიჩის დროს რომ წამოიწიეს!

სწორედ იმავე ღამეს შეთქმულნი თავადაზნაურობის სახელით დიდ ნადიმს გამართავენ, რუს-ქართველ სარდლებსა და დიდებულებს მიიწვევენ და ერთბაშად დააპატიმრებენ, ესე იგი რუსის ჯარს თავს მოსპობიან, და ~~თუ ვინმე~~ შეუბედა რამე, იქვე დაჰხოცავენ, ქონებას ჩამოართმევენ და ქარაუღლს: ~~ჩაწინასა~~ გადასცემენ.

— აგრე! ძალიან კარგია!

— არ დაეინდობთ! დაეზოცავთ!

— ვინც მოისხლე მტერს დაინდობს, თვითონ ის არ არის დასაძლიანობი!

ნადიმს ლუარსაბ ორბელიანის სახლში გამართავენ, რადგან იგი ძალიან დიდა და მოედანზე სდვას.

ყველა შეთქმული ქართველ ტანისამოსს ჩაიცვამს, ხმალს ჩამოიკიდებს და ორ-ოლ დამბაჩას წამოიღებს. ღამის პირველ საათზე მოედანზე შუშხუნა ავარდება და მაშინვე სისხლის ღვრაც დაიწყება (თუმცა, შეწყვენითა ღვთისათა იქნება სულაც არ დაიღვაროს).

— გიყები ხომ არა ვართ, რომ ტყუილბრალოდ დავღვაროთ?

— რა თქმა უნდა... მერმე, ელიზბარ, მერმე?

მერმე შეათურები თათრის მოედანზე მოიყრიან თავს და ზურგიც აქ ექნებათ. იქ გავლენ ორბელიანები ალექსანდრე, ლუარსაბი, მარშალი დიმიტრი, მამუკა, ასლანი და კიდევ ოციოდე მათი გვარის წევრი, სხვა შერჩეული თავადაზნაურებიც და პოლონელებიც. ბელადი ელიზბარ ერისთავიც იქ იქნება და იქ გამოისყიდის თავის მამისა და წინაპართა ცოდვას.

შეთქმულნი სიონის ზარებს დააგუგუნებენ, სიონისა და სომხურ ფეთხანის ხატებს გამოიტანენ, შემოსილს ქართველ-სომეხ-თათარ სამღვდლოებას გაიძლოლებენ, მთელ ქალაქს შეჰყრიან, სკვითს გააგდებენ და—

— და რამდენიმე დღეში ყველაფერი გაათავდება.

— რა თქმა უნდა გათავდება!

— ამ საქმეში მარტო ქართველები არა ვართ.—ამბობს ორბელიანი.

მარტონი არ არიან: შეთქმულებაში ურგვიან ელიზბარ ერისთავის სიძე პოლიციებისტერი მელნიკოვი, რომელიც საქალაქო პოლიციას გადმოიბირებს ან გზაკვალს აურევს; დუშეთის ისპრავნიკი პაუშენკო; ჩოლოყაშვილები და ქსნის ერისთავები არაგვსა და მთას აშლიან; ზავილეისკის უთვალავი რუსი მოხელე გამოჰყვება. ვიცე-გუბერნატორი იყო და დიდი გავლენა შერჩა.

— სამი წლის წინათ გაციმბირებას უპირებდნენ, რადგან ქართველი გლეხი სალდათობის უღელში ვერ შეაბი და საქმე აჯანყებამდე მიიყვანეო, ეხლა კი მართლა ააჯანყებს და დაე სდიოს მერმე ნიკოლოზმა.

— ორიოდე ათასი თათარი ქალაქს მოადგება და გენერალი ვასილ ბებუთაშვილიც აქაურ სომხებს წამოშლის.

— სომხებიც წამოადგებიან, რადგან ისინიც მოატყუეს და დატანჯეს. უწინაც აშლილან რუსებზე. აჯანყებული კახელები რომ თელავს მიადგენ, იქაურმა სომხებმაც წამოიწყეს და ცოხე აგვალდბინეს. მაშ არც ეხლა დაგვივარდებიან.

არ დაუფარდებიან. სიმონ მაჩაბელი ოსებს ააზევებს. აგიმურან — ლორ-თქიფანიძე — იმერეთს, ალექსანდრე შერვაშიძე — აფხაზეთს, ახმედ ხიმშიაშვილი — მესხეთს და აზერბაიჯანიც თოფის წამალივით იფეთქებს. ^{არმანს საბოლოოდ} შეპირებულია. უმაღლე დაიძვრება და ქალაქს მოაწვება. მოხერხებული არწივი ალექსანდრე ერთ კვირაში ჩამოვა ქალაქში. მართალია, ორბელიანებს შემოუთვალა, თქვენი მამებისგან ლალატის მეტი არა მახსოვს რა და თქვენ როგორღა გენდოთო, მაგრამ ბოლოს მათი საქმე მაინც დალოცა და გამოფრენის ნიშანს-ლა ელოდება.

ქალაქს ორიოდ საათში დაიმორჩილებენ. გიორგი და ლევან ერისთავებო, თქვენ ორმოც კაცს წაიყვანთ და მეტეხის ციხეს აიღებთ.

ჩოლოყაშვილო და ორბელიანო დიმიტრი, თქვენ ყაზარმებს მიესევით და რუსის ჯარს იარაღს დააყრევინებთ. მხნედ იყავით და ორი ზარბაზანი და ორასი კაციც გეყოფათ.

მეორე გიორგი ერისთავო და ვახტანგ ორბელიანო, თქვენ არსენალის აღება გევალებათ.

შენ, ბეჟან ამილახვარო, საკომენდანტოში შეიჭრები.

გიორგი თუმანიშვილო, შენ ხაზინას დაეპატრონები.

ივანე ერისთავი ორდენანს ჰაუზს ჩაიბარებს, ბიძინა და იესე ერისთავები — ნაეთიანს, ზოგი ნუზლის საწყობს მიესევა, ზოგიც სასახლეს და — ყველაფერი გაათავდება!

მაგრამ სანამ ეს გათავდებოდა, უცებ ერთი ისეთი რამე მოხდა და გათავდა, რაც არავის არ ეგონა, არც თვითონ შეთქმულებს და არც ნამეტან იმ ხელისუფლებას, ვისაც ასე ადვილად უპირებდნენ გათავებას.

* * *

ალექსანდრე ჭეჭკავაძეს დაუდგარი ხეცურული სისხლი უჩქეფდა, რომელმაც პირველად მთიულეთის აჯანყების დროს ამოხეთქა. თევზმეტი წლის ჭაბუკი ჩუმად გაიპარა და ფარნაოზ ბატონიშვილს ეახლა, მაგრამ ვერ იბრძოლეს, დაიგვიანეს და უკანვე დაბრუნდნენ. სპარსეთისკენ მიმავალი ფარნაოზი ქალაქის ქვემოთ მტკვრის ნაპირას დააპატიმრეს, ალექსანდრე კი გმირად ჩასთვალეს და პავლე ციციანოვის რისხვას ძლივს გადაარჩინეს. რვა წლის შემდეგ კახეთის ამბოხების დროს ეკატერენე დიდის ნათლულს აფიცრის მუნდირი ეცვა, უკვე გამოღმელთა რიგებში იდგა და ჭრილობა და ჯილდოც მიიღო. მას შემდეგ მისი ორგულობა აღარ გამოჩენილა. პირიქით, თავგამეტებითაც იბრძოდა ქართულ-რუსულ საქმისთვის, მაგრამ არ დაუფასეს, უკან დასწიეს და თავის მამულსა და ოჯახში შეაგდეს. მას კი არ ძალუძდა მუღმივი ღზინი და მამულის პატრონობა, რადგან ასეთი იყო გვარი მისი: ან რუსებთან მხარდასხარ უნდა ელაშქრა სპარსეთ-ოსმალეთზე და ნიადაგ წინ წაწეულიყო, ან სხვისთვის უნდა მიეცა ხელი და რუსები გაედევნა.

თუ ვინმე შეთქმული შეუბედავდა და ირიბულად გადაჰკრავდა ორიოდ სიტყვას, გარსევანის შვილი მუღამ ერთნაირ პასუხს აძლევდა:

— ხელი აიღეთ. შესაძლებელია რუსები გავრეკოთ, მაგრამ ვერ შევიმაგრებთ და ისევ შემოვლენ. ისევ ჩვენს თავადებს მოისყიდიან, ჩვენივე მამულებს დაურიგებენ და ჩვენივე ხელით დაგვიმორჩილებენ.

მაგრამ მხოლოდ მეთაურებმა იცოდნენ, რომ პოეტი და მგომარი ჩემზე-
მად აღვივებდა ამბოხებას და მეთაურებთან შუამავლად თავის ცოლის ძმა
ლუარსაბ ორბელიანი ჰყავდა, რომელიც სამი წლის წინათ გლეხთა კურორატე-
ბის დროს ძლიერს გადაურჩა პასკევიჩს. ჭავჭავაძემ ძლიერს დაასრულა რთველი
წინანდალში, რომ მეთაურებმა სასწრაფოდ დაიბარეს ქალაქში და ახალ-ახალი
ამბები უამბეს. მანქანა უკვე მიშველებული იყო, თანდათან სირბილს უმატებდა,
საცაა რუსულ კლდეს დაეჯახებოდა და ან გაანგრევდა მას ან თვითონვე დაი-
მსხვრეოდა.

მაგრამ რაც უფრო მატულობდა მისი სისწრაფე, უფრო მეტად მატულო-
ბლა შეთქმულთა სულიერი რყევაც და გულის მკამელი ეჭვიც. მართლა ადვი-
ლად დადნება ფოლადივით ნაქედი რუსის ჯარი? და რომ კიდევაც დაადნონ
და განდევნონ, ვინ გაუძლებს უკანვე მობრუნებულ ზარბაზნებსა და დივიზიებს?
ან რომ კიდევც გაუძლონ, რა ძალა დაიჭერს ოსმალებსა და სპარსელებს? ეგვიპ-
ტის ფაშას მიერ არეზის გადმოლაზხვა მტკნარი ქორი გამოდგა და შესაძლებე-
ლია ასეთივე ქორი გამოდგეს ინგლისელებისა და ფრანგების დახმარებაც. გამო-
დგეს კი არა, ესეც ნამდვილი ქორია, უეჭველი სიყალბეა, უსირცხვილო ტყუ-
ილია, რომელიც ზღვა სისხლს შეიწირავს და ქორის ფრთების კვალივით გა-
ქრება. წადი სდიე შემდეგ სემინოს, ლეტელიეს, ყველა წამქეზებელა და მათს
ნაბოდვარს!

ეს კია ყველას უზის გულში და ნებისყოფას უნგრავს, რწმენას უღრღნის
და სადღაც ჯურღმულში უხილავი ვინმე ჰკენესის—დაემარცხდებითო, მაგრამ
ვინ არის ვაჟაკი, რომ ამ ვილაკას ხმამალა ათქმევინოს სათქმელი, რომ გაამ-
ელანოს სიმართლე და უიმედო სისხლი აღკვეთოს, აკრძალოს, ალაგოს! ყოვე-
ლი შეთქმულთაგანი მრავალჯერ შესცქეროდა პირისპირ სიკედილს და არ შე-
შინებულა, ეხლა კი უფრო ადვილად აეგებოდა ხანჯლის წვერზე, ვინმე თავის
ნაწუშარ კიას გაამელავნებდა.

ვერც გააყრღმუნეს. პირველი ვადა—ოცი ნოემბერი—შშვიდობით მოვიდა
და მშვიდობითვე წაიდა. მას მოჰყვა და მოჰყვა მეორე ვადაც—ოცდახუთი ნო-
ემბერი. თავადაზნაურთა ყრილობა გაჭიანურდა და აფეთქების დღეც დეკემბ-
რისთვის გადასდეს. ეს დღე კი უღმობლად მოალაჯებდა, ბრმა დევივით მოი-
წვედა, ჰაერი ნატისუნით იელინთებოდა, შეთქმულთა სულიც დღითი-დღე ჰპე-
რაჲდა ხუფს, საცაა ააგლეჯდა მას და ვილაკას დაღუწავდა.

მეთაურები შიშმა შეიპყრო: ორი ალექსანდრეს მიწერ მოწერს ამბავი
ბორჩალოდან ქალაქში ჩამოყონავს და იმის ნაცვლად, რომ ჩვენ დაევაპტიროთ
როზენი, თვითონ ის დაგვაფატიმრებსო. გარდა ამისა ამ ცნობას გუბერნატო-
რის ხელში უნდა გაეგვლო და საჭირო იყო მისი მიჩქმალევა და დროზე გაწიშე-
ლება ხანჯლისა. ფალავანდიშვილს შეეძლო „იმ ლამეს“ წინააღმდეგობა გაეწია
მათთვის და თავის ძმას იესეს ან სხვა ვინმეს შემოჰკლდომოდა—შემოჰკლდომოდათ
მომავალი ფინანსების თავიანთივე მომავალი მინისტრი! ამისა და კიდევ რამ-
დენიმე მოსაზრების გამო ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაავალეს—და იმანაც იკის-
რა—ნიკო ფალავანდიშვილი გაეთრთხილებინა და მოზიარედ გაეხადა.

გუბერნატორი ფალავანდიშვილის სახლი ქაშოეთის გასწვრივ იდგა კუთხეში. ცხრა დეკემბერი იყო და ზამთრის გრილი მზე უკვე შერწყმინდა დაჰყუდებოდა, როცა ამ სიხლიდან ნიკოლოზისებური ქურკ-მოსხმული ქაჭკაყავი გამოვიდა და ერთი წუთით შესდგა თავის ეტლის გვერდით. პირსახეზე მკმუნვარე რამ აზრი ან სინანული ეწერა და თითქო არ იცოდა საით წასულიყო. რა გაახსენდა მერმე, რომ შინ ლუარსაბი უცდიდა, სწრაფად ავიდა ეტლში და შინისკენ გასწია.

გუბერნატორი და სიყრმის მეგობარი ნიკო ქვემო კარამდე გამოჰყვა მას და ერთელ კიდევ უთხრა ღიმილით.

—მაშ ასე: მოვიფიქრებ და პასუხს მაზეგ მოგახსენებ. ჩემ მაგიერ ხელზე ემთხვევ კნენინა სალომეს და საწყალ ქერივს ნინოს. ნახვამდის, ჩემო კეთილო. და სტუმარი რომ გავიდა, ნიკოც შესდგა, შუბლი შეიკრა, შემდეგ მალი ნაბიჯით ავიდა ზემოთ და კიბის ბაქანზე მდგომ მსახურს მიუგო:

—წადი იას დამიძახე, ჩქარა!

მისი ძმა ისე იქვე ფლიგელში ცხოვრობდა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ამოვიდა. ტანზე ტყავი ეცვა და ყალმუხის ქუდი ეხურა. გუბერნატორს კი სერთუკი ეცვა, ბრაზიანი ნაბიჯით დადიოდა ოთახში და ხან იატაკს დასცქეროდა და ხან ჰერს აშტერდებოდა.

ია შესდგა და შეკრთა, რადგან კარვად იცოდა ძმის ხასიათი. შეკრთა იმიტომ, რომ ალექსანდრე ეს-არის ეხლა გავიდა აქედან და ესეც უკვე იცოდა. ნიკო კი ისე დადიოდა, თითქმის დარბოდა და თავის ძმას არც კი ამჩნევდა. შემდეგ გაჯავრებით ჩაჰკეტა კარი, ზედ მიასკდა იას, მაჯაში სტაცა ხელი, თვალი თვალში გაუყარა და ჩააშტერდა.

—რა იყო...რა დაგემართა?—შიშნარევი ხმით ჰკითხა იესემ.

—შენ... შენ უნდა მომკლა? შენ უნდა გაჰყარო აქედან რუსის ჯარი? შენ უნდა დაამარცხო ქვეყნის მძლე იმპერატორი?—მიაყარა გუბერნატორმა.—სთქვი, რას გაჩუმებულხარ! სთქვი მეთქი!

—მე...მე და შენი მკვლელი?—მკვდარივით გაიღიმა იესემ.—აბა რა... რა დასაჯერებელია! ხუმრობით თუ ვიტყვოდი.

—თქვენ ცეცხლსა და სისხლს ეხუმრებით? მეტი საქმე არა გაქვთ და ტახტს მიაღებთ?—ნიკომ ძმის მაჯას ხელი გაუშვა, ორივე ხელით მისწვდა მხრებში, შეანჯღრია და მიმხედალი ხრინწით ჩაუსისინა:—ბედოვლათებო! ნაიარქეიებო! ტუტუცებო! რამ გაგაგიეთა! ვინ გამოგილაყათ ეგ უბადრუკი თავები! რუსის ჯარს თქვენ კი არა, ხუთი სახელმწიფოც ვერას დააკლებს. ნუ თუ აქამდე ვერაფერი დაინახეთ და ვერა გაიგეთრა? ოსმალეთი თქვენს თვალწინ შემუსრეს, სპარსეთი დააჩოქეს, პოლონეთი შეჰბოქეს, ნაპოლეონიც კი დაიფრინეს და თქვენ...აბა-ბა! რა მასხრები ყოფილხართ!.. ღმერთო ჩემო... არა, მოდი და ნუ გაიცინებ.

—ნუ იციანი.—წაილულულა იესემ და მუხლმოჭრილი ჩაჯდა სკამზე.—ნუ იციანი მეთქი. შენ საქართველოს დასციანი, შენ...

—ვიცი, ეხლავ ვიცი რასაც იტყვი. შენზე მეტი მე მინახავს, წამიკითხია, გამიგონია და თქვენზე მეტადაც მიყვარს სამშობლო, მაგრამ...

იესემ ღიმილი აიგრია და მხრები აიყარა. ნიკომ უმაღლე მხარზე ხელი დაადო, დაიხარა და ცხარედ განაგრძო:—გაჩუმდი და ყური მიგდე. ზოგი ექიმი ნამეტანი სიყვარულით და ყბედობით ავადმყოფს მოჰკლავს, ზოგი კი ზმან-გაყმენდილი მოუვლის და ფეხზე დააყენებს. თქვენ კი გინდათ ჩვენი ხალხის სისხლით დასცალოთ და მერმე თავი იმართლოთ, მისი განკურნება გეინდოდაო? ამგვარ ექიმს ჩამოხრჩობის მეტი ვერა არგებს რა.—მაგიდას ხელი დაჰკრა და ისეთი ხმით წამოიძახა, რომ მის მსმენელს, ისედაც გაფითრებულსა და მთრთოლვარეს, ყინულმა ჩაურბინა სისხლში:—დიად, თქვენ ჩამოხრჩობის ღირსი ხართ და კიდევაც ჩამოგახრჩობენ! ჩამოგახრჩობთ მეტი!

ორჯელ-სამჯერ ჩაირბინა ოთახი, შემდეგ შესდგა, სანთლებს მოუკიდა, თავჩაქინდრულ ძმას დაჰხედა, წინ ჩამოუჯდა, ლმობიერად ჩამოართვა ხელი და ლმობიერივე ხმით უთხრა:

—ჩხუბი არაფერს არ გვიშველის. ჩვენ ერთი მუცლისანი ვართ და ერთგულად უნდა გავიტანოთ ერთმანეთი. ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო. დავიწყოთ რაც აქამდე უსიამოვნება გვექონია და ერთმანეთს ვუშველოთ, თორემ სხვა ვინმე მშველელი ჩვენ არაეინ არა გვყავს. ეს-არის ეხლა თქვენგნით მოგზავნილი კნიაზი ალექსანდრე იყო ამ ოთახში, ორ საათს მესაუბრა და ყველაფერი მითხრა, მაგრამ ძალიან აღელვებული იყო და დალაგებით ვერ მიამბო. ეხლა შენ გამაგებინე ვინ დაიწყო, როდის, რა გააკეთეთ და როგორ აპირებთ ამ საქმის მოგვარებას?

იესე ოდნავ მოცოცხლდა. თავჩალუნულმა დაიწყო და თავაწეულმა განაგრძო, მაგრამ ხმა ველარ იპოვა და ისეე მოდუნებით ლუღლუღებდა. ნიკომ თავის თვალები მოლომდე არ ამოიღო მის გულიდან და დროგამოშვებით შეველოდა:

—მაშ მელნიკოვიც ურევია? პაუშენოც ჩაითრით? კონსულებმა მაგრე შემოგითვალეს? კიდევ რა დააბარა მოლა ზაბანს ალექსანდრემ?.. აგრე...მესმის... ხომ არაფერი დაგავიწყდა?

და როცა თავის ძმა დაპირქვავებულ კოკასავით დააცალიერა, მუხლზე ხელი დაადო და უთხრა:

—ეხლა მეც გეტყვი ერთ საიდუმლოებას. არლოვს ხომ იცნობ?

—მაიორს? როგორ არა, ვიცნობ.

—მაიორი აღარ არის, პოლკოვნიკობა მიიღო, იმას ასიოდე მოენე ჰყავს ბორჩალოში. ზოგი მათგანი ჩემი დოსტიკ არის და აქედანაც იღებენ ჯანაგირს. დღეს საღამო ეამს ერთ-ერთ მათგანს შეგხვდი და მითხრა: მთელმა ბორჩალომ იცის, რომ რამდენიმე დღეში აჯანყებამ უნდა იფეთქოსო.

იესე შეერთა და ფერი წელანდელზე უარესად შეეცვალა.

—დაიცა, მათქმევინე. ვკითხე, არლოვმაც იცის მეტი? იმან მიპასუხა: ჯერ არა, პირველად თქვენ მოგახსენეთ და იმას დღეს საღამოს ვეახლებიო. ეხლა ხომ გესმის? გაიგე რა მახეში გაებით?

იესეს აღარა ესმოდა რა. ტვინი აუღლდა, სისხლი აერია და ცივი კანკალი აუვარდა.

—მე მივხვდი, რომ ამ საქმეში შენი ხელიც უნდა რეულიყო და მინდოდა მაშინვე დამეხებინე, მაგრამ კნიაზი ქავჭავაძე შემოვიდა და დრო წამართვა.—
 ძმას თავზე ხელი გადაუსვა და ისევ ჰკითხა:—გესმის მენაქვთქმან მახვში გა-
 ებით?

—მესმის. —ქურდობაზე დაქერილი კატასავით ჩაიკნაულა შეთქმულმა, რომელსაც იმ წამს ერთი სახეობელას მაგიერ ასი თუ ათასი უტრიანლებდა თვალწინ. —მესმის, მაგრამ...

მაგრამ ცხადზე-უცხადესი იყო, რომ მას აღარც რაიმე ესმოდა და არც ნებისყოფის ნატამალი შერჩენოდა. მოშვებული, პირდაღებული და თვალგაყინული მიშტერებოდა ძმას და უსიტყვოდ გკითხებოდა მას: რას მიჩივ? რა ვუყო? როგორ მოვიქცეო?

„უჭკვიანესი ქართველიც“ ამასლა ელოდებოდა.

—მეტი გზა არა გაქვს, უნდა დაასწრო.—ჩაულვარა მან პირველი წვეთი.

—რაო? დავასწრო? ვის დავასწრო?

—იმას, მოენეს, არლოვს.

—ჰო, მართლა, უნდა დავასწრო.— ისე ამოიხვნეშა იესემ თითქო ფილტვებიც ამოატანაო და წამოდგა, — აგრეთა...მეტი გზა არ არის... მე თვითონ უნდა დავასწრო, თორემ...

—თორემ ის დავასწრობთ და...და ათასი საუკეთესო ქართველი დაიღუპება.

—რა თქმა უნდა...რა თქმა უნდა, მაგრამ...

—ია, ნუ გეშინიან. შენი სახელი მე მომანდე. ყველას ავუხსნი და დავაჯერებ, რომ შენ უბრალო ხარ.

—უბრალო ვარ! ღმერთი, რჯული, უბრალო ვარ და ავად ნუ მომიხსენებენ.— ცრემლნარევი ხმით სიტყვა იესემ.

—ნუ შეშინდები მეთქი.

—ვაი მე დედაე!—და დარეტიანებულივით აბორიალდა იმ ოთახში.—რა უბრალოდ ვიღუპები! რამდენ პატიოსან ქართველს გამოეჭრება ყელი!

—ნუ, ია, მაგას ნუ ამბობ.—მოაშველა სულიერი მისაბჯენი გუბერნატორმა და ხელი-ხელს გაუყარა.—მაგას ნუ ამბობ მეთქი. შენ შენს თავსაც გადაარჩენ და იმ ხალხსაც უშველი. თუ დაასწარი და მოინანიე, იმ ხალხსაც მისცემ შელაუათს და შენც გადაარჩები.

—გადავრჩები? რა ოხრად მინდა გადაარჩენა! ნეტა ჩამომახრჩობდნენ და მეტი არა მინდარა.

—ნუ მიჰქარავ მეთქი!—ძმურად მოუღბო ხმას ნიკომ.—არაფერიც არ იქნება. გადაგასახლებენ, იქ სამსახურს მოგცემენ, ხუთიოდე წლის შემდეგ დაგაბრუნებენ და ისეთ წარჩინებაში შეგვალთ, რომ ეს ამბავი სიზმრადაც ძლიერ მოგეჩვენებათ. ჩემი სიტყვა დაიხსომე და, თუ არ გამართლდეს, საქვეყნოდ შემარცხვინე. ოლონდ... ოლონდ გონიერება უნდა მოიკრიბო და არლოვს დაასწრო, თორემ...—და ისევ თვალეზში ჩააშტერდა.

—ვის...ვისთან უნდა მივიდე?—მომაკვდავით ამოიხსუნთქა იესემ.

—გენერალ ეოლხოვსკისთან მიხვალ. ზრდილობიანი კაცია და სველაფერს ადვილად გაიგებს. წერილსაც მიგიწერ. თუმცა,—და ერთ წუთს ჩაფიქრდა,— თუმცა ასე ემუდებინება: მე თვითონვე გამოგყვები. მაშ ნუ შეშინდები! აბა, წავედით...ოღონდ ნუ შეშინდები...სულაც ნუ შეშინდები... მე ამამტანტან არ ინანებ... არც ისინი ინანებენ.

რუხი ქურკი მოისხა და ფეხარეული ძმა კიბეზე ჩამოიყვანა. ბიჭი ფართო დაედევნა, მაგრამ ნიკომ გააბრუნა და ძმას უთხრა:

—შენ წინ წადი და მეც ნელნელა მოგყვები. ბინდში იარე... არ დაგვიწახონ. გული გაიმაგრე.

ათიოდე წუთის შემდეგ იესე ქურდივით შეიპარა მთავარ შტაბში, ნიკოც მაშინვე შევიდა და გენერალი იკითხა. შტაბის გამგე ეოლხოვსკი კაბინეტში იჯდა და მუშაობდა.

—ძალიან სასწრაფო და საჭირო საქმისთვის გეახელით და ვთხოვთ მოახსენოთ. —უთხრა ნიკომ ადიუტანტს და იესეს მოუბრუნდა:—ოღონდ ხმა, კრინტი არ დასძრა სხვაგან, რომ შე გნახე და მე მოგიყვანე, თორემ... ჩემი იმედი გკონდეს...დაგეხმარები... გიშველი.

—მობრძანდით.

—თქვენო მაღალანობიანებო, — ეუბნებოდა ქლესა ხმით შტაბის გამგეს. მისალმებრსა და დაბრძანების შემდეგ გუბერნატორი, —მე და ჩემ ძმას იმპერატორისადმი ერთგულებამ და სამშობლოსადმი სიყვარულმა გაგვაბედვინა თქვენი უდროო შეწუხება. ამ კაცს უდიდესი და უპატივებელი ცოდვა ჩაუდენია და მსურს წრფელი გულით მოინანიოს იგი. მეც დავეხმარე, შევაგნებინე და...და ეხლა ნება მიბოძეთ გეახლოთ. ჩემი აქ-ყოფნა საჭირო აღარ არის. ოღონდ ერთი სათხოვარი უნდა გკადროთ და იმედია შემისრულდებთ: საჭირო არ არის გაიგოს ვინმემ გარდა უზენაესი მთავრობისა, რომ ჩემი ძმა მე თვითონვე მოგიყვანეთ. დანარჩენს თვითონ ჩემი ძმა მოგახსენებს, რომელიც... ღმერთმა დამაჯა და ძმად მარტუნა...გარეთ იცდის და ეხლავე გეახლებათ.

კრემლი მოიხოცა, გენერალს გამოესალმა, ოთახიდან გამოვიდა და კედელზე ატუხებულ ძმას უთხრა:

—ყველაფერი მზად არის... გენერალი გიცდის და შედი.

იესე გასაქცევად მოსხლტა:

—არ შემიძლიან! ვერ შევალ!

ნიკომ ხელი სტაცა და მოატრიალა.

—რამ ვაგაგიფა?! შედი მეთქი! —თან ხელს ჰკრავდა კარებისკენ და გაბრაზებით ეუბნებოდა: —შედი მეთქი! ხომ არ შეგჭამს. სირცხვილია. რას ატყვიან! შედი, შედი მეთქი!

—ნიკო. რას მიშვრები? ძმა ხარ და შემიბრალე.

სალაზმა არ შეიბრალა და ღვიძლი ძმა დასაკლავი ხარისხით შეუგდო გენერალს. შეუგდო და რომის იმ სენატორივით გამოვიდა გარეო, ვინც ეს არის ეხლა უმძიმესი და უზენაესი ვალი მოიხადა ცეზარისა და იმპერიის წინაშე.

გამოვიდა და ერთი წუთით ტოვას მაგვრად ოქრომკლდით მონაქსოვი სასენატო მენდირი მოვლანდა.

იქ კი, შიგნით, გენერლის წინაშე მისი ღვიძლი ძმა შეტრიატმანდა, გულწასულივით დაეშვა სკამზე და იატაკს შიშით და კაეწნით *სასხესე სისეაქტებო ჩააბჯინა*.

— აბა, დაეწყოთ. — იხება ბოლოს გენერალმა.

და შეთქმულთა მეთაურმაც ხრინჭით, სლოკინით, ბორძიკით და კნავილით დაიწყო.

ერთი საათის შემდეგ მანამდე მიყუჩებულმა შტაბმაც დაიწყო გამოცოცხლება, ხოლო შევლამისას ისე აიბურძნა თითქო ომი დაწყებულიყო. ბნელ ქუჩებში ცხენოსანი ყაზახები დაჭროდნენ, ნამძინარევი აფიცრები შტაბისკენ გამობოდნენ, ბრძამებას ისმენდნენ, აქედან სალდათებისა და ეანდარმების მცირე გუნდები მიჰყავდათ და იქიდან დაპატიმრებული ორბელიანები, ერისთავები, ყველა მეთაურები და მათი მოზიარენიც მოჰყავდათ.

იმ დღიდან ქალაქსა და სოფელსაც ციება შეუჩნდათ და სისხლში შემზარავი ერუანტელი უვლიდათ. ბნელ ქუჩებში ლამ-ლამობით ფარნების ციმციმი მოსწანდა და ყრუდ გაისმოდა მძიმე ჩექმების ფლატუნნი და ზოგჯერ კი ხმამალალი ტირილიც და ყრუ კივილიც: „მიშველეთ“!

მოვიდა ეამი განკითხვისა და მშველელი კი არსად იყო — არც მაჰმად ფაშა ეგვიპტელი, არც ალექსანდრე სპარსელი და არცა ხომალდები ფრანგული და ინგლისური.

შეთქმულება ყაზარმობად გადაიქცა და იმ ყაზარმის ზემო სართულში ისევ ორთავიანი არწივი იჯდა, რომელმაც თავის შემამერთებელ მიზინოს ფრთები მოსტეხა, ქანგები დააქრა და იქვე ბნელ სარდაფში ჩაამწყვდია.

სოლომონ რახშაძე თავრიზიდან ამოიყვანეს, გრიგოლ ორბელიანი რუსეთიდან ჩამოიყვანეს, ხოლო ფილადელფოს ბერის შესაბოჰავად თვითონ ეგზარქოსი მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი გაიქცა შუამთაში და თან პოლკოვნიკი არლოვი და ეანდარმები წაიყვანა. ბერს ლოცვა შეაწყვეტინეს და ჩხრეკას შეუდგნენ. ორჯელ გადააქოთეს მონასტერი, შესამეჯერაც მოჩხრიკეს და სადღაც ქერში ფიცრებსა და აგურებს შუა აქტი გონიერი, პროკლამაციები და კრიპტოგრაფიული წერილები იპოვეს. აღშფოთებულმა მალალ უსამღვდელოესობამ ფილადელფოსს კუნკული მოჰკლიჯა, ანაფორაში მისწვდა და მათ შორის ნამდვილი კიდილი გაიმართა.

— გაიხადე, სატანავ, — ჰკიოდა მოსე და ანაფორას აგლეჯდა.

— ხელი გაუშვი, მოთრეულო! ეს ჩოხა ანტონ კათალიკოსმა მიკურთხა და შენ ვინა ჰგდიხარ?!

არლოვი მზიარულად იფშენეტავდა ხელებს და ბერის დაპატიმრებით აპირებდა თავის მარცხის ანაზღაურებას. მარცხი კი აშკარაზე-აშკარა იყო: ასეთი დიდი შეთქმულება არლოვმა კი არ აღმოაჩინა, იგი თავისთავად გასკდა და მას, წესიერების გუშავს, მანამდე მოსალოდნელი საგენერლო საბეჭურების ნაცვლად ახალი დაქვეითება მოუტანა.

— ანაფორა გაიხადე შეთქი!



— შენ ვინა ჰგდიხარ მეთქი! აქედან გაეთრიე!

მცირე ხნის შემდეგ—თვითონ ბერი ეგდო შებოქველი იქაურობაში და თვითონ მას მოათრევდნენ ქალაქისკენ. ფილადელფოსი პირველად სტიროდა და ჰფიქრობდა დაემტკიცებინა ქალაქში, რომ ეგზარქოსებს, არლოვებსა და ბარონ როხენებს უფლება არა ჰქონდათ ანტონ კათალიკოსის მიერ ნაკურთხი ჩოხა გაეხადნათ მისთვის.

ვერ დაუმტკიცა.

დათუნა ქალაქში იყო, როცა მისი მოძღვარი ფილადელფოსი ჩამოიყვანეს. ბარნაველი აღარ დაბრუნდა შუამთაში, მარინეს მონასტერში შედგა ისანში და მას შემდეგ მხოლოდ იმაზედა ზრუნავდა, რომ თავის მასწავლებელი გამოეკვება და მისთვის რაიმე შეეხება მიეცა. მისი ცხოვრება სამკუთხედში ჩაიქცა: მონასტერი, ყაზარმა და არსენას ოჯახი. დღე არ გავიდოდა, რომ ოძელაშვილის სახლში არ შეეხებდა. აივანზე ან პაწია ბაღში ჩამოჯდებოდა, ხმის ამოუღებელივ გაატარებდა ორიოდ საათს და შემდეგ ცხვრის ხორციით, მაწვით და კარაქით დატვირთული, თავჩალუნული ზიდიოდა ყაზარმისკენ.

კვირაში ერთხელ სამგორიდან არსენა ჩამოვიდოდა და მხოლოდ ის ამოაღებინებდა რამდენიმე სიტყვას. მთელი საქართველო მხოლოდ ყაზარმობაზე ლაპარაკობდა და ეს ორი მეგობარიც ამას დასტრიალებდა ხოლმე.

— დამიჯერე, დათუნი, ეს საქმე უჩვენოდ არ გაკეთდებოდა მეთქი.— ეტყოდა მარაბდელი.

— აგრეა.— ნაგვიანვეად ეთანხმებოდა ბარნაველი.— ეხლა სხვებიც მაგას ამბობენ.

— ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდებაო. ადრევე რომ ჩემი გეზი აეღოთ და გლეხისთვის შეეხება რამ მიეცათ, ერთ კვირაში ოცი-ათას კაცს ნოვაყრიდით ქალაქს და ამ ყაზარმას და იმ სასახლესაც სულ კორიანტელს აფადენდით. რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო. სიხარბით მოუფიდათ, ხე არ დამიჯერეს და ეხლა გვიანლაა სინანული.

არ დაუჯერეს. მარაბდელს კი ღრმად სჯეროდა, რომ მათი მორიგებაც და გამარჯვებაც მხოლოდ აღდგენილი ხიდის შუაგულზე იყო შესაძლებელი, მაგრამ არ დაუჯერეს. ამიტომ ის ხიდი ისევ ჩატეხილი ეგდო, ხოლო ბატონები ზრამის გაღვა ეყარნენ რკინის გალიაში, ყმები კი ისევ ბორცილებს დაათრევდნენ გამოღმა და გაღმელთა გოდებას გულშევიდად უსმენდნენ, ან სულაც არ უსმენდნენ.

1833 წელიწადმა შავი ქირი, მოუსავლობა, ვარსკვლავთა წვიმა და შიმშილი მოიტანა და უამრავი ხალხი წაიყვანა.

დადგა 1834 წელიწადი. ოძელაშვილმა გადასწყვიტა იმ ზაფხულს ლოქის მთაში აერეკა ცხვარი და საძოვრის დასაბეგებლად თავად მელიქიშვილთან წავიდა სოფელ სადახლოში. გზადაგზა ჩუმად აუხვია მარინელს სოფელ ენაგეთში. თავის დედამამა და ერეკლე დაიბარა, ნახა და ისევ გზას გაუდგა. სადახლოსა და ლოქის ბატონი შინ არ დაუხვდა. არსენას ერთი კვირაც იქ დაუგვიანდა და, როცა უკანვე გამობრუნდა, თათრულ სოფლის აშალა-სარალის ორღობეში მოულოდნელად მოესმა გახარებული შენაძახი:



— იაეაშ, ყარდაშ!
 — შმაო ჰასან, როგორ მიპოვნე?!
 — სამო, ზმაო, სამოდი, მე მარტო ალაჰის კვალი ვერ მინახავს! — მორე
 ჩემ ზმას სიმბირშის ვიპოვი.

მარაბდელი მეორე დილით უნდა წამოსულიყო, მაგრამ ჩაწვა და ორი კვირის შემდეგაც ძლივს წამოდგა. წყეული იქაური ციება შარშან ზაფხულშივე შეეპარა და ძლივს გაუნელდა. ეხლა კი, ჰაეა რომ შეიცვალა, ისევ ეძგერა და ისევ დასჯაბნა, რომ ბრგე მარაბდელი ცვილივით დადნა და ძლივსლა წამოიწია. დალი ჰასანს რაღაც კმუნვა ეტყობოდა. არსენამ შეამჩნია და ჰკითხა:

— ჰასან, რამ დაგალონა?
 — არსენ, ვაჟეასი ხარ და... ვალაჰ, სუდი საქმე მოხდა.
 — სთქვი, ჰასან, ვინ მომიკლეს? ვინ დაიჭირეს?
 — არა, ზმაო, არაეინ არ მოუკლავთ, მაგრამ... ბევრი დაიჭირეს.
 — სთქვი და გაათაეე.
 — არლოვმა და გიგოლამ სულ საილო თქონი სხვარი.
 — ცხვარი შხამად შეერგოსთ. შენ ჩვენებისა მითხარი.
 — ვაი რა სუდი ამბავი უნდა გითხრა, ზმაო.— და თათარმა მკერდში ხელი დაირტყა და ღრმად ამოიოხრა.— როტომი დაიჭირეს, კარპიჩაც... და-თუნაც.

— როსტომიც და კარპიჩაც! ლმერთო დიდებულო!
 — შენი დედმამაც.
 — ჩემი დედმამაც? — თითქო გაცოცდა მარაბდელი.
 — ერეკლე და მეშთა გაქსეულან. სულხანს ფიქრია და შენი სოლშვილი მაგდანასთან საუყვანია ქვიშხეთში.

— ჩქარა, ჰასან, ლურჯა შემიკახმე!
 — დაისა, ზმაო, ჯერ ჯანზე მოდი.
 — ჩქარა მეთქი!

მარაბდელმა ღამე გზაში გაატარა და დილით მარაბდის ქალაში იჯდა და უკვე დავაეებულ გარსიას ეკითხებოდა, რომელიც მალევე წამოსულიყო სოფლიდან:

— მაშ ორ კვირაზე მეტია რაც წაიყვანეს?
 — მეტია. ათიოდე სხვაც დაიჭირეს, კუჭატნელი და გიგოლა ჩამოვიდნენ და იმათ დაიჭირეს. გიგოლას უთქომს, ზაალმა და დავითმა საჩივარი შეიტანეს, ლეთისავარი და რამდენიმე თავი კაცი ყმებს გვიჯანყებენ და მოგვაშორეთო. ის ნაბუშარი ისევ დაბრუნდა ქალაქიდან და სთქვა, კიდევ გაჰგზავნესო.
 — სად გაჰგზავნის? — ვერ მიუხედა ოძელაშვილი. მერმე მიაგნო და ზე წამოიჭრა: — რას ამბობ, ბიჭო! ციმბირში ხომ არ გარეკეს? ვაი შენ ჩემო თავო!

გარსიამ ხელი სტაცა მარაბდელს და ჩასჩურჩულა:

— სუ, იყუჩე. აგერ იქ, ბუჩქებში... მგონი გოგოლა ამედეენა.

ფოთლიანში ჯერ ფაჩუნე ვაისმა, მერმე ლაწუნი ასტყდა. არსენამ რამდენიმე ნახტომით მოუტრა გზა და ნადირი თუ მონადირე აზვირთებულ ხალხეთის ნაპირზე მიაგდო. ჯაშუშმა კურდღელივით ამოიჩხაქლა მას მწვევარი მისწვდა და ზედ მიმდგარს გავეშვებულ არსენას მუხლებში ჩაუვარდა.

— შენ გენაცვალე, არსენ...

— ადე. ასპიტო! ადექი და სთქვი, სად არიან ჩემი დედმამა, როსტომი, კარპიჩა?

აცხცახებული ნახუშარი წაშოდგა, დუეი ჩამოუშვა და კბილების ვანკა-წით წაილულულა:

— ყველანი ძაუგისკენ გაგზავნენს. არლოვიც გაპყვა. მე კი... რა ჩემი ბრალია? მიბრძანეს და შეევსრულე. მე არა ვარ...

და ველარ დაასრულა, რადგან დანარჩენი არსენას ფეხმა შეასრულა. ის თავისთავად ახტა ჰაერში, ნახუშარის მუტელს ეცა და მეფისა და ბატონის თვალყური ადიდებულ წყალში გადააგდო. ტალღებმა უმაღვე მოიტაცეს, კვებებს მიახეტქეს, ისევ ამოატივტივეს და ისევ მიახალეს ნაპირს, თითქო მისი ამოსაქმება უნდოდათო, მაგრამ ხელახლა ჩაისრუტეს და ვინ იცის ის უწმინდური სად და როდის ამოანთხიეს.

— გარსი, გაიქე და ვითომ აქ არკვი ყოფილხარ.— მიუგდო მარაბდელმა თავის ერთგულს და ლურჯა ხევეზე გამოორეკა. მოდიოდა და მფეჭრობდა: — ჯერ კაცი არ მომიკლავს და რალა ეს წუნკალი შემომაკვდა? სამარცხვინო საქმე მომივიდა და უნდა დავმალო, თორემ იმ ლირწის მოკვლას არავინ არ მომიწონებს. ფუჭ, გაგიწყრეს ჩემი გამჩენი!

* * *

ფილადელფოსი ავად გამხდარიყო, სამკურნალოდ მარინეს მონასტერში გადმოიყვანეს და სადარაჯოდ სალდათები მიუჩინეს. მისი მოწაფე დათუნა დღე-ღამეს ასწორებდა და თითქო კიდეც გამოსტაცა მასწავლებელი სიკვდილს, მაგრამ ბერმა ისევ სამარისკენ იბრუნა პირი და მოულოდნელად განუტევა სული. დათუნა ცხედრის წინ იდგა გლოვაზე. სწორედ ამ დროს შემოვიდნენ ბერის გარდაცვალების შესამოწმებლად ექიმები და არლოვი, რომელსაც დიდი ხნის საწადელისთვის მიელწია: ჟანდარმის მუნდირი ჩაეცვა და ექსელმანდები ჩამოეკიდნა. მან გაოცებით გადაჰხედა დათუნას და მაშინვე აინაზლაურა დანაკლისი: ორი სალდათი მკვდარ ბერს ჩამოაშორა, ცოცხალს მიუყენა და წაიყვანა.

— რად მაპატიმრებთ? — ჰკითხა გაოცებულმა დათუნამ.

— ჩვენი მტრის მეგობარიც ალბათ ჩვენი მტერი იქნება.— მიუგო პოლკოვნიკმა და მოშორდა.

ამ მოსაზრებით არლოვს ასიოდე მდაბიო, ხელოსანი და გლეხი შეებოკა. „ყოველ დღე უჯერებელია, რომ შეთქმულ თავადებს დამხმარე ხელქვეითი გლეხები არა ჰყოლოდათ“ — ამბობდა ის და გულმოდგინედ სჩხრეკდა ქალაქსა და

მიდამოებს. ვისაც ბრალი დაუმტკიცებოდა, ის სამხედრო კომისიის ხელში გადავიდოდა, ვისაც არა და — არლოვის კერძი ხდებოდა.

ორიოდე კვირის შემდეგ დათუნა რიგრაზე ააყენეს და ჯიქი მისი გვიყვანეს. იქ ასიოდე კაცისთვის მოეყარათ თავი და ირგვლივ დარაჯები შემოერთყათ.

— დათუნი, შენც აქა ხარ?

— გამარჯვება, ღვთისაგარ!

და ბარნაველს უმაღვე შემოეხვივნენ ცალთვალა, მელანო, როსტომი, კარპიჩა და რამდენიმე სხვა ნაცნობი.

— სად მივეყვართ, შვილო? — ჰკითხა მას მელანომ.

— არ ვიცი, ღვდი.

უცხვირპირო კუჭატნელი განზე იდგა და ბრძანებლობდა.

— საით მიგვერკეებით, გიორგი? — ჰკითხა მას როსტომმა.

კუჭატნელმა ხმა არ გასცა და მიტრიალდა.

ცალთვალამ და კარპიჩამ ისე ჩახედეს ერთმანეთს თვალბში და ისე ჩაიქნიეს თავი თითქო ამზობდნენ: ვიციით, მიხეზდით, ყინულეთისკენ მივეყვართო.

შემდეგ ყველა პატიმრები ერთმანეთს გადააბეს, დასძრეს და ვერისკენ წამოიყვანეს. ქალაქი იღვიძებდა. ქუჩები თითქმის ცალიერი იყო და ერთმანეთზე გადაბმულ ხალხს მხოლოდ რამდენიმე წყვილი შეშინებული თვალი აცილებდა.

ერთ ალაგას ვილაც ჰაბუკი შეხვდათ. შესდგა, ქუდი მოიხადა და სევდით სავსე თვალბი გააყოლა. დათუნას და ღვთისაგარს მოეჩვენა თითქოს მას ეცნოს ისინი და მწარე ღიმილი გადმოეგდოს მათთვის. იმათაც იცნეს ნიკო ბარათაშვილი, ღიმილი დაუბრუნეს, თავი ჩაუქნიეს და თავიანთ გზას გაჰყენებოლო პოეტი მანამდე იდგა გახევებული და მანამდე აღევნებდა მათ თვალყურს სანამ შენობის უკან არ მიიმალებოდნენ.

სამხედრო გზაზე რომ გამოვიდნენ, პატიმრებმა დრტკინვა დაიწყეს, ხოლო ქალაქს რომ გასცდნენ და პირი რომ მყინვარისაკენ შეუბრუნეს, შესდგნენ და ყვირილი ასტეხეს.

— გაგვაგებინეთ, სად მიგვეყვართ?

— ციმბირში! — დიძახა ხმამალა კარპიჩამ.

ერთი წამით სამკედრო დუმილი ჩამოწვა და შემდეგ გუნდს ვალალი და გმინვა აღმობდა:

— არ გვინდა! არ წავალთ! გვიშველეთ!

არც მშველელი მოსჩანდა და არც გაქცევა შეეძლოთ, პატიმრები მიწაზე დაწვნენ, იგი კრემლით დაასველეს და სასოწარკვეთით ჩაქვითინეს:

— მშვიდობით! გვიშველეთ! დაგვხოცეთ! არ წავალთ!

თავიკაცი ეხლაც თავისთავად გამოჩნდა.

— დედაკაცო, წამოდექი! — და ცალთვალამ მელანო ბალღვით წამოაყენა.

— კუჭატნელო, ეგ მათრახი დააყენე! კარპიჩაე, როსტომ, დათუნი, მიშველეთ, ეს ხალხი გონს მოვიყვანოთ. ხალხო, ყური მათხოვეთ და შეისმინეთ. სირცხვილია! ვაჟაკები ვართ და ქირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვიტკირსა. აბა, წამოიწიეთ! გაკაჯდით! გოხს მოდით! აი კოჭლი რუსი რას ამზობს: ციმბირში

შიცხოვრია, ძალიან კარგი ჰავაა, მოსაველიც დიდია და იქაც ჩვენისთანა ქრისტიანი ხალხი ცხოვრობსო,

— მარტალია!— წამოიძახა კარპიჩამ და რამდენიმე წამს შემდეგ ლეთისაჲვარს.— სირცხვილია! გამაგრდით! ადექით! წავედეთ!

— ხალხო, ჩათრევას ჩაყოლა სჯობია.

აქაური მიწა, აქაური ცა, აქაური ჰაერი, ნათესაეები და საფლავები გამოიტირეს და ისევ გზას გაუდგნენ. მიდიოდნენ, ფეხებს ძლივს მიათრევდნენ და დროადროს ოხვრით, ხენწვით და ურევით ჰკიოდნენ:

— არ წავალთ! აქვე დაგვბოცეთ!

მაინც მიდიოდნენ და თან თითო მუკა აქაური მიწა მიჰქონდათ რათა იგი მკვრდზე ეტარებინათ და იქ, ყინულეთში, თან ჩაეტანათ საფლავში.

მელანომ ველარ იარა და ურემზე დასვეს. გვერდით კარპიჩა მისდევდა.

— როდის ჩავალთ, შვილო?

— ატიოდე ტეეში ჩავალთ, დედილო.

— შვილო, მართლა იქაც ქრისტიანები ცხოვრობენ?

— მარტლა, მაშა!

— როგორ ცხოვრობენ, შვილო?

— ჩვენებურად ცხოვრობენ, დედი. სვამენ, სიამენ, მუშაობენ, იბადებიან და იხოცებიან, მაშა! ზროხაცა ჰყავთ, ხარიც, ცხენიც. ნუ გეშინიან, დედი, გენერალიეიტ ვიცხოვრებთ.

— შვილო, არსენა ხომ არ მოსჩანს?

— არა, დედილო, ჯერ არ მოსჩანს.

და კარპიჩას გარდა სხვებიც აშტერდებოდნენ ლელე-გორაკებს და გულის ფანქვალთ მოელოდნენ მარაბდელის ომახიან კიყინს, მოელოდნენ და არ იცოდნენ, რომ ამ დროს ის თათრულ სოფელში იწვა და ციების თეთრ ქულებს ებრძოდა.

არსენას მაგიერ სხვა ვინმე გამოჩნდა. მუხათ-გვერდასკენ რომ შეუხვიეს, მარცხნივ კლდის წვერზე ძეგლივით აყუდებული კაცი შეამჩნიეს და ერგულე იცნეს. პატიმრებს მგელივით ასდევნებოდა და ბილიკებით მოსდევდა.

— ნეტა არ გაბრძოვდეს და ფათერაკს არ წაეკიდოს.— ჩაიბუტბუტა ცალთვალამ და თავისიანებს თვალი უყო მელანოსკენ, არ გააგებინოთო.

— შვილო, არსენა ხომ არ გამოჩნდა?— კრუსუნებდა დროგამოშვებით დედაბერი.

— არა, დედილო, ჯერ არ მოსჩანს, მაგრამ გამოჩნდება, ნამდვილად გამოჩნდება და გვიშველის.— ანუგეშებდა მელანოს და სხვებსაც კარპიჩა.

არ გამოჩნდა. იმედი თანდათან დნებოდა და მასთან ერთად მათი სიმტკიცე ილეოდა. მაინც მიდიოდნენ, მიეთრევდნენ და მხნეობის ნარჩენს წვეთწვეთად ღვრიდნენ. ხოლო როდესაც დარიალას გასცდნენ და გაივაკეს, უკანასკნელი წვეთიც დააქციეს: ერთხელ კიდევ დაემხნენ მიწაზე და ნახირივით აბლავდნენ.

— მშვიდობით! გვიშველეთ! დაგვბოცეთ! არ წავალთ!

მაინც წავედნენ. წაიყვანეს.

* * *



დარდით და ბოღმით გამძვინებული მარაბდელი არაგვისკენ წაიჭრებოდა. ეგონა, იქნება იმ უბედურებს სადმე დავეწიო და ვიღრონო. ახლა კერ თვითონაც არ იცოდა რა უნდა ეღონა. მხოლოდ ბუნდოვანი აზრი ჰქონდა: გლეხებს დაეუძახებ, თავთ დავესხმი და გავანთავისუფლებო.

ზიჰქროდა გორდა მარაბდელი და ლურჯას აღარ ინდობდა. ისიც ჰკრძობდა პატრონის გაშმაგებას და ხარბად სქამდა ვაკეს, ხევბუესა და ოღროზოღროს, გახაფხული იდგა. წითელი პარასკევი იყო და ზემოური გლეხები ასობით მოეშურებოდნენ ქალაქისაკენ რათა თავიანთი ნაოფლარი გაეყიდნათ და ცოლ-შვილისათვის რამდენიმე არშინი ჩითი ეყიდნათ — რუსული არშინი და არა არსენასი, რომელიც ერთ დროს ლანდივით მოეჩვენათ და ვერ შეინარჩუნეს.

— გორდას გაუმარჯოს! არსენ, გამარჯვება! — ესროდნენ აქეთ-იქიდან გლეხები სწრაფი ჩორთით მიმავალ მარაბდელს და ეტყობოდათ, რომ ჰსურდათ გაეჩრებინათ, გამოეკითხათ, თავიანთიც ეთქვათ და იქნება ისიც გაეგოთ, დრო ხომ არ მოვიდა რომ გავიჩინეთ და უღელი გადმოვიგდოთო. მაგრამ მათს გორდას არ ეცალა და ისარივით მიდიოდა ზევით, დუშეთისკენ, მღეთისკენ, და-რიალასკენ.

მუხათგვერდაზე დუქანი იდგა. არლოვმა რომ მოინდომა თავის დაქვეითებული ნირის აღდგენა, ლოპიანაც გაახსენდა და შარი მოსდო, შეთქმული თავადები შენს დუქანში ქეიფობდნენო და ორმოცი თუმანი იკმარა რათა მისთვის ყინულეთი არ ეჩვენებინა და მხოლოდ ქალაქიდან გაეძეებინა. ლოპიანაც აიბარგა და ამ დუქანში გადმოვიდა.

უკვე ბინდი წვებოდა, როცა ციებით და ბოღმით შეხუთულმა არსენამ ლოპიანას მიუგდო სადავე და ჰკითხა:

— მითხარი, როდის აატარეს ჩვენები?

— ათი დღე იქნება. — დამწუხრებით მიუგო მედუქნემ.

— ათი დღე? — და კინალამ წაიქცა. — მაშ ეხლა ძაუგში იქნებიან.

— ჰაი ჰაი რომ იქნებიან. აქ თითქმის არ შეასვენეს. ნაინც მოცასწარი და რამერუმე გავატანე. ლეთისავარს ათი ოქრო მივეცი. მოგიკითხეს. ნამდვილი ქრისტეს ტირილი იყო. მეც კი ამბატირეს.

ლოპიანამ არსენას თვალეზე ცრემლი დაინახა და გაოცდა.

— ერეკლეც ვნახე, შორიხალო მისდევდა. მითხრა, იქნება ვუშველოო. ვერ დავიჭირე და გიგუა გავაყოლე. რას გახდებიან? ესენი ორნი არიან და ისინი კი ორმოცი. არლოვმა ადრე გაიარა, ტუსალები კი კუქატელს მიჰყავდა.

— ის უღმერთო კუქატელი აქაც გაერია?

— უიმისოდ არაფერი არ კეთდება. მესამე დღეს უკანვე ჩამოიარა. ალბათ დუშეთამდე გააცილებდა. არლოვს კი ჯერ არ ჩამოუვლია. მხლებლად ის ყაზახი მისდევდა, შენ რომ ხმაღში გაიწვიე კოდაში. იმან მითხრა, ძაუგში ავალთ, და დავბრუნდებითო. რა მოგდის, არსენ, ხომ არ გაციებ?

—მაციებს. ჩქარა დამაწვინე და რაცა გაქვს ზედ დამაწურე. არაყში წი-
წაქა, მიხაკი და დარიჩინი აურიე და დამალევიე. ლურჯასაც კარგად მოუარე.
ძალიან დავლავ და ცოდოა.

მეორე დღით გალახულ-გაყვითლებული წამოდგა, ოდნავ დანაყრდა და
ზურჯი კი ცოტა ღვინო, ორი შოთი და ერთი დედალი ჩაილაგა.

—საით მიდიხარ, არსენ?—ჭკითხა ლოპიანამ.

—პატარა საქმე მაქვს და იქნება არც კი დავბრუნდე. მეშთა დავიბარე და,
თუ ამოვიდა, აქ მომიცადოს.

ლურჯას მოაჯდა, მცხეთას გასცდა, ღართის კარში შევიდა, ჩამოხტა და
ცხენი ბალახზე მიუშვა, თვითონ კი მცირე კორდზე ჩამოჯდა და თვალები გზას
დააბჯინა.

ორიოდე საათის შემდეგ მოსახვევში ორი კაცი გამოჩნდა. არსენამ შო-
რიდანვე იცნო და, როცა მოახლოვდნენ, ჩასძახა:

—ერეკლე! გიგუჟე!

ძმები ათი წლის უნახავებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს და ჩუმი ცრემ-
ლით ჰგლოვობდნენ დაკარგულ დედამას, დათუნას, კარპიჩას და როსტომს.
ერეკლე თავს იმართლებდა: სტეფანწმინდამდე მიყვებით, გლეხებს დავუძახეთ,
ფულიც შევაძლიეთ და შენი სახელიც გამოვიყენეთ, მაგრამ ვერ გავაბედდინეთ ა.
ამბობდნენ, არ გიცნობთ და თვითონ არსენა რომ ამოსულიყო, გავყვებო-
დიოო.

—მაციებდა. ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი და ამან დაგვლუბა.

დიდხანს იყურეს. შემდეგ არსენამ ჭკითხა ერეკლეს:

—ეხლა რას აპირობ? საით მიდიხარ?

—აბა რა ვიცი. შინ აღარ მიმესვლება. შენთან მოვდიოდი.

—აგრეა, შინ აღარ მიგესვლება. ორი ოჯახი გექონდა და ორივე დაგვინ-
გრიეს,—კიდევ იყუჩა და შემდეგ ისეთ კილოზე აღაპარაკდა თითქო ანდერძს
უკარნახებდაო:—ერეკლე, ყური მათხოვე და, რაც ვითხრა, ზუსტად შემისრუ-
ლე. აქედან შენ და გიგუჟა არმაზის ხეობას აძვეებით, კასპამდე ივლით და გალ-
მა კლდეში ერთ პატარა ნიშს იპოვნით.

—ვიცი. ეყოფილვარ.—სთქვა გიგუჟამ.

—ჰო და იმ ნიშის კუთხეში, იქვე კარის მარცხნივ, მცირე რამ განძი
მაქვს ჩაფლული და ამოიღებთ... ამოიღებთ და ფულად აქციეთ.

—ჩვენვე ვაქციოთ? შენ არ ჩამოგიტანოთ?

—მე ჩამოგიტანეთ, მაგრამ თუ...—და უნდოდა ეთქვა, თუ ცოცხალი აღარ
დაგინვლითო, მაგრამ სხვა სიტყვა იპოვნა და განაგრძო:—მაგრამ თუ ავად ვი-
ყო და არ ვივარგო, თქვენვე აქციეთ ფულად და ასე დანაბრეთ. ზოგი იმ
უბედურებს გაუგზავნეთ ციმბირში... ვინძლო არ დამიმშოიოთ. მარინეს მოზრდი-
ლი წილი მიეცით და უთხარით, შვილები გამიზარდოს, არავის არ დააჩაგვ-
რინოს და ობლობა არ შეამჩნევინოს.

—რა მომავლადივით ლაპარაკობ, არსენ!—შეკმრთალი ხმით წამოიძახა
ერეკლემ.

— ენახე წუხელი სიჭმარში, სისხლში ვიღებავდი წვერსა. ვერ დავიწყებდი აღდგომას, ვერ დავიქერ წითელ კვერცხსა. თუ ძალად არავინ მომეკლბა, ნებით გამოვიტყრა ყელსა*.

— არსენ, გაჩუმდი!

— ყური მიგდე მეთქი კაცნი ვართ და ვინ იცის რა მოგველის. ცოტაოდენი ფიქრიას მიაწოდეთ, წერილშვილის პატრონია და ერგების. სულხანს უთხარით, რომ ჩემს ქვრივ-ობოლსაც ისე მოუვლიდეს როგორც თავის საყუთარს. მაგდანას ერთი ძროხა უყიდეთ, მადლია. სიმონას დედას ლუკმაც ენატრება დანიშნაც მიეცით რამე. ქვრივ-ობოლი და საწყალი ხალხიც არ დაივიწყოთ. თქვენ კი... აბა რა გითხრათ! როდემდე უნდა იხეტიალოთ კარდაკარ და ხეხუვში? არა გამოვარა. ხვალ ან ზევ დავიქერენ და ჩამოგახრჩობენ ან გადაგაციმბირებენ. ამიტომ გირჩევთ აქაურობას მოშორდეთ და სათათრეთში გადახვიდეთ, ქარ თველები იქაც ყოფილან და შეგებიზნებენ. კიდევ ერთ რამეს დაგიტოვებთ ანდერძათ და შემისრულეთ: ზედ ჩვენი დროშა მაქვს და ვინც ღირსი იყოს იმას გადაეცით.

— არსენ, რა მოგელანდა? რას მელაპარაკები?

— მე ისე გითხარი, თუ ვინიცობაა რაიმე მოხდეს მეთქი. ეხლა კი წადით და დანაბაროვი შემისრულეთ.

— წაველთ და იმ ხაზინას შენ ჩამოგიტანთ.

— აგრე მოიქეცით.

— შენ სადლა მიდიხარ?

— მე საგურამოში ავალ და ისევ ლოპიახას დუქაში დავბრუნდები.

— მაშ მშვიდობით იყავი.

— მშვიდობით, ძმაო! — და ისე გადაეხვია ერეკლეს თითქო უკანასკნელად მხედებაო.

მარაბდელი არსად არ წასულა. ისევ კორღზე იჯდა და გულდასმით უთვალთვალებდა დიდ გზას, სადაც მრავლად მოსჩანდა ქვეითი, ცხენოსანი, ტარანტასი და ურემი. ბოლოს შეკრთალივით წამოიჭრა, ქვეით ჩამოცოცდა და გზის ნაპირას ჩასაფრდა. ზევიდან ტარანტასი მოჰქროდა და შიგ არლოვი იჯდა, რომელიც უფრო იმისთვის ასულიყო ძაღუს, რომ მოეწყო შეთქმულთა გადასახლების საქმე, რომელნიც თითო თითოდ უნდა გადაეგზავნათ რუსეთში. მას აღრევე ვაგეო ნიკოლოზ მეფის განაჩენი და ეხლავე შესდგომოდა თავდარიგს.

— შესდები! — დასკვივლა მარაბდელმა მეეტლეს და გზა გადაულობა. გადაულობა და დამბაჩა დაუმიხნა.

მეეტლემ ისე მოსწია სადავეები, რომ კინალამ ჩააჩოქა ცხენები. მის გვერდით ყაზახი უნდა მუდარიყო, მაგრამ გზაში ძლიერ ავად გამხდარიყო და დუშეთში დარჩენილიყო.

არსენამ დამბაჩა არლოვზე გადაიტანა და მეეტლეს უთხრა: — შენ ჰეი, მგონი რუსული უნდა იცოდე და რაც გითხრა მოახსენე. უთხარი ჩამოვიდეს.

მეეტლემ სხაპუნით მიიყარა:

— სლეზაი, სლეზაი, სლეზაი!

— ეხლა ჰკითხე, როგორ ატარა და როგორ დააბინავა ის ხალხი?

— ძალიან კარგად უვლიათ და კარგადაც დაბინავებულან.

— ეხლა ჰკითხე, რა დაუწავეს ჩემმა მოხუცებულმა დედამამ?

არლოვი ისე ალულულდა, რომ მეეტლე მალაკანმაც ვერც გაუგებრობა გარდა იმისა, რომ ის ცას და დედამიწას ფიცულობდა, ყველას ერთ თვეში უკანვე დაეაბრუნებოლონდ არსენა დამშვიდდესო.

— ეგ ნაკმაში თავის ქათიმებს დაუყაროს, ეხლა ჰკითხე, რა ურჩევნიან, ხმალი თუ დამბაჩა?

არლოვის სიცოცხლე ხმალსაც ერჩინა და დამბაჩასაც. ხაზრანის ფერი ედო, ძლიერ თრთოდა და ლამობდა შიშის ნაძალადევი ღიმილში ჩაეხჩო.

— ბატონი პოლკოვნიკი ამბობს, ხუმრობა გეყოფაო, ან ყველაფერი წაილე და თავი დამანებო.

— მასხარა ვგონივარ თუ ყაჩაღი?! — ბრაზით შესძახა მარაბდელმა და დააყოლა: — ჯაბანი ყოფილხარ და ძალღური სიკვდილი გერგების. ამოილე მეთქი იარაღი!

არლოვმა ფეხიც არ დასძრა, არც თითი გაანძრია. იდგა, იღიმებოდა და გაუგებარს რასმეს ჩიფჩიფებდა. მარაბდელს აღმა აჰკრა და ტვინი შეუტრუსა. მაშ ამ ვიგინდარამ ხმალში გასვლა არ აკადრა?! ამოღენა უბედურებაც არ აკმარა და ეხლა მსურს საქვეყნოდაც შეარცხვინოს? რაკი აგრეგ, ღმერთო შეუნდე არსენას თუ უწესო კაცს უწესოდ მოექცევა.

— მაშ ჩემი ბრალი ნუ იქნება.

ნუ იქნება. დამბაჩა ასწია, ნელინელ დაუშვა და ჩახმახის დაცემინებას აგვიანებდა. მცირე იმედი ჰქონდა, განწირული გონს მოვა და სიცოცხლეს ასე უბრალოდ არ გასწირავსო.

არლოვის ენა მოეშალა, უწესოდ აკაკანდა და ცალი ხელის-გული დამბაჩას მიუშვირა.

ქუბილი ბებრის ციხეს მიასკდა და უკანვე მოვარდა.

არლოვმა მკერდზე იტაცა ხელი, თვალბეჭში სიკვდილი ჩაესახლა, გაფითრდა, წატორტმანდა და გულალმა დაეცა.

— გადაათრიე! — მიუბრუნდა მარაბდელი აცახტებულ მეეტლეს.

მალაკანი მკედრის ფეხებში შეება, დაითრია და ცხედარი ხევში ჩაუშვა. არსენა ლურჯაზე შეეჯდა და დამუნჯებულ მეეტლეს უთხრა:

— ეხლა ქალაქისკენ გასწი. მაგრამ იცოდე, რომ მე ფეხდაფეხ მოგყვები და თუ კრინტი დაგიძრავს იქვე გავათავებ.

ეტლი ჩორთის დაიძრა. მარაბდელი ხან გვერდით მისდევდა და ხან წინ უსწრობდა. ერთ საათამდე იარეს და ერთმანეთს ერთი სიტყვაც არ უთხრეს. ლოპიანას დუქანს რომ მიადწიეს, არსენამ ეტლი შეაჩერებინა, ცხენები გამოაშვებინა, სადავეები გამოართვა და თვითონ შეინახა, მეეტლე კი თავლაში დასტოვა და გარედ გამოსვლა აუკრძალა, შემდეგ დუქნის დერეფანში ჩამოჯდა და ლოპიანას უთხრა:

— ლეინო მოიტა, მწვადიც, დედალიც.

გაუნძრევლად იჯდა, ხარბად სვამდა, სდუმდა და შტერიანივით გასცქეროდა გზატკეცილს.

—არსენ, ხომ არაფერი შეგემთხვა? — ძლივს გაუბედა მედღუქნიმ.
 არსენამ ისე აპხედა ლოპიანას თითქო ვერ იცნოო და ისევე მოაშორა
 მღვრიე თვალები.

ერეკლე

—მეშთა ამოვიდა. ცხენები წყალზე წაიყვანა და ეხლავე დაბრუნდეს.

არსენამ არც ეხლა უპასუხა. მედღუქნე გაბრუნდა და მიიმალა.

„წუნკალ გიგოლას მე არ ვაკადრე იარალი, არლოვმა კი მე არ მაკადრა, — ჰფიქრობდა მარაბდელი. — არ მაკადრა თუ შეეშინდა? ვთქვათ შეეშინდა. მაშ ასე: კაცი მოვკალი. გუშინ ერთი მოვკალი და დღეს მეორე. არც ის ჩამეთვლებმა ვაყვაცობაში და არც ეს. ლეთისავარმა მასწავლა: კაცს მანამდე არ დაჰკრა სანამ ერთხელ მაინც არ მოგიჭნევედესო. არლოვმა კი არც მომიჭნია და არც ამოიღო. მაშ როდემდე მეკადნა? ვუჰ, გაუწყრეს ჩემი გამჩენი! ეჰ, რაც იყო, იყო! ეხლა რაღა ექნა? აზრი მქონდა და ჩამეფუშა. მინდოდა გლეხისთვის შეება მიმეცა და არ გამომყვა. დედმამა მყავდა და გადამიკარგეს. ნათესაეები მომაშორეს. მიწა და სახლკარი წამართვეს. ძმა ტყეში გამიგდეს. ოჯახი გავიჩინე და დამინგრის. ძმადნაფიცები მყავდა და ზოგი დამიხოცეს და ზოგიც გააციმბირეს. რაღაა ეხლა ჩემი სიცოცხლე?“

არაფერი, აღარაფერი. ისევე ტყელრეში იხეტიალოს? დაილალა. ისევე რაზმი შეადგინოს? არა გამოვარა. კარი-კარ იწანწალოს? სირცხვილია. გვარი გამოიცივალოს და ვინმე თავადს შეეზიზნოს? ყველგან იცნობენ, დაიჭერენ და უბრძოლველად დაიღუპება.

უკანასკნელ დროს ერთი უბრი აეკვიატა ბუზივით: წადი, მოშორდი აქა-ურობასო. მარაბდელი არ ნებდებოდა მას, ეხლა კი ღრმად შეუშვა თავში და კიდევ მოიწონა. „ერეკლეს, ფიქრიას, სულხანს, მარინეს და მეშთას წაიყვან და აქარაში გადავალ. იქნება გიგუაც და დალი ჰასანიც გამომყენენ“.

მაგრამ ისე როგორ წაევა, რომ კუჭატნელსაც არ გადაუხადოს უმძიმესი ვალი! ის არის რაც არის! ნარგიზების ფორზე რომ შეხედა, იმ დღიდან დღე-ღანდღამდე მუდამ და ყველგან წინ ელოზება გორდას და სულთამხუთავივით აყუდებულა მის გზაზე. არა, ისე არ წაევა ოძელაშვილი, რომ ერთი მათგანი არ ჩაწეეს შავ ბიწაში. „ვაი დედასა! რა სულელი ვიყავი, რომ თრიალეთის ტყეში დავინდე!“

—ბიჭოს?! — გაოცებით წამოიძაბა მან. — ძალი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვო.

ქალაქიდან სამი ცხენოსანი მოდიოდა: კუჭატნელი, მისი მხლებელი გამზათი და მისი ძმისწული ზალიკა. გიორგი სეფისკვერაძე ორი კვირით დათხოვნილიყო და სააღდგომოდ თავის სოფელ უბისში მიდიოდა.

„ძალი ახსენეო, მაგრამ იქნება ამ ძალის ტყავში ჩემი ავი ბედი შემძერალა და საბოლოო ანგარიშის ვასასწორებლად წამოსულა?“

არსენა ამაზე აღარ ჩაფიქრებულა. ის უკვე შუა გზაზე იდგა, ხელადა და ჯაპი ეჭირა და გიორგის უტლიდა, რომელიც ზედ მიადგა ცხენდაცხენ და გაოცებული შესდგა.

—გამარჯობა, გიორგი!

—გავიმარჯოს, არსენ!



— გეძებდი და კიდევ შეგხვდი.

— გერიდებოდი და მაინც შეგხვდი, ეხლა რა გინდა?

— ეხლა ის მინდა, რომ ცხენიდან ჩამოხვიდე და სუფრა დაგეგო.

— რა სუფრა! რომელი სუფრა! — გესლიანად ჩაიღიმა სენის კერამზე.

მარტო დამჯდარხარ, მარტო სვამ და სუფრა გგონია?

ოძელაშვილს შერცხვა. მართლა უწესოდ მოქცეულიყო და თვითონაც ვერ შეემჩნია.

— მაშ ცხენი დაასვენე და ეს ერთი ჯამი მაინც დალიე.

— ყაჩალი იყავი და ყაჩაღურად იქცევი. თათრულად მონათლურხარ. შენც გაგიტეხია წითელი პარასკევი და გინდა მეც წამწყმიდო? გზა მომეცი!

ცხენს მათრახი გადაუჭირა, კინდამ გაიტანა არსენა და ისე წავიდა, რომ უკან აღარც კი მოიხედა. ლეკი და ზალიკაც გაჰყვნენ. გამზათმა მოიხედა, გახევებულ მარაბდელს შხამიანი ღიმილი მოასხა და მათრახი დაუჭნია.

ბოლმით და სირცხვილით შემოკვეილი არსენა ერთ-ხანს გაშტერებულ იდგა. კუპატნელის უკმები პასუხი თითქო სამართლიანი იყო. წითელი პარასკევი იდგა და იმ დღეს ოძელაშვილს ღვინო არ დაეღევოდა, მაგრამ გორდა მარაბდელი კაეშანს ჰყავდა შეპყრობილი და ესეც დააფიწყდა. ეს „ყაჩალი და თათარი“ ხომ მისი გალანძღვა და აბუჩად აგდებია?

— ვაი დედი-ჩემის ღმერთსა, კუპატნელო! — და ჯამი მიწაზე დაანარცხა. — მეშთა, ცხენები შეჰკაზმე! აბა, ჩქარა!

თვითონაც უნაგირს ეცა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ბილიკებით მიჰქროდა მცხეთისკენ. უკან მეშთა მოსდევდა ცხენით და სადავით მეორე მარქაფა ცხენი მოჰყავდა.

მცხეთას რომ გაუსწორდნენ, საცა მოსახვევი იწყებოდა, მარაბდელმა ლურჯა თავქვე დააქანა, გიორგის გზა უყელა, ცხენი ზედ მიაგდო და მიიძახა:

— კუპატნელო, გამაგრდი! რაკი ყაჩალი ვყოფილვარ, მაშ ყაჩაღურად მოგამტყეო.

— გონს მოდი ოძელაშვილო!

— დამიხვდი მეთქი!

მომხდურს დამხდური უნდოდა და კუპატნელიც დაუხვდა.

მარაბდელმა გორდამ გორდა იშიშელა და ელვასავით გაიფიქრა: „ეს კი ნამდვილად დამიხვდება. მაგრამ სანამ ერთხელ მაინც არ მოიქნენდეს, არ დაჰკრა“.

კუპატნელი ვეება სატევარს ეწეოდა და ვერ ამოეწია. არსენამ ველარ მოითმინა, ხმლის წვერით ბაკში მოავლო კუპატნელის თავს, ყუთით დაჰკრა იმის უნაგირის კებს და დააყოლა:

— ჰა, გიორგი, ამოიღე!

და იმავე წამს ხელი შეუშლუბუტდა და ქრუანტელმა ჩაურბინა: ვადაში გადამტყდარმა ხმლის პირმა ელარუნი გაიღო მიწაზე.

ყოველივე დანარჩენი ელვასავით დატრიალდა.

„ხმალი გადაგიტყდეს ვადაში“ — უცებ გაახსენდა მარაბდელს ხორცმანის წყველა და კოდაში ყახახის მიერ ნათქვამიც მოაგონდა: „გაფრთხილდი გილატებს“!

გაახსენდა და იმავე დროს კუჭატნელის სატყეარმაც იეღვა.

უიარაღო არსენამ მოშულარს თვალი თვალში გაუყარა, გაუღრმა და გაიფიქრა: „თრიალეთზე მე დავინდე, ესლა კი ეს დამინდობს. *არცა მუტყესი შერცხევა*“.

გულმართალი მარაბდელი ეხლაც მოტყუვდა.

კუჭატნელმა არც დაინდო და არც სირცხვილი შეინახა: დაჰკრა და მარჯვენა ჩამოათალა.

ლურჯა განზე გახტა. უძილომ, დაქანცულმა, ნაციებ-ნახვამმა და უხელო არსენამ თავი ვეღარ შეინაგრა და გადმოვარდა. გადმოვარდა, მაგრამ მაშინვე წამოიწია, მარცხენა ხელით ამოიღო მარაბდის მიწაში ნაპოვნი ხანჯალი, გადაუშვა და წყერილა მიაწვდინა. მიაწვდინა და უტყვირობირო კუჭატნელს ყურით ჩამოაჭრა და ბარძაყიც დაუსერა.

გიორგიმ კიდევ მოუქნია. ოძელაშვილმა ატყრა, აიციდინა, ხანჯალი გაავდებინა და ერთხელ კიდევ მიეტანა, მაგრამ ამ დროს.—

სწორედ ამ დროს ლეკმა გამზათ ედინმა უკნიდან დამბაჩა დაახალა და ზურგზე ბოლი აადინა.

მარაბდელი მოტრიალდა, ლეკს გაოცებული თვალემა შეანათა, სადაც უკვე სიკვდილიც ჩადგრილიყო, წაბარბაცდა და ისლა დაინახა, რომ მეშთას ცხენები მიეტრიალებინა და ზევით მიარბენებდა.

„ზურგზე ბოლი აგვივა“.— გაახსენდა მარაბდელს, მაგრამ ის კი ვეღარ მოიგონა ვინ და სად უთხრა მას ეს სამი სიტყვა.

გაახსენდა და მოკრილი მუხის ძელივით გაიშოტა. პირიდან სასხლი წვრილი ზორტივით გადმოსდიოდა. ხელები განივრად დაეყარნა. თვალემა დაეხუჭნა და მხოლოდ ცალი წარბილა უხტოდა გამალებით, უხტოდა და აზიდული ალამივით იძლეოდა იმის ნიშანს, რომ სასიცოცხლო ნიშატი ჯერ კიდევ არ იყო ჩამკრალი.

ლურჯამ პატრონს დაჰსუნა, მრისხანედ დაიკიხვინა და წინა ტორებით ბრდღვინვა ასტეხა.

ლეკი, ზალიკა და კუჭატნელიც განზე გამდვარიყვნენ, და წარბის ცახცახს უთვალთვალდნენ და ჯერ ვერა მბედავდნენ ახლო მისულიყვნენ, რადგან ეგონათ, არსენა უკებ წამოიწევს და ფათერაკს შეგვამთხვევსო.

არსენამ მართლა წამოიწია, ისე წამოიწია, რომ უწინდელზე უფრო მაღალი გამოჩნდა. მარაბდელის ლანდი და სიკვდილი ერთმანეთში ჩაიხლართნენ და ურთერთი კუჭატნელისკენ გაათრის. ხოლო სისხლით მოსვრილი სეფისკერაძე უტურო კბილებით ილიმებოდა და უქანუქან იხეცდა

ოძელაშვილს ცალი ხელი მათრახივით ეკიდა და სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა, მარცხენა ხელში კი სატყეარი ეჭირა და ბრმა არადილივით მისტორტმანებდა. ლურჯა გვერდით მისდევდა. შემდეგ თითქო მიჰხვდა, რომ ვერ დაეწეოდა და ის ხელი ლურჯას მოჰხვია, კისერზე მოეხვია და სამარიდან მოდენილა ხმით ამოისუნთქა;

— გიორგი, მაჯობე .. ვკვდები. ორჯელ დავინდე და ახია ჩემზე... ვინც იარაღი ამოიღო, უნდა კიდევ დაჰკრას... მე კი მეგონა, მტერს მანამდე არ



დაპკრა სანამ ერთხელ მიანიც არ მოგიქნევდეს... ქუთა წაევაგე და... მაგრამ არ-
შეგრჩების, კუქატნილო! მწარედ გადაგიხდიან... ეხლა კი წადი და ჯილდო მიი-
ღე არლოვისგან. ღართის-კარში ჰგდია და იქ იპოენი, ვაი დედი-შენს და მერე წა-
გორდა ოძელაშვილი... რა უბრალოდ გაგაფუქეს... ვკვდები, კუქატნილო...
ხელინელ ჩაიწია, ჩაიხოქა და სამუდამოდ გაიქიმა.



არსენას სიკვდილმა ელვასავით ჩაურბინა ყველას და აღდგომის მეორე.
დღეს მცხეთა გლეხური ჩოხებით და თუშური ქუდებით გაიქედა. ალგეთი,
თრიალეთი, გარე-კახეთი, საგურამო, არაგვი და ქსანი აქ ჩამოსულიყო და ქა-
ლაქის დიდი ნაწილიც დაძრულიყო.

მცხეთელებმა არსენას გეგამი საკაცზე დასდეს, ბორანზე დაასვენეს, გაღმა
გაიტანეს, გაბანეს, შესუღრეს და სვეტი-ცხოველში დაასვენეს, სადაც მეფეებსა
და კათალიკოსებს დაასვენებდნენ ხოლმე.

ბაგრატიონებმა იჩიულეს. მთავრობამ ბოქაულები და ჩაფარ-იასაულები
გამოჰგზავნა, მაგრამ მათ პორიდება არჩიეს და მიიშალნენ.

ოძელაშვილი ისე გაშოტილიყო უგრძეს კუბოში თითქო მკვდარიც ისე
ვერ ეტყოდა თავის ახალ ქერქში როგორც ცოცხალი არ ეტყოდა ამ ქვეყნად-
პირსახე დასდნობოდა, სანთლის ფერი დასდებოდა, თვალები ღრმად ჩაფარდ-
ნოდა, ტუჩები ჩაჰკეცოდა, და ნიადაგ მოუსვენარი წარბიც სამუდამოდ დასც-
ხრომოდა.

ირგვლივ ტყვა აღარ იყო. ყველა ლამობდა ცალი თვალი მიანიც გადა-
ეგლო, ღრმად ამოეხრა, რამდენიმე სიტყვა ჩაებურტყუნა და სხვისთვის დაე-
თმო ალაგი. ზოგი გლეხი გაცეცებით აშტერდებოდა, უნდობლად იქნევედა თავს
და შემდეგ ეზოში ან გალავანში ვინმე სხვას შესჩიოდა:

— მოგვატყუეს. გეუბნები, არსენა არ არის მეთქი. სულ მთავრობის ოინე-
ბია. რალაცას გვიპირებენ და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— მეც მაგას ვამბობ. სულაც არა ჰგავს გორდას.

— არსენა სათათრეთში გადასულა და თავის ღროზე დაბრუნდება.

— აგრეთა! მართალია!

და იმ დღიდან არსენას წასვლა და დაბრუნების მოლოდინი სწრაფად
მოედო ქართველ გლეხობას და შემდეგ ლეკვნიად გადაიქცა, რომელიც ველარც
საბუთმა წაშალა და ვერც დრომ ამოუხიკა.

ოძელაშვილს დიდი პანაშვიდი გადაუხადეს, მერმე ასწიეს, რამდენიმე
ათას თავზე გადაატარეს და საფლავის პირას დაასვენეს, რომელიც მცხეთის
ბოლოს მკვერის პირას გაუთხარეს.

კუბოს მახლობელნი შემოუსხდნენ და მოთქმით იტირეს. ხოსიტა, მაგდანა,
ზურა, მარინე, ფაქრია და სულხანი ტივით ჩამოსულიყვნენ. ერეკლე და გიგუა-
შუა გზიდან დაბრუნებულყვნენ. მეშთა ტყიდან გამოსულიყო და დალი პასა-
ნიც ბორჩალოდან მოვარდნილიყო.

გლოვა ხოსიტამ დაიწყო და სხვებმა რიგრიგად განაგრძეს.

ხოსიტა: არსენას ომში-სიკვდილი თავი მიძინარე ჰგონია.

მაგდანა: სისხლისა ღვარი ნადენი სალხინო ოფლი ჰგონია.

ზურა: გაკრობა საკაცზედა ლურჯაზე ჯდომა ჰგონია.

ფიქრია: წინ რომ მღვდელი გაუძღვება, თავის შათირი ჰგონებ.
 ერეკლე: ჩადება ბნელ სამარეში ლოგინში წოლა ჰგონია.
 მარინე: თავქვეშ ქვას რომ დაუდებენ, ჩემი ბალიში მგონია.
 გიგუა: ზედ დაყრა შავი მიწისა საბნის დახურვა მგონია.
 სულხანი: ბაყაყ-კინკველის დასევა წვრილი ცოლშვილი ჰგონია.
 მარინე: ყელზედა გველის მოხვევა ჩემი მკლავები ჰგონია.

შემდეგ ქვითნით გაიხსენეს ყინულეთს გადაკარგული ლეთისაგარი, მელანო, როსტომი, კარპიჩა; მოიგონეს ლაცაბიძე, სიმონა, ოსტაბი, თრიალეთზე დახოცილი ძმადნაფიცები; მოთქმიანე შეუქმნეს არსენას საქმეთა საგმიროთა, იტირეს, ატირეს, საფლავი თითო მუჟა მიწით ამოავსეს, ქელებიც გადაიხადეს და ნელნელა დაიშალნენ.

ხალხი ჯგუფჯგუფად მიდიოდა შინისკენ და ბურტყუნებდა:

— დედას უტირებდი გადაუხდით! ჯავარს ამოვიყრით! არ შევარჩენთ!

ჭირისუფლებმა ითათბირეს და არსენას ტანზე ნაპოვნი დროშა სულხან ყოჩაშვილს ჩააბარეს. შემდეგ ისინიც დაიშალნენ და მცხეთაში მხოლოდ ერეკლე, ჰასანი და გიგუა დასტოვეს.

დიღხანს მოუნდათ მათ ლოდინი და საფარში ჯდომა, დღით აღრე გავიდოდნენ ლართის-კარში, თან საგზალს წაიღებდნენ, საღამომდე ისხდნენ იმ ალაგზე სადაც არსენა იჯდა და იმავე გზას გასცქეროდნენ, რომელიც არლოვმა განვლო უკანასკნელად.

კუჭატნელი იგვიანებდა, რადგან უბისში ყურსა და ბარძაყს ირჩენდა, მაგრამ ბოლოს მაინც გამოჩნდა, რადგან აუცილებლად უნდა გამოჩენილიყო.

— მოდიან! — დაიძახა ერთ საღამოს ერეკლემ და მიძინარე ჰასანი და გიგუა გააღვიძა.

მათ ანგარიში არ გამართლდ : სამ კაცს მოელოდნენ და ორი მკვლელი გამოჩნდა: — გიორგი კუჭატნელი და ლეკი გაშვით ედინი.

გიორგი არსენას ლურჯაზე იჯდა, რომელიც ტანდაყრილი იყო და უნდოდად მოდიოდა.

არსენას ნარაშევი და იარაღი კუჭატნელმა დაიჩიმა. მრავალჯერ სცადა ლურჯაზე შემჯდარიყო, მაგრამ ცხენი ახლოსაც არ იკარებდა. თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა. ავად უბღვროდა, ანჩხლად ჰიხვიებდა, ყალყზე დგებოდა და კუჭატნელზე ტორებით და კბილებით მიიწეგდა. ერთხელ კიდევაც ჩაივლო ფეხქვეშ და ისე მისწეჭკვა, რომ სეფისკვერაძეს კიდევ მრავალი არტაშანი დასჭირდა.

ვაკაპასებულმა ურიადნიკმა იმ დღიდან ლურჯას ქერიც მოუსპო, წყალიც და თივაც გაუნახერა. ლურჯა დნებოდა. მკრივი ტანი დაიყარა, ამაყი თავი ჩაჰქინდრა, თვალბში ცეცხლი ჩაიჭრო, ნელინელ მოთვინიერდა და იქამდე დაეხრა, რომ მის ფეხქვეშ პატარა ბავშვებიც კი თამაშობდნენ.

ასე მოჰხნა შიმშილმა აღმართი და მხოლოდ ასეთი სასტიკი ხერხის მეშვეობით შეეგდა კუჭატნელი ლურჯაზე.

— მოდიან! — და სამივენი ბეჭობიდან ხელიკებივით ჩაცურდნენ გზის ნაპირზე.



—არ აგერიოთ.—ჩაურჩულა ერეკლემ.—კუჭატნელი ჩემია, ის ღუჭი კითქვენია.

ასე იყენენ მორიგებულნი. სეფისკვერამე არსენას ძმას უნდა რეგებოდეს. გამზათი—ჰასანს, ხოლო ზალიკა—გიგუას. მაგრამ კუჭატნელის ძმეს უნდა უბრძანებდარჩენილიყო და შეთქმულებს ოდნავ აერიათ ანგარიში.

სამმა ჩახმხმვა დაიჩხაკუნა და სამი ძმადნაფიცი გაინაბა. მცირე ხანი გავიდა.

ლურჯამ თითქო რალაც ივრძო: ატოკდა, ბუკოვით აქიხენდა, თავი აიგლიჯა და ნაეარდით წამოვიდა.

—ჰა, შე ტოელო, რა გემართება!

—ჰეი, კუჭატნელო, გავსწორდეთ!—და სამი თოფ-მოღერებული კაცი თითქო მიწიდან აისვეტა შუა გზაზე.

ერეკლემაც იცოდა, რომ მანამდე არ უნდა დაეკრა სანამ მტერი ერთხელ მაინც არ მოიქნევდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ კუჭატნელმა ეს არ იცოდა და ამიტომ უცხვირპირო და უყურო უმაღვე ამოიღო მიზანში. ლურჯამ კინალამ დაღუბა ერეკლე: ქიხინით გამოექანა და ხანჯალ-ამოწვედენილი ახალი პატრონი ზედ მიაგდო ერეკლეს თოფზე.

ხეობამ სამჯერ დაიქუხა და სანამ მამოძახილი უკანვე დაბრუნდებოდა, გიორგი კუჭატნელი იმავე ალაგას ეგდო სადაც სამი კვირის წინათ მისი ნაპატრონევი არლოვი გაიქიმა.

გამზათ ედინი ოდნავ ჩამორჩა და ცოტა მოშორებით გაწოლილიყო.

ლურჯამ ერთხელ კიდევ დაიქიხინა, თავის მომთვინიერებელი დაჰსუნა და ცალი ფეხი ჩაჰკრა, შერმე ერეკლეს მიუვარდა და ზურგი მიუშვირა.

ეპილოგი

სულ უბრალო სოფელს დიდი სახელი გაუვარდება
ხოლმე თუ იქ დიდი ომი მოხდება.

გ ა ვ თ ე

...და მაშინაც გაუვარდება სახელი თუ იქ დიდი
ვაჟაკი დაიბადება.

ა ე ტ ო რ ი

ზამთარმა და ზაფხულმა თორმეტჯერ შეინაცვლეს ალაგი.

გადასახლებული შეთქმულნი თანდათან ბრუნდებოდნენ ჩრდილოეთიდან, თან ჩინ-ორდენები მოჰქონდათ, აქაც სწრაფად მიიწვედნენ წინ, ღიმილით იგონებდნენ ყაზარმოზას და ომსა და ლექსებში ახზობდნენ ბოლმის ნალექს.

ბევრი დაბრუნდა, ბევრმა კი ერთხელაც ველარ შეჰხედა ლაქვარდ ცას და თეთრად შესუდრულ მყინვარს. ზოგი უკვე მომკვდარიყო, ზოგი დასნეულბულიყო და ზოგი ეხლაც ელოდებოდა უზენაეს წყალობას. ეხლაც ელოდებოდა, გენგებს კი მათს ბედის-წიგნში ვეება თეთრი ალაგი დაეტოვებინა, რათა შემდეგ ვინმე მოცილილს ამოეცსო იგი, მაგრამ ვის შეეძლო აღედგინა მათი ცხოვრება და ვინაობა?!

ყველაზე ადრე ალექსანდრე ჰაეჰავამე ჩამოსულიყო. მისი მუდამ გაშლილი სუფრა და ღია გული მრავალ ზემოურს დაჰსომებოდა. გაიხსენეს იმის ხელით

დაპყრობილი ბაიაზეთი, მისი ნათლია ეკატერინე დედოფალი, მისი საქმენი სამი დღიერი, გაიხსენეს და მალე მიეშველნენ, მიჰყვნენ, ჩამოიყვანეს და სხვებსაც ვხა ვაუხსენეს.

ერეკლე

ისევ გაიღო დიდი ხნით მიკეტილი კარი საკომუნდანო კუთხაზე, ისევ ხშირ-ხშირად იშლებოდა სუფრა წინანდალში, კვლავ იხოცებოდა ნადირი, ესნებოდა სარკველი ქვევრებს და უხვად იხარჯებოდა ფული, ოფლი, სიმღერა და ლალი ცხოვრება „წყული“.

ქავვაეაძეს ხევსურის სისხლი და დაუშრეტელი მზნეობა ჰქონდა, მას შეეძლო ზედიზედ ორი დღე-ღამე ეარშიყნა, ამდენივე ხანს ებრძოლნა, კიდევ ამდენივე ხანს ესვა-ემღერნა და, თუ დასპირდებოდა, ერთი დღედაღამეც დაემატებინა, ამიტომ ეს კაჟი-ადამიანი ერთდროულად სვამდა სამი კაცის წყაროდან და ყველაფერს ასწრებდა—მოლხენას, სამსახურს, წინანდალში გაქცევას, კითხვას, წერას, ზინ-ორდენების ხვეტას, სტუმარ-მასპინძლობას და მხოლოდ ორ რამეს ველარ ასწრებდა—ძილსა და მოსვენებას.

ეხლაც ორი ღამე გაეთენებინა ზედიზედ და მესამის გასატეხად შემზადებულიყო. სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად და ცალცალკე შემოდისდნენ და ორ ოთახში ლაგდებოდნენ—დიდ სასტუმრო ოთახში ახალგაზრდები და ქალები გროვდებოდნენ, მასპინძლის კაბინეტში კი ხნიერი მამაკაცები იკრიბებოდნენ.

ბინა მდიდრულად და შერეულად იყო მოწყობილი: ფარჩის შპალერი, სპარსული ხალიჩები, ფრანგული ლბილი ავეჯი, ქართული ბალიშ-მუთაქა, ჭერამდე აწედნილი / საბატები, ფერადი სურათები. ბროლის ქალები, ბრინჯაო, ხავერდი და აბრეშუმი—ყველაფერი ადასტურებდა, რომ ის ბინა დედოფლის ნათლულს, სამეფო გენერალს და წინანდლის პატრონს ეკუთვნოდა.

ნინოს დღეობა იყო. გრიბოდოვის ქვრივს სულაც აღარ ჰსურდა თავისთავი ვაეხსენებინა ამ სოფლისთვის, მაგრამ მისმა მამამ გაახსენა და განდევნილ შვილს დიდი ნადიმი გაუმართა. შავი ხავერდის კაბით გამოწყობილი ქვრივი აპრიალეზულ ბუხართან იჯდა და მორცხვად აძლევდა სალამს ყველა ახალმოსულს, რომელნიც მას ულოცავდნენ და ათასნაირ სიკეთეს სთავაზობდნენ. შემდეგ შორდებოდნენ და ქალვაკთა უფრო დიდ ჯგუფს უერთდებოდნენ.

ამ ჯგუფში შედიდურად ბრწყინავდა ნინოს მომღვწეო და ეკატერინე, რომელიც ამ დღისთვის და თავის სამთავროს საქმეების გამო ჩამოსულიყო ქალაქში. მას ისეთივე კაბა-სამკაული აესხა სრულ ტანზე და იგივე მოურიდებელი სილამაზე გამოეფინა, რომელთაც ყოველის მნახველი პეტერბურგიც კი მოხიბლეს.

სამეგრელოს მთავრის დავით დაჯიანის მეუღლე ვარანცოვს ელოდებოდა. მან იცოდა, რომ ვახშამზე მის გვერდით უნდა მჯდარიყო. ისიც იცოდა, რომ მეფის-ნაცვალს მეორე გვერდით ავერ იმ „ქართველ მაღამ რეკამიეს“, უკვე ხნიერ მანანა ორბელიანს მოისვამდა, რომელიც სილამაზით ეხლაც კი ეჯიბრებოდა ყველა ახალგაზრდა ლამაზს, და ჰსურდა ეს დაუმეკნარი კნენინა დაეწრდილა რათა უკეთ მოეგვარებინა თავის საკუთარი და სამთავროს საქმენი, რასაც ვერც თვითონ და ვერც სხვა არჩევდა ერთმანეთში.

ეკატერინეს ამ ჯგუფის შუაგული დაეპყრო და ყველა ახალგაზრდა მოეზიდა: ლევან მელიქიშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი „გლუხარიში“, მიხეილ ჭილაშვილი, ისაკია თუმანიშვილი, ანტონი-კაშვილი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, საგინაშვილი, ანტონი-კაშვილი და კიდევ სხვა ერისთავები, ამილახორები, ორბელიანები, ჩოლოყაანი, ორდენ-მუნდირიანები და უმუნდირონიც.

შამილი დიდ ძალაში შესულიყო და სანადირო მხეცად გადაქცეულიყო. მისი დაჭერა ისეთივე გმირობად იყო მიჩნეული, როგორც ერთ დროს ნაპოლეონის განდევნა მოსკოვიდან, ამიტომ ყველა მას დასდევდა, გაზაფხულზე დელისტანისკენ გარბოდა და ზამთრის პირას ხელკალიერი მორბოდა. წარჩინება და ფული მაინც მოჰქონდათ და გაუთავებელი მოელოდნენ ახალ გაზაფხულს რათა ხელახლა ენადირათ, ახალ-ახალი სოფლები დაეწვათ, ისევ უამრავი სისხლი დაენთხიათ, ქვრივ-ობოლი მოემრავლებინათ, ცრემლის გუბებზე დაეყენებინათ და თან ისევ წყევლა-ქრულვა, ისევ ორდენები და ისევ ფული წამოეღოთ.

აქ თავმოყრილი თავადების უმეტესობაც ნადირობიდან იყო დაბრუნებული. ზამთარში ისვენებდნენ, სექტემბოდნენ, ახალი ლაშქრობისათვის ემზადებოდნენ და ეხლა ეკატერინე დადიანზე უფრო მწვავე მოუთმენლობით ელოდნენ ვარანცოვის მოსვლას, თვალის მოკვრას, მის ღიმილსა და ორიოდ სიტყვას. ჯერჯერობით კი ხალვათად ოხუნჯობდნენ და მაღალი სიცილით აყრუებდნენ ბუბრის წინ თავმოყრილ ჯგუფს, სადაც ნიბოს ირგვლივ მისი დედა სალომე, მანანა და მარიამ ორბელიანები და კიდევ რამდენიმე ხანში-შესული და მოხუცებული კნენია თბებოდა.

მეორე ოთახშიც უფრო ხნიერები და მოხუცებულნი შეკრებილიყვნენ და დაბალი ხმით საუბრობდნენ. აქ იყვნენ თვითონ მასპინძელი, ზაალი და შალვა მარათაშვილები, ალექსანდრე, ლუარსაბი, ყაფლანი და კიდევ რამდენიმე ორბელიანი, სარდალი მოსე არღუთაშვილი, ფილოსოფოსი პლატონ იოსელიანი, სარდალი ვასილ ბებუთაივი, მასპინძლის სიძე სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი, კიდევ ათიოდე დიდგვაროვანი და ახლად დაბრუნებული ელიზბარ ერისთავი, რომელიც მათ ფინეთის ამბებს უამბობდა, სადაც მან, ვადასახლებულმა, თორმეტი წელიწადი გაატარა.

მცირე ხნის შემდეგ ამავე ოთახში შემოვიდნენ გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ლევან მელიქიშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, ივანე ანდრონიკაშვილი, კიდევ რამდენიმე ერისთავი და ორბელიანი. უწინდელ საზოგადოებას ბევრი ვინმე აკლდა. აკლდა მელიტონ მარათაშვილიც, რომელმაც სამი თვის წინათ თავის ერთადერთი ვაჟი ნიკო დამარხა განჯაში და მას აქეთ დარდით დნებოდა შინ.

უცებ წუთიერი სიჩუმე ჩამოწვა. ზაალმა წამოიწია, ხელები გაშალა და წამოიძახა:

— ამაზე შეტი რა გინდათ, ვეცო! ერთი დახედეთ რამოდენა შეთქმულს მოუყრა თავი. ყველანი ჩამოსახჩობი იყავით, თქვენ კი ჩინ-ორდენები მიგიღივით და საცაა ნიკოლოზის ნაცვალს დიდ ვარანცოვს მოუხსნდებით გვერდით.

ზაალის კილო და სიტყვები როყო სიცილიევით გაისმა ცხედრას თავზე. ყველა ნაშეთქმულეს თითქო რალაც უჩხელიტეს და სამარცხვინო ხვაშიადი გაახსენესო. ხმა არავინ დასძრა, ზაალმა კი მათს კრილიბმს კრინხულს კიდეც ჩაუტრიალა თითი:

— ცამეტ კაცს სიყვდილი გადაგიტრეს და სხვებიც ციმბირში უნდა დამპალიყავით, მაგრამ ჩვენმა ლმობიერმა იმპერატორმა წყალობა მოილო თქვენზედა და ყველას გაპატივით და ყველანი დაგაბრუნათ, თქვენ კი კვლავ ემდურით იმპერატორსა.

არავინაც აღარ ემდუროდა. ხმამალა მიხეც არ ამბობდნენ. არც ის იყო მართალი თითქო ყველასთვის ეპატივებინოს. მრავალი ნაწევრალი აკლდა ამ კრებულს და ყველას თავდაპირველად სამი მეთაურთაგანი გაახსენდა: ისევ ფელანდოშვილი არხანგელსკში მომკვდარიყო (არავის არ დაენახა), სოლომონ დოდაშვილი ციმბირში დამწვარიყო (ყველას შერცხვა, რადგან ქიზიყელი რიტორი ბრწყინვალე წოდებას არ ეკუთვნოდა და ამიტომ არავინ არ წაესარჩლა) და სოლომონ რახმაძე სალდაც ყინულეთში თავდებოდა ან უკვე გათავებულყო და ვერც იმისთვის ეშველნათ.

— ყველა-ყველაო, — განაგრძო ზაალმა, — მაგრამ იმ საწყალობა რახმაძემ რალა დააშავა? ამბობდნენ, თავის აზნაურობა ვერ დაამტკიცა და იმიტომ არ აპატივესო. ვეო, თუ აზნაური არ იყო, ლიცეუმი რალად დაამთავრებინეს და გრაფი სიმონიჩი რად დაიმოყვრებდა, ან ამილახორი რად შიათხოვებდა თავის ქალს, იმოდენა ალაგს რად მისცემდნენ საელჩოში?

ისევ არავინ არ უპასუხა. ზაალს კი სწყუროდა მათი გული გაელენა და ჯურღმულში ჩაფლული აზრები გაეშიშვლებინა.

— ვეო, ეხლა ვარანცოვმა სულ შესცვალა ძველი გეზი. მამასავით გვივლის და აშკარად ამბობს, ჩემი საზრუნავი ის არის, რომ აქაური ხალხი და რუსი ერთმანეთში ავრიოო, ამაზე მეტი არ გინდათ!

ეხლა კი გაიღიმეს, ზოგმა კი ჩუმი სიცილიც ამოუშვა. არავის არ ჰსურდა განემარტებინა მისთვის თუ რა სარჩული ედო ხალხთა არევას, არც ძველი ამბების გახსენება უნდოდათ, მაგრამ ველარ მოითმინეს და ასეთი საუბარი გამართეს:

— ბიძა ჩემო, — სთქვა ალექსანდრე ორბელიანმა, — ჩვენ არც მეღვეს ვემდურით და არც ვარანცოვსა. პირიქითაც ვიქცევით; მუდამ იმპერატორის მზეს ელოცულობთ და ახალ-ახალ წყალობას ველოდებით, მაგრამ ჩვენი საქმე პირუტყულმა შეტრიალდა და ჩვენც მართო ამას ვჩივით.

— რასა სჩაივით ალექსანდრე? — ჩაერია სასადილო ოთახიდან დაბრუნებული მასპინძელი. — ამდენი ჩივილი არ გვეყო?

— არ გვეყო. უწინ ჩვენი მთავრობა გვეყოლია. ერთმანეთისა ენაც ვიცოდით, ხასიათიც და ადათიც. ახლა კი უცხო მთავრობა შემოგვესია და ურთერთისა არც ენა ვიცით, არც კანონი და არც ხასიათი. მათი კანონი ჩვენ არ გვიდგება და არც იმათ იტიან ჩვენი ავანჩაიანი.

— ვიცით, გავგოგონია. უკვე მოძველდა. — მოისმა რამდენიმე ხმა, ხოლო კავკავადემ მიუგო:

სწორედ მაგიტომ აჯანყდა მრავალჯერ ხალხი, მაგრამ არა გამოვიდა რა და არც შემდეგ გამოვა რამე.

— ღმერთმა ნუ იწებოს რომ გამოვიდეს რამე.— ჩაურთო მკვანე აფხაზმა.

— აგრეთა.— დაუდასტურა მასპინძელმა.— სიტუბუტეში ჩვენც ვიფეთქეთ, ახლა კი დავდინჯდით და ჩენი საქმე მარტო ჩვენს გონებას უნდა ვკითხოთ და მარტო ანგარიშს უნდა გავუყუთ. ზოგი ვინმე ერეკლე მეფეს უდიერად იხსენიებს, რუსი მოიყვანაო. მე კი მოგახსენებთ, ერეკლე და გიორგიც სწორედ იმიტომ ცხონდნენ, რომ პატრონი გვიშოვეს, თორემ ახლა ყველა ქართველი ყიზილბაში იქნებოდა.

— აგრეთა, ვიცით, — ჩამოართვა ორბელიანმა, — და ისიც ვიცით რა პირობით მისცა ერეკლემ ჩენი ქვეყანა და რა გამოვიდა. პირობა თავზე გადაგვახიეს, ჩენი მამა-პაპები სიონში შეამწყვდიეს და ხიშტიებით დააფიცეს. ვინ მოსთელის რამდენი უბედურება მოჰყვა ამას! მრავალი შეთქმულება, აჯანყება, სისხლი, გადასახლება, გარდახეწვა, ცეცხლი, შხამი, მახვილი...

— მოითმინეთ, ყმაწვილო.— გააწყვეტინა გენერალმა აფხაზმა.— ზოგი ეშმაკისკენ იყოს, ზოგიც ლეთისაკენაო. რუსმა ლეკი და თათარი მოგვაშორა, რჯული შეგვინახა, იმერ-ამერეთი გააერთიანა, ევროპული განათლება მოგვიტანა და კანონი დაადგინა. ახლა ბრძანეთ, რა უფრო მეტია, წაგება თუ მოგება?

ორბელიანი შეეყოყმანდა და დაბალი ხმით ჩაილაპარაკა:

— ამ მხრივ დიდ მოგებაში ვართ, მაგრამ...

სიტყვა ბებუთაშვილმა ჩამოართვა:

— საქართველო რუსეთისთვის ფეხის დასაბჯენი ალაგია და მეტი არაფერი. ეს დევი სპარსეთ ოსპალეთისაკენ მიიწევს და ჩვენ გზა კი არ უნდა გადაუჭრად მის, მხოლოდ კულში უნდა მივყუთ და ნასუფრალი ავკრიფოთ.

— ვეყო, ღმერთმანი ჭკვიანი კაცი ხარ და მარშლად უნდი დაგაყენოთ.— მოუწონა ზაალმა.

— ქართველი ღარიბი ხალხია, — სთქვა აფხაზმა, — და რეგულ ჯარს ვერ შეინახავს, ხოლო ვისაც ჯარი არა ჰყავს, იმას ლომი რად უნდა, ტურებიც კი შესჭამენ. ყოველ ხალხს თავისუფლება უდევს გულში, მაგრამ ამასაც მოშხადება უნდა. ქართველი კი მხად არ არის და სანამ შემხადდებოდეს, იქნება მანამ ათმა თაობამაც ჩაიაროს. ამიტომ ყველა თაობას ეს ერთადერთი ვალი ედება: იშრომოს, ისწავლოს, დღელამე გაასწოროს. იმრავლოს და მოღონიერდეს.

და გენერალმა მაგალითად პოლონეთი დაასახელა სადაც მას დიდი ხანი გაეტარებინა სამსახურში.

— აგრეთა. მართალია. — დაუდასტურა მრავალმა.

აქ რომ წააგო, ორბელიანმა საუბარი მეორე კვალში გადააგდო და სთქვა:

— უწინ ქართველი თავადი თავის მამულში სარდალიც იყო, მხნეც, გამგებელიც, მსაჯულიც და ამიტომ ძალაც ჰქონდა და საქმეც. გლეხმაც იცოდა

რისთვის ემსახურებოდა ბატონს და ამიტომ შიშაც ჰქონდა მისი და პატივსაც აძლევდა. ახლა კი რუსებმა ყველაფერი ჩამოგვართვეს, გლეხი და თავადი ერთმანეთს გადააჰკიდეს და ბატონი მეტხორცად გადააქციეს. უკონდაა

— ეგ იმითმ მოხდა, კნიაზ ალექსანდრე, — მიუფო მამამხუცურმა ცხატკეა-დემ, — იმითმ მოხდა, რომ რუსეთმა თავის ქვეყანაში აღრევე შემოიღო ევროპული წესი, ჩვენში კი ძველი ფეოდალური ადათი დარჩა. ჩვენ ძალიან ჩამოვრჩით, ახლავა გავგათანასწორეს და უნდა დავეწვიოთ.

— კარგი დაწვევაა, შენ ნუ მომიკვდები! — ჩაიციხა ორბელიანი. — რუსი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამოვრჩეთ.

საერთო სიცილით იფეთქა და, როცა დაცხრა, ორბელიანი განავრძო:

— წედან გათანასწორება ახსენეთ. მე კი მგონიან, რომ გათანასწორების გამო ჩვენ თითქმის მუდამ წაგებაში ვრჩებით. ბატონ-ყმობაც გათანასწორეს და ჩვენმა გლეხმაც წააგო და ბატონმაც.

შეკრებილთა ახრი ეხლა კი შუაზე გაიპო. ორბელიანი ამბობდა:

— ძალიან დააშავა ვინც ხელმწიფეს სთხოვა და ჩვენშიაც რუსული ბატონ-ყმობა შემოაღებინა. უწინ ჩვენში როზგი, გასალდათება და გაციმი ბირება არ ყოფილა, ეხლა კი შემოიღეს. ჩვენებური ბატონ-ყმობა უფრო ქრისტიანული იყო. ერთმანეთში ნათელმძირონობა გექონდა. ბატონი ყმის ოჯახში იხრდებოდა. ჩვენი მეფენი და ბატონიშვილებიც ასობით ნათლადნენ გლეხის შვილებს. და სამართალსაც თვითონ აძლევდნენ. ამის გამო ჩვენში უფრო მეტი სათნობა იყო ვინემ რუსეთში. უწინ სიყვარული იყო და სიტკობა, ახლა კი ყველა ყველას მტერია. უწინ ტყუილს არ იტყოდნენ, ქურდობა არ ყოფილა, არც შური, არც კამასმისა და არც სამოსელის გაჭირვება სკოდნიათ. უწინ შპიონობა არ იყო, ახლა კი ყველა წაგვახდინეს. ოცზე ერთი რიგიანიც აღარ არის.

— ზოგი მეც მათქმევინეთ. — ჩაერია დიმიტრი ყოფიანი. — მე ყველაზე უნცროსი ვარ და სიტყვის ჩამორთმევას უზრდულობაში ნუ ჩამითვლით.

— ბრძანეთ, ყმაწვილო... სთქვით, ნუ გვერიდებით.

— რუსული ბატონყმობა ჩვეულებრივზე უფრო მკაცრია, მაგრამ ვინ გვიბრძანა, გინდა თუ არ გინდა ყმას როზგიც დაჰქარით, სალდათად მიეცი თ და ციმბირშიც გაჰგზავნეთო? ადათი კანონზე უფრო მტკიცეა, ხოლო რუსული კანონი ძალას კი არ გვატანს, არამედ უფლებას გვაძლევს და ვისაც უნდა იმან ისარგებლოს, ჩვენ კი არ ვსარგებლობთ და ძალიან კარგადაც ვიტყვეთ, კნიაზმა ალექსანდრემ ბრძანა, უწინ ტყუილს არ იტყოდნენ, არც ქურდობა ყოფილა, არც შური და არც გაჭირვებაო. ყველაფერი გახლდათ, პატიოსანოთა ვადნო. ათჯერ უარესიც ყოვილა. ისტორიაში ჩაიხედეთ და დაინახავთ.

— მართალია... აგრეა. — დაუდასტურა ზოგმა.

— ჩვენი წინაპარნი ათასობით იჭერდნენ ერთმანეთს და სათათრეში ჰყიდნენ. ადამიანი გარეთ ვეღარ გადიოდა. შიშშილს ზოგჯერ ხალხი გაუნახვერებია, ხალხი ტყეში დარბოდა და ნადირი სოფელში იჩენდა ბუნაგს. ლეკი რა არის და იმათაც კი ვერ გავუძლიანდით, ხარკს ვაძლევდით. წიწილებივით გვი-

ქერდნენ და ბაზარში გაყავდით. შპიონობა არ ყოფილაო. კახეთის ჩინოვნიკი ლეკის მოენე და მეგზე იყო და ახლაც ბევრი მოეპოვებათ.

— აგრეთა! მართალია!—მტკიცედ წამოიძახა ყველამ ვინც მტკიცე მსმენელი როს უმთავრესად რუსის ხიშტით უხდიდა დალისტანს.

ყუფიანმა და სხვებმაც იმდენი საბუთი მიაყარეს ორბელიანს, რომ მან ძლივს და წაიღუღლულა:

— თქვენც მართალი ბრძანდებით... აღრევაც ყოფილა... უარესიც ყოფილა. ხალხი რომ დამარცხდება, ყველა ყელში ეცემა ყველას და ურთიერთს დაუწყებენ ჭამას. მტერსაც ეს უნდა. ბატონს ბატონზე მიუსევს, გლეხს თავაღზე წააქეზებს, კახეთს ქართლს გადაჰკიდებს და ერთმანეთს ჩვენოვე ხელით დაგვახიზობინებს.

ეხლა კი იპოვეს თანხმობა და ყოველ მხრივ მიაწოდეს:

— აგრეთა... მართალია... ძველისძველი ამბავია: Divide et impera—დააჭუტუ-მაყ და იბატონე... დამარცხებული მუდამ ბრალისანია.

— იყო, არის, იქნება. ასე მოუხსენებია ოდესღაც ვიღაც ბერს და შემდეგ დონკიხოტის მთქმელს სერვანტესსაც გაუმეორებია.—სთქვა მწერლობასა შინა განსწავლულმა ჭკვევაძემ და ვახშმის დასახედავად გავიდა.

საუბარი გაგრძელდა. მასპინძელი დაბრუნდა, ყური მიუგდო და აღექსანდრე ორბელიანს მიუბრუნდა:

— კნიაზო აღექსანდრე, თავი მოუყარეთ საბოლოოდ ჩვენს ნაუბარს, ავიცი და კარგიც ჩაადგეთ სათვალავში და გვიბრძანეთ, რუსის მოსელამ გვარგო თუ გვავენო?

ორბელიანმა პირი დაალო, დაიბნა და ქირის ოფლი მოიხოცა. ჩიხში შეგდებული ბატონი მასპინძლის შინაყამ იხსნა, რომელმაც წინდაწინვე დაზეპირებული სათქმელი დაიძახა:

— მათი ბრწყინვალეობა მეფისნაცვალთა თვადი ვარანცოვი მობრძანდა!

ყველანი წამოიშალნენ, წამოკვიდნენ და უმფროს-უნცროსობის მიხედვით დალაგდნენ, ხოლო მასპინძელი და დიასახლისი კიბისკენ გაეშურნენ. სადაც ბრწყინვალე ჩექმების ბაყუნი მოისმოდა.

იმავე წელს სამიოდე თვის შემდეგ ორმა მამაკაცმა ქალაქი გადაჰსერა, თაბორის ქედი გადალახა და მარაბდისაკენ დაეშვა, ორივეს უცნაურად ეცვა. დაგლეჯილი რუსული ტულუბები და დახეული მძიმე ჩექმები. გაჭონილი ქუდეები, გრძელი წვერულვაში, კოჭრიანი ჯოხები და ზურგზე მოგდებული სელის ბოხჩები მათხოვარ ბერების იერს აძლევდა მათ.

სოფელ მუხანზე ჩამოიარეს და თვალი გადაავლეს აზნაურის სახლს, რომელიც პირუტყვის მიერ აკლემულ ბაღში იდგა. აივანზე ზაალის სიძე უყურო ჯორაშვილი გაშლართულიყო და დილის ჩაის მიირთმევდა. მისი დაროც იქვე ტრიალებდა.

— ვერ გვიცნეს.—სთქვა ერთმა მგზავრმა.

— მაღლობა უფალსა.—მიუგო მეორემ.

მცირე ხნის შემდეგ პირველმა იდაყვი წაჰკრა მეორეს და უთხრა:

— აგერ ჩენა ზაქრო ბაჯიაშვილი. თავის საქმეზე მიდის სადმე.

— ეგ მუდამ დაეხეტება. მაღლიანი ხელი აქვს. რა რიგ დაბეჭდულია! მხოლოდ მარაბდის ეკლესიას არ დასტყობოდა სიბერე. იგივე შეხსენებულ იქნა შავი ქვა, იგივე ცხრა ძმის საფლავები და იგივე დატანა მარაბდის წინ, რომელმაც ოციოდე წლის წინათ რკინასავით შეადგულა არსენას მძინარეობა.

არსენას ძმადნაფიცები ნეტა სად არიან, ვილა ვადარჩა და ვილას შერჩა სიმტკიცე და ვაეკაცობა? მცხეთა რომ გამოიარეს, მგზავრებმა არსენას საფლავზე იტირეს და მისი დედმამის უკანასკნელი ამონაბერი ჩასძახეს. მერმე ისევ წამოვიდნენ და ამა საბოლოო მიჯნასაც მოადგნენ. რვა თვეს იარეს და რვა წუთილა დარჩათ.

აი სოფელშიც შევიდნენ. გოგო-ბიჭები დარბიან, მგზავრებს აცქერდებიან, მოზრდილებიც ათვალეირებენ, მავრამ ვერავინ ვეღარა სცნობს მათ. მეფურგუნე მალაქნები ან გზაარეული რუსები თუ ჰკონიათ.

ლაშქარას შვილი ედიშერი ურმის თვალსა სთლის. ნასყიდას ბიჭი ილიკო ნალოს მოათრევს. საბა დალაქის შვილს თავის მამის ხელობა შეურჩენია. აგერ ის კაცი მგონი ბერუას ვაეი უნდა იყოს. მათი მამები კი აგერ იმ მთების კალთებზე წვანან. ცხრამეტი წლის წინათ ჩაწენენ და მას შემდეგ ეს ორი მგზავრიც აქ სოფელში აღარ ყოფილა.

ღმერთო დიდებულო, რამდენი დრო გასულა და ეს ხალხიც როგორ შეგიცვლია! სულ ახალი თაობა წამოსულა. ვინ იცის ვინ არიან, გულში რა უდგეთ, რისთვის ცხოვრობენ და რისთვის იბრძვიან, ან იბრძვიან თუ მხოლოდ ცხოვრობენ? სოფელი კი თითქმის არ შეცვლილა. რაც იყო, ისევ ის დარჩენილია: უბადრუკი მიწურები, მორღვეული ღობეები, ცალიერი ეზოები, თითო-ოროლა მობუზული ქათამი, გაძვალტყავებული ბოჩოლა, შიმშილით გაავეებული ღორი, ქანცვილეული ძაღლი, მუდამ ვატეხილი ურემი, სურავანდიანი ბაღი და უილაჯო დედაბერი—იყო, არის, იქნება, მანამდე იქნება, სანამ ზაალი, დავითი და ფირუზა-მოურავიც იქნებიან.

მგზავრებმა იმ ალაგას გაიარეს, სადაც არსენას დარბაზი იდგა. გაიარეს და ხელნაკრავით შესდგნენ: დერეფანში ორი შავვრემანი ქერივი, ერთი ქერა დედაკაცი, ერთი ხანშიშესული მამაკაცი და ორი შუახნის ბრგე ვაეკაცი იდგა. რვა სულმა ერთმანეთს გადაჰხედა და ყველამ დაიძახა—დედაკაცებმა დაიკვირეს, მამაკაცებმა კი დაიყვირეს:

— დათუნა! როსტომ! ღმერთო გვიშველე!

— მაგდო! მარინე! ფიქრიაე!—და ველარ მოასწრეს სულხანის, ზურასი და ერეკლეს სახელის გახსენება. ყველანი ხელების ქნევით და გაუგებარი შენაძახებით გაიქცნენ ერთმანეთისკენ. გაიქცნენ, აირივნენ და ისე მიესივნენ ორ დედაკაცს თითქო მათ ცეცხლი წაჰკიდებოდათ. მარინემ ჩაიკეცა, მაგდანამ ხელები გაასავსავა და მოჭრილივით წაიქცა. მწვავე ელდას მხოლოდ ფიქრიაემ გაუძლო.

სოფელი მორბოდა. სახლიც და ეზოც ხალხით გაივსო. ორ ქერივს ასულიერებდნენ და ორ ახალმოსულს ტყის ნადირსავით შინჯავდნენ.

როცა სოფელი გაიფანტა და ორი დედაკაციც მოსულიერდა, ყველანი დასხდნენ და ერთმანეთი შეათვალეირეს. რვა მოზრდილს ორიც მიემატა—უ-

რასი და ერეკლეს ცოლები. მათ თერამეტი ქალ-ვაჟი შემოჰხვედნით სამი მარინესი, სამი მაგდანასი, სამ-სამი ზურასი, ერეკლესი და ექვსი ფიჭვიანი. ყველაზე უფროსი არსენას პირმშობი დათუნა იყო—სწორედ იმ ხნამაჲს მკვნიდა რა ხნისაც იყვნენ ერეკლე და ზურა, როცა ცხონებულ არსენას მკვნიდა სწორედ ამ დროს მთებში, ხოლო ყველაზე უმცროსი, წყრილფეხობისა და ფეხადგმელთა გარდა, ფიჭვიანს უკანასკნელი ვაჟი იყო. მას არსენა ერქვა და ეხლავე არსენობდა: სამი წლის ოქროსთმისანი ბაღლი არსენას უფროსი შვილის ლაგებში გახლართულიყო, ეჭიდებოდა, ეჯაჯგურებოდა და ლამობდა ზევით აცოცებულყო.

დათუნამ და როსტომმა თვალი ააყოლეს იმ ქაბუკს და გაცეხული გაქვედნენ. მათს თვალწინ თერამეტი წლის ცოცხალი არსენა იდგა—იგივე ახოვანი, განიერი, მუჭი ოქროსთმისანი, შავთვალა და ჯერ ქალივით ლამაზი. ზემო ტუჩზე გინგლი ეყარა და ცალი წარბი ოდნავ უცაცცალებდა. გალაჯული იდგა გორდა მარაბდელის ვაჟი და ღიმილით დასცქეროდა თავის მამიდაშვილს, რომელიც დათინებით ებობლებოდა მას. მერმე დასწვდა, მხარზე აიტაცა და სამჯერ შემოურბინა დედაბრძალს—სწორედ ისე, როგორც ერთდროს ნარგიზების ფორზე მარაბდელმა შემოარბენინა პატარა ტატე ზაალის დიდ კარავს.

როსტომმა დანარჩენ ბალებსაც გადაჰხედა და იგრძნო, რომ არსენები და მომავალი მადნაფიცები კიდევ გაჩენილიყვნენ, იზრდებოდნენ, მოდიოდნენ და ოდესმე ისინიც ისევე დაიქუბებდნენ, როგორც ოდესღაც მათი წინაპარი გორდა და მისი შვიციკული ძმები ჰქუბდნენ. იგრძნო და ცრემლნარევი ღიმილით გაიღიმა. გაიღიმა და ესლა წაილულულა:

— საწყალი ღვთისავარი, მელანო, არსენა და ხოსიტა რომ ცოცხალი ყოფილიყვნენ და ამდენი ბარტყი რომ ენახათ...

და იმ დარბაზში ერთხელ კიდევ გაისმა ქალების კივილი და მამაკაცების ჩუმი ქვითინი და სლუკუნა.

ერთი კვირის შემდეგ არსენას სიკვდილის თორმეტი წლის თავი დადგა. მთელი სოფელი ეკლესიის ეზოში შეიყარა. მღვდელს არასოდეს ესოდენ გრძელი აღაპები არ წაეკითხა. ყველანი ჩააწერივნეს და გაიხსენეს: ოძელანიც და კარპიჩაც, პაპა მახარაც და ოსტაპიც, ლაკაბიძეც და ნასყიდაც, ლაშქარაც და მუშთაც, სეხნიაც და ხოსიტაც, საბა დალაქიც და ბერუაც, ბალოც და სიმონაც, ყველა მოიხსენეს და კინალამ დალი პასანაც მიაყოლეს, რომელიც მესამეჯერ გადახვეწილიყო სათათრეში.

ორი მოზვერი დაეკლათ და ოძელანი ეზოში ქელები გაეშალნათ. ამ სუფრაზე აღარ მოსჩანდნენ ზაალები და ფირუზები. მხოლოდ ციმბირიდან ეხლახანს დაბრუნებულმა შალვა ბარათაშვილმა გაიარა ლანდივით წავიდა. სუფრა სამპირად უხვევდა და არსენას გზასავით გაქვიშულიყო.

თავი კაცები დასხდნენ და სხვებიც დალაგდნენ, მიცვალეზულთა სულის შესანდობარი დალიეს, შოთებს წითელი ღვინო აპკურეს, წითელი კვერცხები დაამტვრიეს, თითო ჯამი წენიანი დასცალეს და შემდეგ მწვადებს შეუღდნენ.

სულხანი წამოდგა, ოდნავ შეფერფილი წვერი ზოითელა და მკერდიდან ამონავალი ხმით დაიწყო, რომელსაც იღუმალი რამ იერი მოსდევდა:

— ჩემო ერთგულო ძმებო და ჩვენი მომდევნო თაობაზე მე, ზურა, ერეკლე და ჩვენი ჯალაბობა შარშან დაებრუნდით მარაბდაში და არსენას ტელეხი თქვენთან ერთად ჯერ არ გვიქამია. ეხლა ორი ძმაც დაგვიბრუნდნენ და ჩვენ და როსტომი ჩამოვიდნენ. ორივენი მკვდარი გვეგონა. მაგრამ გიჟი ტყვე უვლიათ და დღეიდან ჭირშიც ჩვენთან იქნებიან და ლხინშიც. იძმეთ და მიიღეთ.

— მიგვიღია! გვიძმია!—ერთხმად შესძახეს მარაბდელებმა.

— ჩამოვიდნენ და ავი ამბავი ჩამოგვიტანეს. აღარა გვყავს ჩვენი ცალთვალა თავიკაცი, აღარც დედა-ჩვენი მელანო და არც ჩვენი საყვარელი ძმა კოჭლი კარბიჩა. თანდათან წავიდნენ, ერთმანეთს მიჰყვნენ და ანდერძად დაგვიტოვეს: არსენას დროშას ატარებდით, პირნათლათ შეინახავდით და მანამდე გადასცემდით თაობით-თაობამდე სანამ გორდა მარაბდელის წმინდა საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდეთო. მე მარაბდაში ახალი კაცი ვარ და ჯერ კარგად არ მიცნობთ...

— გიცნობთ! გავიცანით! ძმად მიგიღეთ!—მიაყარეს ყოველ მხრივ.

— რაკი მიძმეთ, მაშ მეც ერთგულ ძმად გვეულებოდეთ. დრო მოვა და დაგიმტკიცებთ. მეც გავიცანით და ვხედავ, რომ აქაური ახალგაზრდები და ნეტარსენებული არსენა ერთმანეთის ღირსი ყოფილხართ. იმან დაიწყო და თქვენ გასწევთ.

— გავწევთ!—მიაძახა გორდას ვაჟმა და ყველა ჭაბუკებმაც მიაუოლეს:— გავწევთ!

— იმან მოგვკათ გეზი და თქვენც ივლით.

— ვივლით!

— იმან ასწია დროშა და თქვენც ატარებთ.

— ვატარებთ!

— ჩვენი საქმისთვის თავის სისხლი დაღვარა და თქვენც დაღვრით.

— დაღვრით!

— კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი.—დაიძახა მოღიმარე სულხანმა.

— ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი არ სჭამონ მტრისანი!—მიაძახა არსენას ვაჟმა, თან წარბი შეათამაშა და თავის რაზმს გადაჰხედა.

— შეგჭამთ! გადავუხდით! დაველწავთ!—ხმა მისცეს მეგობრებმა და მათი ომახიანი შენაძახი ზაალის მიჰქენარს ყურსაც კი მისწვდა.

იმავე ღამეს არსენას ვაჟი სულხანს მიადგა:

— შამა-ჩემის დროშა შენა გაქვს და მომეცი.

სულხანმა გაუღიმა და უპასუხა:

— კვიცი გვარზე ბტისო. ძალიან ადრე შეგჯდომია ომის უინი. ზოგი ბიძა-შენს ერეკლეს, როსტომსა და ზურასაც ჰკეთებ და ესეც იცოდე, რომ არც მე დაებერებულვარ. ჩვენი დრო კიდევ დადგება. პაპა-შენი ლეთისავარი სამოცი წლისა იყო, მაგრამ ყველას გვეჯობინდა და ალგეთის ხეობაში პირველ კაცად ივლებოდა. წადი, დაიძინე,

მარინე შიშმა აიტაცა. ქაბუკ არსენას მისმა ბიძებმა და როსტომმა/გაუ-
ცინეს და ხანგრძლივი მოცდა ურჩიეს.

— მაშ მოვიციდი. — მოკლედ მოსკრა გორდას ვაჟმა და ~~ბრძანება~~ მიწვა.
ერთი საათის შემდეგ ოცდარვა სულმა მშვიდი ფშვინვა ~~ამოტყვევდა~~.

ოთხ-ბუხრიან დარბაზში ისევ ცალთვალა დევისა და არსენას სული ტრია-
ლებდა. ეხლა პაპა ციმბირის ციე მიწაში იწვა, შვილი — მცხეთაში, ხოლო მათი
ჩამონავალი მარაბდის ბებერ მიწაზე ეყარა.

დასასრული

ლევან ასათიანი

ბერანჟე პართულ ლიბერალურაჟი

1.

„მთელ ფრანგულ ლიტერატურაში არ მოიძებნება მეორე პოეტი, რომელსაც ესოდენ დაემსახურებინოს „სახალხო“ მგოსნის სახელი, როგორც ბერანჟეს. ამ მხრივ მას ვერ შეედრება თვით ლაფონტენიცი“, — სწერდა ვალერი ბრიუსოვი ერთ თავის ნარკვევში ბერანჟეს შემოქმედების შესახებ.

მართლაც, მე-19 ს. პირველი ნახევრის მღელვარე და ისტორიულ მოვლენებით მდიდარ გადასავალზე ბერანჟე უსაყვარლესი მგოსანი იყო პარიზის მეზობლი წვრილი ბურჟუაზიისა. თავის სიმღერებსა და პამფლეტებში იგი გამოხატავდა რევოლუციონური დემოკრატიის პოლიტიკურ ზრახვებსა და სოციალურ იდეალებს. ამ დემოკრატიასთან ერთად ბერანჟე მთელი სიცოცხლისა და შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე ებრძოდა ბურჟონების ხელისუფლებას, ფეოდალურ არისტოკრატიას, კათოლიკურ კლერიკალიზმს.

იშვიათია სხვა პოეტი, რომელიც სიცოცხლეშივე ასე პოპულიარული და მიღებული ყოფილიყოს თავის ხალხში.

აკაკის კარგად იცნობდენ საქართველოში, განსაკუთრებით ლიხთ-იმერეთში. მის ლექსებს ხალხი ამღერებდა ჩონგურსა და საზანდარზე. აკაკი პიროვნულადაც ძალიან უყვარდათ, — სადაც არ უნდა წასულიყო, მას ყველგან ზედმოდენ სიყვარულით, აღერსით და გულწრფელი თავაზით.

მაგრამ მაინც აკაკის პოპულიარობა ვერ შეედრება ბერანჟეს განსაცვიფრებელ სახელს თანამედროვეთა შორის. ბურჟუაზიული ლიტერატურის ისტორიკოსის და კრიტიკოსის ლანსონის სიტყვით ბერანჟემ თავისი პოპულიარობით ვიქტორ ჰიუგოს დიდებაც კი დაჩრდილა. დამახასიათებელია თუნდაც შემდეგი ამბავი: ბერანჟეს ლექსები დაბეჭდვამდე ვრცელდებოდა ხელნაწერების სახით. მათ ზეპირად სწავლობდა ხალხი და გაიმღეროდა ყველგან: ქუჩებსა და მოედნებზე, ყავახანებსა და ფუნდუკებში, სახელოსნოებსა და მანსარებში.

ბერანეე მამამთავარია მებრძოლი პოლიტიკური პოეზიისა მე. XIX ს. ევროპის ლიტერატურაში. მან შექმნა შედეგები პოლიტიკური პამფლეტისა და სოციალური ელეგიის.

ბერანეეს სიმღერებმა უდიდესი როლი ითამაშეს არა მარტო ფრანგული საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციაში. მათი გავლენა ვასცილდა საფრანგეთის საზღვრებს. ბერანეეს ლექსები ხშირად ბასრ პოლიტიკურ იარაღად გადაქცეულან სხვა ქვეყნებში მწვავე სოციალურ კონფლიქტების აღმოცენების დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ მარქსი და ენგელსი უაღრესად დაინტერესებულნი იყვნენ ბერანეეს პოლიტიკური სატირით. „დემოკრატიული ასოციაციის აღრესში საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობისადმი“ (28. II-1848 წ.), რომელიც მარქსის მიერ იყო ხელმოწერილი, ვკითხულობთ:

„თქვენ, ფრანგებო, თქვენ გეკუთვნით პატივი და დიდება იმისათვის, რომ ჩაუყარეთ მთავარი საფუძვლები ხალხთა იმ კავშირს, რომელსაც ასე წინასწარმეტყველურად უმღერა თქვენმა უკვდავმა ბერანეემ“.

2.

ბერანეეს, როგორც პოეტს, თავისებური ბედი ჰქონდა რუსეთში. უცხოელ პოეტებიდან ასეთი ბევრს არ ღირსებია. თავის დროზე ბერანეეს პოლიტიკურმა ლექსებმა და სიმღერებმა უდიდესი გავლენა იქონიეს რუსული სამოქალაქო-პოეზიის აღორძინებაზე და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე.

ბერანეეს სახელა რუსეთში ცნობილი შეიქმნა ჯერ კიდევ 20-იან წლებში. (ბერანეეს ლექსების პირველი წიგნი „პარიზში 1815 წელს გამოვიდა). მისი პირველი მთარგმნელები იყვნენ დიმიტრიევი, ვასილ პუშკინი, თავადი ვიახშმსკი. ამათ ბერანეეს შემოქმედებაში უმთავრესად იტაცებდა მსუბუქი ვერსიფიკაცია, უდარდელი მზიარულება და ცოტა არ იყოს სენტიმენტალური ტონი ლექსებისა.

ალექსანდრე პუშკინს ბერანეე მოხსენებული ჰყავს თავის „გრაფ ნულინში“: გრაფი მოემგზავრება რუსეთში და თან მოაქვს „ბერანეერის უკანასკნელი წიგნი“. ბერანეეს ლექსის ძლიერი გავლენა ეტყობა გენიოსი რუსი პოეტის ერთ-ერთ ლექსსაც („Моя родина моя“).

ორმოცდაათიან წლებიდან რუსულ ლიტერატურაში ბერანეეს პოპულიზაცია სწრაფად იზრდება. ამ დროს მისი შემოქმედების სხვა მხარეებს ექცევა ყურადღება. ამ პერიოდში ითარგმნება ბერანეეს ის სიმღერები, სადაც რევოლუციონური წვრილი ბურჟუაზიის პოეტი მწვავედ დასცინის ექსპლოატატორ კლასისა და წოდების წარმომადგენელთ, მეფეს, არისტოკრატის, სასულიერო წოდებას.

მესამოცე წლებში რუსეთის რაზნოზინურ ინტელიგენციაში უკვე ბერანეეს ნამდვილი კულტი იყო გამეფებული. ამ დროს ბერანეეს სთარგმნიდენ მიხაილოვი და კუროჩინი, ცნობილი მესამოციანე წლების პოეტები. უმთავრესად მათ თარგმანებს დიდი ვასავალი ჰქონდათ რადიკალურად განწყობილ საზოგადოებაში, ინტელიგენციაში, სტუდენტობაში. ბერანეეს ლექსები იკითხებოდა ლიტერატურულ საღამოებზე, სადაც ტრიუმფით და ოვაციებით ხედებოდენ მის

მთარგმნელ-წამკითხველთ, პროფესორი საკულინი მოგვითხრობს თავის წიგნში, თუ როგორი კულტი იყო ბერანეის მაგალითად პეტრაშვეელთა წრეში. ბერანეის ცნობილი ლექსი „უგნურნი“ (Les fous) წაკითხული უმჯობესად უმწველ ფურჩიერისტთა ისტორიულ სადილზე. ამ ლექსში, როგორც უკვე ვხედავთ, მტრანეე ქებას უძღვნის სოციალისტ-ტუტოპისტებს სენ-სიმონს, ფურიეს, ანფანტენს.

ბერანეემ ძალიან დიდი გავლენა იქონია რუსულ პოეზიაზე. მესამოცე წლების რაზნოჩინური პოეტების ორგინალურ შემოქმედებას ეტყობა ბერანეეს კარბი იერი. ნეკრასოვმა, მიხაილოვმა, ეულევმა, კუროჩინმა, ბოგდანოვმა, — გამოიყენეს ბერანეეს ლექსის უმთავრესი ფორმა: სიმღერა რეფრენით (დამატებითი და შემდეგ პერიოდულად განმეორებული ხანა), მასთან-ისარგებლეს მისი ლექსების ზოგიერთი სუეტური კონსტრუქციითაც.

ბერანეეს საუკეთესო მთარგმნელად ითვლებოდა ვასილ კუროჩინი. იგი იძლეოდა ბერანეეს თავისუფალ თარგმანებს და ძალიან ოსტატურად დამოხერხებულად უფარდებდა მათ რუსეთის იმ დროინდელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას. ამაში მდგომარეობდა საიდუმლო კუროჩინის თარგმანების უდიდესი პოპულიარობისა მაშინდელ ახალგაზრდა თაობაში. ბერანეე კუროჩინმა გამოიყენა საუკეთესო იარაღად იმ პრძოლაში, რომელსაც წერილ-ბუყუაზიული რადიკალური ინტელიგენცია აწარმოებდა ფეოდალური და სამხედრო-პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ. თვით კუროჩინიც თავის ორიგინალურ შემოქმედებაში წარმოადგენდა ბერანეეს ტიპის პოეტს.

როგორი პოპულიარობით სარგებლობდა კუროჩინი თავისი დროის რაზნოჩინურ ინტელიგენციაში, ამის გასახსენებლად საკმარისია გადავიკითხოთ თუნდაც ნიკო ნიკოლაძის „მოგონებანი სამოციან წლებზე“, (ნაწერ. ტ. I-„ფედერ“, გვ. 88-144) ამ არდამთავრებული მემუარების მეტად საინტერესო ფრაგმენტში მოთხრობილია ახალგაზრდული რომანტიკით შეფერილი ეპიზოდები მესამოცე წლების რუსული რაზნოჩინური ახალთაობის მოძრაობიდან. ამ ახალთაობის რიგებში იმ დროს იმყოფებოდენ ქართველი სტუდენტებიც, კერძოთ ზოგიერთი ჩვენი უმცროსი თერგდალეულიც. ნ. ნიკოლაძე იგონებს ერთ სალიტერატურო საღამოს, სადაც „ვას. კუროჩინმა, გამოწვეულმა აპლოდისმენტებით bis-ზე, ცოტათი შექიფიანებულმა, წაიკითხა ვითომდა ბერანეედან თარგმანის სახით—ლექსი:

Над цензурою друзья

Смейтесь так же как и я "... და სხე.

ბ. ნიკოლაძე იგონებს აგრეთვე მეორე შემთხვევას. ეს იყო რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ერთი სამახსოვრო დღეთაგანი: — 1862 წლის 2 მარტს, „ლიტერატურული ფონდის სასარგებლოდ გაიმართა ლიტერატურული საღამო, თითქმის ყველა გამომჩინილ ლიტერატორთა და მეცნიერთა მონაწილეობით, მოიკაზე, რუადხეს დიდ დარბაზში. სხვათაშორის მაშინ პირველად გამოვიდა საზოგადოების წინაშე ჩერნიშევსკი, თავისი მოგონებით დაბროლიუბოზე“. (გვ. 127). ნ. ნიკოლაძე დაწვრილებით აღწერს როგორი ილტაცებით შეხედა სტუდენტობა ჩერნიშევსკის, როგორ ილაპარაკა ამ ახალი თაობისა და მოძრაობის უსაყვარლესმა ბელადმა და სხე., ნიკოლაძე მოგვითხრობს აგრე-

თვე პროფ. პავლოვის გამოსვლის შესახებ ამ საღამოზე. (პავლოვი ამის გეგმისთვის გადასახლებული იქნა ციმბირში, მაგრამ რატომღაც აღარ ინტენიებს პოეტების ნეკრასოვისა და ვ. კუროჩკინის გამოსვლას. შემუარისკრის განხილვევი გვიამბობს, რომ „ამავე საღამოზე (1862 წ. 2 მარტს) კუროჩკინმა წაჩიქობა „Господин Искариотов, патриот из патриотов“. გვეგონებოდათ კერი ჩამოინგრევაო ტაშისცემისა და ყიფინისაგან, რომელიც მუდამ მოსდევდა სიტყვებს:

„Тише, тише, господа:
Господин Искариотов,
Патриот из патриотов
Приближается сюда!“

საღამო დამთავრდა იმით, რომ დამსწრეებმა შეთქმულმა მღერის მარსელიოზა“ (იხ. Пантелеев— „Из воспоминаний прошлого“ СПб 1905).

ამ ლიტერატურულ საღამოებზე, სადაც იკითხებოდა რევოლუციონური ლექსები, კერძოთ ბერანეს სიმღერები, გამოუკლებლივ ესრებოდნენ ჩვენი სტუდენტებიც, მომავალი საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, პოეტები. ეს სიმღერები გარკვეულ გავლენას ახდენდა მათი საზოგადოებრივი—პოლიტიკურა მსოფლმხედველობის დამუშავება—ჩამოყალიბების საქმეზე...

3.

რუსმა პოეტებმა თითქმის მთელი ბერანეე სთარგმნეს. არ ყოფილა მწერალი ან პუბლიცისტი რუსეთში, რომელსაც გვერდი აეცლოს ბერანესათვის. მის შესახებ უწყრიათ პუშკინს, პისარევს, დობროლოუბოვს, ნეკრასოვს, გერცენს, დოსტოევსკის; ასე გასინჯეთ სიმვოლისტებიდანაც კი, — იმ სიმვოლისტებიდან, რომლებიც სოციალურ პოეზიას ზიზლით „სამოქალაქო შარმანკას“ უწოდებდნენ, — ბრუსოვიმ მთელი ნარკვევი უძღვნა ბერანეეს, მანვე გადმოსთარგმნა რამდენიმე საუკეთესო ლექსი: „მეფე ივეტო“, „მოხუცი მაწანწალა“ და სხვ.

იგივე არ შეიძლება ითქვას საქართველოს შესახებ. ქართულად ბერანეეს თარგმანები ცოტა მოგვეპოება. არც თუ ბევრი რამ საგულისხმო დაწერილა მის შესახებ.

გასული საუკუნის მიწურულში აკაკიმ „ფრანსუზების მგოსანს ბერანეეს“ უძღვნა რამდენიმე სტრიქონი თავის ჟურნალ „კრებულში“ (1899 წ. № 2, რეცენზია: „ბერანეეს ლექსები ქართულად“):

„პოეტური ნაწარმოები, ლექსებიო, — სწერდა აკაკი, — ორგვარია: ერთი აღვიძებს გონებას, ამაღლებს; მეორე გადადის გრძნობაზე და ორივეს ერთად ჰსჭვალავს. მეორე კი — თვითქოს საქმეც კი არა აქვს რა გონებასთანაო, თავისთავად უძვრება სულსა და გულში და თვითქმის უნებურად ჰხიბლავს ადამიანს. ამ უკანასკნელთაგანს ეკუთვნიან სახალხო მგოსნები; მათი ლექსები უფრო სასიმღერო არიან ვიდრე სადეკლამაციო. ხმა მაღლასაკითხავი, და მართლაც, მათი კითხვის დროს გულში უშვებულად იმღერის მკითხველი. ამ უკანასკნელა დარგის მგოსნები იშვიათად იბადებიან, როგორც ინგლისელების ბორნსი, გერმანელების ჰეინე, და თუ გნებავთ კოლცოვიც, რომელიც რუსის გრძნობა — გონების პირობაზე ჭებით მოსახსენებე-

ლია. ამათთავანია, მაგრამ უფრო ძლიერი, ფრანსუზების მგოსანი ბერან-
ეე, რომელმაც თავისი თანამედროვე საფრანგეთის ყოფა-ცხოვრება სასიმ-
ლერო ლექსებით გამოხატა. მისი ლექსები ერთსა და იმავე... დროს... კიდევ
ატკობენ და კიდევაც ანაღვლიანებენ მკითხველს. ჰკითხვლობ-გეცინება.
მაგრამ იმ სიცილში რაღაც ეკალივით იჩხვლიტება. ყოველ მის ნათქვამ-
ში ლირიზმი და სატირა ერთად არიან შენათხზი და თანასწორის ძლი-
ერებით იმორჩილებენ მკითხველს“...

აქაკი, როგორც სჩანს, ძალიან აფასებდა ბერანეეს. ის გასაგები მიზე-
ზების გამო შესაფერისად ვერ ახასიათებს ბერანეეს როლსა და მნიშ-
ვნელობას მისი დროის საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ აქაკი
ლაბიდარული დახასიათებით წარმოდგენას იძლევა ბერანეეს შემოქმედების არ-
სზე: „მისი ლექსები... კიდევ ატკობენ და კიდევაც ანაღვლიანებენ... იმ სიცი-
ლში რაღაც ეკალივით იჩხვლიტება“.

აქაკის ბევრ ლექსს, დაწერილს ყოველდღიურ თემებზე და საპირ-
ბოროტო საკითხებზე, ეტყობა, რომ პოეტი იცნობდა ბერანეეს სატირის
სიმწვავეს. იქ, სადაც აქაკი დასკინის და ჰკილავს საზოგადოებრივი ცხოვ-
რების უკუღმართ მოვლენებს, ხშირად აღწევს ისეთ ეფექტს, რომელიც
სქარბობს ბერანეეს შედეგების სიძლიერეს. საკმარისია დავასახელოთ ზო-
გიერთი ლექსი აქაკისა, მაგალითად: „ფარისეველი“, „აპელაციის მკოდნი“,
„ქენინების ლათაია“, „ბანკობია“, „დიდხანს ვეძებნი იდეალი“ და მრ. სხვა. ამ
ლექსებში აქაკი ნამდვილი „ქართველი ბერანეერია“, როგორც თემის აქტუა-
ლურობით, ისე ამ თემის მსუბუქი იუმორისტული ტრაქტოვკით და ლექსის
ვერსიფიკატორული სინატიფით. ძალიან ბევრი რამ არის საერთო აქაკისა და
ბერანეეს შორის, მაგრამ განსხვავებაც საკმარისია. თუ მათი დამიზნის წერტი-
ლები ხშირად ხედებოდენ ერთმანეთს, მათი კლასობრივი პოზიციები მუდამ
დიამეტრალურად საწინააღმდეგო სიბრტყეზე იმყოფებოდენ. ბერანეე, როგორც
ვიცით, მშრომელი დემოკრატიის მებრძოლი მგოსანი იყო, მაშინ როდესაც აქაკი
ლიბერალი თავადი გახლდათ, თავისი კლასისა და წოდების პოზიციაზე მდგომი.
თუ ბერანეეს კლასობრივი ანტაგონიზმი ამოძრავებდა ფეოდალებისა და არის-
ტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში, აქაკის დროგამოშვებითი ოპოზიციონერობა
გამოწვეული იყო მხოლოდ „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპით.

აქაკის უცდია ბერანეეს ლექსების თარგმნა, მაგრამ არ გამოხვლია და
თავი მიუწებებია („ჩვენ რამდენჯერმე ვსინჯეთ, მაგრამ ჩვენი შრომა ბერანეეს
თავში კეტის დაკვრა გამოდგა და დავანებეთ თავი“, — სწერს იგი ჩვეულებრი-
ვის ენამახვილობით ზემოხსენებულ რეცენზიაში — „კრებ.“ 99 წ. № 2). მაინც
აქაკის თავის თხუზულებათა პირველ ტომში შეუტანია ბერანეედან გადმოღე-
ბული ლექსი „ქმრის გოდება“. ამ ლექსის ფრანგულ ორგინალს ეწოდება „De
profundis. იგი ვ. კუროჩინსაც უთარგმნია რუსულად „Плачущий муж“-ის
სათაურით. აქაკი ალბად იცნობდა კუროჩინის თარგმანს.

ვინ გადმოსთარგმნა ყველაზე ადრე ბერანეე? ამის შესახებ აქაკი სწერს:
„ჩვენში პირველად სინჯა გადმოქართულება მისი მ. მუხრან - ბატონმა. რა-
მდენიმე ლექსი გადმოიღო, მაგრამ რომ შეატყო თავის თავს უვარგი-

სობა, აილო ხელი“ (იქვე). * შეიძლება აკაკი შართალი იყოს, ჩვენ კი გვეგონა, რომ შედარებით აღრინდელი მთარგმნელი ბერანეცკი გატლდფუ გიორგი ერისთავი, პოეტი და კომედიების ავტორი (გარდაიცვალა: 1894 წელს). შეიძლება პოლონეთში ყოფნის დროსაც, მაშინ, როცა ახალგაზრდა შეთქმული, გადასახლებულის მოკალეობაში კითხულობდა და სთარგმნიდა მიცვევის, ვიქტორ ჰიუგოს, შილერს, პეტრარკას, ზუსტინს და ლერმონტოვს, — შეიძლება სწორედ ამ დროს ეთარგმნოს მას ბერანეცს ლექსიც „Le sénateur“ (1813 წ.) „დიდი კაცის გაცნობა“:

გაუხდი მეც კაცი ცოლის წყალობით!
მისგან ღირს ვიქმენ გრაფის გაცნობით!
ადვილად ითქმის: მეგობარია
ბრწყინვალე გრაფა... მოყვრის გვარია...
ჩვენს სახლში ისე შინაურადა
შევა და გავა, სწორედ ძმურადა!

აი რა არის ბედნიერება,
ამგვარ დიდკაცთან გამეგობრება
რომ შევედარო, იცით, მე რა ვარ?
ბრწყინვალე გრაფთან ჩრჩილი ჭია ვარ!⁴ და სხვ.

აკაკის მიერ გადმოთარგმნილი „ქმრის გოდება“ და აგრეთვე გიორგი ერისთავის მიერ გადმოღებული ეს ლექსი — „დიდი კაცის გაცნობა“ ეკუთვნის სწორედ იმ ციკლს ბერანეცს ლექსებისა, რომელსაც დობროლიუბოვმა თავის შესანიშნავ წერილში ბერანეცზე „Очерки нравов“ უწოდა. ლექსი „დიდი კაცის გაცნობა“ რუსულად გადმოღებული ჰქონდა ვ. კუროჩკინს, მზგავსივე სათაურით: „Знатный приятель“. „გაყრის“ ავტორიც ჩვენის ფიქრით, იცნობდა კუროჩკინის თარგმანს.

ბერანეცს ლექსები შედარებით სხვებთან ბლომად (40-ზე მეტი) უთარგმნია გ. გვაზავას („ბერანეც ქართულად“ ტფილისი, 1898 წ.). ამ თარგმანების ღირებულების შესახებ წარმოდგენას მოგვცემს რამდენიმე ამონაწერი იმ დროინდელ ქართულ ჟურნალებში მოთავსებულ რეცენზიებიდან:

„აკაკის კრებული“: „ბერანეცს შევიდების რა მოგახსენოთ და ისე კი ვტვობა ბ. გვაზავას, რომ ნიჭი არ აკლია, მაგრამ, როგორც ჩანს, იმასაც თანვე სდევს თანამედროველი ქართული და უფრო და ზარმაცობა: დედაენის ცოფნაში კოჭლობს...“

უფრო მკაცრი და გამანადგურებელი იყო ბიბლიოგრაფია, რომელიც მოათავსა „მოამბემ“ (1899 წ. № 1); აი ადგილები იქიდან:

*) ვასო აბაშიძის მიერ 1892 წ. გამოცემულ „ჩანგში“ მოთავსებულია გრ. ბაგრატიონ-მებრანსკის მიერ ბერანეცდან ნათარგმნი „კეთილი მცნობი“. იქვეა დაბეჭდილი ბერანეცს სხვა ლექსების თარგმანებიც, მგ. გიორგი ორბელიანისა: „ბებია“ და „შაგირდი“; აბ. ჩოლოყაშვილისა: „წერილი სალდათისა“, აკაკის: „ქმრის გოდება“ და სხვ. (ამ კრებულზე და აგრეთვე ზოგიერთ ცნობებზე ბერანეცს თარგმანების შესახებ მივჯოთითა იოს. გრიშაშვილმა. — ავტ.)



„მთელ წიგნში, 128 გვ. გადაკომულ ლექსებში ერთი არ არის, რომ ცოტაც არის ნიშანი ედოს ნიჭისა და ხელოვნებისა“...

„არა მართო სიტყვას, ხშირად აზრსაც წაართვის. მთარგმნელი და ბერანტეს მიაწერს თავისი უვარჯისი კალმის ნაქმას“...

„რადა გავაგრძელოთ, ძალიან შეცდება, ვინც ბ. გვახავს თარგმანით მოინდომებს ბერანტეს გაცნობას. საფრანგეთის ერთს საუკეთესო შეილთაგანს, პოეტს—ლირიკს, პოეტს—სატირიკს, სამაგალითო მამულისშვილს, რომელმაც საკვირველი ხელოვნებით შეაერთა პოეზია და პოლიტიკა, ამ თარგმანში ვერსად ნახავს მკითხველი“...

მართლაც, თუ თარგმანების წიგნს გადავითვალიერებთ, საცხებით სამართლიანად მივიჩნევთ იმ მსჯავრს, რომელიც ჭართულმა კრიტიკამ გამოუტანა უხეირო მთარგმნელს. ამ რეცენზიების კილო გვაგონებს პისარევის მკაცრს წერილს „Вольные русские переводчики“, სადაც ცნობილი კრიტიკოსი სასტიკად ჰკიცხავს სწორედ ბერანტესა და ჰაინეს „უნიკო მთარგმნელს“ რუსულ ენაზე, ვინმე კოსტომაროვს („Посмотрим, что-же стало под рукою не призванных переводчиков с грациозными, легкими созданиями Гейне и Беранже, которые так легко испортить и которые так часто портили у нас в России и в журналах и в отдельных изданиях“)...

საინტერესოა, რომ ბერანტეს ერთი ლექსი რაფიელ ერისთავსაც უთარგმნია. ეს არის „მოხუცი მატანტალა“— Le vieux vagabond. რუსულად იგი უთარგმნია ჯერ მესამოცე წლების რევოლუციონერსა და პოეტს მ. ლ. მიხაილოვს, რომელიც ზემოდ გვყავდა მოხსენებული, შემდეგ ვალერი ბრიუსოვსაც.

ეს სიმღერა ეკუთვნის ბერანტეს ლექსების იმ სერიას, რომელშიდაც პოეტს აღწერილი აქვს ქალაქის უსახლკარო ღარიბ-ღატაკთა აუტანელი ცხოვრება. („წითური ეანა“, „მოხუცი მატანტალა“, „საბრალო ეაკი“). ეს ლექსები მით არიან საგულსხმო, რომ მკვეთრად ამხელენ ავტორის მიტად განსაზღვრულ წერილ-ბურჟუაზიულ კლასიურ შემეცნებას. ბერანტე აღწერს ღარიბ-ღატაკთა ბეჩავსა და აუტანელ ცხოვრებას, რევოლიციონურ გამოსავალს კი ასეთი ცხოვრებიდან იგი ვერ უჩვენებს. ამ წერილ-ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის წყალობით ბერანტეს არ ესმოდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად უსარგებლოა თავისუფლების აბსტრაქტული იდეის სამსახური, რომ ამისათვის აუცილებელია ძველი საზოგადოებრივი წყობის დანგრევა, ამ საქმისათვის კი საჭიროა თანმიმდევრობითი კლასობრივი ბრძოლის წარმოება. რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის იდეამდე ვერ ამაღლდა ბერანტეს წერილ-ბურჟუაზიული შეგნება. ამიტომაც, მიუხედავად პრუდონის წინასწარმეტყველებისა, ბერანტე ვერ შეიქნა სოციალიზმის მჭადაგებელ პოეტად, თუმცა იგი ძალიან იყო დაინტერესებული უტოპიურ სოციალისტების, სენ - სიმონის და ფურიეს თეორიებით. ამ მხრივ ბერანტე ძალიან განსხვავდებოდა გერმანიის რევოლიუციონური დემოკრატიის პოეტ ჰაინრიხ ჰაინესაგან, რომელიც ხედავდა, რომ „ქვეყანას განაგებენ არა იდეები, არამედ ინტე-

რესები“. ბერანეცს კი სწამდა აბსტრაქტული იდეა, — თავისუფლება, როგორც აბსტრაქტული სიკეთე და არა როგორც შედეგი თანამიმდევრით კლასობრივი ბრძოლისა.

ბერანეცს წმინდა პოლიტიკურ სიმღერებისათვის ქართველ მოქალაქე-რადღება მიუქცევია მხოლოდ ი რო დ იონ ე ე დ ო შ ე ი ლ ს. ეს ბუნებრივიც იყო დემოკრატიული პროზისის ასეთი თვალსაჩინო წარმომადგენელისათვის. ირ. ეედო-შვილის მიერ ბერანეცთან გადმოღებულ ლექსებში უნდა აღინიშნოს: „საფრანგეთის მოშავალი“, „ბარაბანი“ და „დეპუტატის ანგარიში“. ამათგან მეორე ლექსი რუსულად როკფესტენსკის თარგმანში შეეძლო გაეცნო ეედოშვილს, ხოლო ჟანანასწელი — ი. ფ. ტზორვეცკის თარგმანში¹⁾.

ბერანეცმ ეცვს გარეშეა სათანადო გავლენა იქონია ეედოშვილის შემოქმედებაზე. ზამწუხაროდ ეედოშვილის ლექსებს აკლდათ სუსტი და სიმწვავე ბერანეცს სატირისა. მათ აკლდათ აგრეთვე დამუშავება და წმინდა მხატვრული ოსტატობა, რაც ასე ძალიან ახასიათებდა ბერანეცს პოეტურ ნაწარმოებთ. ბერანეც რომ საკმაოდ ძლიერი ოსტატი იყო, ეს თავის დროზე აღიარებული იქნა მხატვრული სიტყვის სხვა გამოჩენილი ოსტატების მიერაც. მაგალითად ბერანეცს ისეთი იდეური მოწინააღმდეგე, როგორიც იყო რეაქციონერი მწერალი შატობრიანი, აი რას სწერდა პოეტს: „ამეამად ცოტა გამოჩნდებოდა ისეთი მსაჯული რომელიც შესძლებდა თქვენი ლექსების სრულყოფილობის შეფასებას, ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი ადამიანები, რომელთა მახვილი სმენა შესძლებდა დამტკბარიყო თქვენი ლექსების ჰარმონიით. მათს მომხიბლავ ბუნებრივობაში იფარება უდიდესი და უნატიფესი მუშაობა“. ამგვარსავე აზრს გამოსთქვამდა ბერანეცს შესახებ მხატვრული სიტყვის ისეთი ოსტატი და დამფასებელი, როგორიც იყო ანატოლ ფრანსი. იგი ენის მხრივ ბერანეცს გაცილებით მაღლა აყენებდა ვიქტორ ჰიუგოზე და ამბობდა: „ბერანეც უფრო წმინდაა, უფრო ნათელია და ხალხურია“.

ასეთი რამ, ცხადია, არ შეიძლება ითქვას ეედოშვილის ლექსებისა და სიმღერების დიდ ნაწილზე.

დასასრულ: ბერანეცს გავლენის ნიმუშად უნდა დავასახელოთ ირ. ეედოშვილის იუმორისტული ლექსი: „ჩემს ძველს სერთუქს“, — მიბაძვა ბერანეცის — როგორც თვით ავტორი უწოდებს ამ ნაწარმოებს...



¹⁾ ი. ფ. ტზორვეცკი სთარგმნიდა თავის ცოლთან, მ. მ. ტზორვეცკაისთან ერთად. მათი გავრთიანებული ფსევდონიმი იყო „ივან და შარია“. სვეთაშორის ამათ რუსულ ენაზე სთარგმნეს №-19 საუჯ. ბევრი ქართველი პოეტი (იხ. ტზორვეცკის წიგნი: „Груз. поэты в образцах“. 1889 წ. პეტერბურგი).

პმროს გოფეგა

(ბერანედან).

ვაი, კუბოში ძეგს ჩემი ცოლი!
ღმერთო, იხილე, ეჰ, შენი მონა!...
და განასვენე ამისი სული
აბრაამისა წიაღთა შინა!...
მიეც სატანის მას განშორება
იმ საშინელსა განკითხვისა დღეს,
იქ მოუხდება მას განსვენება,
რომ აქ მეორედ აღარ მოვიდეს!...
ეჰ, საუკუნო რა არს ამ ქვეყნად?
მის ხელში ვიყავ ნეტარებაში
და მოვილხენდი განუწყვეტელად...
მხოლოდ სამის დღის განმავლობაში!
ჩემთან ხანდისხან თუმც თვალთმაქცობდა,
მაგრამ არ არის საგინებელი,
რადგან ტრფობაში არ ზარმაცობდა:
უყვარდა ჩენი მას მეზობელი!
თითქმის ყველასთან გულგრილად იყო,
უკანასკნელ დროს, როცა კვდებოდა,
მაგრამ ტირილი მწარედ დაიწყო
როცა თვის კუროს ეთხოვებოდა!...
ვიცი—ამ დარდსა მე ვერ გაუძლეზ:
გული მისკდება, ცხარე ცრემლსა ვღვრი.....
სჯობს გავასვენებ და გავაცილებ,
ჩქარა დავმარხავ, მიწას მივყარო!...
ვაი, კუბოში ძეგს ჩემი ცოლი!...
ღმერთო, იხილე, ჰე, შენი მონა!—
და განასვენე ამისი სული
აბრაამისა წიაღთა შინა!...

* ბერანეს გარდაცვალებიდან 75 წლის თავის გამდ.

ღვთობის ანგარიში

(ბერანედან)

ბატონებო, გთხოვთ დეპუტატს
მომისმინოთ ანგარიში,
არ გეგონოთ, რომ სამშობლო
მართლა იყოს რამე შიშში.
მისი საქმე, რომ ესთქვათ ასე,
არც უკან არს, არც თუ წინა,
და, რომ კარგათ დამერწმუნოთ,
მკითხეთ, მე რამ გამაბრწყინა.

მინისტრები რომ
სადილს მართავდნენ,
იმ სადილებზედ
მე შეძახოდენ!

ყველაფერი მოვიაზრე
და მოემართე ისე ენა,
მიბრძანეს და შევიყვარე
მხოლოდ ერთი მე „მარჯვენა“.
დამიჯერეთ, არც მოესტყუვდი,
ყველა კარგათ გავიკვეთე
„მარცხენა“ რომ შევიძულე
მისთვისა მზედა ეს სიკეთე.

მინისტრები რომ
სადილს მართავდნენ
იმ სადილებზე
მეც შეძახოდენ!



თუ რომ გსურდეთ ჭკვიანები
 „მარცხნივ“ მხარეს ჩააწუმო,
 იცოდეთ, რომ ილაქლაქე,
 და ენა არ დაიადუმო!
 მეც ვყვიროდი „მეგობრებო“
 ხან სხვებთან და ხანაც მარტო,
 თუნდ მუცელი ჩამწყვეტოდა,
 მომგლეჯოდა მთლად ყანყრატო.

მინისტრები რომ
 სადილს მართავდნენ,
 იმ სადილებზე მეც მეძახოდნენ.

და თუ პრესსა შებოჭვილი,
 როგორც უნდა, არის ჩვენში,
 იცოდეთ, რომ მე მიმიძღვის
 ღვაწლი ამ დიდ სიკეთეში.
 მიბრძანებდნენ, რომ გმირებსა
 ჩამოუკრა ქების ზარა,
 მე მზათ ვიყავ, სულ ერთია
 ჩემთვის, ვთქვა „ჰო“, თუნდა „არა“!

მინისტრები რომ
 სადილს მართავდნენ,
 იმ სადილებზე
 მეც მეძახოდნენ!

თავისუფალ სასამართლოს
 გაუქმებაც მე მოეაწყვე,
 რაც კანონი მსურდა ჩემთვის
 ვითხოვე, არ დაევიწიე.
 სამშობლოდან გაძევებულთ
 ვუბრძანე კვლავ გაძევება,
 აეასრულე მბრძანებელის
 ინსტრუქცია, მისი ნება!

მინისტრები რომ
 სადილს მართავდნენ,
 იმ სადილებზე
 მეც მეძახოდნენ!

და სატახტო ქალაქისა
 პრაკურორი ახლა მე ვარ,



ყველგან კარი ღია არი,
საცა მინდა წავალ, შევალ.
სამი ძმა და ორი შვილი
სამსახურში შევიყვანე,
საცა კია კომიტეტი
ყველგან მე ვარ თავმჯდომარე!

მინისტრები რომ
სადილს მართავდნენ,
იმ სადილებზე
მეც მეძახოდნენ!



ვ. გაფრინდაშვილი

უბნურნი

(ბერანჯედან)

ჩვენ ჯარისკაცი მსოფლიოს ჯარის,
მის რიგებში რომ ვართ სიკვდილამდე,
ჩვენ ვყვიროთ: „აი გადარეული!“ —
თუ კი დატოვებს ვინმე ჩვენს წყობას.
მაგრამ გაივლის ქაში მცირედი
ვეპყრობით უგნურს კვლავ თანაგრძნობით,
და ძეგლს აუგებთ უკედავს, დიდებულს
ადამიანთა ტომების მნათობს.
აზრი — ქალწული ძალიან დიდხანს
უნდა ელოდოს თავის საქმაროს.
ბრიყვი ეძახის: „ხარ ულამაზო!“
ბრძენი: „მე შენზე ჯვარს არ დავიწერ!“
მაგრამ მოხიბლა აზრმა უგნური...
აი კიდევაც მათი ქორწილი.
და აზრს ძვირფასი, მოაქვს ნაყოფი
ადამიანთა საკეთილდღეოთ.
მე ვცნობდი წინად სენ-სიმონს მდიდარს,
და შემდეგ ღარიბს და უსახლკაროს.
მთელი შენობა სახელმწიფოსი
იყო იმისთვის მიუღებელი.
იგი შრომობდა და ოცნებაში



კვლავ აშენებდა ის ამ შენობას,
 და იმას წამდა, რომ მის ხელშია
 ადამიანთა ტომების შველა.
 გვეუბნებოდა ფურიე:— „აღსდებ,
 ხალხო, მუდმივად მოტყუებულო!
 მედგრად იზრომე და გაილაშქრე
 შენ წინააღმდეგ უკუნეთისა!
 სისხლი მიწაზე არსად იღვრება,
 მზადა ვართ ცასთან კავშირისათვის.
 და სიყვარული სამარაღისო
 კაცობრიობას სიმშვიდეს უძღვნის“.
 მე ანფანტენსაც ვიცნობდი კარგად:
 იგი იცავდა ქალის უფლებებს...
 „აი საბრალო სამი სულელი!“ —
 ასე ფიქრობდა დაცინვით ყველა.
 ეძებს ქვეყანა გზას სიკეთისკენ,
 დიდება აზრის მამაც ფალაფანს,
 ვასაც ოცნება ნეტარებისა
 სურდა ეპოვა ერებისათვის.
 ალთქმის ქვეყანა აღმოაჩინა
 უგზურმა—ჩვენთვის რომ იტანჯოდა,
 ვინც თავის ჯვარი შეღება სისხლით,
 მოკვდა და ღმერთი ჩვენ დაგვანახვა.
 მზეს ხვალ ამოსვლა რომ დაავიწყდეს
 და დედამიწა არ გაანათოს,
 უგზური თავის ფარანს აჩუქებს
 ბნელში ჩაცვინულ ადამიანებს.



ახალი მბაიხათვის თეატრალურ ფორტზე

(განვლილი სეზონის შედეგები)

1

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა მუშაობის გარდაქმნის შესახებ“ განვითარების ახალი პერსპექტივა დასახა როგორც მწერლობისა და საერთოდ ხელოვნების, ისე კერძოთ თეატრალური ხელოვნების დარგში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობდა განსაკუთრებული პროლეტარული ორგანიზაციები თეატრალურ ფორტზე, ცეკას ხსენებული დადგენილება მაინც უშუალოდ შეეხება ქართულ საბჭოთა თეატრს და აყენებს მის წინაშე მუშაობის შინაარსობრივი გარდაქმნის ამოცანას. ეს გარდაქმნა უნდა გამოიხატოს ბრძოლაში იმ საგრძნობი ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად, რომლითაც ხასიათდება ჩვენი საბჭოთა თეატრის მდგომარეობა, თუ მას განვიხილავთ ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილ გაშლილ სოციალისტური მშენებლობის სხვა ფორტზე მიღწეულ გამარჯვებებთან შედარებით.

„სოციალიზმის ახალ წარმატებებს მუშათა კლასი უზრუნველყოფს მხოლოდ ბრძოლით კაპიტალიზმის ნაშთებთან, დაუზოგავი შეტევით მომაკვდავი კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ შეხედულებათა აღმოფხვრით მშრომელთა შორის და მათი სოციალისტურად აღზრდისათვის თავდადებული მუშაობით“.

პარტიის მე-17-ე კონფერენციის მიერ დასახულმა ამ ამოცანამ უნდა განსაზღვროს ხელოვნებისა და კერძოთ თეატრის განვითარების ახალი ეტაპი. თეატრმა, როგორც მასიური ზემოქმედების უდიდეს შესაძლებლობათა მქონე ხელოვნებამ, უნდა იბრძოდეს მშრომელთა შეგნებიდან კაპიტალისტური ნაშთების აღმოსაფხვრელად, მასების მებრძოლი ნებისყოფის დასარაზმავათ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების ირგვლივ, მილიონების შემოქმედებითი ენტუზიაზმის გაღვივებისათვის მუშათა კლასის მიერ ყველა სიძნელეთა გადასალახავათ. მასების სოციალისტურად აღზრდა, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ძირითად ამოცანას, სოციალიზმის აგების ხუთწლეულის მოა-

ხლოვებასთან, დაკავშირებით, — აყენებს ჩვენს წინაშე ყველა სააგიტაციო/საშუალეობათა მობილახაიციის და მაქსიმალურად გამოყენების აუცილებლობას.

ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა“ 13 აპრილის მისწინავეში სწერს: „მასების დარწმუნება, გარკვევა და ორგანიზაცია უნდა ხდებოდეს აგრეთვე კლუბის, თეატრის, კინოს, რადიოს და ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით. თეატრის, კინოს, რადიოს, ბეჭდვითი სიტყვის სააგიტაციო-საპროპაგანდო და მასმასაღამე ორგანიზაციამქმნელი როლის საგრძნობი გაზრდა წარმოადგენს დღევანდელი არსებით ამოცანას“.

ამრიგად, თეატრის წინაშე სდგას ამოცანა მისი სააგიტაციო-საპროპაგანდო და ორგანიზატორული როლის ზრდისა და გაღრმავებისა.

მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ეს ამოცანა? მხოლოდ „შემარცხენე“ ვულგარიზატორებს შეუძლიათ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ თეატრალური სანახაობა უნდა ვაჭკიოთ შიშველ აგიტაქათ, რომ მისი თემატიკა ვიწროდ უნდა განესაზღვროთ დღევანდელი დღის კონკრეტული სამეურნეო-პოლიტიკური პრობლემით, რომ თითქოს თეატრში მხოლოდ სპექტაკლის თემატიკური აქტუალობა სწვევტდეს საკითხს. ასეთმა შეხედულებებმა საკმაო გავრცელება ჰპოვეს საბჭოთა თეატრის თეორიასა და პრაქტიკაში და ეკვას ისტორიული დადგენილებს რეალიზაციის ერთ-ერთ აუცილებელ პირობასაც თეატრალური ხელოვნების დარგში ამ გვარი ვულგარიზატორული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

სოციალიზმის მშენებელი ეპოქის შესაფერი თეატრი ვერ შეიქმნება იმის გარეშე, თუ არ მოესხენით თემატიკური ზღუდეები, თუ ფართო გასაქანი არ მივეცით შემოქმედებით ძიებას, მხატვრულ კონკურენციას და შეჯიბრს, თუ არ გავამაზივლეთ ყურადღება მხატვრული ხარისხისა და ოსტატობის კვალიფიკაციის უმაღლესი დონისათვის ბრძოლის საკითხებზე.

თეატრისაგან ჩვენ მოვიზივოთ სოციალიზმის მშენებელ ეპოქის ღრმა და მრავალმხრივს გამოხატულებას. ამდენად ფართო უნდა იყოს მისი თემატიკური დიაპაზონი. არა მარტო ვიწროდ გავგებული დღევანდელი უნდა განსაზღვრავდეს საბჭოთა თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკას. მასების სოციალისტურად აღზრდის ამოცანიდან გამომდინარეობს აგრეთვე წარსულის მასალებზე მუშაობის აუცილებლობაც. დღევანდელი განხილვა გამოითიშულად ისტორიის დიალექტიკური განვითარებისაგან, წარსულთან და მომავლის პერსპექტივასთან დაუკავშირებლად, — ეს იქნებოდა სინამდვილის მეტაფიზიკური დამახინჯება. ასეთი თვალსაზრისი გამომდინარეობს მექანიკური, და არა დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრებიდან.

თეატრის თეორიასა და პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა მცირე ფორმების, მსუბუქი ტანრის თეატრების უპირატესობის აღიარებას. თითქოს მასების სოციალისტურად აღზრდის, მუშათა კლასის იდეების მხატვრული აგიტაციის საუკეთესო თეატრალურ ფორმას მცირე ფორმების თეატრი და ესტრადა წარმოადგენს. ამას ასაბუთებენ იმით, რომ მცირე ფორმის ხელოვნებას, როგორც უფრო ელასტიურსა და მოძრავს, უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს დღის კონკრეტულ ამოცანათა მხატვრული დამუშავების. აქედან დიდი თეატრების სააგი-

ტაციო და ორგანიზატორული როლის შეუფასებლობა და თეატრალურ ფორმა-
თა დაპირისპირება მათი სოციალური ღირებულებებისა და დანიშნულების მი-
ხედვით.

საკითხის ასეთი დაყენებაში გამოსჩანს ისეთივე შეცდომა, როგორსაც ად-
გილი ჰქონდა ლიტერატურის დარგში, როცა ცდილობდნენ მწერლობის წამყვან
და ძირითად ჟანრად ნარკვევი და მემუარი გამოეცხადებიათ. ამ შეცდომის სა-
თავე ხელოვნების სააგიტაციო-საპროპაგანდო როლის ყალბად გაგებაში მდგო-
მარეობს. მუშათა კლასს სჭირდება არა მარტო მისი ყოველდღიური კონკრე-
ტიული საბრძოლო ამოცანების მხატვრული აგიტაცია, არა მისი კლასობრი-
ვი იდეების სქემატიური და ზედაპირული პროპაგანდა მხატვრულ ფორმებში,
არამედ უმთავრესად სოციალიზმის მშენებელი ეპოქის დიალექტიკისა და კომუ-
ნისტური იდეების ღრმად გამოუმხატველი ფართო ტილოები. ამიტომ კლასის
იდეებით გამსჭვალული დიდი სპექტაკლები აუცილებელია ჩვენი ეპოქის შესა-
ფერი თეატრალური კულტურისათვის. ამიტომ თეატრალურ ხელოვნებაში რო-
მელიმე ფორმისა და ჟანრის უპირატესობის აღიარება და დანარჩენის შეუფა-
სებლობა იქნება საბჭოთა თეატრის განვითარების შეზღუდვა და შეფერხება.
ასევე მავნეა და მიუღებელი თვითმოქმედი და პროფესიონალური თეატრების
დაპირისპირების ტენდენცია. საბჭოთა ხელოვნების და თეატრის ეს ორი ძირი-
თადი ნაკადი უნდა ავსებდნენ ერთმანეთს და თანაბრად ქმნიდნენ ნიადაგს სო-
ციალისტური საზოგადოების დიდი ხელოვნებისათვის. მათი გათიშვისა და
ურთიერთდაპირისპირების თეორია არის ერთის მხრივ ფორმალისტ-თეორეტი-
კოსთა გამოგონება და ამ მხრივ წარმოადგენს თეატრალურ ფორმებზე მემარ-
ჯვენე საწინააღმდეგოების გამოვლენას, ხოლო მეორეს მხრივ ეს წარმოადგენს პროფე-
სიონალური მხატვრული ინტელიგენციის შეუფასებლობას და მასთანადავე „მე-
მარცხენე“ ფულგარიზაციას კულტურული მშენებლობის საკითხებში.

მხოლოდ პერევერზევის მენშევიკური კონცეპციით შეპყრობილთ შეუძ-
ლიათ ამტკიცონ, რომ მუშათა კლასის იდეების გამოუმხატველ თეატრს ვერ
შექმნის მხატვრული ინტელიგენცია და მით უფრო ოქტომბრის წინა პერიოდში
აღზრდილი თაობა.

საბჭოთა თეატრის პრაქტიკამ მოგვცა ურყევი საბუთი ასეთი შეზღუდე-
ბის სრული უსაფუძვლობისა და უნიადაგობის. ჩვენი რევოლუციონური
თეატრის მოწინავე რიგებში დგას საუკეთესო ნაწილი იმ ოსტატებისა, რომლე-
ბიც აღიზარდნენ ოქტომბრამდე და რომლებიც ძველათ შორს იდგნენ მუშათა
კლასის მსოფლმხედველობისაგან. პროლეტარული რევოლუციის ძლევამოსილება
სხვათაშორის იმაშიაც მდგომარეობს, რომ მან გაანადგურა რა მოწინააღმდეგე
კლასები, გამოსტაცა მის ბანაკს მთელი რიგი საუკეთესო შემოქმედი ძალებისა,
დააყენა ისინი იდეური გადაიარაღების და გადაუმუშავების გზაზე და დარაზმა
თავისი დროშის ირგვლივ, მუშათა კლასის მიზნებისათვის სამსახურში.

ეს პროცესი განსაკუთრებით ნათელია დღევანდელ ეტაპზე და განსაკუთ-
რებით გასაგებია იგი პარტიისა და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის
ისტორიული სიტყვის შემდეგ.

ამიტომ ახალი ეტაპი თეატრალურ ხელოვნების დარგში სხვათაშორის გულისხმობს განსაკუთრებულად ფრთხილსა და ტაქტიკურ დამოკიდებულებას თეატრის იმ ოსტატთა მიმართ, რომლებიც მართალია წინეთი ინჟინერობის მოწინააღმდეგე კლასების იდეოლოგიურ პოზიციებზე, მაგრამ რომელთაც გვიჩვენეს ამ პოზიციებიდან ჩვენსკენ დაძვრის ფაქტები, რომლებიც დღეს დგანან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და ისწრაფვიან მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში.

ცუკას 23 აპრილის დადგენილება გვაეალებს ყოველმხრივ ხელი შევეწყობთ და დავებმართოთ მათ შემდეგში გადამუშავებისა და რეეოლუციისაკენ განვითარების საქმეში. ამიტომ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ მათი შეუფასებლობის, მათდამი უხეში და უდიერი მოპყრობის პოლიტიკას, რის კონკრეტული ფაქტებსაც ხშირად ვხვდებით ჩვენს პრესაში და პრაქტიკაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პოლიტიკა აფერხებს თეატრალური ხელოვნების განვითარებას და ამრიგად წარმოადგენს პარტიისა და კლასის ინტერესების საწინააღმდეგო საქმეს.

დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს თეატრალურ ფრონტზე ადმინისტრაციულობის პრაქტიკას. ცუკას დადგენილება ძთელი თავისი მხველით მიმართულია სწორედ ადმინისტრაციულობისა და რომელიმე თეატრალური მიმდინარეობისათვის მონოპოლური უფლებას, ორგანიზაციული უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის წინააღმდეგ. თეატრალური ხელოვნების ახალ ეტაპზე აყვანა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა თეატრის მშენებელ ძალთა შორის ნამდვილ მხატვრულ კონკურენციისა და ჯანსაღი შეჯიბრის უზრუნველყოფის პირობებში. ჯერ კიდევ 7 წლის წინად პარტიამ თავის ცნობილ რეზოლუციებში სალიტერატურო და თეატრალური პოლიტიკის შესახებ—მხატვრული შეჯიბრისა და კონკურენციის იდეა გამოაცხადა ხელოვნების განვითარების ძირითად პრინციპად. დღეს კიდევ მეტად ნათელია და ცხადი, რომ ყოველივე ცდა მონოპოლიზმის და ადმინისტრაციული გეგმონიისა თეატრალურ ფრონტზე მაგნეა და შემაფერხებელი საბჭოთა თეატრის განვითარებისათვის. ამიტომ ჩვენს ამოცანას თეატრალურ ფრონტზე წარმოადგენს იმის მიღწევა, რომ თეატრებს შორის გავშალოთ ჯანსაღი შემოქმედებითი შეჯიბრი და საბოლოოდ აღმოვფხვრათ ხელოვნულ უპირატესობისათვის და მონოპოლიის დაპყრობისათვის ბრძოლის ყოველგვარი რეციდივები.

ბრძოლა მხატვრული ხარისხისათვის უნდა წარმოადგენდეს თეატრის დარგში დასაზული გარდატეხის ერთ-ერთ ძირითად მომენტს. მუშათა კლასის იდეები და სოციალიზმის მშენებელი ეპოქა თეატრმა უნდა გამოხატოს მაღალი კვალიფიკაციისა და ღირებულების მხატვრული ფორმით, რომ სპექტაკლი იზიდავდეს მაყურებელ მასას და თავისი მხატვრული სიძლიერით ახდენდეს მასზე ზეგავლენას. ამიტომ ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ თეატრის სპეციფიურ საშუალებათა საკითხი, რომლის მეშვეობითაც თეატრმა ჩვენი კლასის იდეები უნდა ღრმად შეიტანოს და დანერგოს მაყურებლის შეგნებაში. ამ მხრივ ფართოდ უნდა ვაიშალოს ძიებითი და შემოქმედებითი მუშაობა.

პარტია წინააღმდეგია რომელიმე ფორმისა და ხერხის დავანერგვისა და უპირატესობის უფლებით აღჭურვისა. სტანდარტი და შტამპი უნდა განვიდგინოს თეატრალური პრაქტიკიდან.

ჩვენი თეატრების უკანასკნელი წლების პრაქტიკაში შემჩნეულია სწორედ სტანდარტიზაციის საგრძნობი საფრთხე. ჩვენი წარმოებისა და საკლემურნეო მშენებლობის გამოშხატველი სპექტაკლები ხშირად შენდება სტანდარტული სიუჟეტით, სქემებად ქცეული ტიპებით, ერთი და იგივე სიტუაციებით. ასეთი მდგომარეობა ქმნის მონოტონობისა და ერთფეროვნების საფრთხეს. ასეთი სპექტაკლები მოსაწყენი ხდება მასიური მყურებლებისათვის და მათთანავე კარგავს ზემოქმედებისა და ზეგავლენის უნარს.

თეატრის საავტორო და ორგანიზატორული როლის ზრდის ამოცანა მოითხოვს მოსაწყენი შტამპის და ერთფეროვნების წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ ბოლო უნდა მოეღოს სპექტაკლების შეფასებას მარტო მათი პოლიტიკური განზრახვისა და თემატიკური მასალის მიხედვით.

საბჭოთა თეატრი არა მარტო თავისი იდეური უპირატესობით, არამედ თავისი მხატვრული დონითაც უნდა წარმოადგენდეს საკაცობრიო თეატრალური კულტურის უმაღლეს სტადიას—ჩვენი თეატრალური კულტურა ამ ეამად გაცილებით უსწრებს კაპიტალისტური ქვეყნების თეატრების დონეს. ევროპის უდიდეს ცენტრებში კატასტროფიულად ეცემა დიდი ცნობილი თეატრები, ისინი იკეტებიან „მიუზიკ-ხოლებისა“ და შანტანური ქანრების ზრდის ხარჯზე. ამავე დროს ჩვენი კავშირის არა მარტო ცენტრალურ პუნქტებში, არამედ ყველა რაიონებში ადგილი აქვს ახალ ძლიერ თეატრალურ კოლექტივების მსიურად აღმოცენებას და საერთოდ თეატრალური ხელოვნების სწრაფ ზრდას. მაგრამ თუ ამ ზრდის ტემპებს და ხარისხს განვიხილავთ იმ ამოცანების მიხედვით, რომლებსაც ჩვენი კლასი აყენებს ხელოვნების წინაშე და იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელსაც პროლეტარიატმა მიაღწია სოციალიზმის მშენებლობის ყველა ფრონტზე, ნათელი გახდება თეატრის საგრძნობი ჩამორჩენილობა. და ამ ჩამორჩენილობის აღმოფხვრის ერთ-ერთ ძირითად პირობას მხატვრული ხარისხისათვის, ოსტატობის კვალიფიკაციისათვის ბრძოლა წარმოადგენს.

როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, ისე თეატრშიაც ადგილი ჰქონდა მხატვრული დიალექტიკის ფორმულებით სქოლასტიურ ოინბაზობას. იყო ცდები არტისტული ეესტის, თუ ბგერის, მიზანსაცემის თუ დეკორატიული ფერადის დიალექტიკურად დასაბუთებისა. მუშათა კლასის რევოლუციონური თეორიის ამგვარი დოგმატიური გამოყენება თეატრალურ დარგში მხოლოდ ამახინჯებს და ბორკავს თეატრალურ შემოქმედებას და ამავე დროს ახდენს კაცობრიობის აზროვნების უმაღლესი ეტაპის—მარქსიზმ-ლენინიზმის დისკრედიტიზაციას.

თეატრში მუშათა კლასის მსოფლმხედველობის დამკვიდრება გულისხმობს არა დოგმატიური ვარჯიშს დიალექტიკის კატეგორიებით, არამედ თეატრის მუშაკთა მიერ ამ მოძღვრების ღრმად შესწავლას და ორგანიულად შეთვისებას, რათა ამ მსოფლმხედველობით და მეთოდით შეიარაღებულა თეატრმა წესდლოს

სინამდვილის სწორი გამოხატულება დღევანდლობის ანუ წარსულში შესაღებზე, შესაძლოს მიზანშეწონილად, თემატიკისა და სპექტაკლის დანიშნულების მიხედვით, გადასკრას მხატვრული შემოქმედების ყოველი კონკრეტული ვარიანტი.

თეატრმა უნდა იბრძოდეს შემოქმედებითი მეთოდისათვის, რომლის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს მარქსისტულ-ლენინური თეორია, მაგრამ ამ თეორიის ასეთ ანეკდოტულ დამახინჯებას, როგორცაც დღემდე ხშირად ადგილი ქონდა თეატრის თეორიასა და პრაქტიკაში—ბოლო უნდა მოეღოს.

თეატრის მუშაობა შეიარაღებას მუშათა კლასის მსოფლმხედველობით არსებითი მნიშვნელობა ეძლევა თეატრის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. ამას განსაკუთრებით უნდა გაუფხვავთ ხაზი. ქართული თეატრის სინამდვილეში ამ მხრივ ყოველად დაუშვებელ მდგომარეობას აქვს ადგილი. ჩვენი თეატრის მუშაობები ძლიერ ცოტას აკეთებენ იმისთვის, რომ თავიანთი მხატვრული პრაქტიკა თეორიულად გაიზარონ, მისცენ მას გარკვეული მიმართულება, თავისი შემოქმედებითი მუშაობა შეგნებულად დაუკავშირონ მუშათა კლასის რევოლუციონურ თეორიას. თუ რუსეთში, უკრაინაში და სხვაგან თეატრის მუშაობები პრაქტიკულ-შემოქმედებითი ძიებას აწარმოებენ თეორიულ მუშაობასთან დაკავშირებით, ჩვენში გრძელდება ძველი ტრადიცია—გარკვეულად ჩამოყალიბებული მეთოდისა და სისტემისათვის ბრძოლისადმი უყურადღებობისა.

საჭირო ხდება მოვარგონოთ ჩვენი თეატრის მუშაობებს თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ლენინი რევოლუციონურ თეორიას. ამხ. სტალინი „ლენინიზმის საკითხებში“ გარკვევით ამბობს, რომ ის პრაქტიკოსი, რომელიც გაურბის თეორიას, ობიექტიურად ანტილენინურ საქმეს აკეთებს.

თეორიისა და პრაქტიკის ლენინური ურთიერთობა უნდა განხორციელდეს თეატრალურ ფრონტზედაც. სხვა გვირად შეუძლებელი იქნება თეატრში იმ გარდატეხის მიღწევა, რომელსაც ცუკას ისტორიული დადგენილება გვიკარნახებს.

თუ დღეს ბევრი იწერება, და სრულიად სამართლიანადაც, ლიტერატურული კრიტიკის დაბალი დონის შესახებ, ეს კიდევ მეტი პირდაპირობით უნდა ითქვას თეატრალური თეორიისა და კრიტიკის მიმართ განსაკუთრებით საჭარბოვანოში.

თეატრალური კრიტიკის გაჯანსაღება, მისი თეორიული დონის ამაღლებისათვის ბრძოლა, მისი დაყენება მეცნიერულად ობიექტიურ ნიადაგზე—არის თეატრალურ ფრონტზე ახალი ეტაპის მიღწევის ერთერთი აუცილებელ პირობათაგანი.

საბჭოთა თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლასიკური დრამატურგიისადმი ლენინური დამოკიდებულების საკითხს. მასების სოციალისტური აღზრდა გულისხმობს მისი ცნობიერების გამდიდრებას სხვათა შორის წარსული მნიშვნელოვანი მომენტების შესწავლითაც. ამ მხრივ თანამედროვე თეატრმა უნდა განასახიეროს განვლილი ეპოქების სწორად და ღრმად გამომსახველი კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები, რითაც მუშათა კლასი ამავე დროს დაეუფლება საკაცობრიო კულტურის განვლილ ეტაპებს, რაც აუცილებელია სოციალისტური კულტურის მშენებლობისათვის.

დიდი სიფრთხილვით საქარო „კლასიკოსთა გათანამედროვეობის“ სპიტიხში. ხშირად საბჭოთა თეატრებში კლასიკოსის „გათანამედროვეება“ იქმნე მისი, რომ კლასიკოსისაგან აღარაფერი რჩება, სრულიად იცვლება მისი და იგი ვეღარ იძლევა იმ ეპოქის სწორ გამოხატულებას, რომელშიაც აღნიშნული კლასიკოსი მოღვაწეობდა. თუ რამდენიმე წლის წინად, თანამედროვე იდეებისა და მასალების ნიადაგზე აგებული პიესების უქონლობის გამო ასეთი „ქირურგია“ ერთგვარად გასამართლებელიც იყო, დღეს საბჭოთა რეპერტუარის შედარებითი მოლონიერება საშუალებას გვაძლევს კლასიკური პიესა განვასახიეროთ სცენაზე სწორედ როგორც მასში აღებული ეპოქის გამოხატულება და კულტურული განვითარების გარკვეული სტადიის ნიმუში.

საქართველოში განსაკუთრებით სუსტად მიწინააღმდეგობა ბრძოლა თეატრის პრაქტიკასა და მეთოდოლოგიაში ანტიმარქსისტულ და ანტილენინურ მიწინააღმდეგობათა წინააღმდეგ. ჩვენი მორიგი ამოცანაა გავამახვილოთ ყურადღება ა საკითხისადმი და გამოვამჟღავნოთ მოწინააღმდეგე კლასების იდეოლოგიის ყოველგვარი ნაშთები საბჭოთა თეატრის მუშაობაში.

როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, ისე თეატრალურ ხელოვნებაშიც ჩვენ უნდა მივალწიოთ მუშაობის ძირითად, შინაარსობრივ გარდაქმნას. ეს კი პირველ ყოვლისა მოითხოვს ჩვენი თეატრალური დღევანდლობის შესწავლასა და შეფასებას.

ამ წერილის მეორე ნაწილში ჩვენ შევეცდებით მოკლედ გავარკვიოთ ქართული საბჭოთა თეატრის ეხლანდელი ვითარება განვილილ სეზონის შედეგების მიხედვით.

2

ქართული საბჭოთა თეატრის დონე და მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები ტფილისში მომქმედი ორი სახელმწიფო თეატრის (რუსთაველის თეატრი და რესპუბლიკის სახ. არტისტის კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრი) პრაქტიკით განისაზღვრება, მიუხედავად იმისა, რომ თეატრალურ ერთეულთა ქსელი, როგორც ტფილისში, აგრეთვე რესპუბლიკის სარაიონო ცენტრებში სწრაფი ტემპით იზრდება.

გასულ სეზონში მთელ რიგ სამრეწველო და ადმინისტრაციულ სარაიონო ცენტრში: ქუთაისში, ბათუმში, კიათურაში, თელავში, სიღნაღში და სხვა. მუშაობდა საკმაოდ ძლიერი პროფესიონალური თეატრები, რომელთა რეპერტუარი ძირითადში ტფილისის სახელმწიფო თეატრების მიერ დადგმულ პიესებისაგან შესდგებოდა. თვითონ ეს ფაქტი და ხსენებული თეატრების მუშაობის ხარისხი თავისთავად მოწმობს მასების კულტურულ მოთხოვნილებების და ამასთან შეფარდებით მათთვის მხატვრული მომსახურების ხარისხობრივ ზრდას.

ამ წერილის ფარგლებში ჩვენ არ შევედგებით თითოეულს სარაიონო თეატრის მიერ მოცემული პროდუქციის ანალიზს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათი მუშაობა განვილილ სეზონში, როგორც სარეპერტუარო ხაზის, ისე კვალიფიკაციის მხრივ, უდავოთ საგრძნობი გაუმჯობესებით ხასიათდებოდა, მიუხედავად მთელი რიგი ღრმა და სერიოზული დამაბრკოლებელი მიზეზებისა. ასეთ მიზეზთა

შორის ხაზი უნდა გაესვას ამ თეატრებზე იდეურ-ორგანიზაციულ ხელმძღვანელობის სისუსტეს ხელოვნების ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ და რაც მთავარია—აქტიორული და სარეჟისორო კადრების სიმცირეს.

განვიღო სეზონში თეატრალური ქსელის ზრდამ განსაკუთრებულ სიმწვავეთ ვეჩვენა, რომ არტისტული ძალების ეხლანდელი რაოდენობა და ხარისხი სრულიად აღარ შეეფერება თეატრალური ხელოვნების ზრდის მაჩვენებლებს და ეს გარემოება უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენს თეატრალური ქსელის გაფართოების საქმეში—უმთავრესად მისი ხარისხობრივი კვალიფიკაციის ამაღლების მხრივ.

ასეთ პირობებში ყოვლად დაუშვებელია, რომ თეატრალური კადრების საკითხი ისევ თვითმდინარებაზე დავტოვოთ, როგორც ამას დღემდე ქონდა ადგილი. უკვე აუცილებელია თეატრალური კადრებისათვის ბრძოლას მიეცეს გეგმიანი ხასიათი და მოგვარდეს სათანადო სასწავლო დაწესებულებათა ორგანიზაციის საქმე. ამის გარეშე თეატრალური ქსელის შემდეგი ზრდა—რომელსაც ასეთი ფართო მასშტაბით ითვალისწინებს ხელოვნების მეორე ხუთწლიდის გეგმა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში მოექცევა ხარისხობრივ მაჩვენებლებთან.

უნდა აღინიშნოს ერთი საგრძნობი ნაკლოვანებაც: სარაიონო თეატრების უმრავლესობა თავისი სარეპერტუარო პოლიტიკით, მხატვრული შემოქმედების შეთოდით და მუშაობის ორგანიზაციული ფორმებითაც კი, ყოველ დეტალით—ფეხდაფეხ მისდევს ტფილისის სახელმწიფო თეატრების ტრადიციებს. ამრიგად ხსენებული თეატრების მუშაობა უმრავლეს შემთხვევაში—ტფილისის თეატრების მხატვრული პროდუქციის ადგილობრივს, მინიატურულ ვარიანტს წარმოადგენს—რა თქმა უნდა უფრო ნაკლები საშუალებით და უფრო სუსტ მასალაზე შესრულებულს.

ჩვენ ვერ ვუარყოფთ იმას, რომ სარაიონო თეატრები ცდილობენ გაუსწორდნენ მოწინავე და წამყვან დიდ თეატრებს, მაგრამ ხაზი უნდა გაესვასთ ეპიგონიზმის საფრთხეს. საბჭოთა თეატრი, რომელიც იბრძვის ხარისხობრივად სრულიად ახალი სოციალისტური მხატვრული კულტურის დამკვიდრებისათვის, ვერ განვითარდება სტანდარტის და ეპიგონიზმის გზით. ყოველი თეატრალური კოლექტივის ვალდებულებაა, თავისი ძალებისა და რესურსების მიხედვით იბრძოლოს შემოქმედების ახალი ხარისხისათვის, მუშაობის ახალი ფორმებისა და შეთოდისათვის.

სარაიონო ცენტრებში მომუშავე თეატრებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გასული სეზონის განმავლობაში ჩამოყალიბებული ქუთაისის თეატრის მხატვრული პროდუქცია.

ეს ახალი თეატრალური ერთეული თავისი საქაოად ძლიერი არტისტული კოლექტივით და კვალიფიციური რეჟისურით შეიცავს ყველა შესაძლებლობას იმისათვის, რომ გახდეს ერთ-ერთ მოწინავე თეატრად. თეატრი მთლიანად შესდგება ახალგაზრდა ძალებისაგან, რომელთა შორის ბევრმა უკვე დაიმსახურა საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება. პირველი სეზონის პროდუქცია თავისი იდეური აქტუალობით და მხატვრული ხარისხით ძირითადადში უდავოდ დამაქაყო-

ფილებელია და ახლად ჩამოყალიბებული თეატრის შემდგომი ზრდის შესაძლებლობათა გარანტიას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ თეატრს დაუძლევია ჩვენს პროფესიონალურ თეატრებში დამკვიდრებული სარეპერტუარო—ეკლექტიზმის ტრადიციის (საქართველოს თეატრის მხატვრული დონის და იდეური გეზის დაზარალებელი სპექტაკლებია „მამაცი ჯარისკაცი შვეიცი“ და ბაზოვის „მუნჯები ალაპარაკდნ“.

ამ ორ დადგმაში გამოსჩანს ახალგაზრდა არტისტულ კოლექტივის კვალიფიციური ოსტატობა, მაგრამ აქ მიინც არ იგრძნობა ის, რაც სავალდებულოა ჩვენში შექმნილი ყველა ახალგაზრდა თეატრალური ერთეულისათვის. არ იგრძნობა, რომ თეატრი სცილდებოდეს უკვე მიღწეულ და დამკვიდრებულ დონეს თეატრალურ კულტურაში, რომ თეატრი სცდილობდეს საკუთარი გზის გამონახვას და ამ მხრივ აწარმოებდეს პრაქტიკულსა და თეორეტიულ მუშაობას, რომ თეატრი იბრძოდეს თავისი მხატვრული ხარისხისთვის და აქეთკენ მიმართული ექსპერიმენტალური მუშაობით მონაწილეობდეს საბჭოთა თეატრის ახალ ეტაპზე ამაღლების საქმეში.

სრულიად გასაგებია და ბუნებრივი, რომ თეატრის მხატვრული პროდუქცია განიცდის კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრის ღრმა შემოქმედებით გავლენას (ქუთაისის თეატრის კოლექტივის წამყვანი ბირთვი აღზრდილია მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრში). მაგრამ ახალგაზრდა თეატრს მოეთხოვებოდა მეტი გაბედულებით ეწარმოებია ბრძოლა თავის პრაქტიკაში ყველა იმ არა ჯანსაღი ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც შემჩნეულია მარჯანიშვილის თეატრში და რომელთა დასაძლევად თვით ეს უკანასკნელიც აწარმოებს სერიოზულ მუშაობას უკანასკნელ ხანებში.

ქუთაისის თეატრის მუშაობაში საკმაოდ ძლიერია ფორმალიზმის, ესტეტიზმის და უხეში ნატურალიზმის გავლენები (განსაკუთრებით დადგმაში „ჯარისკაცი შვეიცი“).

ამიტომ ამ თეატრის წინაშე მთელის სიღრმით სდგას ამოცანა იბრძოლოს შემოქმედებითი მეთოდისაოვის და თავისი. მხატვრული პრაქტიკა ამ თავითვე დააზღვიოს ანტიპროლეტარულ მიმდინარეობათა გავლენებისაგან. ამ ახალგაზრდა თეატრს უფრო ნაკლებად ამძიმებს „ტრადიციის ტვირთი“, ამიტომ მას მოეთხოვება მეტი პირდაპირობით აილოს გეზი თეატრის სოციალისტური რეკონსტრუქციისაკენ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ პირველი სეზონის მანძილზე თეატრს არაფერი გაუკეთებია. მან ვერ გაშალა მუშაობა ახალგაზრდა კოლექტივის მსოფლმხედველობითი აღზრდისა და განმტკიცებისათვის. მან ვერ შესძლო მუშა-მაყურებელთან დამოკიდებულების ახალ ფორმების გამოახვევა, ამიტომაც ამ ახალგაზრდა თეატრმა ვერ ვერ მოგვცა რაიმე ნიშანი იმისა, რომ იგი უსწრებდეს თანამგზავრული თეატრების პრაქტიკას, უფრო ორგანიულად უახლოვდებოდეს ჩვენი კლასის იდეოლოგიას, უფრო გაბედულად იბრძოდეს სოციალიზმში შემავალი ქვეყნისათვის შესაფერი ხელოვნების შესაქმნელად.

მუშა ახალგაზრდობის თეატრალურმა მოძრაობამ („ტრამი“) გასულ წელს ვერ მოგვცა ზრდისა და განმტკიცების რაიმე თვალსაჩინო ნიშნები. მოსკოვისა

და ლენინგრადის „ტრამის“ მიერ დაშვებულ შეცდომათა მექანიკურმა გადმოტანამ, მხატვრული ხელმძღვანელობის სისუსტემ, საქმის არასწორმა ორგანიზაციამ და ხელოვნების ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ მზრუნველობისა და ყურადღების სისუსტემ—ამ მიზეზთა მთელმა კომპლექსმა დაგვსტენა იმ შედეგების წინაშე, რომ საქართველოში მუშა ახალგაზრდობის თეატრალურმა მოძრაობამ თავისი არსებობის 3—4 წლის მანძილზე ვერ მოიპოვა თეატრალურ ფრონტზე რაიმე ხვედრითი წონა. ტფილისის მუშა ახალგაზრდობის რამდენიმე დადგმაში არაფერია პრინციპილურად ახალი და თავისებური. მათი მხატვრული კვალიფიკაცია ბევრად ვერ სცილდება თვითმოქმედ დრამურების საშუალო საეკსტაზის დონეს. მან ვერ შექმნა საკუთარი რეპერტუარი, ვერ აღზარდა მტკიცე კოლექტივი და ამიტომაც ვერ შექმნა თავისი აუდიტორია, ვერ მოიპოვა საჭირო პოპულიარობა და ავტორიტეტი მუშა ახალგაზრდობის მასებში. მუშა ახალგაზრდობის თეატრის გაჯანსაღება, მისი სწორ ნიადაგზე დაყენება და განმტკიცება წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას თეატრალურ ფრონტზე.

ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა მუშაობის შემაფერხებელ გარემოებათა დაწერილებით შესწავლა და აღნუსხვა; ყველა დაშვებულ თეორიულ და ორგანიზაციულ შეცდომათა გამომკლავება და მუშაობის ძირითადად გარდაქმნის კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა, რაც მოითხოვს სპეციალურ დამუშავებას და ცხადია სცილდება ამ ზოგად-სამეცნიერო ნარკვევის ფარგლებს.

ჩვენი თეატრალური ფრონტის „ვიწრო ადგილს“ წარმოადგენს აგრეთვე თვითმოქმედი თეატრალური ხელოვნება, რომლის ზრდისა და განვითარების ტემპი აშკარად და დიდი მანძილით ჩამორჩება ჩვენში მუშათა მასების კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდისა და საერთოდ სოციალიზმის მშენებლობის ტემპებს.

ოქლისში ჩატარებულმა რესპუბლიკანურმა ოლიმპიადამ ნათლად გვიჩვენა, რომ როგორც ტფილისში, ისე რაიონებში მუშათა თეატრალური თვითმოქმედება მოკლებულია კვალიფიკიურ სამხატვრო ხელმძღვანელობას, მას არ გააჩნია საკუთარი სპეციალური რეპერტუარი, რის გამოც წრეები უმრავლეს შემთხვევაში მუშაობენ მდარე და დაბალ ხარისხოვან ლიტერატურულ მასალაზე. ოლიმპიადამ გვიჩვენა, რომ თეატრალური თვითმოქმედება საგრძნობად ჩამორჩა მუსიკალური თვითმოქმედების დონეს. ამ ჩამოჩენილობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის „მემარცხენე“ ვულგარიზატორული შეცდომა, რომელიც მდგომარეობს თეატრალური თვითმოქმედების განსაზღვრაში მხოლოდ მხატვრული ავტორობრივადების მუშაობით. ასეთი „თეორიის“ პრაქტიკულმა განხორციელებამ შედეგად მოგვცა თეატრალური თვითმოქმედების ხარისხობრივი შესუსტება, მისი გამოთიშვა პროფესიონალური თეატრის განვითარებისაგან და მისდამი დაპირისპირება, ამას დაერთო არასაკმაო ყურადღება მასების მხატვრული თვითმოქმედებისადმი სათანადო ორგანიზაციების მხრივ.

ცხადია, ნათქვამი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ამ ფრონტზე ჩვენ არ გვექონდეს საგრძნობი მიღწევები; ის ფაქტი, რომ მ. კიაურელის ხელმძღვანელობით მომუშავე თვითმოქმედმა კოოპერატიულმა თეატ-

რმა ღირსეული ადგილი დაიჭირა თვითმოქმედ ხელოვნებათა საკავშირო ოლიმპიადაზე, აშკარად ლაპარაკობს ჩვენი მიღწევების შესახებ კამდარგში. ჩვენ გვყავს მთელი რიგი ძლიერი თვითმოქმედი წრეები—*რეჟისორების* „მლახანოვის კლუბთან არსებული ქართული დრამაწრე და სხვა. მაგრამ—*განსაკუთრებული* გამოაკლისთან მიუხედავად, მთლიანად თეატრალური თვითმოქმედება საქართველოში დღესდღეობით ვერ დგას იმ სიმაღლეზე, რომელიც აუცილებლად უნდა მოიპოვოს სოციალიზმის მშენებელი მასების ხელოვნებამ.

თვითმოქმედი ხელოვნების საკითხს განსაკუთრებული სიმახვილე ეძლევა ეხლანდელ ეტაპზე, როცა სოციალიზმის აგების ხუთწლედის მოახლოებასთან დაკავშირებით, ჩვენ ვიბრძვით სოციალისტური ხელოვნების განმტკიცებისათვის. მხატვრული თვითმოქმედება სოციალისტური საზოგადოების მხატვრული კულტურის ერთერთი ძირითადი წინამძღვართაგანია. ამიტომ თეატრალურ თვითმოქმედების განვითარებისთვის ყველა შემაფერხებელ სიძნელეთა დაუყოვნებლივ დაძლევა და ძირითადი გარდატეხის მიღწევა უნდა წარმოადგენდეს ჩვენს მორიგ საბრძოლველ ამოცანას თეატრალურ ფრონტზე.

როგორც დადებითი მოვლენა,—მასიური მხატვრული თვითმოქმედების გზით ხელოვნების პროფესიონალურ მუშაკთა ახალი კადრების აღზრდის მაჩვენებელი ფაქტი,—უნდა აღინიშნოს რეჟ. გ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით არსებული მუშათა თეატრის საქმიანობა. განვლილ სეზონის განმავლობაში ეს თეატრი სპეციალურად ემსახურებოდა ლენრაიონის მუშა-მაყურებელთა მასას. მისი დადგმები: „მე-12“, „შვიდი დღე“, „იორგენის დღესასწაული“, „ხანძარი“ და სხვა, საკმაო წარმატებით სარგებლობდნენ ტფილისის მუშათა კლუბებში.

3

რუსთაველის თეატრის მხატვრული პროდუქცია განვლილ სეზონში ორი დადგმით განისაზღვრა: „თეთნულდ“ და „სალტე“,

პიესა „თეთნულდ“ ცნობილი დრამატურგის, შალვა დადიანის შემოქმედებაში საყურადღებოა იმით, რომ აქ მოცემულია ცდა დღევანდლობის აქტიური ამოცანების გაგებისა და თანამედროვე თემატიკაზე აშენებული ფართო დრამატურგიული სტილის მოხაზვისა. ჩვენ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებით გამოწვეული ბრძოლა ძველსა და ახალ ყოფა-ცხოვრებითი ფორმებს შორის, რღვევა ძველი შეხედულებების, ტრადიციების, ადათების,—ეს მეტად რთული და ღრმა პროცესი ავტორმა აიღო სვანეთის თავისებურ პრიმიტიულ გარემოცვაში. სვანეთში, ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის, კოშკების და ბაპების სამყაროში, შეიჭრა ახალი იდეები და მძლავრად შეარყია სარწმუნოებრივ ადათებზე, ლოცვებზე, რიტუალებზე, სისხლის აღებაზე დამკვიდრებული ყოფაცხოვრება. წარსული არ „ნებდება“,—მომავალს იგი ებრძვის უკანასკნელი გაბრაზების მთელი სიმძლავრით, მაგრამ ისტორიის ლოლიკა მაინც თავის გზით ვითარდება. ძველი განადგურების სიბრტყეზეა დაქანებული, ახალი იმარჯვებს. ამ დაპირისპირებაში იბადება განწირულ ყოფის მატარებელ ადამიანთა ტრაგედია. ამიტომ დადიანმა პიესა ტრაგედიის ხაზებში გაშალა და

სცადა კლასიკური ტრაგედიის ფორმის ერთგვარი რესტავრაცია. პიენის სიუჟეტური აღნაგობა შესრულებულია დადიანისათვის დამახასიათებელი ოსტატობით, სიტყვიერი მასალა უდავოდ მაღალკვალიფიციურია (ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რადგანაც ჩვენს ახალ დრამატურგიაში სიტყვის/დასმუშავებას ნაკლები ყურადღება ექცევა). მომქმედთა ნიღაბები გამოკვეთილია ძლიერი რელიეფურობით და ამ მხრივ მიღწეულია სახეთა ცოცხალი გალერეია.

ყველაფერი ეს — „თეთნულდს“ პროგორც დრამატურგიულ ნაწარმოებს, ხდის მნიშვნელოვან ღირებულებად. ეს პიენა, „უბედური რუსისა“ და „ათეს“-ს ავტორისათვის უსათუოდ საგრძნობი ნაბიჯია წინ, — დღევანდლობის გაგებისა და მხატვრული განსახიერებისაკენ.

მაგრამ კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ დადიანმა ვერ დასძლია ამ ტრაგედიით დასახული ამოცანა. მან ვერ გაიგო თანამედროვე სვანეთში წარმოებულ ბრძოლის ნამდვილი შინაარსი, სწორად ვერ შეაფასა ამ ბრძოლაში დაპირისპირებულ ძალთა ნამდვილი განწყობილება და ვერ მოგვცა დღევანდლობის სწორი გამოხატულება. ყოფაცხოვრებითი ბრძოლა ავტორმა მოსხლიტა სოციალ-ეკონომიურ წინააღმდეგობათა საფუძველისაგან. ამიტომ ეს ბრძოლა იქცა გაუგებარ, დაუსაბუთებელ დროსა და სივრცის გარეშე დაკიდებულ აბსტრაქციად. თუ კოშკების და ბაშების, სვანეთი, მის გარეგან გამოვლინებაში მიინც, გაგებულია ავტორის მიერ და გამოხატული საკმაო მხატვრული ინტენსივობით, სამაგიეროდ მკრთალია და უსიცოცხლო სქემებში წარმოდგენილი სვანეთში სოციალისტური რეკონსტრუქციის შემტანი ძალა. საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი, მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიის პოლიტიკა აქ ჩვეულებრივ „განმანათლებელ“ მოძრაობამდე დაყვანილი. ბრძოლა სწარმოებს ყოველგვარი სოციალური მოტივიროვის გარეშე. დრამატურგია წამყვანი ფაქტორია თეატრში. ამიტომ გასაგებია, რომ ავტორმა გაიყოლია თეატრი და მთლიანად სპექტაკლი სწორად ვერ სჭრის დასახულ პრობლემას.

სცენაზე ორი კოშკია დაპირისპირებული; მაგრამ არ სჩანს მათ შორის რაიმე სოციალურ და სამეურნეო ინტერესებზე აღმოცენებული წინააღმდეგობა. ვერავითარი სვანეთის თავისებურება ვერ გაამართლებს კლასობრივი დიფერენციაციის ისეთ შეუმჩნელობას და დღევანდლობაში წარმოებულ ბრძოლის ასეთ „განყენებას“.

სპექტაკლში ძველი სვანეთი ვერაა გახსნილი თანამედროვე ადამიანის თვალთა ხედვით. აქ იგი ერთგვარად იდეალიზაციაქმნილიცაა. მთელი სიღრმით, მხატვრულა ფერადების მთელი ძალით შესრულებულია წარსულის ყოველი დეტალი და მისი მატარებელი პერსონაჟის ხასიათები, მაგრამ არ არის გახსნილი ხაზგასმით ამ „ფერადი ხავის“ რეაქციონური როლი, მისი შემბოროკავი და შემაფერხებელი გავლენა. შედეგად ვლდებულობთ ისეთ ეფექტს, რომ ვერ ახდენს მაყურებელის შეგნების ორგანიზაციას ძველი სვანეთის ტრადიციათა წინააღმდეგ. პირიქით, მთელ რიგ მომენტებში რიტუალები, ადათები სახიერდებიან თავისებურ და ერთგვარ „მიმხიდეველ“ სამყაროს კოლორიტით. სპექტაკლი ვერ არღვევს იმ მისტიურობისა და კარნავეტილობის რკალს, რომელსაც სვანის შე-

მეცნებაში ქმნის ეს პრიმიტიული ინვენტარი—ნივთებისა და ხასიათების ხელ-კუნობით ჩაენგული გარემოცვა.

ძველ სამყაროს ჩვენებას სცენაზე მაშინ ეძლევა სოციალური კონტრასტები, როცა თეატრი მას ჩამოაკლის ყველა გამაიდვალეზელ სამოსელს და ინსტრუქტორ ნიღაბს და გააწიშვლებს მის ნამდვალ კონსერვატიულ და მავნებელ ბუნებას. ეს ვერ შესძლო ამ სპექტაკლის ავტორმა.

მეტად სუსტად და დამაჯერებლობას-მოკლებულადაა წარმოდგენილი ახალი სვანეთის მშენებელი ძალი. არ იგრძნობა ხელისუფლების აქტივობა წარმოებულ ბრძოლაში. არ სჩანს პარტიის ხელმძღვანელი და ორგანიზატორული როლი. ახალგაზრდობა და კომკავშირი არ არის წარმოდგენილი, როგორც მომქმედი, გარკვეული იდეებით შეიარაღებული და მებრძოლი ენერჯის მატარებელი ძალა.

ისევ კოშკი, რიტუალი, როცა-სიმღერა და საერთოდ პრიმიტივი ფარავს სვანეთს. ახალი ძალი დარღვილია ამ გარემოცვაში. აქედან დაუჯერებელი ხდება და ძალთა განწყობილების ლოლიკიდან არ გამომდინარეობს ის „სიმბოლიური გამარჯვება“, რომლითაც სპექტაკლი მთავრდება.

კომუნისტური იდეებით შეიარაღებული, ახ. სტალინის ლოზუნგით ამეტყველებული გელახსანი სასიკვდილო მარცხით ამთავრებს თეთნულდთან ბრძოლას სამაგიეროდ იმარჯვებს შურისძიებისა და სისხლის აღების გრძნობით ამოძრავებული ლახილ. მარტო ამ შტრიხიდან შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად შემცდარია და ყალბი ბიესის ძირითადი კონცეპცია.

როგორც თეატრალური ნამუშევარი „თეთნულდ“ უდავოდ ძლიერი და მრავალ მხრივ საყურადღებო სპექტაკლია. იგი შესრულებულია მართლაც მონუმენტალურ ხაზებში და შედგენილია გამოშახელი საშუალების ინტენსიური შერჩევით. დადგმის ყოველ დეტალს ემშენება ზუსტი დამუშავება. კომპოზიცია მტკიცეა და მთლიანი. იგი დამყარებულია ერთიან რიტმზე და სტილობრივ მთლიანობაშია მოქცეული. განსაკუთრებით კარგადაა დამუშავებული რიტუალები და კერძოთ ბაგების სცენა. დეკორატიულად სპექტაკლის გაფორმებაში მალწეულია სვანეთის ნივთიერი ინვენტარის და საერთოდ გარეგანი კოლორიტის სრული ილუზია. გაფორმება დამყარებულია რუსთაველის თეატრის ჩვეულებრივ დეკორატიულ პრინციპზე. ნატურალური კოშკები, დეკორატიული კონსტრუქციის მიმე ნაგებობა. აღსანიშნავია მხოლოდ ასეთი გაფორმებისათვის სტილისტური შეუსაბამობა იმ უკიდურესი პირობითი პრინციპის, რომლითაც შესრულებულია მთა თეთნულდი.

აქტიორული შესრულების ცენტრში სდგას აკ. ხორავა. იგი ჩვეულებრივად ძლიერია არგიტდის როლში. მსახიობს ამოცანად დაუსახავს მოგვეცეს სახე, რომლითაც უნდა გამოახატოს წარსულის მთელი ძალა და სიღრმე, მაგრამ ახალის წინააღმდეგობით შერყეული ბუნება. ამ ხაზებში ანეითარებს ხორავა როლს, მაგრამ ზოგჯერ მის შესრულებაში იმდენი სირბილეა შეტანილი, რომ იწვევს მაყურებლის სიმპატიას არგიტდის მიმართ და გვაიწყებს არგიტდის სახით მებრძოლ ძალის საფრთხეს. გ. დავითაშვილი ვერ იძლევა როლის

სწორ და დამაჯერებელ გაგებას. ლახილის შემსრულებელი სუსტიკა ახალ არტისტული კადრებიდან მოთქმებული და ძლიერი შესრულებით განირჩევა ელგუჯა ლორთქიფანიძე და ჯაჯანაშვილი.

ეპიზოდური როლები კარგადაა დამუშავებული და შესრულებული.

ნიჭიერი კომპოზიტორის იონა ტუსიას ნამუშევარი ორგანიზულადაა შეფარდებული სპექტაკლის ბუნებასთან. ამ ძლიერ ნაწარმოებს ის ნაკლი აქვს, რომ როგორც საერთოდ სპექტაკლში, მუსიკალურ გაფორმებაშიც საგრძნობია სვანური პრიმიტივისადმი მოკრძალება და მოწიწება; აქედან ბურუსისა და მისტიკის დამძლევე, წამყვანი რაღა. არ შეიძლება ხელუკანი მთლიანად დაეპოვინოს მასალის თავისებურებას. საჭიროა სპეციფიურ მასალასთან გარკვეული იდეური თვალთახედვით მიდგომა.

„თეთნულში“ ავტორმა დააყენა მთელი რიგი სცენიური პრობლემებისა. ეს მოწმობს იმას, რომ ავტორი მუშაობს მხატვრული მეოდიის და საკუთარი შემოქმედების გზის გამონახვაზე.

სხვათა შორის ამ დაღვამაში თეატრმა სცადა დიალექტიკური მეოოდის კონკრეტიზაცია და გამოყენება. მთელი რიგი სცენები შესრულებულია ამ მოფიქრებით. მაგალითად ლახილის მთაზე ასვლის და არგიდის სასიკვდილო დაცემის ერთდროულობა. გელახსანის კოშკში მოთქმის და არგიდის ზეიმის ერთდროულობა და სხვა. ცხადია, აქ საქმე გვაქვს დიალექტიკის ვულგარიზაციასთან, მის შეცვლასთან უბეში მექანიციზმით.

სეზონის მეორე პრემიერად თეატრმა დასცა პ. სამსონიძის „სალტე“. ეს ხსენებული პროლეტარული მწერლს პირველი დრამატურგიული ნამუშევარია. პიესა აგებულია სოფლად მიმდინარე სოციალისტური რეკონსტრუქციის თემატიკაზე: კოლმეურნეობრივი მოძრაობის ზრდის სიმწელები, შრომის ორგანიზაციის საკითხები, საშუალო გლეხის მერყევი ბუნება და კომკავშირის აქტიური როლი სოფლად, — ასეთია პიესის ძირითადი პრობლემები.

ავტორმა შესძლო მოკვა მთელი რიგი რეალურად და დამაჯერებლად შესრულებული ეპიზოდებისა ახალი სოფლის ცხოვრებიდან. მან მკაფიოდ გამოაქვლინა კულაკობის ფარული წინააღმდეგობის ფორმები ეხლანდელ ეჭაბზე. სწორადაა მოხაზული საშუალო გლეხის ხასიათი, როგორც მერყეობს, ყოყმანობს, ეტყევა კულაკური ელემენტს გავლენაში. მაგრამ საბოლოოდ მაინც მკიდრად უკავშირდება სოციალისტური მშენებლობის პროცესს და ებძება მის ძლევაში. მდინარებაში. განსაკუთრებით ცოცხლად და რეალურად გვიჩვენა ავტორმა სოფლის კომკავშირი. კომკავშირის უჯრედის სხვაობა პიესის საუკეთესო მომენტს წარმოადგენს შესრულების და ლიტერატურული დამუშავების მხრივ. პიესას აქვს საუფეტური კონსტრუქცია, მოქმედებებს ეტყევა ფსიქოლოგიური მოტივაცია. ყველა ამის შედეგად „სალტე“ საკმაო წარმატებით სარგებლობს მასიურ მაყურებელთა ფენებში და იგი უდავოთ მიეკუთვნება ჩვენში ახლად მოყალიბე, ჯერ კიდევ სუსტი პროლეტარული დრამატურგიის აქტივს.

მაგრამ პიესას აქვს საკმაო ნაკლოვანებანი: მასში მკრთალადაა ასახული პარტიის ხელმძღვანელობის როლი სოფლის სოც-რეკონსტრუქციის საქმეში. ღარიბი გლეხობა და მისი ორგანიზაციული ბრძოლა ვერ არის სწორად გაგე-

ბული და გადმოცემული (ყველა განცდენი და მუქთახორა ავტორის უფრობესთა ფენიდან გამოყავს). გაუმართლებელია აგრეთვე კომპაევირის ორგანიზაციის ისე ადვილად დაჯერება კულაების პროვაციაციით: თვით ამერანის რეჟისორულ-ლობის ცდაც და მისი შემთხვევით გადარჩენა—არ არის სწორი გამოხატულება კომპაევირის ბრძოლის ფორმებისა კლასობრივი მტრების წინააღმდეგობასთან.

დრამატურგიულად პიესის ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს სიუჟეტის მარტივი და მთელ რიგ მომენტებში გულუმბრყვილო აგებულება. სიტყვიერი მასალის ლიტერატურული კვალიფიკაცია დაბალია. არის გაუმართაობის და შტამპის მომენტებიც.

თეატრმა „სალტეს“ დადგმაში უმთავრესად ყურადღება მიიქცია ტიპაჟის გამოვლინებას და სოფლის კოლორიტის მოკემას, ამ მხრივ ამოკანა სპექტაკლში შესრულებულია. მსახიობები (ჯაფარიძე, სალარიძე, აფხაიძე, ჩიხლაძე, კორიშვილი, წულაძე) კმნიან რეალურ და ნიჭიერად შესრულებულ ტიპაჟს. მთელ რიგ მომენტებში დარღვეულია მხატვრული ზომიერების გრძობა და ხდება გადაჭარბება შარჟისა და ზედმეტი სანტიმენტალობის მხრივ. საერთოდ სპექტაკლი მოფიქრებულად და ორგანიზაციულადაა დამუშავებული.

საქართველოს პირობებში სეზონის ორი დადგმით განსაზღვრა არ შეიძლება თეატრს ჩაეთვალოს საკმაო პროდუქტიულ მუშაობად. მთა უფრო, რომ მეორე დადგმას („სალტე“) არ ემზნევა დიდი დროისა და ენერჯიის დახარჯვა.

ამ ორი დადგმით რუსთაველის თეატრი რჩება იმავე იდეურ და მხატვრულ პოზიციებზე, რომელიც მან წინა სეზონში მოიპოვა, რაიმე სერიოზული დამერისა და განსაკუთრებული ზრდის ნიშნები ამ დადგმებში არა სჩანს. ეს კი აუცილებელია ისეთი მოწინავე საბჭოთა თეატრისათვის, როგორცაა რუსთაველის თეატრი და რომელსაც აქვს დიდი შესაძლებლობანი მოგვეს ეპოქისათვის შესაფერი მეტი პროდუქცია.

კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრისათვის განვლილი სეზონი მით არის განსაკუთრებული, რომ სეზონის ხუთივე პრემიერა დამყარებულია რევოლუციონური დღევანდლობის აქტიურ პრობლემებზე, თეატრმა სეზონში ჩაატარა ნაყოფიერი მუშაობა თავისი შემოქმედებითი მეთოდის განსათავისუფლებლად ფორმალისმისა და ესტეტიზმის გავლენებისაგან და ამავე დროს დააწინაურა არტისტული ხელოვნების მოწინავე რიგებში დააყენა მთელი რიგი ახალი ძალებისა.

მუშათა კლასის მიერ მეცნიერული მწვერვალებს დაპყრობა და ახალი კადრებისათვის ბრძოლა (მიკიტენკოს „ანათეთ ვარსკვლავნო“), ჩვენი კლასის რევოლუციონური წარსულის მხატვრული განსახიერება (იასვილის „მოხუცი ენტუზიასტი“), ინტელიგენციის რეაქციონური ნაწილის გამოქვავება მხატვრულ სახეებში (კალაძის „სახლი მტკვრის პირას“), ქართველ ებრაელთა მასების გადაყვანა შემოქმედებითი შრომის რელსებზე, მასში კლასობრივი დიფერენციაციის შექრა და საკოლმეურნო მოძრაობის გაშლა (ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდენ“) და ახალი სამეცნიერო კადრებისათვის ბრძოლა ძველ პროფესურის დიფერენციაციის გარემოცვაში (აფინოგენოვის „შიში“),—ასეთია თეატრის მიერ განვლილ სეზონში ჩატარებული მუშაობის პრობლემურ თემატიური დიაპაზონი.

ძირითადად ორიგინალურ რეპერტუარზე დაყრდნობის პირობებში თეატრმა დაამუშავა რუსული და უკრაინული თანამედროვე დრამატურგიის რეპერტუარი ნიმუშებიც.

ყველა დადგმებში თეატრი ამხეილებდა პიესის იდეურ-სოციალურ მომენტს და ამ უკანასკნელის ინტენსიურად გამოვლენას უმორჩილდებოდა მხატვრულ საშუალებათა შერჩევასა და დამუშავების ტექნიკას. ამ მხრივ უკანასკნელ დადგმებში უკვე აღარ იგრძნობა უსაგნო ფორმათა ძიებით გატაცება, უმიზნო ესთეტიზმი და პიესის იდეური შინაარსისაგან გამოთიშული სანახაობითი ოსტატობისაგან სწრაფვა, რაც წინა სეზონების მანძილზე ახასიათებდა ამ თეატრის მთელ რიგ დადგმებს და აფერხებდა თეატრის დაახლოვებას სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებთან.

ამით თეატრმა დაამტკიცა, რომ იგი ყურადღებით უსმენს საბჭოთა საზოგადოებრივობას და მუშა მაცურებელთა მასებს, რომ იგი სწავლია ჩვენ პრესაში გაშლილი კრიტიკისაგან და გულწრფელად ცდილობს ორგანიზულად გაიგოს და გამოხატოს ჩვენი კლასის წარსული და ეხლანდელი ბრძოლის ეპოქები.

მაგრამ იდეური ზრდისა და საბჭოთა თეატრის პოზიციებზე განმტკიცების პირობებში თეატრი ვერ იძლევა პროდუქციის მხატვრული ხარისხის და ოსტატობის კვალიფიკაციის ასეთსავე ზრდას. თეატრმა ჯერ კიდევ ვერ აიღო გარკვეული შემოქმედებითი გეზი, მის მუშაობაში ჯერ კიდევ იგრძნობა სტილობრივი ეკლექტიზმის ნიშნები.

განვიხილო სეზონში მთელ რიგ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად ადგილსა და პირობებში თელსაჩინო ჩავარდნასაც, რაც იმას მოწმობს, რომ თეატრის ზრდას არ აქვს გარკვეული და მტკიცე კანონზომიერება, რომ იგი მოკლებულია საჭირო მხატვრულ დისციპლინასა და მუშაობის ორგანიზაციულ სიმტკიცეს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით იჩენდა თავს განახლებულ დადგმებში, სადაც წინა სეზონში მაღალხარისხიანად განხორციელებული სპექტაკლი იდგმებოდა უკვე თითქმის დაშლილ მდგომარეობაში, გაცილებით დაბალი მხატვრული ღირებულებით („ყვარყვარე თუთაბერი“, „კაკალ გულში“ და სხვა).

მხატვრული მთლიანობისა და შემოქმედებითი დისციპლინის მქონე თეატრში შეუძლებელია ისეთი ხარისხობრივი დისპროპორცია, როგორც არსებობს განვილილ სეზონის ცალკეულ დადგმათა შორის. მართალია, ამ შემთხვევაში დრამატურგიული მასალის ხარისხსაც აქვს გარკვეული გავლენა, მაგრამ თეატრის მუშაობაც ყველა დადგმაში თანაბარი ინტენსივობით არ იყო აღნიშნული.

თეატრის მიერ სეზონში განხორციელებული ზუთი დადგმიდან შედარებით სუსტი ნამუშევარია „მოხუცი ენტუზიასტი“ და „სახლი შტკერის პირას“.

„მოხუცი ენტუზიასტი“-ს დადგმას ის გამართლება აქვს, რომ იგი ეკუთვნის დაზღვის მუშის იაშვილის კლასს და ამ რიგად წარმოადგენს პირველ კლასს მწერლობაში გაწვეული დამკვრელის დრამატურგიული ნამუშევრის გამოყენებისას დიდი პროფესიონალური თეატრის სცენაზე. ამ მხრივ თეატრის

მეორე გადადგმული ნაბიჯი უთუოდ უნდა გაგრძელებული იქნას, მაგრამ ამ დიდი განზრახვის და იდეის განხორციელება უნდა ხდებოდეს ნაწარმეგვიტ მხატვრული ლირებულების აუცილებელი გათვალისწინებით.

ვერავითარი მოსახრება, ვერც პოლიტიკური აქტუალობა, ვერც იდეური სიჯანსაღე, ან სხვა რაიმე დადებითი განზრახვა ვერ გაამართლებს მხატვრულ ნაწარმოებს, თუ იგი თავისი თვისობრივი ლირებულებით არ შეეფარდება მუშათა კლასის მხატვრულ მოთხოვნილებათა დონეს.

„მოხუცი ენტუზიასტი“ გაშლილია ლენინში რევოლუციონური მოძრაობის მასალებზე, მაგრამ სიუჟეტის გულუბრყვილო და არა დამაჯერებელი აგებულების გამო, ნაწარმოების დრამატურგიული სისუსტის შედეგად პიესა ვერ იძლევა აღებული მასალის სწორსა და შესაფერისი სიღრმით შესრულებულ გამოხატულებას. ავტორმა ამ პირველი ცდით უთუოდ გამოიჩინა ლიტერატურული მუშაობის უნარი, მაგრამ მას დასჭირდება სერიოზული და ენერგიული მუშაობა დრამატურგიის ოსტატობის დაუფლებისათვის. ეს პიესა, სხვათაშორის, წარმოადგენს იმის ილუსტრაციასაც, თუ რა სუსტად ეხზარებოდენ ზენი ლიტერატურული ორგანიზაციები ნიქისა და უნარის მქონე დამკვირვებებს ლიტერატურული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

თეატრმა ვერ შესძლო ამ მასალაზე თემისათვის შესაფერი სიძლიერისა და სიღრმის სპექტაკლის შექმნა. ცალკეული კარგად დამუშავებული მომენტები, სიერცეში მბრუნავი რგოლი, მთელ რიგ მსახიობთა დამამკაყოფილებელი შესრულება, — ვერ ქმნის საერთოდ დადგმის ისეთ ხარისხს, რომელიც მოეთხოვება მოწინავე საბჭოთა თეატრს.

გასული სეზონის პრემიერა კარლო კალაძის „სახლი მტკვრის პირად“, როგორც ავტორის, ისე თეატრისათვის უდავო მარცხით დამთავრდა. ავტორმა ამ პიესით განიზრახა მოეცა საბჭოთა კომედია, გაშლილი თანამედროვე ქართველი ინტელიგენციის კონსერვატიული ფენების მასალაზედ. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ „როგორი“-სა და „ხაჯიტე“-ს ავტორმა ვერ დასძლია კომედიის ენარი, მით უფრო ვერ გადასჭრა ამ პიესაში გატარებული მეტად რთული პრობლემა ინტელიგენციისა. საბჭოთა კომედიის ნაცვლად მიწრლეთ შარების გაღერვა და მსუბუქ ანეკდოტების გასცენიურება, რომლებიც არ არიან ორგანიზაცია ქმნილი რაიმე გამძლე სიუჟეტური კომპოზიციით. ავტორმა ვერ მოახერხა მოეცა ინტელიგენციის დიფერენციაცია, ექვევებია მისი სხვადასხვა ფენათა ხასიათი და დამაჯერებელ რეალურ ტიპებში წარმოედგინა ერთის მხრივ დეგრადაციის გზაზე დაქანებული რეაქციონური ინტელიგენციის ნარჩენებო ხოლო მეორეს მხრივ პროლეტარიატის პოზიციებზე გადმოსული ძველი ტენიკური და გუმანიტარული ინტელიგენცია და აღმოჩავალი პროლეტარული ინტელიგენციის კადრები. პროლეტარული ახალგაზრდობაც და კომკავშირიც კი პიესაში შარეულადაა წარმოადგენილი. ეს პიესა წარმოადგენს სცენაზე გადატანილს ცნობილ კინო სურათს „ხაბარდა“. ამ უკანასკნელის უბეში პოლიტიკური და მხატვრული შეცდომები კიდევ უფრო ხაზგასმულია და გაღრმავებული კალაძის პიესაში. ცხადია ასეთი მასალისაგან თეატრი ვერ შექმნიდა საჭირო და სასარგებლო სპექტაკლს და დადგმაში შემჩნეული ზოგიერთი მსახი-

ობების კარგი შესრულება, დამაკმაყოფილებელი დეკორატიული ნამუშევარი და აღვილებში მახვილად მოფიქრებულა მიზანსცენები ამაოდ და უშიზრად და-
კარგულია.

ამ ორ შედარებით სუსტ დადგმასთან ერთად თეატრმა განსულ სენონში მოგვცა სამი პოლიტიკურად მახვილი, იდეურად საკსებით შეფარდებული ჩვენი დღევანდლობის ამოცანებთან და მხატვრულად მაღალ ხარისხოვანი დადგმა: მიკიტენკოს „კადრები“, ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდენ“ და აფინოგენოვის „შიში“.

დიდი ქსპერიმენტალური ძიებებით, ორგინალური ოსტატობით და სცენიური კულტურის ახალი ხერხების გამოყენებითაა შესრულებული მიკიტენკოს ხსენებული პიესა, რომლის თაღმა თავის თავად მოწმობს, რომ თეატრს შეგნებული აქვს მოძვე რესპუბლიკებთან კულტურული კავშირის განმტკიცების აუცილებლობა და თავის რეპერტუარში გარდა რუსული დრამატურგიისა შე-
აქვს საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა დრამატურგიული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებიც. ამ დადგმაში მაქსიმუმამდეა აყვანილი პრინციპი გამომსახველობითი საშუალებათა ეკონომიისა სცენაზე და განზრახული ეფექტის მიღწევისა მარტივი და თეატრალურ მოულოდნელობის ხერხებით. დადგმა, როგორც დეკორატიულად, აგრეთვე მიზანსცენებისა და აქტიორული შესრულების მხრივ მოქცეულია მთლიან სტილისტური პირობითობაში. ასეთი ფორმითი ექსპერიმენტალობამ ხელი არ შეუშალა თეატრს მახვილად ხაზი გაესვა პიესის დადგმის იდეური მომენტისათვის და ეჩვენებია პროლეტარული ახალგაზრდობის თავად-
დებული მუშაობა მეცნიერების მწვერვალების დაუფლებისათვის რეაქციონურ პროფესურის გამძაფრებულ წინააღმდეგობისა და სხვა სიძინელთა გარემოცვაში.

აგრეთვე მეტად აქტუალური და მრავალმხრივ საყურადღებო სპექტაკლია „მუნჯები ალაპარაკდენ“. ამ პიესის დადგმით პირველად ქართულ სცენაზე ენახეთ ქართველ ეზრაელობა, მაგრამ არა ისე, შარკულაღ და კარიკატურულად, როგორც ეს მანამდე ხდებოდა ტრაფარეტულ კამედიებში, არამედ ეზრაელობა მისი ნამდვილი ყოფა-ცხოვრებით, მისი სოციალური დიფერენციაციით და დღევანდელი სამეურნეო პოლიტიკური ცხოვრებით.

ბააზოვმა შესძლო ეზრაელების ცხოვრებიდან აღებული სპეციფიური მასალა გაეშალა არა ენტოგრაფიულ ხაზებში, არამედ მოგვცა იგი გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის გარემოცვაში, რითაც პიესას ეკარგება ვიწროდ ეზრაეული ყოფა-ცხოვრების ხასიათი და უპასუხებს საერთოდ ჩვენი რევოლუციის აქტუალურ სადღეისო საკითხებს.

პროლეტარული რევოლუციის მიღწევათა ნიადაგზე მძაფრდება ეზრაელთა შორის სოციალურ-კლასობრივი წინააღმდეგობა. ეზრაელთა მშრომელი მოსახლეობა სტოვებს ჩარჩ მწვერილმანეობის ტრადიციას და გადადარს შემოქმედების შრომის რელსებზე, იშლება საკოლმეურნეო მოძრაობა ეზრაელთა შორის. ამ პროცესების ასახვა, მათი სპეციფიურობის ჩვენება, მასში მოქცეულ ადამიანთა პირადი დრამის განსახიერება—ასეთია პიესის იდეური და თემატიური შინაარსი. აეტორმა მასალა მოაქცია საკმაოდ მიმზიდველ სიუჟეტურ განვითარებაში, პიესას აქვს მთელი რიგი სერიოზული დეფექტებისა: მასში ბევრია

გულუბრყვილო და მოქმედებათა ლოლიკით დაუსაბუთებელი მომენტები, მასში ბევრია საკოლმეურნეო პიესებში უკვე შტამპათ ქცეული დრამატული ჩერხების გამეორება. პიესაში ადგილი აქვს სერიოზულ პოლიტიკურ-სოციალურ კრიტიკას. მკრთალადაა ნაჩვენები საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის როლი ებრაელთა საკოლმეურნეო მოძრაობაში, სუსტადაა გამოხატული ებრაელ მშრომელ მოსახლეობის კავშირი ქართველ მუშებთან გლეხებთან და სხვ.

მაგრამ ამ ნაკლოვანებათა პირობებშიც ბაახოვის პიესა უდავოდ მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენაა ჩვენს საბჭოთა დრამატურგიაში. პიესა საკმაო წარმატებით მიმდინარეობდა რაც იმითაც აიხსნება, რომ თეატრმა მაქსიმალურად დაამუშავა ავტორის მიერ მოცემული მასალა და შექმნა მისგან მრავალმხრივ საინტერესო წარმოდგენა. დადგმაში აღსანიშნავია მეტად ორიგინალური დეკორატიული გაფორმება, რომელიც დამყარებულია სივრცეში მოძრავი ოკალებრივი მოედნების კომბინაციაზე და ხაზების და ფერების ოსტატურ შერჩევაზე. კარგადაა დამუშავებული მასიური სცენები, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ თეატრისათვის. განსაკუთრებული სიძლიერითაა შესრულებული პირველი აქტი, სადაც ყოველი დეტალი დამუშავებულია დიდი მოფიქრებით და გემოვნებით. აქტიორული შესრულების მხრივ ეს წარმოდგენა განსაკუთრებით მაღალხარისხოვანია, როგორც მთავარი შემსრულებლები შალვა ლამბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე (მისი დუბლიორები—თ. ჭავჭავაძე და ხ. ჰიჭინაძე, რომელთაც თავიანთი ტრაქტოვით საკმაო სიძლიერით განსახიერეს შირიამის როლი), პიერ კობახიძე, შ. ჯაფარიძე, ს. თაყაიშვილი, ვ. გოძიაშვილი, ს. ჟორჯოლიანი და სხვები ქმნიან წარმოდგენაში საესეებით დამთავრებულ და გამოკვეთილ სცენურ სახეებს, ისე ყველა დანარჩენი შემსრულებელი მეორე ხარისხოვან და ეპიზოდურ როლებშიაც კი საესეებით შეგნებულად და მაღალ ხარისხოვნათ მუშაობენ.

აღსანიშნავია, რომ ეს დადგმა თეატრის კოლექტივმა დაამუშავა თეატრის ხელმძღვანელის ტფილისში არ ყოფნის დროს, რაც იმას მოწმობს, რომ ხსენებულ თეატრში იზრდება და მტკიცდება დამოუკიდებელი მხატვრული უნარის მქონე რეჟისორული და არტისტიული კოლექტივი.

თეატრის უკანასკნელი პრემიერა გასულ სეზონში—აფინოგენოვის „შიში“ სპექტაკლის მხატვრული კვალიფიკაციით მიეკუთვნება ხაერთოდ ქართული თეატრის და კერძოდ მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრის საუკეთესო დადგმათა რიცხვს. ამ წერილის ფარგლებში ჩვენ არ შევუდგებით დასახელებული პიესის გარჩევას, რადგან მის შესახებ უკვე ბევრი დაიწერა საბჭოთა თეატრალურ და სახელოვნო პრესაში, ვიტყვით მხოლოდ, რომ მიუხედავად ნაწილობრივი სქემატიზმისა, ხშირად მსჯელობათა გადაჭარბებისა მხატვრულ სახეებზე, ზოგიერთი ტიპების არა სწორად მოხაზვისა, აფინოგენოვის ხსენებულმა პიესამ ძირითადში მაინც სწორად გადასჭრა დასახული რთული პრობლემები და საესეებით სამართლიანად დაიმსახურა გასული წლის მთელ საბჭოთა დრამატურგიაში წამყვანი პიესის ადგილი.

მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრში დადგმულია „შიში“ სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება შეედაროს მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო თეატრების დადგმებს ამავე პიესისას. როგორც *Григорьевский*, ისე არტისტიული ნამუშევარი აქ სავსებით დამოუკიდებელია, თავისებურად და მალა ხარისხოვანი. ამ დადგმის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს რომ სიმ-ძიმის ცენტრი მთლიანად გადატანილია აქტიურულ ხელოვნებაზე, რომელიც სპექტაკლში დიდი სიმახვილით და გემოვნებით არის დამუშავებული. საერთოდ უნაკლო შესრულების ფონზე ძნელი გამოსარჩევია ანსამბლის ცალკე შენადგენელთა ნამუშევარი. მიუხედავად ამისა მაინც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოსტატობის ის მაღალი დონე, რომლითაც განასახიერეს ამ წარმოდგენის მთავარი როლები შ. ლაპაშვიტემ, ელ. დონაურმა, ს. თაყაიშვილმა, პ. კობახიძემ, თ. ჭავჭავაძემ, ხ. ჭიჭინაძემ და სხვებმა.

„შიში“-ს დადგმა გასული თეატრალური სეზონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იგი იზიდავდა მასიურ მაყურებელს და მიმდინარეობდა დიდის წარმატებით.

გასულ სეზონში ტფილისის ორივე სახელმწიფო თეატრმა ჩაატარა მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა თავისი ხანგრძლივი გასტროლების სახით რესპუბლიკის ძირითად რაიონებში. რუსთაველის თეატრი მთელი თვის განმავლობაში მუშაობდა ბათუმში, ხოლო მეორე სახელმწიფო თეატრი ასევე სამსახურს უწევდა სტალინისის მშრომელ მოსახლეობას.

ეს პრაქტიკა უნდა იქნას გაგრძელებული მომავალშიაც და აყვანილი სისტემის ხარისხში. გასულ სეზონში ორთავე თეატრმა თითქო ცადეს თავის ირგვლივ საბჭოთა საზოგადოებრივობის შექმნა და თავიანთი მხატვრული პროდუქციის შესახებ საზოგადოებრივი აზრის დამუშავება. მაგრამ რუსთაველის თეატრის მიერ ერთი დისპუტის ჩატარება და მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრის მაყურებელთა ერთი კონფერენცია, რა თქმა უნდა არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად. ამ მიმართულებით ჩვენმა თეატრებმა აუცილებლად უნდა გააძლიერონ ყურადღება თავის ირგვლივ პროლეტარული საზოგადოებრივობის ორგანიზაციის საკითხებზე. თეატრების მუშაობა უნდა მომდინარეობდეს მასიური მაყურებლის კოლექტიური კონტროლისა და შეფასების პირობებში. ეს იქნება ერთ-ერთი ფაქტორი თეატრალურ ფრონტზე იმ გარდატეხის მისაღწევად, როელიც გამოიმდინარეობს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებიდან.

ბ. ბიბინეიშვილი

კ ა მ ტ

13

ქანდაკმული სიბრიყვე

პროვოკატორ. ეიტომირსკის რომ არ გაეცა კამო და ამის გამო რუსეთის ხელისუფლების ყურადღება ამ შეურიგებელი მებრძოლი ბოლშევიკის პიროვნებას არ გაეტაცნა—ერევნის მოედნის ექსპროპრიაციიდან რამდენიმე წლის შემდეგ ნახევარ რუსეთს ექნებოდა წაყენებული თანამონაწილეობის ბრალდება. სასამართლომ და ოხრანკამ ფართოდ ისარგებლეს თავიანთი შეუზღუდველი უფლებით—დაეჭირათ და გამოეცდათ იმპერიის არა კეთილსაინებლო მოქალაქენი. ისინი ფიჭობდნენ თანდათან უფრო გაფართოებული რევოლუციური მოძრაობა ჩაეკლათ არა მარტო რევოლუციონერების, არამედ ყველა თანამგზნობთა, მერყევთა და ამა თუ იმ სახის „თანამონაწილეთა“ შეპყრობით. რევოლუციონერების მოხერხებულობას და სიყოჩაღეს ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო უპირდაპირებდა თავის სამძებრო, დამცველი და სასამართლო აპარატის სულელურ თანმიმდევრობას, ახირებას და წერილმანობას. ქანდაკმული სიბრიყვე თავიდან ფეხებამდე სკვალავდა შთელი რუსეთის იმპერიას. ეს სიბრიყვე იჭრებოდა სატახტო და დიდ ინდუსტრიულ ქალაქებიდან ყველაზე დაშორებულ და მივარდნილ კუთხეებშიაც კი. თმცა მას შემდეგ სულ ოცდახუთმა წელიწადმა განელო, მაგრამ ახალ თაობას არც კი შეუძლია წარმოიდგინოს რა საშინელი, დამღუბველი და ყოვლის შემცველი იყო ამ სიბრიყვის ძალა და ბატონობა. კამოს საქმე გვაძლევს ამის საუცხოვო ნიმუშებს. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერც გამოიმჩიებელმა და ვერც ოხრანკამ ვერ აღმოაჩინეს ერევნის მოედნის ექსპროპრიაციის ნამდვილი ორგანიზატორები, მათი ეჭვი და გულმოდგინება უკიდურესობამდე იყო აღძრული. დაშრება ზევიდან, თავის გამოჩენის და დამსახურების სურვილი და შეურაცყოფილი თავმოყვარეობა აიძულებდა მათ არ დარიდებოდნენ არავითარ საშუალებას რათა გადაეღებათ საკუთარი ტრადიციული უსინდისობაც კი. მათ ყველგან მტრები ელანდ-

*) იმ. მნათობი № 5—6.

ბოდათ და არც სცდებოდენ. ეს მტრები ნამდვილად იყვნენ, მხოლოდ წვეულ-ბრივ ესენი, მათ და სავალალოდ, სულაც არ იყვნენ ის ადამიანები, ვისაც იჭერდენ და საპრობილეში ალბობდენ. კამოს საქმე გამომძიებლების და ოხრანკის მიერ დაშვებულ შეცდომათა და სისულელეთა დაუსრულებელ ჯაჭვს წარმოადგენს. ისინი გრძნობდენ, რომ არაფერი გამოუდიოდათ. უძლურნი აღმოჩნდნენ და ვერასგზით ვერ არღვევდენ კონსპირაციის მტკიცედ შეკრულ რგოლს. ბერლინში პროვოკატორის ეტიომირსკის გამოჩენამდე კამოს ხელმძღვანელობით მოქმედი ტერორისტთა შემკიდრობებული რაზმი „შიგნიდან“ არასოდეს არ ტყდებოდა, და აი, დაბნეული, უმისოდაც საშუალებათა არჩევაში განურჩეველი, გაბოროტებული, შერცხენილი ხელისუფლება, საბოლოოდ კარგავს წონასწორობას. ის ციხეში ჰყრის მრავალს სრულიად უდანაშაულო ხალხს, უჯერის სულით ავადმყოფ ადამიანთა ჩვენებებს, ჰგზავნის თავის აგენტებს რუსეთის და ევროპის ყოველ კუთხეში, ირჩევს შემთხვევით ვაკეცმლებს, თათბირობს მრეცხავ ქალებსა და მეგობრებთან, რომელთაც სადღაც რალაკასთვის ყური მოუკრავთ, ვილაცასთან რალაკასთვის თვალი შეუვლიათ, ანდომებს მათს ჩვენებებს ვეებერთელა ფოლიანტებს (კამოს „საქმე“ — ტომი II და III), აიარალებს კალმით შაბუზღართ და მეკორეთ, სცემს და აწამებს თავის საშინელ სატუსალოებში შემთხვევით დაპატიმრებულთა. არ არსებობს ისეთი საშუალება, რომელიც არ გამოუყენებოდნენ დამპალს, გახრწნილ ხელისუფლებას რათა გაენადგურებია პოლიტიკური მტრების ჯგუფი, რომელიც სულ თუთხმეტითოდ კაცისგან შესდგებოდა.

ისეთი ხასიათის დოკუმენტები, როგორც სულით ავადმყოფი ქალის მეფეობისკაიას ან მრეცხავი ქალის ფოსტრიაკოვას დაკითხვებია, ჩვენი აზრით, უკვალოდ არ უნდა ლეპობდეს სახელმწიფო არქივებში, ეს დოკუმენტები არა მრუდი, არამედ ხედმიწვევით, მშვენიერად გახებილ გაწმენდილი სარკვა წარსულის, ისინი წარმოადგენენ დამხობილი რეჟიმის იდეოლოგიური უბადრუკობის და უსაზღვრო სიმეცარის მოწმობას, ეს ცარიზმის ძლიერების სისხლიანი კარიკატურაა, დახატული თვით ამ ცარიზმის აგენტების მიერ მეტად სერიოზული განზრახვით. ამ კარიკატურის ჩარჩოებში რომ არ დაღუპულიყვენ ასობით და ათასობით ადამიანები, ის ჩვენში მხოლოდ სიცილსა და ზიზღს გამოიწვევდა, მაგრამ საგამომძიებელ „ოხრანულ“ საქმეთა ვაკეითლებულ ფურცლების იქით მრავალი ადამიანის სიცოცხლეა უაზროდ დაღუპული გლეხობის დაბეჩაეებული წარმომადგენლების და იქიდან რკინის ხუნდებში ჩაქედილი მუშების საშინელი გმინვა ისმის.

1907 წ. 13 ივნისს, მოხდა ექსპროპრიაცია ერევნის მოედანზე, ხოლო მეორე დღეს 14 ივნისს ტფილისის საკომუნდენტო სამართველოში გამოცხადდა ახალგაზრდა ქალი ადელინა გრიგოლის ასული მეფეობისკაია და განაცხადა, რომ გუშინ დილას, თავდასხმის დროს, მან ყუმბარა ისროლა.

გამომძიებელი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ ასე სწრაფად აღმოაჩინა ბოროტმოქმედი, მას აინუნშიაც არ მოსდოდა, რომ ისტორია ბოროტად დასცილოდა მას და ეს დაცინვა მისი მოლვაწეობის პირველ დღესვე ერთგვარად ასიმბო-

ლოებდა მომავალ უნაყოფო შფოთსა და ცოდვილს თითქმის ხუთი წლის განმავლობაში. მან გადაწყვიტა და ეს თავისი გადაწყვეტილება სათანადო „დადგინილებით“ განამტკიცა რომ შეეებოქსკაია „გამოტყდა“ და „თავისუფლად“ შეეებოქსკაია „დადგინილებით“ სთვლის“. მან დაჰკითხა მას როგორც ბრალდებულს. იგი ერთხელ უწყობისა არ დაუფრქვებია იმ გარეუობას, რომ შეეებოქსკაია უარყოფდა თავის მონაწილეობას ექსში და ამტკიცებდა თითქოს „ყუმბარა ესროლა სრულიად უმიზნოდ, არ იცოდა, რომ მხადდებოდა თავდასხმა სახელმწიფო ბანკის მოლარებზე“. მან ბრმად ჩაწერა ამ ქალის ჩვენება, თითქო შინიდან უყუმბაროდ გამოსულიყო და ანგარიში არ მიეცა თავის თავისთვის იმაში, თუ როდის და როგორ აღმოჩნდა მის ხელში ყუმბარა. „მასხოვს მხოლოდ,—ბოდაეს ის,—რომ ყუმბარით ხელში ვიდექი სალაყაიას საქანდიტეროს ახლო; ამასთან მასხოვს, რომ ყუმბარა მქონდა ქოლგაში, მაგრამ ვინ ჩამიღო იგი, როდის და რა პირობებში, არ მასხოვს, ალბათ მე თვითონ ჩაედე ყუმბარა ქოლგაში“. „ყუმბარა იყო ლიმონის ფორმის და არა მასზე უდიდესი. როდესაც ერეენის მოედანზე გაისმა ყუმბარის აფეთქების გრიალი, მე კარგად მასხოვს, რომ მეც ვისროლე ყუმბარა სივრცეში, წინ გავაქნე ხელი და ჩემი ყუმბარაც გასკდა..

ყუმბარის გადასროლის შემდეგ მე ალბათ მაშინვე წავედი შინ, თუქცა არ შემიძლია იმის თქმა, მაშინვე წავედი თუ ცოტა ხნის შემდეგ“. ამას მოსდევს მთელი რიგი დეტალები და სახელები. შეეებოქსკაიას ჩვენების ყველა დეტალი ერთმანეთთან დაუკავშირებელია, გაუგებარია. მის მესხიერებაში ყველაფერი არეულია, მისი საქციელი დაუსაბუთებელია, დამოწმება და მითითება ფანტასტიურია. მაგრამ გამოძიებელი პროკურორთან შეთანხმებით მას მაინც ათავსებს მეტების ციხეში. მიუხედავად მახლობლების რწმუნებისა და ექიმების დამოწმებისა, რომ შეეებოქსკაია სულით ავადმყოფია და ექსპროპრიაციის დღეს სრულიად არ გამოსულა გარეთ, მიუხედავად ამ ფაქტის დამადასტურებელი განსაკუთრებული სამკურნალო შემოწმების დასკვნებისა, გამოძიებელი 16 ივნისს ხელმოკრედ დაჰკითხავს შეეებოქსკაიას. მეორე დოკუმენტი კიდევ უფრო არეულ-დარეული ხასიათისაა. „ბრალდებულს“ მხოლოდ მისი ხელისმოწერის შემდეგ ათავისუფლებენ, მაგრამ ხელწერილს ართმევენ „პირველ მოთხოვნისთანავე გამოეცხადდები ჩემს შესახებ წარმოებულ გამოძიების გამო და მუდმივ საცხოვრებელ ადგილს არ გავშორდებიო“.

შეეებოქსკაიას განთავისუფლების შემდგომ ტფილისში იწყება „საექვო პირების“ მასიური დაქერა. ტფილისის დამცველი განყოფილების უფროსი პირველ რიგში აპატიმრებს ექვს კაცს. ეს ადამიანები, რომელთა შორისაც არც ერთი ნამდვილი რევოლუციონერი არ აღმოჩნდა, „ავენტურის ცნობის“ მიხედვით „თანამონაწილენი“ არიან ექსპროპრიაციის საქმეში, „ვინაიდან ისინი არსად მსახურობენ, არა აქვთ გარკვეული საქმე და ამავე დროს ს ა ე ქ ვო საქმით ცხოვრობენ“.

(ასე გაურკვეველად ლაპარაკობს ბ-ნი უფროსი!); „ლაპარაკში ემეღანებენ ანარქისტულ შეხედულებას, ჰკიცხავენ და აგინებენ მთავრობას.“ დაპატიმრების ცნობაში მოყვანილია დაპატიმრებულთა ოჯახური საუბარი, დახასიათებუ-

ლია მათი ოჯახური ურთიერთობა, ჩამოთვლილია მათი შეგონებული ცნობა და კავშირი.

28 ივნისიდან გამომდინარე, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი მოსაზრებით, იწყებს იმათ ძებნას, ვინც „თავი მოიკლა 13 ივნისიდან დღევანდლამდე“. ის ეკითხება პოლიცემისტერს, ხოლო უკანასკნელი — ხელკვეით ბოქაულებს, თუ „როდის, რა გარეშობაში და, თქვენი ცნობით, რა მიზეზით“ მოხდა ტფილისში აღნიშნული თვითმკვლელობანი.

მრავალ რაიონში თავის მკვლელი არ აღმოჩნდენ. მაგრამ ერთ რაიონში რევოლვერის ტყვიით თავი მოუკლავს ქუთაისელ მოქალაქეს ნ. ნ—ს, „ამის მიზეზიც, როგორც გამომდინარე გამოარკვეია, ყოფილა უარყოფილი სიყვარული.“ სამსო ოქმი ამასთანავე ეგზავნება პროკურორის ახმანავს.

იელისში ტფილისის პოლიცემისტერი კიდევ მოითხოვს „სასწრაფოდ და საიდუმლოდ“ ცნობებს თავისმკვლელების შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს ეს პერიოდ ბედნიერი ყოფილა ტფილისელ მოქალაქეთა ცხოვრებაში. ამიტომ გამომდინარე მწვევითა მკვდრებზე ნადირობა.

მაგრამ რადგან თავისმკვლელები არ აღმოჩნდენ, ის უფრო გულდაგულ შეუდგა ცოცხლების ძებნასა და მათ დაკითხვას.

როგორც ტფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორის 10 აგვისტოს „მოწერილობიდან“ ჩანს, 10 აგვისტოდან დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ექვით დაპატიმრებულ პირთა „საკმე“ უკვე აღწევდა ასოთხმოცდა ხუთ ფურცელს. მაგრამ არც ერთი ფურცელი არ შეიცავდა ცოტად თუ ბევრად სერიოზულ მნიშვნელობას რომელიმე დაპატიმრებულის წინააღმდეგ. ამიტომ გენერალ-გუბერნატორი ურჩევს გამომდინარე, თუ „ვინიციობაა საკმარისი ცნობები არ იქნება გამონახული ხსენებულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, არ გაანთავისუფლოთ ისინი, არამედ ვადმორიციხოთ უკანვე ჩემ სახელზე, რადგან ეს პირები, ჩემი განკარგულებით, ვადასახლებულნი იქნებიან იმპერიის ერთ-ერთ ჩრდილოეთ გუბერნიაში“.

* * *

რა ფანტაზიაში შესტობა ოხრანკამ ექსპროპრიაციის მონაწილეთა ძებნის დროს, შეგიძლიათ ქვემოთ მოყვანილ დოკუმენტებიდან წარმოიფხინოთ.

პირველი მათგანი ეხება ტფილისს.

ტფილისის დამკველი
განყოფილების უფროსი
1907 წ. 30 ივნისი
№ 2488

ტფილისის საგუბერნიო თანდარმთა სამ.
მარჯველას უმფროსს.

აგენტურის ცნობების მიხედვით 13 ივნისს ერევნის მოედანზე ფულადი ტრანსპორტის ექსპროპრიაციის ჩამდენი ბრბო 12 კაცისაგან შესდგებოდა. აქედან გამომდინარე: შინაგანი აგენტურის ცნობების თანახმად რაედენ ისაკის ძე ფარასატაშვილი (რევოლიუციური სახელწოდება „ლადო“), ცხოვრობს ახპატის ქუჩაბანდზე, სახლი № 6, პროფესიით მუშა. ეფრემ ანდრიას ძე ჩიკვაიძე, მღვდელი, ცხოვრობს, საკუთარ სახლში № 8 თელ-

თის ქუჩაზე და შედუქნე სუბ-კარაპეტის აღმართზე. სუფსარქისის ციხის პირდაპირ—კოტე კვირიაშვილი, ცხოვ. თელეთის ქუჩაზე სახლი № 7,—ის სამართალშია მიცემული და თავდებით არის გამოშვებული, მისი დოქანი კი მძარცვლების პრიტონია. იმავე ცნობით, ფული წაღესულია ორთაქალის ბაღის დუქანში, რომლის პატრონს ყაჩაღებმა 1000 მანეთი მისცეს. ამ დუქანის ახლოს არის ქა, სადაც უნდა ჩაეყარათ ფული მძარცველებს, თუ ვინცობაა პოლიცია გამოჩნდებოდა. აგენტურა ასახელებს ყველა ზემოხსენებულ პირებს, როგორც აქტიურ მონაწილეთ 250 ათასი მანეთის გაძარცვის საქმეში; ამიტომ მათი ბინები ღამით 29 ივნისს ჩემი განკარგულებით გაიხზრია, ხოლო თვითონ ისინი დაეპატიმრეთ და თქვენი მალაქეთილშობილების სახელზე ჩაერიცხეთ.

ზემოხსენებულის შესახებ მოგახსენებ

როტმისტრი (ხელმოწერა),

მეორე დოკუმენტი ტფილისის მოწოდების გამოხმაურებაა ნიენი-ნოვგოროდის „ობრანკის“ მართ.

ნიენი ნოვგოროდი
საგუბერნიო ჟანდარმთა
სამმართველოს
უფროსი
1907 წ. 26 ივნისი

საიდუმლოდ

ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა
I სამმართველოს უფროსს.

თქვენს 25 ივნისის № 4056 დეპეშაზე გაცნობებთ, რომ ნიენიში მოვიდა რამდენიმე არალეგალური პირი, რომელთაგანაც აგენტურამ გაიგო შემდეგი: ტფილისში 250.000 მანეთის გაძარცვაში მონაწილეობას ღებულადა 35 კაცი, რომელთაგან ორი მოკლულ იქნა და ერთი დაიჭრა და წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, უკანასკნელი ვითომ საზოგადოებას ეკუთვნოდა და შემთხვევით მოხვდა გაძარცვის ადგილას. დაჭრილის გვარი და სახელი არ ვიცით. შემტყობინებლების სიტყვით, ნაძარცვი ფული გადატანილია მოსკოვში.

არალეგალურთაგან ორი დაპატიმრებულია. ორივენი ამბობენ, რომ არ ყოფილან ტფილისში, საერთოდ უარს აცხადებენ რაიმე ახსნა-განმარტების მოცემაზე. აგენტურის ცნობებით ეს ბრბო ნიენში ჩამოსულია ექსპროპრიაციის მიზნით. სხვა რაიმე ცნობები ჩემს განკარგულებაში არ არის, მაგრამ რაც მივიღე, საჭიროდ ჩავთვალე შემეტყობინებია თქვენთვის. თუ ახალი რაზე გამოიძვკა ტფილისის შესახებ, დამატებით შეგატყობინებთ.

გენერალ-მაიორი ლევიცი.

მესამე დოკუმენტი გვიმტკიცებს იმას, თუ რა როლს ასრულებდა „გამოძიებასა და სააგენტურო ცნობებში“ სულ ჩვეულებრივი ობივატელური მითქმა-მოთქმა და კოორები.

ორი დღის ვადა.

„ასლი სასამართლო გამომძიებლის ი. გ. მალინოვსკის აქტი 19 ივლისის მიწერილობისა № 542 ტფილისის პოლიციის ტერიტორიაზე“

ერთი ცნობებით ვაგვიგე, რომ ამის წინადაქ. ტფილისის ერთერთ დუქანში მივიდა ორი კაცი და წინადადება მისცეს მედუქნეს დაეხურდა-ვეთა 500 მანეთიანი საკრედიტო ბილეთი. როცა მედუქნემ, შენიშნა რომ ეს ბილეთი ა/წ. 13 იენისს ერევისს მოედანზე გატაცებული ფულია, აცნობა ამის შესახებ საპოლიციო უბანს. მაგრამ, როდესაც პოლიციის მოხელენი მივიდნენ ამ დუქანში, იქ ვერც ორი უცნობი კაცი ნახეს და ვერც საკრედიტო ბილეთი. ზემოხსენებულის მიხედვით ვითხოვ თქვენი მალაქეთილშობილების განკარგულებას, რომ დაუყოვნებლივ გამოარკვიოთ და შემატყობინოთ, მართლა ქონდა თუ არა ადგილი აწერილ შემთხვევას და თუ ქონდა, როდის და სახელდობრ რომელ დუქანში, რომელ მედუქნესთან და ვინ მივიდა 500-მანეთიანი საკრედიტო ბილეთის დასახურდავებლად და პოლიციის რომელმა მოხელეებმა მიიღეს ზომები მისულების დასაქერად, მედუქნის განცხადების მიხედვით.

ნამდვილს ხელს აწერს; მალინოვსკი.

ეს ასლი ეგზავნება ჩემდამი რწმუნებული პოლიციის ბოქაშულებს მოთხოვნილი ცნობების გამოსარკვევად ორ დღის ვადაში“.

დასასრულ, მეოთხე დოკუმენტი მოწმობს იმას, რომ საქართველოში პირველი რევოლუციის შემდეგ სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში მოსახლეობის თითქმის ყველა კლასები იყვნენ ჩაბმული, რაც მეტად ხელსაყრელ საზოგადოებრივ ატმოსფერას ჰქმნიდა მომავალ გადაწყვეტ ბრძოლებისათვის.

ო ქ მ ი

1907 წ. 22 აგვისტოს ბ.ნ. გორის მაზრის უფროსის ბრძანების გამო, მე, გორის მაზრის აღმოსავლეთ რაიონის გამგე თავ. ი. ბარათოვმა მოვახდინე ფარული გამოძიება სოფ. თემისხიდში დაპატიმრებული სოფ. ხედურეთის მცხოვრებ თავ. დავით ზაქარის ძე ციციშვილის შესახებ და გამოვარკვიე შემდეგი: დასახელებული ციციშვილი მონაწილეობას ღებულობდა დუშეთის ხაზინის გამარცხვაში, შემდეგ ის მიემხრო ქ. ტფილისში მომქმედ სოფ. ზემონიქოზის მცხოვრებ ცნობილ ტერორისტის კორნელი კასრაძის ბრბოს, უკანასკნელში ყოფნის დროს როგორც ხმა და დღის მონაწილეობას ღებულობდა ყოველ გორის მაზრის უფროსის, ნადგორნი სოცეტნიკის გუგუშვილას მოკვლაში მიმდინარე წლის 15 მარტს. შემდეგ, დაახლოვებით სამი თვის წინათ ქ. გორში დაქინებებით ლაქარაკობდენ, რომ ტერორისტები ამზადებდნენ თავდასხმას გორის მაზრის უფროსის პირველ თანაშემწეზე—თავ. ყარალოვზე, ვინაიდან შურს იძიებდნენ მასზე ცნობილი პროპაგანდისტების—მიხეილ ტეტიაშვილის და გიორგი გომარელის დაჭრისათვის და, რომ ამ განზრახვის შესრულება წილად ხვდა იმავე დავით ციციშვილს. ბოლოს მას ასახელებენ აგრეთვე ტე-

1. კურსივი ხვლვან ჩემია. ავტ.

რორისტა ბრბოს თანამონაწილედ, რომელიც თავს დღესა კვილისის მეორე გილდის ვაჭარს კუზანოვს. აგრეთვე, როგორც ამბობენ, ამას წინათ ქ. გორში მისი მისვლის მიზანი ის იყო, რომ რეპრეზენტაციისათვის მიხედვით, მით უფრო, რომ სრულიად სანდო პირებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით, ის ჩამოვიდ დაქირავებული მკვლევების ბრბოს ზემოდ დასახელებულ მეთაურსა—კარნელი კასრადესა და ტერორისტებსა—მიხეილ კვილიაშვილისა და ცომაიასთან ერთად. იმავე ხმების მიხედვით, რომელიც უსაფუძლოდ არ დადის ხალხში, ამ პირებმა—კასრადემ, ციციშვილმა და სხ.—მოაწყვეს უდიდესი გაძარცვა ყუმბარების აფეთქებით და საშინელი სროლით ტფილისში ერევნის მოედანზე. ყოველივე ზემოხსენებული შეტანილ იქნეს ამ ოქმში, რომელიც დავით ციციშვილთან ერთად წარედგინოს მის მაღალკეთილშობილებას ბ-ნ გორის მაზრის უფროსის განკარგულების მოსახდენად*.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ არც ერთ ამ დოკუმენტში აღნიშნული პირი არ იყო ფაქტიურად დაკავშირებული კამოს რაზმთან.

* * *

მრეცხავი ქალი ვოსტრიაკოვის ჩვენების დასაწყისი ღირსეულად დაამშვენებდა პოლიციურ პოემას, რომელიც ჯერ არ დაწერილა—ცარიზმის დროსაც კი.

„მე თეთრულს ვრეცხავდი ხოლმე კერძო სახლებში,—უამბობს მოქალაქე ვოსტრიაკოვისა გამომძიებელ მალინოვსკის,—ჩემი ქმარი წინად მსახურობდა სახაზინო თეატრში მემუსიკედ, დღეს კი ნოტების გადაწერაზე მუშაობს. ის ლოთია და მე მასთან არა ვცხოვრობ. პირველ გაფიცვამდე მე ვცხოვრობდი სულხანოვის სახლში პეტროვის ქუჩაზე. ერთხელ შევნიშნე, რომ სულხანოვის ბინაზე რალაც რემონტი კეთდებოდა—ზიდავდენ აგურს, გამოჰქონდათ მიწა... როდესაც მუშაობა გათავდა, მე დავინტერესდი, მინდოდა გამეგო, რა რემონტი გააკეთეს. მაგრამ როცა შიგნით ბინაში შევედი, ყველაფერა ძველებურად დამხვდა, არავითარი რემონტის კვალი არ ჩანდა. ამან გამაოცა და ეთქვი გუნებაში, „აქ რალაც ამბავი უნდა იყოს მეთქი“. ვოსტრიაკოვამ დაუწყაო თვალყურის დევნება სულხანოვს. ერთხელ სულხანოვს შეილი მოუვიდა, „ის გამოქცეული იყო სამხედრო სამსახურიდან. ცოტა ხნის შემდეგ ურშვებით მოიტანეს შეიდი ყუთი და ძველი ღუქნის სანიშო, რომელიც აიტანეს ჩარდახზე. ვოსტრიაკოვა, რალა თქმა უნდა, „დაინტერესდა“ იმით თუ რა უნდა ყოფილიყო ყუთებში.—„მაკარონიო,—მიბასუხა სულხანოვმა, მაგრამ მე მაშინვე დავეპყვი,—შორსმჭვრეტელობით იტყობინება ის,—ყუთები ძალიან მძიმე იყო, ეს აწკარად ჩანდა... მე მივხვდი, რომ ამ ყუთებით რალაც ცუდი რამ მოიტინეს და დამალეს წინდაწინვე მომზადებულ ადგილას, ამიტომ ჩემი ექვეები შევატყობინე პირველი უბნის ბოქალს“.

მრეცხავი ქალის შერლოკ ჰოლმსის განცხადებით სულხანოვები გაჩხრიკეს, მაგრამ ამას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყვა. „მაგრამ ის აზრი, რომ

ყოფილი რაღაც ცუდი რამ იყო და მალული, მოსვენებას არ მოძიებდა და ჩემი განცხადებით რამოდენიმეჯერ გაჩხრიკეს, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. ბოლოს 1906 წლის მაისში ხელახლა მოხდა ჩხრეკა და მაშინ სპეციალურმა აღმოჩენის იარაღის და ყუმბარების საწყობი“.

ასეთი ბრწყინვალე შედეგების მიღწევის შემდეგ, ვოსტრიაკოვამ დასტოვა სულხანოვები და გადასახლდა ერთერთ მახლობელ სახლში, სადაც მისი გამოცდელი ფიზიკური ყურადღება მეტად საეჭვო აღამიანებზეა—ტიროვეებმა მიიპყრეს. „ეცხოვრობდი რა ტიროვეების მეზობლად, მე ვხედავდი, რომ მათსას დღე და ღამე გამუდმებით ვიღაც ახალგაზრდები იყრიდნენ თავს. მე ეს კრებები მაწუხებდა, რადგან მოსულები მუდამ ჩემს ოთახთან გაივლიდნენ და კარებს აბრახუნებდნენ ხოლმე“. ვოსტრიაკოვა დაემუქრა, რომ ის აცნობებდა ვისაც ჯერ არს ამ კრებების შესახებ. და აი ტიროვეებიც დაუყონებლივ გამოასახლეს ბინიდან. მრეცხავი ქალის ვოსტრიაკოვას ასეთი არაჩვეულებრივი ხვედრითი წონა ხელისუფლების და სახლის მეპატრონეების თვალში ეცვება ბადებდა. გავარდა ხმა, რომ ვოსტრიაკოვა—ჯაშუშია. სწორედ ამ დროს მიიღო მან საჩუქარი ყუმბარების საწყობის აღმოჩენისათვის. საჩუქრის ოდნობის შესახებ არაფერს ამბობს იმ გულუბრყვილო მომიზეზებით, თითქოს „მოცემული ფულებისთვის არ დამიხედია, ისინი ისე დავმალე, როგორც მომცესო“. მაგრამ ვიღაცამ ალბათ ყური მოჰკრა ამ საჩუქრის ამბავს და ერთ ღამეს ვოსტრიაკოვასთან მოვარდნენ ნიღბათარებული კაცები და წაართვეს გამცემლობით შეძენილი ფულები. შეშინებულმა ვოსტრიაკოვამ გააჰყიდა ყოველივე ნივთები ავეჯეულობა და გაიქცა ტფილისიდან.

მაგრამ ვოსტრიაკოვას ძალიან მალე მოენატრა თავის წინანდელი ბუნაგი. იგი დაბრუნდა თავის ძველ ბინაზე, დაარწმუნა ყველანი თავის უდანაშაულობაში და ისევ შეუდგა თავის ხელობას. იგი უმთავრესად ემსახურებოდა სახლის პატრონის გამბაროვის ოჯახს.

„როდესაც მე გამბაროვისას უკვე ერთი კვირა ვიმუშავე, უცხრად ერთ საღამოს მასთან მოვიდა ახალგაზრდების დილა კამპანია, ეცვათ შავი ხალათები (შავი ხალათები ერთერთი ნიშანი იყო, რომელზეც უთითებდნენ გამოამჩიებელს ერევნის მოედნის ექსპროპრიაციის მოწმენი), სტუდენტურ საზაფხულო ქურთუკები და ეხურად სტუდენტური ქუდები. მე ისინი დავითვალე და თხუთმეტი კაცი აღმოჩნდა“.

ამის შემდგომ გამბაროვას ესტუმრა მისი შვილების ორი ამხანაგი.

„მათი მოსვლისთანავე სახლში ერთბაშად შეიცვალა ყველაფერი. მისულები ურთიერთშორის საიდუმლოდნენ. ჩუმად რაღაც სერიოზულად საუბრობდნენ, ფუსფუსებდნენ, ერთი ოთახიდან მეორეში დარბოდნენ, სადღაც მიდიოდნენ და ძალიან ხშირად აღიოდნენ ჩარდახზე... სანამ მუშაობას გავათავებდი, ჩარდახზე ავედი თეთრეულის გასაფენად და იქ სიბნელეში ფეხი წამოკვარი რაღაც სითხით სავეე თუნუქის ქილას. ქილა გადაბრუნდა, სითხე დაიღვარა, ჩულქსა და კაბაზე შემომესხა, ფეხი დამედაგა და კაბის ქვედა ნაწილი მთლად შემომეწევა. ჩულქი გადავაგდე, ხოლო კაბა თქვენი მოთხოვნისამებრ ხვალვე შემიძლია მოგიტანოთ... ეს ქილები წინად არ მი-

ნახავს იქ. ერევნის მოედანზე მომხდარი კატასტროფის დღეს მე ფოსტაში მივიღიოდი. ქუჩა თიბქმის ცალიერი იყო. აფეთქების ხმა არც განგონია. უცბად, სამხედრო ტაძართან დავინახე, რომ ჩემსკენ ექვსი კაცი მარბოდა ყველას შავი ხალათები და შავი შარგლები ეცვათ და შავი რგვალი ქუდები ეხურათ. ყველას გრძელი შავი თმა და შავი წვერი ჰქონდათ. ძალიან აღელვებულები იყვნენ და ეტყობოდათ, რომ სადღაც მიიჩქაროდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველას გრიმი ჰქონდათ გაკეთებული, მემ მაშინვე ვიცანი ისინი და, თუ ვნახე შემოიძლია ყველას დავადო ხელი. ხუთი მათგანი ის ახალგაზრდები იყვნენ, რომელნიც გამმაროვასთან მოდიოდნენ ხოლმე, ხოლო მეექვსე ჩემთვის კარგად ცნობილი ტიროვეი იყო“.

როდესაც ვოსტრიაკოვას უამბებს ექვსის შესახებ, ის მაშინვე „მიხვდა“, რომ იმ ექვსმა კაცმა ისროლა მოედანზე ყუმბარები და გაიტაცა ფულები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ იქნებოდნენ ისე დაგრიმირებული და არ გამოიქცეოდნენ ერევნის მოედნიდან.

„სულხანოვისას იარაღის და ყუმბარების საწყობის აღმოჩენის შემდეგ მე ბევრი მუქარა მივიღე, ამიტომ საშინლად მეშინია ახალი დევნისა. მე ღარიბი ქალი ვარ, ბავშვები მყავს, ჩემი პირადი შრომით ვცხოვრობ და იმის შიშით, რომ დევნას დამიწყებენ და შეუძლიათ კიდევ მომკლან, მე აქამდე არავისთვის არ გამიზებელია ის, რაც ვიცოდი ერევნის მოედანზე მომხდარი კატასტროფის შესახებ. მხოლოდ გუშინ შეგვხვედი ერთს ჩემს ნაცნობს, ჩამესტნიკის კანცელარიის საგანგებო განყოფილების მოსამსახურეს, რომლის გვარი არ მახსოვს, და ლაპარაკში შემთხვევით ვუთხარი რაც ვიცოდი. ალბათ ამ ნაცნობმა შეატყობინა ჩემს შესახებ ბოქაულს, იმიტომ რომ უკანასკნელმა დღეს გამომიწვია და დამიწყო დაკითხვა. ბოქაულს სწორედ მე, ვოსტრიაკოვამ მივეცი ჩვენება მაგრამ ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი კი არ დავასახელე, არამედ გამოგონებული, სახელდობრ: ევდოკია აბრამის ასული ბახსუტკოვა. თქვენ კი რატომღაც საესებით გენდობით. თქვენ ერთბაშად გამოიწვიეთ სრული ნდობა, თქვენ როგორც ღმერთის წინაშე, გულახდილად გამოგიტყდით, ვთქვი ჩემი ნამდვილი გვარი და სახელი და ვიამბეთ ნამდვილი სიმართლე, ყოველივე რაც კი ვიცოდი ამ საქმის შესახებ“.

ვოსტრიაკოვას გულგანსაგმირალი სიმპატია ბატონ გამომძიებელისადმი გამოუხმაურებლად არ დარჩენილა. ვოსტრიაკოვას მეტად ვრცელი ჩვენების მიხედვით, რასაც მარტო პირველი დაკითხვის ოქმში თერთმეტი წვრილად დაწერილი გვერდი უჭირავს, გამომძიებელმა მთავარი ყურადღება მიაქცია გამმაროვის სახლს. ჩენს წინ დევს განსაკუთრებული ოქმი—ვოსტრიაკოვის გაუგებარი სითხით გაფუჭებული ქვედა კაბის შესახებ. მას მოსდევს იმავე კაბის მეტად დაწვრილებითი ექსპერტიზა. შემდეგ ცალკე ფურცელზე—დადგენილება იუბკის, როგორც „ნიეთიერი საბუთის, ავაზაკური თავდასხმის საქმისადმი დართვის“ შესახებ.

ვილაც კაზაკების და მოხელეების მთელი რიგი ჩვენებანი აღსატურებს ვოსტრიაკოვას ვერსიას შავი ხალათების, შავი თმის და შავი წვერების შესახებ. გამოძიებული არკვევს გამბაროვის სახლში ნამყოფ ახალწაზრტყმას ვინაბას. თურმე მათ დაუტოვებიათ ტფილისი და პეტერბურგში წასუქონან და აი 1907 წ. ხუთს ოქტომბერს სამებრო განყოფილების გამგე პ. ევტუშევსკი გამოძიებულ მალინოვსკისაგან ღებულობს ჩვენს მიერ შემოკლებით მოყვანილ შემდეგ წერილს:

„თანახმად ჩემი შუამდგომლობისა, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით თქვენ მივლინებული ხართ ქ. პეტერბურგში ჩემი მინდობილობის შესასრულებლად ჩემს მიერ წარმოებულ გამოძიებისათვის 13 ივნისს ავაზაკურ თავდასხმის შესახებ. ამასთან ჩემი მონდობილობის შესრულების დასახმარებლად წინადადება გეძლევათ თან წაიყვანოთ ქ. პეტერბურგს ამ საქმის მოწმე ქალი ტვერის გუბერნიის, ქ. ტორესკის მეშჩანინი ანა სერგის ასული ვოსტრიაკოვა, რომელმაც საქმის შესახებ მეტად არსებითი ჩვენება მოგვცა.

ამის გამო, სისხ. სამ. წარ. წეს. 270 და 271 მუხ. თანახმად, გთხოვთ თქვენო მალა-კეთილშობილებავ უახლოეს დროში შეასრულოთ ქ. პეტერბურგსა და იმ ქალაქებში, რომელიც თქვენი ასრულების მსვლელობის მიხედვით გეცნობებათ შემდეგი ჩემი მონდობილობა:

1. არალეგალური და სრულიად საიდუმლო გამოკვლევით გამოარკვიოთ იმ სტუდენტი გამბაროვის პიროვნება (სახელი, მამის სახელი, ბინადრობა და სწავლის ადგილი), რომელიც ივნისის დამდეგს ამხანაგებითურთ ჩამოვიდა პეტერბურგიდან ტფილისს და თავისი დედის სახლში ჩამოხტა.

2. ასეთივე გამოკვლევით და მეთვალყურეობით გამოარკვიონ იმ თოთხმეტი ახალგაზრდა კაცის პიროვნება, რომელნიც მასთან ერთად ჩამოვიდნენ.

3. სტუდენტი გამბაროვის და მისი თოთხმეტი ამხანაგის პირადობის გამორკვევის შემდეგ საიდუმლოდ აჩვენოთ ისინი ვოსტრიაკოვას ამის გამოსარკვევად: ა) ეს პირები მოდიოდნენ თუ არა გამბაროვის სახლში და ბ) ამ პირებიდან სახელდობრ ვინ მორბოდა ერევნის მოედნიდან გოლოვინის პროსპექტზე 13 ივნისს უშუალოდ გაძარცვის ჩადენის შემდეგ“:

4, 5 და 6 პუნქტი არაფერს არსებითს არ შეიცავს.

7. ასეთივე ფარული გამოკვლევით და მეთვალყურეობით გამოარკვიეთ, ეკუთვნიან თუ არა გამბაროვი მისი 14 ამხანაგი და მათი ახლობელი ნაცნობები რომელიმე მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციას, და თუ ეკუთვნიან სახელდობრ რომელს.

8. სტუდენტი გამბაროვის, მისი თოთხმეტი ამხანაგის და მათი ახლო ნაცნობების პიროვნების გამორკვევისთანავე თანამოწმეთა დასწრებით მოსტებნოთ ა) 13 ივნისს ერევნის მოედანზე ვატაცებული საკრედიტო ბილეთები, ბ) ყუმბარები და მათი დასამზადებელი მასალები, აგრეთვე იარაღები და, თუ აღმოჩნდება, ჩამოართვათ მათ ისინი, გ) მოსტებნოთ შავი

ხალათები, შავი შარვლები, შავი მრგვალი ქუდები, შავი დაჯიხილი ქამრები, შავი ნიღაბები და შავი ასაკრავი წვერები და, თუ აღმოჩნდება, ჩამოართვით ისინი, — ამასთანავე მოძებნოთ და ჩამოართვათ მათ, რაც კი აღმოაჩნდებათ — ყოველგვარი მიმოწერა და ყოველგვარი ფოტოგრაფიული სურათები და სადარბაზო ბარათები, აგრეთვე ყოველივე, რასაც კი თქვენი პირადი შეხედულებით შეუძლია ნათელი მოფინოს იმ ბოროტ-მომქმედთა პიროვნებას რომელთაც ყაჩაღური ძარცვა მოახდინეს ერევნის მოედანზე“.

სიამაყის და თავგამოდების გრძნობით აღსავსე მაძებარი ევტუშევსკი და მრეცხავი ვოსტრიაკოვა მიდიან პეტერბურგს. ამასობაში გამომძიებელს არ სძინავს. რალა თქმა უნდა, ტიროვევი, როგორც ბრალდებული, პასუხისგებაშია მიცემული და უკვე შეტეხში ზის. კამოს საქმეში მრავალადაა ამ პერიოდის განმავლობაში შესაბრაალისი ან სათაკილო თხოვნები, რომელიც სტერეოტიპიულ ფრაზებით იწყება: „ამა და ამ რიცხვში, ღამის ამა და ამ საათზე სრულიად უმიზეზოდ მტაცეს ხელი და ჩამავდეს ციხეშიო“. ტიროვევის და გამმაროვების შესახებ ენერგიული გამოძიება სწარმოებს ტფილისში. მათს სახლებს თვალყურს აღდევენებენ. ბინებში ჩხრეკაა, მათ მრავალჯერ იწვევენ გამომძიებლის კამერაში დასაკითხავად. ოქში ოქმს მისდევს, თანდათან იზრდება ტომები ავაზაკური თავდასხმის საქმის შესახებ. ამავე დროს საფოსტო უწყების „ექსპერტები“ ხსნიან წერილებს, იღებენ დეპეშების ასლებს, არეგისტრირებენ ფულის გადაგზონ-გადმოგზავნას და ყოველივე ამაში ღებულობენ ნამდვილ ლტაკურ სასყიდელს. აი მრავალთავან ერთი ასეთი ექსპერტის „აქტი“.

ო ქ შ ი

1907 წ. 26 ოქტომბერი, ქ. ტფილისი. სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ა. ა. ტაურენის საშუალებით დაათვალიერა ბაქოს მიმართულებით № 159 მაკთულის დეპეშები ა/წ. 6, 8 და 7 ივნისს, მასთან ყურადღება მიიქცია შემდეგმა დეპეშამ:

„მოსკოვი. ბორის რიტენბერგს ვასიასთვის. მე ჩავარდი უკანასკნელ წერილით. არაფერი უთხრა ვანიას. მიშა“.

ხელს აწერენ მალინოვსკი. ტაურენი და ორი თანამოწმე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

დანიელ ზონძაძე: „სურამის ციხე“ მის. ზანდუკელის წინასიტყვაობითა და რედაქციით. „ფედერაცია“ 1932. თ. 3 მ. 30 კ.

დანიელ ზონძაძის „სურამის ციხის“ აკადემიური გამოცემა საყურადღებოა პირველ რიგში კარგად დაზუსტებული ტექსტისა და შესაფერი განმარტებების მხრით (მათ შერაგებ ქვემოთ ვაუტყვი). მთხრობას წინ უძღვის რედაქტორის (მთ. ზანდუკელის) წინასიტყვაობა. დართული აქვს ანბ. ფ. მახარაძის ენობილი გამოკლევა „დანიელ ზონძაძე და მისი დრო“, რომელიც 1904 წელს გამოქვეყნდა პირველად და რომელიც დღემდე ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შრომას წარმოადგენს ქართული ლიტერატურის მარქსისტულ კრიტიკაში.

მიუხედავად დ. ზონძაძის გარშემო წარმოებული აბალი კლევა-ძიებებისა ანბ. ფ. მახარაძის გამოკლევა პირველი წყაროა იმ საზოგადოებრივ პოლიტიკური ეთარების გამოსაცნობად, რომელშიც გაისმა ე ვერგიული პროტესტი ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ „სურამის ციხის“ სახით. არ ვებულ გამოცემის შესავალი განმარტებები დ. ზონძაძეზე ფ. მახარაძის გამოკლევებთან შედარებით აბალს არაფერს ამბობენ.

„დ. ზონძაძის „სურამის ციხით“ იწყება ჩვენში თანამედროვე საბალხო წიგნების ხანა. ეს ერთად-ერთი მოთარბა, რომელიც პირველად გაიკვლია გზა ჩვენს ხალხში და პირველ გაცნობისთანავე მოიპოვა მის გულში მზრუვალე თანაგრძობა და მკვიდრი სახუდარი. დღე ჩვენში იშვიათად უნდა მოიპოვებოდეს ისეთი მკითხველი, რომელსაც წაქითხულა თუ არა, გაგონილი მაინც არ ჰქონდეს „სურამის ციხის“ შინაარსი“—წყრს ანბ. ფ. მახარაძე (იხ. გვ. 216) და იქვე ასახელებს ნაწარმოების ასეთი პოეტლარობის მიზეზს. „ამის მთავარი მიზეზებია ის, რომ ხალხმა „სურამის ციხეში“ დაინახა თავისი თავი, როგორც სარკეში, თავისი ხეცდრი და თავგადასავალი“ (217.); ანბ. ფ. მახარაძე ვრცელად ებება იმ სოციალ-პოლიტიკურ პირობებს, რომელშიც მიმდინარეობდა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარის ებოვრება ჩვენში დაწერილებით გადმოგვეცემს დ. ზონძაძის ბიოგრაფიას.

იმ დროს, როცა ანბ. ფ. მახარაძის შრომა იწყებოდა, სურამის ციხის აეტორზე ენობები ნაკლებად მოიქებებოდა. დ. ზონძაძის ბიოგრაფიის შედგენა, ენადია განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა. როგორც ანბ. ფ. მახარაძე არკვევს, ამ გარემოებას ხელს უწყობდა ისიც, რომ „სურამის ციხის“ აეტორი თავიდანვე განიცდიდა აშკარა ლიტერატურულ და კლასიურ დევნას. ლიტერატურული დევნა გამოაბატა იმაში, რომ ოფიციალური პრესა დიდხანს დუმდა მასზე, ხალხი ამ დუმლის დარღვევა არაკის სურდა (იცო ეღები ზოგიერთი მოღვაწის, მათ შორის ან. ფურცელაძის, გ. თუმანიშვილის და სხვათა მიერ დ. ზონძაძისადმი ფიზიკური მოპყრობისა, მაგრამ ამათაც უმედყოფა ჩიარეს). რაც შეეება კლასიურ დევნას, ეს გამოიბატა დ. ზონძაძეზე მიტანილი იერიში, რითაც მას სიკვდილითაც კი ემუქრებოდენ. „სურამის ციხის“ აეტორზე კრიტიკის დაძქრა საბიფათო ნაბიჯს წარმოადგენდა. აბან გამოიწვია დ. ზონძაძის პირიყენების მიჩქმალვა. საჭირო იყო მისი ხელაბალი გამოყოცნლება და ეს ამოცანა პირველად ანბ. ფ. მახარაძემ შეასრულა თავისი ლირსეული გამოკლევეით.

ანბ. ფ. მახარაძე ვრცელად არკვევს დ. ზონძაძისადმი ასეთი განწყობილებების კლასიურ ბუნებას. ენადია ბატონყმური ურთიერთობის პირველი მამბილებული შესაფერი დევნასა და გულს წყრომას მოიპოვებდა იმ კლასის წარმომადგენელთა მხრით, რომელთაც პირდაპირ სახეში ეცემდა „სურამის ციხე“.

დ. ჭონჭაძის ბიოგრაფიის გადმოცემასა და მეცხრამეტე საუკუნის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების სფეროს ჩვენებთან ერთად ამხ. ფ. მახარაძე იძლევა მაშინდელ სამწერტლო სარბიელზე გამოქვეყნებული წიგნებისა და წიგნების ვრცელ დახასიათებასაც. გამოცემის ავტორი ამ წიგნის მშვიდით ცოდნით ასტრათებს იმ გარემოს, რომელშიაც „სურამის ციხის“ ავტორს მოუხდა წარმოება. მაშინდელი პრესა (ქრწნალ-გახეობების სახით) უმთავრესად პრივილეგიური წოდებიდან გამოსულ ლიტერატორების ხელთ იყო მოქცეული. ასეთი პრესის ფურცლებზე „სურამის ციხის“ მსგავს მაწამობებით გამოსულა დიდ სიძინელებს შეიცავდა. გაბატონებულ სამწერტლო ბანაკის კონსერვატიული ნაწილი პირდაპირ აფერხებდა ისეთი ლიტერატურული დოკუმენტის მოვლენას, რომელიც თავადანაწარმოა წოდებას მკაცრათ გაამათრახებდა. „სურამის ციხის“ ავტორი იძულებული იყო სხვა ლანსიხებებისათვის მიემართა და მისი მეშვეობით მოეხერხებინა „სურამის ციხის“ დაბეჭდვა. დ. ჭონჭაძემ თავისი მოთხოვნის მოქმედების დრო გასულ საუკუნეებში გადაიტანა-რათა მაშინდელი ოფიციალური ლიტერატორებისა და ცენზურისათვის თვალის აბრეკა. მოთხოვნამ თავისი პრეტენსიული როლის შესრულება შესძლო: პირველად გამოაშკარავდა მწერლობაში ბატონყმური ფრთხილთაის უსადაგლესი ფორმები.

ამხ. ფ. მახარაძის შრომა ფასდაუდებელ მასალებს იძლევა „სურამის ციხის“ მნიშვნელობის გასაგებად და იმ უდიდეს როლზე, რომელიც ამ თხზულებამ შეასრულა დაჩაგრული ფენების გამოუბნობების საქმეში.

გარდა ამისა, ამხ. ფ. მახარაძე ვრცელად ჩერდება იმ საბოტაჟზე, რომელიც ქართულმა ოფიციალურმა სალიტერატურო კრიტიკამ გამოუცხადა დანიელ ჭონჭაძეს. დიდი ხნის განმავლობაში „სურამის ციხის“ ავტორზე არაფერი თქმულა ქართულ პრესაში და მისი გამოცემებიც კი იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ამხ. ფ. მახარაძე ასეთი მოვლენების კლასიკურ ხასიათსაც ააშკარავებს.

მიზ. ხანდუტელის წინასიტყვაობა მოკლედ ებება „სურამის ციხის“ როლს ქართული საზოგადოებრივობის ისტორიაში და ძირითადში იმეორებს ამხ. ფ. მახარაძის მოსახრებებს, რაც შეეხება ტექსტზე გაწეულ შრომას, მას მრავალ ღირსებებთან ერთად ახლავს ზოგიერთი ნაკლიც. პირველ ყოვლისა არ იყო აუცილებელი ავტორის მართლწერის დაცვა იქაც, სადაც უბნში გრამატიკული შეცდომებია დაშვებული (რა გინდ თავისებურებათ ისინი არ შეიცავდენ), მით უმეტეს, რომ „სურამის ციხის“ დედანი არ არსებობს, ხოლო „ციხეკარში“ მასალები მიიმე კორექტურული შეცდომებით იბეჭდებოდა. ფ. მახარაძე სწერს: „მეორე დიდი ნაკლულიანება („სურამის ციხის“ გ. ბ.) წარმოადგება ენის უცოდინარობისაგან“ (გვ. 247); ამიტომაც შეიძლება თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომების გასწორება, მაგ. ასეთ დატეხებში: „გეზირმა კი დაეხარა ეინც თავადი შეიღებ იცვნი და გამოუტება რა ყოველივე, იმათაც უბრძანა რამტყმამე რომ იმათ მოყვანათ საცა უნდოდა ზურაბი, ხელი ეტყენათ, შეეკრათ და მიეცათ კალატოებისათვის, ხოლო სხვათა უთხრა, რომ ამ დროს უარის მხად ყოფილი იცვნი და შემოხვევი იცვნი იმ ადგილს, საცა მოხდებოდა ეს საქმე“ (გვ. 91).

ტექნიკურად წიგნი დამაკმაყოფილებლად არის გამოცემული.

გ. ბ.—ძე.

